

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიული სერია

# ხადხური სიტყვიერების მასალები

შეკრებილი ჯუანხურ სონღულაშვილის მიერ  
ელენე ვირსალაძის რედაქციით



## რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

წინამდებარე კრებული მკვლევარ ჯუანშერ სონლულაშვილის შერეულ ქართლის სოფ. დილომში ჩაწერილი ფოლკლორული მასალების მეორე ნაწილია. პირველ ტომში<sup>1</sup> წარმოდგენილი იყო დილომში ჩაწერილი ლექს-სიმღერები, მეორე ტომი კი შეიცავს ანდაზებს, შაირებს, გამოცანებს, ზღაპრებსა და თქმულებებს. ანდაზების ძირითადი ნაწილი სოფ. დილომშია ჩაწერილი, გამონაკლისი შემთხვევები საგანგებოდ არის აღნიშნული. კრებულს ერთვის სოფ. დილომის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობების მიმოხილვა, შესრულებული ჯ. სონლულაშვილის მიერ.

ამ კრებულში ფოლკლორის ყველა ჟანრი არ არის წარმოდგენილი ერთნაირი სისრულით, მაგრამ ქართლის ერთ-ერთი ტიპიური. მნიშვნელოვანი ისტორიული წარსულის მქონე უძველესი სოფლის სახე ძველი, ტრადიციული ფოლკლორული შემოქმედების ავალსაზრისით მაინც ჩვენთვის ძირითადად გარკვეულია, რაც ჯ. სონლულაშვილის მიერ ჩატარებულ მუშაობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. კრებულებს ერთვის შენიშვნები, ზოგიერთ სიტყვათა ახსნა, გეოგრაფიული საგნობრივი და ეთნიკური საძიებლები.

---

<sup>1</sup> იხ. ზალხური სიტყვიერების მასალები 1, შეკრებილი ჯუანშერ სონლულაშვილის მიერ, ე. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1955.





ს ნ ღ ა ზ ე ბ ი



- ა, ბატონო ბაწარიო, დავით მეფეს გასწავლიო.  
 აბლა-უბლა გადასკუპდა.  
 აბესალომ და ეთერი, ღმერთმა შეყარა ერთფერი.  
 აგანგალა განგალო, ავჭალას კატა მამკედარყო.  
 აგეთისასა ნუ მიხვალ. მასპინძელს გული სტკიოდეს, სტუმრისა  
 სასმელ-საკმელსა ცოლი ქმარს შემოსჩიოდეს.  
 აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებსო.  
 აგორდა ქოთანი და იპოვა სარკველიო.  
 აგურის ნატეხი ლალს შეუდარეს, აქაო და წითელიაო.  
 ადათია და წესია ფეტვი ალაგზე თესია.  
 ადათის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა სჯობიაო.  
 ადამიანი, ადამიანის მალამოაო.  
 ადამიანი ერთი ფეხით წინაც წავა და უკანაც დარჩებაო.  
 ადამიანის დაბადება პირველი დღეა, ქორწინება მეორე და  
 სიკვდილი — მესამე.  
 ადამიანის პანდური ვირის წიხლზე უარესიაო.  
 ადამიანის პირის კანი ხახვის გარსზედ თხელია, მაგრამ თუ  
 ერთი გაიხა — კამეჩის ტყავზე უფრო გასქელდება.  
 ადამიანს მჟადის სახელიც დაავიწყდებაო.  
 ადგილის დედა ჩიოდა, თემის უფროსი კვდებაო, ნუ მოჰკლავ  
 დამბადებელო, სოფელი წაგვიხდებაო.  
 ადგილის კურდღელსა ადგილის მწვევარი უნდაო.  
 აღე ბადრო, ნურც ადგები, ღვინო გისვაჰს განა ბანგი.  
 აღე ნახე ქირიო, დაჯე ნახე ლხინიო.  
 აღეკ ავი ნახეო, დაჯეკ კარგი ნახეო.  
 აღრე ამდგომს უხაროდეს, გვიან მოსადილესაო.  
 აღრე ამდგომსა კურდღელსა, ვერ მოეწევა მწვევარი.  
 აღრე ამდგომსა კურდღელსა მწვევარი უნდა ქარისა, მისდევს  
 და ვერ მისწევია, იქავ და იქავ არისა.

აღრე ამდგარსა ყმაწვილსა ლმერთი უმზადებს სადილსა.

ავად ვიყავ და ვკვდებოდი, ხუცესმა მაზიარაო, მე იმან არა მიშველა, არც არა მაზიანაო.

ავადმყოფი რომ მორჩება ექიმი შესძულდებაო.

ავადმყოფობა კაცის ჯანში ურმით შვეა და წვეთ-წვეთად ძლივ გამოვაო.

ავადმყოფის პატრონი ავადმყოფზე უარესიაო.

ავად სახელის დავარდნას, თვალის დავარდნა ამჯობინესო.

ავაფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო.

ავთანდილ გულში მღეროდა, ყმანო ბანი მითხარითო.

ავია თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარიაო.

ავი დედაკაცის ყურებას, ასი სული ცხვრის მოწყემსვა მირჩვენიაო (ქიზიყური) <sup>1</sup>.

ავი დედა, ავი მამა, ავი შვილი, ავი რძალი — ყველა ერთად რამ შეყარა, თუ არ იყო ჯავრის ძალი.

ავი თვალის შემომხედსა კარიდან ცეცხლი და კერიდან მეხიო.

ავი კაცი აქე და ერიდეო.

ავი კაცი აღდგომასაც ავიაო.

ავი მეზობლისას ცეცხლსაც ნუ ინდომებო.

ავი მეზობლის ქირიმე, ნახე კარგი რა იქნებაო.

ავი მაყარი ავსაც სცდება და კარგსაცაო (ქიზიყური).

ავი მაყარი ღზინსაც მოსცდა და ძილსაცაო.

ავი მუშა კვირა ძალსაო.

ავისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელი.

ავი საქმის მაძიებელი ან დღეს მოკვდება ან ხვალე (ქიზიყ.)

ავი სიტყვა მის მთქმელსაო.

ავი პაპა იყავიო ავი ქამაც გიყავიო.

ავი ცოლის პატრონს ქირში რა უნდა, ქირი სახლში აქვსო.

ავი ძალლი არც თითონ შესქამს და არც სხვას შეაქმევსო.

ავლაბარი და კუკია ქალაქის ბოლოს კუნტია, საწყალი კაცის საგზალი ერთი პატარა კუნტია.

ავმა სახლმა, ავმა კარმა, ავთ გამადედაკაცა. კარგმა სახლმა, კარგმა კარმა, კარგათ გამადედაკაცა.

ავ მეზობელს ცეცხლიც საციქველი ჰგონიაო.

ავ გვარისაგან იმედი ნუ გაქვს კეთილისყოფისა.

<sup>1</sup> ყველა ქიზიყური ანდაზა გადმოგვცა ისტორიის მეცნ. კანდ. დოცენტ. ი. ნა-  
ნობაშვილმა.

ავ მოვალემ რაც მოგცეს გამოართვიო.

ავ მტკმელს კარგი გამგონი უნდაო.

ავ მოვალეს შენ ვალში ნაცარი გამოართვი და თვალეში ჩა-  
აყარეო.

ავსა, ავისა მოქმედსა, ავისად გინდა ლოდინი (ხეესურული)

ავსა ავისა მდომარეს, ავისა უდგა ლოგინი, მამასაცა და შეილ-  
საცა ავისა უნდა ლოდინი.

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

ავსა სხვაც ავი ჰგონიაო.

ავს თუ ავი არ უწოდეთ, კარგს სახელათ რა დავარქვათ?

ავქალასა და მცხეთასა არ დაიძახებს გუგული.

ავქალაში ქორწილიაო.

აზნაულებული და წყალწალებული.

აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდებაო.

აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო.

აზნაურის ხილობაო არის გვარის შეილობაო.

აზრუმს არა ვყოფილვარ, მაგრამ აზრით ვიციო.

ათასი გიეი გარბოდა, ყველას თავისი ერჩივნაო.

ათას უგულო მეომარს გულადი ორი სჯობიან.

ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თი-  
თონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

ათშაურიანმა მუშამ მანეთიანს აჯობაო (ქიზიყური).

აი გიდი აბასთუმან.

აი გიდი რა ორშაბათი მიცდებაო (გლეხი ბაღში მუშაობდა,  
ამ დროს შეატყობინეს. მეზობლის ცოლის სიკვდილი. გლეხმა  
თოხი ხელიდან გააგდო. და სთქვა: აი გიდი რა ორშაბათი მიც-  
დებაო).

აი გიდი სამ ნაბაღზე რომ ვხტებოდიო. (ერთი კაცი მიდიოდა  
და მდინარეზე გადახტა და წყალში ჩავარდა. სხვის გასაჯინად  
სთქვა: — აი გიდი სამ ნაბაღზე რომ ვხტებოდიო. მიიხედ-მოიხედა  
და როცა არავენ დაინახა სთქვა: — არც მაშინ იყავ რაშე და არც  
ეხლაო).

აილე აქას ჰქვიან, მოიცა, — ქონებასაო.

აკიდებულსა ვირსაო, ყველანი წაჰკვრენ წიხლსაო.

აკი ხო გითხარ ბებერო, მაგ ენას დაგიბეგვენო.

აკრძალული ხილი გემრიელიაო.

ალალებდზე ცხოვრება არ ცხოვრებასთან არი.

ალალი დედა მოწიკვდა, დამიჭდა დედინაცვალი, იმას რო გე-  
რები მოჰყვენენ, თვალში მაყარეს ნაცარი.

ალალი კაცის ქირიმე, ალალი სული ამოსდის. ღმერთმა დას-  
წყველოს ვარამი, ვარამი სული ამოსდის.

ალაგო ვისი ხარო და ვინც ზედ მედგაო.

ალვის ხე მაღალი იზრდება, მაგრამ შიგ რა ყრიაო.

ალვის ხე ცამდის ასული ქინჭველას წაუტყევეია.

ალია მოკვდა და ფლავი უკან ჩაყარესო.

ალია მოკვდა და ფლავი მაშინ ჩაყარეს პირშიაო.

ალიანსა-ჩალიანსა, მოსანთლიანთ მარიაშსა, ბათურთ ბუთლას  
ბევრ საქმე აქვს, თქვენთვის არა სცალიანსა.

ალიას დარდი ფლავიაო.

ალია ფლავს არა სქამსო, ნახავს და გადაყლაპავსო.

ალია წავიდა, მუსია მოვიდა.

ალის უბანს ქალი მოკვდა, რუსეთს მარგლის ბოსტანსა, ნუ  
ენდობი დედაკაცსა, ნურც მკვდარსა და ნურც ცოცხალსა. (ერთი  
გათხოვილი ქალი საყვარელს გაპყვა და ამბავი დაადგეს ვითომ  
მოკვდაო. კაი ხნის შემდეგ მეორე ქმრის სოფელში ნახეს და, ქმარს  
ამბავი მოუტანეს ასე: ალის უბანს ქალი მოკვდა, რუსეთს მარგლის  
ბოსტანსა, ნუ ენდობი დედაკაცსა, ნურც მკვდარსა და ნურც ცო-  
ცხალსა).

ალხანას ჩალხანაც უნდაო.

ალხანას ჩალხანა არ მოაკლდებაო.

ამაყმა კაცმა ბოროტმა, გული ხანჯალზე ააგო.

ამბავი ტარიელისა, მუცელი ცარიელისა.

ამდელი მგელთა ყმუილი უამბოთ არ ჩაივლისო.

ამდელ ქუხილს რაღაცა მოჰყვებაო.

ამირანმა თქვა: „ასეა, ეს ჩემი ხმალი ბარია. ვისაც კი შე-  
მოუქნავე თავს უკან გამოისროდა“.

ამირან დარეჯანის ძე ჩაივლის ყარაიასა, ცოლსა საკაბებს მოუ-  
ტანს, დედასა — დარაიასა.

ამის ამშენებელი წაწყმედესო.

ამოდელა პატივითა ხომ გამიხდა კვატივითა.

ამოვარდა ნიაევი, ჩამოყარა ქლიაევი, აარიგ-ჩამოარიგეს, ბებერს  
შეხვდა ქიანი.

ამო მზეო გამიგონე, საცა ვიყვე მომიგონე.

ამო კამეჩო რქიანო, ჩვენს პაპებს უამბიათო, უღელი ხარისხ  
ნახნავი შვიდ წელსა გვიხმარიაო.

ამოდებული ხმალი პურმარილმა ჩააგოვო.

ამ ოჯახის კედელ-კუთხე, საქართველო შენ აკურთხე.

ამპარტავენობა ცუდია, წააგავს სულელობასა, თავი დაიგმე ის გიჯობს, ერთგულ მოყვარის ძმობასა.

ამ სიღარიბეს ერთი სიმდიდრე მოსდევს და ამ სიმდიდრეს — ერთი სიღარიბე.

ამ სოფელს არავინ შებერებიაო.

ამქარი ამქარს იცნობსო.

ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი პატიოსნება ლაპარაკობს სწორეთო.

ამ ღვდელს მოართვით რამეო.

ამცოლს აყევი დამყოლს დაჰყევიო.

ამ ძალღს ეს ძვალი არც ეთმობა, არც ემხრობაო.

ამ წუთისოფელს არავინ შებერებიაო.

ამხანაგთან მრუდეთ მოქცევა ქურდობა და ავაზაკობაო.

ამხანაგი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო.

ამხანაგის ყოლა ბატონის ყოლას უდრისო.

ანაბარი მგელმა იცისო.

ანალღვე ბრმას — ლამფაში ნაეთი უდგა თუ არაო.

ანალღვე ბრმას ჯამთლის სიძვირეო.

ანგარიში სწორე იყვეს და ე, სოკო ხომ ბევრიაო.

ანგელოში ჩემსკენ იყვეს და ეშმაკი რას დამაკლებსო.

ანდერძი კაცს არ მოკლავსო.

ანეულობა, ფეტვობა, ვაჰმე რა დიდი ღღე არი!

ანეულობა, ქერობა, ქალო რად იცი ფერობა.

ან დახედე, ბან დახედე, სიგრძესა და განს დახედე.

ან ვირი გავხდები ან ვირის პატრონოო.

ან უნდა ძმასა ძმა ყვანდეს ან კაი შვილი მამასა ან უნდა ბიძას ძმისწული ისიც მოუხნავს ყანასა.

ანჩხლი ცოლი ქმარს კეუიდან შეშლისო.

ანწლი არ მოგვცემს ყურძენსაო.

აპრილი და აპრაკარტი. თებერვალი, მერე მარტი, თვე წინა და თვე უკანა, სამი თვეა მასუკანა. (ერთ კაცს ცოლი ეთხოვნა და ორსულად ყოფილიყო, ქმარს ეჭვი შეეგტანა და გაგდება მოენდომებინა. სიდღერს დაებარებინა სიძე და ასე ეანგარიშნა და დაეჯერებინა რომ შენი შვილი არისო).

არა გიშავსა რა თუ არა გიჩანსრაო.

არა გყავდეს მეგობარი,-ეძებე, როცა იპოვი კი ერიდეო.

არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.

არა გშია ზაქარია, თორემ მკადიც შაქარია.

არა გცემ გარბიხარ და რომ გცემო, მაშინ ცხრა მთას იქით  
გაიქცევო.

არაკუნე კედელი, დაარიგე რეგენი.

არალო ბიჭო გოგია, მოხან და ბევრი მოგია.

არა მიშავსარა თუ არა მიჩანსრაო.

არა მკითხე მიამბეო, მისტყიპე და მიაგდეო.

არა მჭერა კრიკინამ კვერცხი დასდოს არწივისაო.

არა მწამს ქინძი ქონდრათა და მწამს კიტრი გოგრათა.

არას მაძლევ და ყბასაც მამტვრევ (არას მომცემ, ყბასაც  
მომტვხ).

არასოდეს არ გახმება წყალთა შიგა ხეთა ძირიო.

არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურა ძვირი, თუ უშვი-  
ლო ცხონდებოდეს, სამოთხეში შევა ვირი.

არა უშავს რა წისქვილსა, დატრიალდება წყლის პირსა.

არაქელას ფარხას არუთინა ხევდაო.

არა გქონდეს ქირიო, შეიყარე ჩხირიო.

არ აშენდა ხუროს სახლი არცა მონადირისაო, სავი დღით  
ადრე დაივსო მეთევზე-მებადურისაო.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

არ გაგივიდა, გოგიავ ნიადაგ შენი ტყუილი.

არ გაეჯავრდება ჭერკია, გავჯავრდი აღარც დავდგება.

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. მტერნი  
არ შეგვიბრალუბენ, ტირილითა დ ვიშითა.

არ გაიკითხვენ გოგოსა, ტირილითა და ვიშითა.

არ გამოდგება ყვაფი ქორად, არც უგვარო გვარის სწორათ.

არ ვარგა ქალი მექორე, სოფლად ვაეკაცი მკეცხარი. გაუქირ-  
დება შესდგება, როგორც უღელში მკლე ხარი.

არ ვარგა კირში გატეხა, თუ კაცი გონიერია. წავა და სხვაგან  
დარჩება სოფელი ღონიერია.

არ ვიცი დანა მრუდია, არ ვიცი დანის ტარია? არ ვიცი ქალი  
არ ვარგა, არ ვიცი ქალის ქმარია.

არ ვიცის დედა იცინის და ვიცის დედა ტირისო.

არის ერთი რიგი კაცი, ღმერთს ტყუულად ემადლება, ათასი  
რომ ბევრი ჰქონდეს, კიდევ სხვისა ეხარბება.

არ მინდამა ცხრა ჯამი შექაშაო.

არ მინდა, ჯიბეში ჩამიდუო.



არნადი და ფიწალიო, შენ ველარას ისწავლიო.

არ უნდა ეუბნეოდეს სულ მუდამ ცოლი ქმარსაო, ერთხელ იქნება გართყავს ცეცხლიან მუგუზალსაო.

არ უნდა ქირში გატეხა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია.

არშის ციხეში ჩამსვლელი განა შენფერი ყმა უნდა? ჩავის ჩამტანი ფარისა, ამამტანელი სხვა უნდა.

არცა ვიყავ რძალი კარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი.

არცა ექნა და არცა ვსთქვაო?

არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმათ მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო, წლითი წლამდის გამყოლია.

არცა ურჯულო იკადრებს, უმუხთლოს თავის ძმობილსა.

არც ატკენს და არც მოარჩენსო.

არც მიწას შერჩება ცისა და არც ცას დედამიწისაო.

არცა შეეკამ რძესა, არც გავრეკავ თხებსა.

არც აცია და არც აცხელაო.

არცა ძევს და არცა მშიაო. (ერთ იმერელს შიებოდა მაგრა, ჩაეხედა კიდობანში, ნახა ცარიელი იყო და თავისთვის თქვა: არც ძევს და არცა მშიაო).

არც გაქრა და არც გახვეაო.

არცერთი ქალი არ არის ისეთი, რომელსაც სიზმარში მაინც არ ელაღატნოს ქმარისათვისაო.

არც ქარის მოტანილი მინდა და არც მისი გატანილი.

არც შამფური დასწვა, არც მწვადიო.

არც შენი მოტანილი მინდა არც შენი გატანილიო.

არც შენი სიმწარე მინდა არც შენი სიწმინდავეო.

არც შენ შეგარჩება ერთი დროება ეგ სილამაზე გაგიხუნდება.

არც შენ შეგარჩება ერთი დროება, გისწრებს სიბერე გადაყრუება.

არც შენ შეგარჩება მეფეო.

არ ძალუძს ხესა ხენეშსა, ტკბილთა ნაყოფთა მოსხმაო.

არწივო მხარკვერიანო, ყორნებს რათ აძლევ ზავსაო? მინდორს რო მოკვდეს კაი ყმა, წინ-წინ ეგ დასთხრის თვალთაო.

ას გამეკეთებელს ერთმა დამმტკრევმა აჯობაო.

ასე ჩემო მანესეო, ხან ისე და ხან ასეო.

ასი ერთად და ერთი ასადო.

ასი კონა ჩალა კაცს ქვეშაგებადაც კი სჭირდებაო.

ასი წლის ტახს რალა წინ ოხრა უნდა. (ქიზიყური).

ას კაცს ერთი ცხვარი უხაროდათო.

ასკილი და კუნელაო კაცია და გუნებაო.

ასლო სამკალად ლამაზო, სახვავედ ბარაქიანო, ფქვამი წისქვილის მამშლელო, საჭმელად თავლაფიანო.

ასმა კაცმა, ასი კაცი იტიაო.

ასმა კაცმა ვერ შექამა, ერთი კაცის ლუქმა იყო.

ასწიე ღონესა ჰქვიან და დასწიე უღონობასა.

ასწიე მძიმე მძიმესა, სუმბუჭი რაღა მეტია, კაცი თუ კაცსა ვერ იცნობს, სიკვდილზე გადამეტია.

აურწყავი ქერიო და ოხერი ვირიო.

აფსუს ქალო და მზითევეო.

აქაო და რბილიაო, ჰყლაპავს ჩვენი ნინიაო.

აქეთ მოვცდი ყოფასა, იქით ქორწინებასა.

აქე და ერიდეო.

აქ ვიყავი ვერა გნახე, შევჯექ ვირზე ისე გნახე.

აქლემი ახლო სძოვს და შორსა ხედავსო.

აქლემი კლდეზე გადავარდა და ვირმა ყროყინი მორთო.

აქლემი და გალია.

აქლემი ისე არ დავარდება, რომ ცხენის ტოლა ვეღარ ატაროსო.

აქლემი სხვის ბეწვს ხედავდა და თავისას სარტყელსაც ვერაო. (ქიზიყური)

აქლემის კუნტრუში ხიდზე გამოჩნდებაო.

აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო.

აქლემის ქურდი და ნემის ქურდი ორივე ქურდიაო.

აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი შუაში გასარისესო (ქიზიყური)

აქლემს უთხრეს წელი რათა გაქვს მრუდეო — სწორი რაღა მაქვსო?

აღარა ვარ იმ კილოსა, ლურჯამ ჩაიკინკილოსა.

აღდგომა დარიანი, ამალლება ნამიანი, ყველა კაცმა დაიჭეროს ბური მოვა ძალიანი.

აღდგომა და ხვალაო.

აღდგომას მზესაც უხარიან, ისიც კი თამაშობსო.

აღმ ავლუქნევ თავს დამეცავა, ჩაღმ დავლუქნევ ფებთავ. (ხევსურული)

აღმართი და დაღმართი, არც 'ერთია წაღმართი.

აღმართს დაღმართიც თან მიჰყვებაო.

აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო.

აცე ვირო, მე მკილია შენ ხომ არაო. (გლახმა ვირს საპალნე აჰკიდა, საპალნე ვირისათვის მძიმე გამოდგა, გლახმა ჩამოხსნა საპალნე და თვითონ აიკიდა და ვირს შეაჯდა საპალნიანათ. ვირა ტვირთის სიმძიმისაგან მოიკაკვა, გლახმა გაქირვებული ვირი რომ დაინახა შესძახა: აცე ვირო, მე მკილია შენ ხომ არაო).

აცე ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდობა მოვაო.

აცე ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე ღანძილი მოვაო.

აწყინოს ქერმა ლურჯასა.

აქარელს უთქვამს: კარგა ვიყავ ავად გავხდი, ავათა ვარ და კარგა რაღა გამხდისო.

ახალ ვაზში ჩიტი არ შეფრინდებაო (შიგ სიარული და მუშაობა არ შეიძლებაო).

ახალგაზრდა მოზვერს დაფხანვა უნდაო.

ახალსა ნამუდრეგალსა ბერის სჯობია ჩანჩალი.

ახალ შემოსულ კიტრსა და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიფტდებაო.

ახალი ტყუილი ურჩევნია ძველ მართალსაო.

ახალი ცოცხი კარგათ გვის, ძველი მოიტანს ქვიშასო.

ახალ წელიწადს დღეს ვირმა ბაგაზე შეიტყო,<sup>1</sup> რომ დღემ მოიმტაო.

ახითა და იოლითა, განა ხახვითა და ნიორითაო.

ახლოს გყავდი არ გიყვარდი, შორით შენი ქირიმეო.

ახლო ვიყავ ვერა გნახე, შორიდან შენი ქირიმეო.

აჰა მღვდელო კორკოტიო, შენ ამისთვის მორბოდიო.

## ბ

ბაგა ბრუნდიაო (პატარძალს ძროხის წველაში ნაწველი დაქცეოდა, რომ ვერაფერი მოემიზუნებოა, ეთქვა: ბაგა ბრუნდიაო).

ბადრიჯანს რომ ფრთები ესხდეს, მერცხლად მოგვეჩვენებო.

ბადრმა თქვა: „მტერსა რა უყო, ამ ყველას დახვევებულსა“? ამირანმა თქვა: „ხმალს დავცემ ფრანგულსა გაფხავებულსა“.

ბადური ქერს არა სჰანს, რო მოშივა ქირსაც მომჰამსო.

ბავში აკვანში იცნობა, რა ბედენაც იქნებო.

ბავში დასაქმე და უკან გაჰყევიო.

ბავში ტირილსა, გოქი კყვილსაო.

ბავშვის მალალი ტირილი, თითის გალოკვა თაფლად ღირსო.

ბავშვის ნაწლავები ლობზე ეკიდა და მაინც ფანცქალებდაო.

ბავშვის პირით სიმართლეს გაიგებო.

ბავშვის ფეხი აგვისტოშიც არ გათბებო.

ბავშვი ქვევრია, რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებსო.

ბავშვს გაუცინე და თავზე დაგაჯღებო.

ბავშვს გაუცინე — მუშტა გიჩვენებსო.

ბავშვს და კატას მკათათვეში ფეხები დააძრებო.

ბავშვს ის არგებს, რაც ღიღებსაც არ აწყენსო.

ბავშვს სახრე არ აწყენსო.

ბავშვს უთქვამს: ნეტა დედაჩემმა გამიგოს, რომ კბილები ამომდის და თავზე უსურვაზის წნელი შემომიპიროსო.

ბალბას მოუღღღებო.

ბალს ქერქი მაშინ გააძერი, როდესაც გაეცლებო.

ბალო რათ სტირიო, გამიდის და ვტირიო.

ბარი ბარში, თოხი ტარში.

ბატონი კაცის მუცელი ადლი და ნახევარია, საწყალი გლეხი კაცისა, არც იმის ნახევარია.

ბატონს ზურგი სტკიოდა, ყაზახები სტიროდნენო.

ბატონის ნახვა თუ გინდა, ჯერ კარის კაცი მოინახულო.

ბატონის რისხვა წყალობააო.

ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდევ მასთან ყმობასა.

ბატონი ცხენზე ვერ შეჯდა, მეჭინიბეს უწყრებოდაო.

ბატონმა რომ თქვას: მუხას ვაშლი ასხიაო, უნდა დაიჭერო.

ბატონო შენი სასახლე შიპგავს ქალაქის ქუჩასა, შენც კარგად მოგეხსენება, პატივი უნდა მუშასა.

ბებერსა სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდო.

ბებერს იანვარში კიტრი მოუნდომებია. (ჭიზიყური).

ბაყაყი გუბეში, ვაშლი უბეში.

ბებრის ჭკუა და ბავშვის ჭკუა ერთნაირიაო.

ბებერმა კვერცხი თავით დაიდო, ეგები აღდგომა მალე გამოითნდესო.

ბებერი ცხენი ქერს არა სკამს? (ჭიზიყური).

ბებერი რომ დაბერდება, მიუჯდება კერასაო, ნატეხ პურს რომ ველარ შეკვამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო.

ბებერმა თქვა: მე ჰოვკვდებიო, ქალმა თქვა: მე გავთხოვდებიო, არც ბებერი მოკვდა, არც ქალი გათხოვდა.

ბებიაე იმიტომ გაყოცებ წიპლიან თვალში, რომ კვერს დამიკრავო.

ბებრის ქორწილში ქერის პურს ვინ დაიწუნებსო.

ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო.

ბედი თუ არ გწყალობს, მეზობელი მაინც იქნება მწყალობელი.

ბედის მორჩილი, მონობაში მოკვდებო.

ბედიც და უბედობაც, გულის ფიცარზე სწერიაო.

ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასაო.

ბედს თუ ატარებო, ბედიც გატარებსო. (ხევსურული).

ბევრი ბერვითა, წედისი დაიწოვო.

ბევრი გამზრდელის ხელში, ყმაწვილი დაიჩაგრებო.

ბევრი ვეცადე თქვენთვის, ძლივს გავაკეთე ჩემთვის.

ბევრი ვეწვალე ვერ დავწან გოდორი აქმანუკისა. ვერცა ყური ამოუბი, გამხმარი კოწახურისა. (ერთ ქვეყანაში, ვინც ბერლებოდა, გოდორს სწნავდნენ და კლდეზე აგდებდნენ. ერთი კაცის მამა დაბერებულიყო და გოდორს წენა დაეწყო. მამას ეთქვა შვილისათვის: „შვილო ისეთი გოდორი დასწან რომ შენ შვილსაც გამოადგესო. შვილი გონს მოვიდა და გოდორის წენას თავი ჰიანება. როცა მოაკითხა ხალხმა, ასე უთხრა მოხუცის შვილმა: „ბევრი ვეწვალე ვერ დავწან გოდორი აქმანუკისა, ვერცა ყური ამოუბი, გამხმარი კოწახურისა).

ბევრი კოკა წყალი ჩაივლისო.

ბევრი მართალი, ბევრი ტყუილიო.

ბევრი რათ უნდა დედასა. ერთი სჯობს სახელქებული, წავა და ომში მოკვდება, თავი აქვს გადადებულიო.

ბევრ ჭიქას კენჭიც ეყოფა, უგუნურს—ღრამის წონანი.

ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო.

ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებო.

ბევრის მკამელმა, ცოტაც ველარ შეკამაო.

ბევრის მკამელსა ცოტას მკამელმა აჯობაო.

ბევრი ყოყმანი კაცს წაახდენსო.

ბევრი ცემით რკინაც დაიღვედებო.

ბევრი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო.

ბევრი ჰოო, ჰო, ხარს გააგიჟებსო.

ბევრმა ჩურჩულ-კურკულმა ქვეყანა ამოაგდოვო.

ბევრ მოყვარეს, ბევრი მტერი სჯობიანო.

ბევრსა ვაჟკაცსა მკვეხარსა, ბევრი ქალი სჯობს თმიანი.

ბევრს ნუ იჯავრებ მალე დაბერდებო.

ბევრსაც შენახვა უნდა და ერთსაცაო.

ბევრ ძმას დავნატრი გულითა მზე ცხრა მხრით გამოუნათებს.

ბერდებოდე ბედს ელოდე.

ბერიკაცმა თქვა: ნურც მასმევ, ნურც მაქმევ, ცეცხლზე გამათ-  
ბეო.

ბერი საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი წამოვიდაო.

ბერო გაუშვი ბერობა, სხვა დაიჭირე ხელობა.

ბერსა კაცსა და ვაგლახსა, მალე დაათრობს მაკარი.

სიყმევ გიყიდდი ფასითა, თუ მოგიღებდა ვაჭარი.

ბერს ბერობა შეშვენის და ერს ერობაო.

ბატონმა ყმას უბრძანა, ყმამ მოჯამაგირესაო.

ბატონმა ცხენი მაჩუქა და მეჩინიბე წყრებოდაო.

ბატონს ყმა უყვარს—მშიერ-მწყურვალი ტიტველი.

ბატონს ჩვენასა გაუმარჯოსო.

ბაძვა სჯობიან შურსაო.

ბებრის ქორწილში ქერის ლავაშს ვინ დაეძებსო.

ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო.

ბებერმა იანვარში მარწყვი მოინდომაო.

ბებერმა სთქვა: ხარჯს ეწევით, ბარემ მეც დამაქორწილეთო.

ბეწვი კაცს გულს აურევსო.

ბიჭმა რა იცის გოგოსი, რა იმას უგდებს ყურსაჲო. მაგრა მო-  
იქერს სარტყელსა, სამ დღეს არა ჰამს პურსაო.

ბიჭო, ნუ ჰამ პილილსაო, თორემ მოკლავს სირბილსაო. ისეთს  
ალაგს მიგიყვანს, გადაგამტვრევს ცხვირპირსაო.

ბიჭო შენსა ბიჭობასა ჩემი სჯობდა ქალობაო, ჩემი ადგომა,  
დაჯდომა, ჩემი საქციელობაო.

ბიქსა ცალი გვერდი რომ არა ჰქონდეს, მაინც ბიჭიაო.

ბოზი სახლში შეუშვი, კარი ღია გაუშვიო.

ბლადოჩინსა სუფთად მოართმევდითო.

ბოზს რომ ბოზობა არ გაუვა, სხვა ხელობას მიჰყოფს ხელსაო.

ბოზსა ბოზობა არ გაუვიდა მაქანკლობას მიჰყო ხელი.

ბოლო კეთილიაო.

ბოდბელმა ვირი შექამა და კუღზე გაწყრაო. (ქიზიყური)

ბოლო უსვინდისოს წილიაო.

ბოლოკს უთქვამს: ვინც გამფცქვნის ვირიაო და ვინც არა  
ძვირიაო.

ბოროტი შვილის დედასა, რა მოაშორებს სევდასა.

ბრაღია კარგი ყმისადა — უდროოდ მაიშალოსა, დედა ტირო-  
დეს იმასა, ცოლი სხვამ წაიყვანოსა.

(ხევსურული)

ბრალია კარგი მოყმეო, ომი არ გამოდიოდეს, არ გქონდეს  
 ტყვია-წამალი თოფი არ მოგიდიოდეს.  
 ბრალი ქოთნის მუცლისა, თორემ ძირს აბა რა უჭირსო.  
 ბრიყვის საგზალი უმალ დაილიაო.  
 ბრიყვი უწინ იტყვისო.  
 ბრმა ვერ ხედავს, მაგრამ საზრავსო.  
 ბრმა თვალხილულს ატყუებდაო.  
 ბრმა რას ჩიოდა და ორთავ თვალეზსაო.  
 ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაეღვევაო.  
 ბრმას ფეხებზე ჰკიდია თუ სამთელი ძვირიაო.  
 ბრმას ცოლი მოუყვდა და ნუ ეტყვეითო, როცა გვერდზე აღარ  
 მოუწვება ველარ გაიგებსო?  
 ბრმა ქათამს ასე გონია, ყველგან ხორბალი ყრიაო.  
 ბრმა ყვავსა ღმერთი აუგებს ბუდესაო.  
 ბრმა ლობებს მიადგა, შენს იქით გზა არა მაქვსო.  
 ბრმა ხარსა სხვისი მოხნული თავისი ჰგონიაო.  
 ბრმათა შორის ცალთვალაო, ვით პირველი სარდალიაო.  
 ბრმამ ბრმას დასცინა, ოი შე ბრუციანოვო.  
 ბრძენი შუადღის უკან გაპოვიდაო.  
 ბუზანკალი ბედაურის და ჩოჩრის კულ ქვეშ ერთნაირად არისო.  
 ბუზის კბენა სპილოს რას უზამსო.  
 ბურთი და მოედანი შენ დაგრჩენიაო.  
 ბურთი და მოედანი, კაი ბიკს დარჩებოდაო.  
 ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდა.  
 ბუტია სანეხვეზე კუნტიაო.  
 ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახავენო.  
 ბუტიას წილი გემრიელიაო.  
 ბუზარი და ორი კაცი, თუ გაქირდა სამი კაცი, მეოთხე თუ  
 მიემატოს, მასპინძელი კარში გადი.

## ბ

გაგიგონია ალია მამკედარა და ის კიწარ იცი თავი საით უქნესო.  
 გაგრძელებულ ზამთარს კარგი მოსავალი მოსდევსო.  
 გადაღებული საქმე მგელმა შექამაო.  
 გადამხდა გადასავლი, სხვას უარესსა ველიო.  
 გადარეულისთვის ნიადაგ ლხინიო.  
 გადმომიგდე იტრიაო, ვითომ ერთი კიტრიაო.

გავიქეცი გიჟს მეძახდნენ. დავდექი და დუნდულასა.

გავიქეცი ქარიანი მქვიან, და დავდგები ლაჭიანო.

გავიხედე ოლოსაო, ვირი სძოვდა ლოლოსაო. ვირო ნუ სძოვ  
ლოლოსაო, მოგაგონებ ბოლოსაო.

გავძელ სმითა და ქამითა, ვერ გავძელ სიყვარულითა.

გაზაფხულმა წვიმა იცის, ცხელმა ზაფხულმა გვალობა,  
მღვდელს საყდარში მოუხდება წიგნის კითხვა და გალობა.

გაიწვი აზნაურობავ, თოხი წამოვკარ ახოსა. აქეთ-იქით ვიხე-  
დები, არაეინ დამინახოსა.

გამოსაშვები სისხლი დროზე უნდა გამოუშვავო.

გამოქეულის მოსვლასა არ მოსვლაი სჯობს შინაო.

გამრჯე კაცისათვის ძლიერ დიდი სასჯელაა უსაქმურობაო.

გამწარებული გული დაუნდობელიაო.

გამხიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო.

განა ის ყველა კაცია, ვისაც შარვალი აცვიაო.

განა, მკედელო, რკინასა სპილენძი არ გაერევა? კაცსა რომ  
კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაეღევა.

განა ყველა ჩვენია რაც ღმერთს გაუჩენიაო.

გარედან მტერს უბრძავებს თვალებსა და შიგნიდან მოყვა-  
რესაო.

გარეთ გასული კაცი ქვაზე მაგარიაო.

გარეული შეაგდეს და შინაური გააგდეს. (ქიზიყ.)

გარეული მოვიდა, შინაური გააგდოვო.

გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოვო.

გასაფრენი ბარტყი თუ დროზე არ გაფრინდა, დაკუტდებაო.

გატეხით გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გასკრაო.

გატეხით, გამაგრებითა ხმალმა უბრალოთ არ გაქრა, გატეხი-  
ლისა კაცისა ხორცი ყორნებმა არ ქამა:

გატეხილ ხიდამდის იციანო (დაცინვით ან ნიშნის მოგებით  
ეტყვიან: „შენი სახელი გატეხილ ხიდამდის იციანო“).

გატეხილისა ვაჟისა ყორანმა ლეში არ ქამა, გაუტეხელის ვა-  
ჟისა წინ-წინ მკლავები დაქამა.

გაუმარჯოს პავლესაო დაასხავს და დაღევისაო.

გაუეჟილს გატეხილი სჯობიაო. (ქიზიყური)

გაქცეული თევზი დიდი გამოჩნდებაო.

გალმა შეედავეო, გამოლმა დაგრჩებაო.

გაცივება და გაცხელება — ორივე ერთიაო.



გაცრილი ფქვილი და გაპენტრილი ბამბა კაცს ბევრი ეგონაო.  
გაცხარებული კაცი დააფრინდება ქვასაო.  
გაძლომას ძროხაც მიხვდებაო.  
გაწყდეს საცა წვრილია.  
გაჭირდება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო.  
გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო.  
გაჭირვებამ პატარძალთან დამაწვინაო. (ქიზიყური).  
გაჭირვების ტალკვესი ხარო.  
გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო.  
გახელებული წისქვილი დღეში ჩანახსა ფქვამდაო, გახარე-  
შული პატრონი თუნგნახევარსა სვამდაო.  
გახიე და გაფხბრიწე ორივე ერთიაო.  
გაჰყიდა მამული, იყიდა ხრამულიო.  
გეშინოდეს იმისი, ვისაც შენი ეშინოდესო.  
გვარი განა მჩვარიო.  
გვარის ამოწყვეტა სჯობიან, ადათის ამოწყვეტასაო.  
გვასვი, გვაქამე: ბუჯერო (ბუჯერს — ვარცლს ეტყოდნენ  
ქველად) გული შეგვექნა უჯერო.  
გველი გარედან არის ქრელი და ადამიანი შიგნიდანაო.  
გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო.  
გველს სამი დარტყმით ვერ მოკლამო.  
გველს უთქვამს: მე ადამიანის სიყვარულით ვერა ვძლები და  
ადამიანი ჩემი მტრობითაო.  
გვიან მოვიდა და ადრე ისწავლაო.  
გვირგვინი არ გამიგონია პატარძალ მუცელ მტკივნისაო.  
გზა სიარულმა დალია, სიბი ქვა წყლისა დენამა.  
გზა სიარულმა დალია, სალი კლდე წყლის დენამა, ბიქი და  
ვოგო დალია ერთმანეთის ცქერამა.  
გზა ყივის წამავალისა, დამწოლელისა ლოგინი.  
გიდელი იწოდა და ღურღული იცინოდაო.  
გინდა გითქვია, გინდა გაგიკეთებიაო.  
გინდა ნემსით მიჩხვლიკა თუ მომკლავ (ხევესურული)  
გიჟი ნურც მტრად გინდა, ნურც მეგობრადაო.  
გიჟისათვის სულ აღდგომააო.  
გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდ, რა მოჰქონდაო.  
გიჟი ქორწილში შევიდა, ჩვენ სახლს ესა სჯობიანო.  
გიჟს რალა დასტვენა უნდა, ისეც გიჟიაო.  
გიჟს რალა მისტვენა უნდაო.

გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულდა და კაცსაცაო.

გლახამ ალაპი ჰქნა და დაჯდა და ისევე თვითონ შექამაო.

გლახამ ფული იშოვა და გამოსახვეველი ვერაო.

გლახას მისი სიგლახე ეყოფაო.

გლენძა კაცმა რა გაყიდაო? პური და ღვინო, რა იყიდაო?  
ისევე ისაო.

გოგობის გადამკიდე თვალი ვერსად გავახილე.

გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად, რაც გინდ მალღა თა-  
როზე დასდოთო.

გოგრამ იგორა, იგორა და ქვევრი იპოვნაო.

გოდორი გოდორზე არ დადგა და ბაღში არ გადმოხვედო  
(უთქვამს მებაღეს გზაზე გამვლელისათვის).

გონებთერი ნადირი შუალამისას ადგება, გათენებამდე გაძღება,  
სიმაგრის ადგილს ჩადგება.

გორელებმა რწყილი დაკლეს და ხონელებმა უთხრეს ქონა  
არ გაატანოთო.

გოკებმა რომ წყალი ავლერიოს, დედამ რალა დალიოსო.

გოკიან ღორს წმინდა წყალი არა ჰხვდაო.

გოკის კუდზე დანა გატყდაო.

გოკი ქყვილით გაიზრდება და ბავშვი ტირილითაო.

გუგული მიფრინავდა და უკან სამი ჩიტი მისდევდაო (გუგუ-  
ლი ღლეში სამ ჩიტსა სკამს და სადაც წავა, უკან დასდევენ შე-  
საკმელათო. ხეთისაგან არისო დაწერილიო (ხალხის განმარტებით).

გუდამაყრელო, ხინკალი ფხიტურზე მოგაგონდება.

გულის პირმან ამოსთქვაო.

გულს ჭავრი, ღორღი ყანასა, არცერთს არ დაეღევისა.

გუგულმა არ დამძლიოსო.

გუგულს ღლეში სამი ჩიტი ჰყავს, ხეთისაგან მიჩენილიო.

გულს გული ადვილად იცნობსო.

გულს ჭავრი, დარდი მამულსა აროს არ დაეღევაო.

გულწრფელად მონანიებული ცოდო კაცს ეპატიებაო.

გურულს უთქვამს: შიგ ყელში კი მტყვლიქაო.

გცემდნენ გაიქეო, გაძღევდნენ გამოართვიო.

## ღ

დაბალი ვერ ასწვდა, მაღალი არ დაიხარაო.

დაბერებულხარ ბიძაო, ფეხებსაც ველარ ზიდავო.

დაგეშილი ჩიტი ბაღეში არ მოხვდებაო.

დავბერდი, თოხი დავაგდე, მუხლს ძალა გამომელია, დამავ-  
დეს შინაურებმა, სალამი ჩამომელია.

დავიღალე და დავარდი, საგონებელში ჩავარდიო.

დავიფურთხე წვერს მომიხვდა, ავიფურთხე უღვაშებსო.

დაწერილშვილდი დავიწიე, დამეზარდნენ ავიწიე (კაცს  
უთქვამს).

დაფარული ეშმაკისა არისო.

დაზარება სჯობს დატყუებასო.

დათვი მკლე და შენ მსუქანიო.

დათვი საძაღლე რომ გახდება იმის საქმე წასულიაო.

(დათვი საძაღლე გახდაო და იმის საქმე წახდაო).

დათვის საქმე მაშინ წახდა, როცა საძაღლე გახდაო.

დათვი რომ მოგერიოს „მამა“ დაუძახეო.

დათვი ღობეზე გადახტა და თავის ჩრდილი თან გადაჰყვავო.

დათვი შვინდმა დაკბინაო.

დათვმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.

დათვმა ნარი მოიტანა, ისევ თვითონ დახვრიშაო.

დათვმა სთქვა: რასაც ჩემი ტორი ვერ მოვკიდე გემო ვერ ჩა-  
ვტანეო.

დათვსა ხედავდნენ და მაინც კვალს ეძებდნენო.

დალია, გადაულია სარიოში<sup>1</sup> აიღოვო!

დამალულმა კირმა მოჰკლა კაციო.

დამ დას საცერში გახედა, როგორსა მხედავო? როგორც შენ  
მხედავ მეც ისე გხედავო.

დანა ყელთან არისო.

დამწვარს მდულარეც ზედ დაუმატესო.

დაპირებული ჩამბილებული (ე. ი. დავიწყებული).

დაეუეილს გატეხილი სჯობიანო.

დარბაზს შესვლა შენ ხელთ არის გამოსვლა კი პატრონისა.

დარი მუშაობდაო და კაცი კეეხულობდაო.

დასაკლავ ხარს რაღა ყურება უნდაო.

დაუჩვევარს ნუ დააჩვევ და დაჩვეულს ნუ მოაკლებო.

დაღამებას ძროხაც მიხვდება.

<sup>1</sup> სარიოში—სასმისი კურკელია ზისა, რაქაში, რომლითაც ბოლო სადღეგ-  
რძელის სვამდნენ, ვინც სარიოშს გაუძლებდა ხომ დარჩებოდა სუფრახზე, ვინც არა  
და სახლში მიდიოდა. ეს თქმაც ამ ამბავთან არის დაკავშირებული.

დაშინებულმა ძალმა ცხრა წელიწადს ჯირკს უყეფაო.  
დაჩივლება თხოვნა არის, თხოვნა ძალით წართმევაო.  
დაპჩქარეს მოგვიანებიაო. (ქიზიყური).

დაცხა და დაღა ლულია, კამეჩებს ვეღარ უვლია.

დაჯექი ჩიტო ნიბლიავ, ნუ ეტანები ნარსაო, დაგეტანება მამინო, ბუმბულს გაატანს ქარსაო.

დედაბერს ყველა უყვარდაო და დედაბერი ყველას სძულდაო.  
დედა რომ ბავშვმა შეაბეზროს, დედამ აკვანი უნდა შეაბეზროს.

დედა სწყევლის— ძუძუები ლოცავს, მამა სწყევლის— წვერი ამინს ეუბნებაო.

დედას არ მოკლავს მშიერსა ვაჟი მხარგანიერიო, თეთრი სინდით აევსო გოდრები ცარიელიო.

დედინაცვალი— გერიო, ერთმანეთისა მტერიო.

დედინაცვალი თვალში ნაცარიო.

დედის პირი რომ იწყევლება, ძუძუები ილოცება.

დედის წინ მარბენალ კვიცსა ან მგელი შესკამს ან მგლას შვილიო.

დეიდას დედის სუნი ასდისო.

დეკეული ხბოს იგებდა და მოზვერს საჯდომი ეწებოდაო.  
(ქიზიყური).

დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო.

დიდება შენდა უფალო ამ დრომდის მოვიყარეო, არც სხვისი შეესვი, შევკამე, არც სხვისი მოვიპარეო.

დიდი კაცის სამსახური არ დაიკარგებაო.

დიდი კაცის ნაჩუქარი მალე უნდა გადაყლაპოვო.

დიდ კაცს დიდი სულგარძელობა მართებსო.

დიდ კაცსა ძუძუწოვარსა წინვე ეტყობა კაცობაო.

დიდ მანძლს კაცი ქენებით ვერ გაივლის.

დიდ მარხვას უთქვამს: ისე მალე გავირბენ, რომ ქვრივმა პერანგის გამოცვლაც ვერ მოასწროსო.

დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო.

დიდ საყდარში განა პატარა ხატები არ ასვენიაო.

დიდ საქამანდს დიდი მუცელი უნდაო.

დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისის თავისა.

დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცივიაო.

დიდსა ქვევრსა ცარიელსა პატარა სავსე მირჩევენიაო.

დიდსა ხესა მოერევის მცირედიც ნაპერწყალიაო.

დიდ სიყვარულს დიდი სიმძულვარე მოსდევსო.  
 დიდ სიცილს დიდი ტირილი მოსდევსო.  
 დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო.  
 დიდი ქვეყანა მოურწყავს ენასა მამბულარისასა.  
 დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო.  
 დილით ერთმა იცოდა, შუადღისას ორმა, საღამოთი ღორმა.  
 დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ  
 კიდეც მოგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.  
 დილის ლუკმა ცოლის მზითებს მირჩევენიაო.  
 დილის ძილი ცოლის მზითევს მირჩევენიაო. (ქიზიყური).  
 დილის შარი საღამოს ხეირს მირჩევენიაო.  
 დინჯი კაცი წონაში მეტი მოვაო.  
 დიღმის მინდორზე ერთი ფეხმოტეხილი ბებერი ვერ ეტეოდაო.  
 დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე კიდია.  
 დიდმურ ლობიოს დიდმური წყალი ხარშავსო.  
 დო ყლაპიასა დო ელანდებოდაო.  
 დოლიც რიგზე იყო და ცხენმაც ისრე წინ ირბოლაო. (ხევ-  
 სურელი).  
 დრო არის ჩაქცევა სჯობიან, დრო არის გაქცევაო.  
 დრო არის პაპიჩემნაო.  
 დრო დროით თორემ უაზი ყოველთვის იწირვისო.  
 დრონი მეფობენ და არა მეფენიო.  
 დროს მსკვრიტე, უამთა რა მოაქვს: რას ისხამს, რა მოისთვ-  
 ლებნს.  
 დუმას არ მიირთმევს, აქაო და უკან აბიჯო.  
 დღევანდელი კვერციხი მირჩევენიაო ხვალინდელ ქათამსაო.  
 დღეს ერთი ყვავის ყვავილი, ხვალ შლილობა აქვს სხვასაო.

## ე

ებრაელს უთქვამს: თუ ჩხუბია გარტყმა რაღა შუაშიაო.  
 ეგრე არ იყო თაყაო, შენ რომ მამული გაყავო.  
 ეგრე არ მიწირავს და ვერა ეწირამო.  
 ეგრე იარე ღარიბო, კარი არავენ გაგიღო, ვისაც მიუხველ  
 კარზედა, ყველამ მასხარად აგიგლო.  
 ეგ საკენეი თქვენს ქათმებს დაუყარეო.  
 ეგ მაინც არ ვარგოდა, ვაქებდი არა იყორაო.  
 ეგ შეირი ახლა გითქვამს, მერე არსად წამოგცდესო.

ეკლესიაში ხატები ვერ იპოვნაო.  
ეკლის ადგილას ვარდი არ ამოვაო.  
ეკლის ადგილზე ამოსვლა ეკლისა არის წესია, მოხუცი მომ-  
კის იმასვე, რაც სიყრმით დაუთესია.  
ეკალს თითო-თითოდ ამოიღებენო.  
ელაპარაკე რეგვენსა, ცერცივი აყარე კედელსა.  
ენა მუცლისა და გულის მოციქულია.  
ენა ტბილი, ენა შწარე, ენა ქვეყნის ამომგდები.  
ენას ძვალი არ ედება, სიტყვას ფასი არ ედებო.  
ერეკლემ სიზრმით იცოდა, ომი რით გათავდებოდა.  
ერთ კაცს ჰკითხეს: ვირისა რა იციო და ვირებში გავიზარდო.  
ერთ ქვეყანაში ბატონი არ ჰყავდათ და ვირს ვარდასაზარა-  
დაარქვესო.

ერთ ყურსა ჰქვიან ისმინე, მეორეს ისხლიტეო.  
რთ ხონს ვართ და მეორე აფშოს (ხევსურული)  
ერთი მგლისაკენ, მეორე ცხვრისაკენ.  
ერთი კაცი წყლის პირს იჭდა, ცულს ლესავდა უტაროსა, იგი  
რასაც სხვისად ფიქრობს ღმერთი არც მას უწყალობსა.  
ერთი ორთაგან მოკლული საბრალოდ სატირალია, ერთისგან  
ორნი მოკლულნი სულ არად სატირალია.

ერთსაც შენახვა უნდა და ბევრსაცაო.  
ერთხელ დაკოდილ გულს ველარაფერით გაამთელებო.  
ერთხელ იქნება, თხა მგელთ იქნებო.  
ერთხელ მახათის მთაზე მცხოვრებლებსაც დასჭირდათ მახა-  
თიო.

ერთხელ სჯობიან სიკვდილი სულ მუდამ დაღონებასა.  
ერთხელ ტერტერამ უღელი გადააგდო და კურდღელი მოკ-  
ლაო.

ერთხელ წაველ წირვაზეთ, ფეხი მომტყდა ყინულზეო.  
ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიაღება მზეო.  
ეს ბურთი და ეს მოედანიო.  
ესენი თუ არაფერს ჩამახევენ, არაფერს ჩამაკერებენო.  
ეს ვირი და ეს ხეო.  
ეს იმასო, ეს იმასო, გამოიფხიკა ქისაო.  
ეს მწევარი კურდღელს მისდევსო და კურდღელი რაღას  
მისდევსო.

ეს ოხერი სული არც ეხლა ამოვივიდაო (ერთმა ქალმა ტყუი-  
ლად მოიგონა ავადმყოფობა, ქმრის თვალის ასახვევად. ქმარზეა

შეამჩნია და არაფერი სთქვა. ქალი რასაც მოინდოვებდა კმარიუ უსრულებდა. ერთხელ ჰოინდომა კარგი საკმელები. კმარი: თაკი მოიქაჩლა და მოუტანა ყველაფერი. როცა ქალმა ყველაფერი შეკამა, ქალმა სთქვა: ეს ოხერი სული არც ეხლა ამოვიდაო. კმარი უპასუხა: შენ იმდენი სკამე რომ რაღას ამოუშვებს მაგ ოხერსულსაო).

ეს სოფელი სოფლად მექცა, ქუთაისი ქალაქათო.

ეს ჩვენი ბაღდასარა მხალსა სკამს პანტას არაო.

ერთი ხელით ორ ნესეს ვერ აიღებო.

ერთი ხელი ტანსაცმელი ცოცხალსაც უნდაო და მკვდარსაცაო.

ერთი ხეთისკენ, ერთი ეშმაკებისაკენაო.

ერთ ხეს ერთმა პირმა ცხეარჰა შეაბღავლა და ის ხე გახმაო.

ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო.

ერთ ეშმაკს სამი შვილი ყავდა: ილიკა, ბილკა და ჩილიკა.

ერთ კაცს უთქვია: მოყვრებში წავალ, ამ ცხენს გავხედნი, ამ მოყვრებსა ვნახამო.

ერთმანეთისა ცქერითა სახლი აივსო მტვერითა.

ერთმა პილწმა თავგმა ას კოკიანი ქვევრი წაპილწაო.

ერთმა ფეხმოტეხილმა ტილმა ცხრა ლოგინი გაღიაარაო.

ერთმა ქალმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერაო.

ერთ სოფელში ხალხი არ იყო და ვირი აირჩიეს მამასახლისათო.

ერთი პურის მარცვალი ცხრაჯერ მისულა ქრისტე ღმერთთან და უთქვია: ვისაც ჩემი ყაში და ყადრი აქვს იმას მიმეციო.

ერთი კაცი წყალს შიქონდა და,—ხომ მოგდევ, რაღას მანჯღრევო?

ერთის პატრონი ცას ბეწვითა ჰკიდიოაო.

ერთი ყმა ჰბედავს ძალასა, ვერა ნადირობს ქალსაო.

ერთის შემხედვარიო და წყალში ჩამხედვარიო.

ერთი „უჰუ-უჰუ“ მეც დამისხიო. (ერთი კაცი ყოველ დღით

ერთ დუქანში შედიოდა არყის დასალევათ. ერთს რომ თითონ და-

ლევდა, მეორეს მედუქნეს ასმევდა, როცა მედუქნე არაყს ასხავდა

ამ კაცის კიქას ნაკლულს დაასხავდა, თავისას კი პირსავსეთ. თან

კი „უჰუ-უჰუს“ დაიძახებდა ხოლმე, ვითომდა მეტი გოუვიდაო.

უყურა ამ კაცმა რამდენიმე დღე და ბოლოს ასე უთხრა: ყოველ-

თვის შენ ისხავ მაგ „უჰუ-უჰუს“ და ერთი „უჰუ-უჰუ“ მეც და-

მისხიო).

ერთი წვერი მომაკიდებინეო.

ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევაო.

ერთი ხატის ლოცვა კაცს არ აცხონებსო.

ერთი ხელით ორი საზამთრო არ დაიჭირებაო.

ერთი დღე საწყალსაც გაუთენდებაო.

ერთი ვარ ერთხელ მოკვდები, ერთხელ ვატირებ დედასა, ბეჩავი ერთხელ მორჩება, მუდამ შიშსა და ელდასა.

ერთი ვარ ერთხელ მოკვდები, ერთხელ ვატირებ დედასა: ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ დაღონებასა.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოფო.

ერთი იცინის თავის თავს დასცინის, ორი იცინის ერთმანეთს დასცინის.

ერთი კარი რომ მიიხურება, მეორე გაიღებაო.

ერთი კოცნით ქალი არ გაბოზდებაო.

ერთი მგელი სამ წელიწადს დასდევდა ცხეარსა, იქნება დუჰა ჩამოუჯარდესო.

ერთი მერცხლის კიკვიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო.

ერთი პირის კირიმე და ბევრი ხელისაო.

ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოვო.

ენაზედ დამაბით. (იმერელს სტუმარი ეწვია პატარა საქმეზე, როცა მოისაქმა და წასვლა დააპირა, მასპინძელმა ვითომდა გულთ, დაუწყო პატიჟი. სტუმარი არ იშლიდა, მიდიოდა, მაგრამ მასპინძელი რომ აღარ მოეშვა, სტუმარი შეეკითხა, ცხენი სად დადებო? ელდანაცემმა მასპინძელმა უპასუხა: — ენაზე დამაბიო.

ენას ძვალი არ აქვსო.

ენას ქალი არ მოედებაო.

ენითა მუნჯი სჯობია, ცუდმეტყველ-მოუბარსაო, ათასი მტერი სჯობია ერთ სულელ მგობარსაო.

ერთგული არ გაორგულდება, ორგული არ გაერთგულდება.

ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო.

ერთი ბებერი ქვეყნის ჯავრმა მოკლაო.

ერთი გაძლომა მგელსაც არას არგებსო.

ერთი დრო არაეის შერჩენიაო.

ერთი სკა ფუტკარი ერთ უღელ ხარს უდრისო.

ერთი „მაქვს“ სჯობს ათას „მჭონდეს“.

ერთმა წუმპიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

ეს დღე კატამ ხომ არ შექამაო.

ეს კოკა და ეს კოდა.

ეს ძველი და სხვა ახალიო.



ეს წისქვილის ქვა არისო, მისი წესი ფქვა არისო. როცა კაცი არ შეისმენს, იმისთვის თქმა რა არისო.

ეშმაკების ჰუმა ღმერთმა დაფუშაო.

ეშმაკებს ღვინო არ ჰქონდათ და ტიკებს ამზადებდნენო.

ეშმაკებს კლდეზეც არა უშავსრაო.

ეშმაკს უთქვამს: საცა თბილი ლოგინია, ნახე ჩემი ბაბანია, საცა ხმალი შიშველია, მე იქ ვერას გიშველია.

ეშმაკს შვილი არა ყავდა და აკვანს უმზადებდაო.

ეშმაკი თავის ბუდეს არ დაანგრევსო.

ეშმაკი ჭოჭოხეთს არ დაანგრევსო.

ეჭვებს ბევრი თვალები აქვსო.

### 3

ვაზის ჰრგველთან ის არ აქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვო დარგო.

ვაი გაქცევას, ვაი არ გაქცევასო.

ვაი დედა გვერდები, უცოლშვილი ვბერდები.

ვაი დედაო, დედაო, რა დიდი ღორი კვდებაო, შვილო ნეტა რა გენაღვლება, დიდი ჩიჩიაც გვხვდებაო.

ვაი, დედავ, რა შვილი გიკვდებაო და მაგდენიც არაფერიო (ერთ დედას შვილი უკვდებოდა, მომაკვდავ შვილს შეებრაღა დედა და ეუბნება, ვაი, დედავ რა შვილი გიკვდებაო. დედას კიდევ მოუნდა შვილის ნუგეშის ცემა შვილისთვის და უპასუხა— მაგდენიც არაფერიო, შვილო, ჯავრს ნუ ჩაიყოლებ სამარეშიო).

ვაი დედიჩემის ღმერთსა, თევზი ბადეს აღარ ეცა. რაც წინათ ქეიფი ვწიე, ის სუ ჰირად გადამექცა.

ვაი თუ მოკვცდე მოვექცე, ორმოსა ბნელეთისასა, დავლონებულვარ სიკვდილსა, დაბნელებასა მზისასა.

ვაი მაშინ დაგემართება, როცა ყველის პატრონი მოვაო (მგელი ყველიან ხაფანგში გაბმულიყო და მგლის ვიშვიშზე მელას ასე ეპასუხნა).

ვაი რა ცოდო ბრაღია შევარდენ მიაქვს ძერასა, გაუფრინდება წაუვა შორით დაუწყებს მზერასაო.

ვაი ქონავ, ვაი უქონობავო.

ვაის გავექეცი, უის შევეყარე.

ვაი საწყლის წერასაო, თავი უგავს ძერასაო! დიდი გულის მეგობარი ორგული ჰყავს ყველასაო.

ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარეც იქ არის.  
 ვაჟკაცი ქუდს სიცივისათვის კი არ ატარებს, არამედ სირცხ-  
 ვილისათვისაო.  
 ვაჟკაცი წყნარი სჯობია ჩალად არა ღირს მკეცხარი.  
 ვაჟკაცი გულს ჯომარდო, აბჯარი გინდა ხისანი.  
 ვაჟკაცს არ გამოადგება, მინდორს მშვენება თავისა, ან უნდა  
 ხმალი უჭრიდეს, ან იმედი ჰქონდეს მკლავისა.  
 ვაჟკაცსა გული რკინისა, ხანჯალი თუნდა ხისაო.  
 ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი უნდა ხისაო, თვალნი ქორე-  
 ბულ მხედავნი, გულ-მკერდი შევარდნისო.  
 ვაჟკაცსა თოფი და ხმალი, მოემწითუროს კისერი.  
 ვაჟკაცს ღიაცის მიმყოლსა სამარეც დაეკვეთება.  
 ვაჟკაცს ნურც აქებ, ნურცა ჰგმობ, სანამ არ გაქირდებაო,  
 ვინც არი კარგი ვაჟკაცი მაშინლა გამოჩნდებაო.  
 ვაჟკაცსა უღვაშ გაკრეკილს, ხატში წილ აღარ ერგების, გო-  
 გოსა მანდილ მოხდილსა, ნამუსი დაეკარგების.  
 ვაჟკაცსა უნდა ეხუროს, ნამუსის ქუდი თავზედა.  
 ვაჟკაცსა უხელებელსა, ქალი სჯობს უხსენებელი.  
 ვაჟკაცსა ცოლის სიძვე შუა გზას მოაგონდება, წაიღებს საფე-  
 ქრებელი გზას იქით გადავრდება.  
 ვაჟკაცმა შენისთანამა რაც დაიკვება ვერა ქნაო.  
 ვარდი უეკლოთ არ იქნებაო.  
 ვარდის შტო კოხტა არის, მაგრამ ეკლებით არის მოფენილიო.  
 ვარდსა ამშვენებს ბულბული, ვაჟკაცსა ღონიერება, ჩემი მაც-  
 ვირვებს სირეგენე, ქვეყნისა გონიერება.  
 ვაჰმე, დედავ, დედაო, დედამთილის ხელშიაო: ვიტყვი. რასჰე,  
 ავს მეძახის, არას ვიტყვი—მუნჯიაო. კარში გავალ—ბოზს მეძახის,  
 შინ შემოვალ—ქურდიაო.  
 ვაჰმე, ვარ სევდით მოკლული, სევდა სევდაზე დამერთო, ნაკ-  
 ბენი მორიელისა, ზედ გველისადა დამერთო.  
 ვაჰმე ხინკალო, ხინკალო, მემრე ლამაზთან წოლაო.  
 ვღიე ვერ მივეწიე, დავჯექი და მოუცადეო.  
 ვენახს უთქვამს: ნეტავი ჩემმა პატრონმა წელიწადში თუნდა  
 ერთხელ გადამიაროს და სხვისა ხელში კი არ ჩამაგდოსო.  
 ვენახს წისქვილი სჯობიან, რაც უნდა ძლიერ რომავდესო.  
 ვერ დაინახავს უტვინო თავისას, ვერც სხვისასო.  
 ვინ გამლანძღავს და ჩემი გაზრდილიო.  
 ვინ იტყვის ჩემი დომხალი მძალიაო.

ვინ იტყვის, რომ დედაჩემი ბოზიაო.

ვინ მოკლა გახარებამა? ვინ ააყენა გლოვამა? ამირან ვერ ააყენა სამოცი გმირის გვლევამა.

ვინ ქვშიტი, ქვშიტის იძახდა და მწყერი ვინ დაიკირაო.

ვინამ პავლე მოვიდოდა პეტრეს ტყავი გააძრესო.

ვინამ ხმალი მოვიდა თავთან ენამ უწინ მოქრაო.

ვინც თავი არ იცის იმან ბოლოც არ იცისო.

ვინც თავი არა თქვა იმან ბოლოვო.

ვინც თავლში ხელს ჩაყოფს, ის ხელსაც გაილოკავსო.

(ქიზიყური)

ვინც მოკვდა თავსა მოუკვდაო.

ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ვინც რომ კაცია, ჩოხა აცვია, ქული ნაბღისა ჩაბალახაო.

ვინც რომ კაცია, ჩოხაც ჭავევია. ქული ნაბღისა ჩაბალახია.

ვინცა სკამა ქათმის გული, ვერ მაიგო კაცის გული.

ვინც სხვენზე ყანა დაიდვა ის კი არ იყო სულელი, არამედ

ვინც იმას შეუამხანაგდა.

ვინც უჯაფოდ პურსა სკამს, იმან ხეირიანი კამაც არ იცის.

ვინც ღამე ხნავდა ისიც მოკვდაო.

ვინც შრომა არ იცოდა იმან პურის კამაც არ იცოდაო.

ვინც ცეკვა იცის კამეჩის ცოხნას აპყვებო, ვინც არა და დუ-  
დუკის ხმასაც ვერ აპყვებო.

ვინცა დაჩაგრა სიმართლე, ბოროტ განზრახვით ხერხითა, ის  
კიდევ აღრე ჩავიდა ჯოჯოხეთს თავის ფეხითა.

ვირი ვირია, მაგრამ სულელი გარდამეტია.

ვირი მოგებაზე წავიდა, ნალები იქ დარჩაო (ქიზიყური).

ვირი მორბოდა ცხენთანა, მეც იორდა ვარ შენთანა.

ვირი რასაც აიკიდებს, განა იმის საქმელიაო.

ვირი შექამეს და კულზე გაწყურნო. (ქიზიყური)

ვირის კულივით არც გრძელდება, არც მოკლდება.

ვირი ხბორებში.

ვის უჩივი და ბატონსაო, ვისთან სჩივი?—ბატონთანო.

ვის გაუგონია ლხინი უტრალი და კირი — უცინარი.

ვისაც პური არა აქვსო, იმას საქმეც არა აქვსო.

ვისაც ღმერთი ბედს მისცემს, ზურგს უკან კომბლით მისწევსო.

ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლიც არა სცვივაო.

ვისაც ვენდე გულითა, დავრჩი სინანულითა.

ვისაც ვინ არ მოსწონს კამა კაბი-კუბი და სიარული ფაჩი-

ფუნი ჰგონიაო (ქიზიყური).

ვისაც ვინ უყვარს იმის ლამაზიც ის არიო.

ვისაც თევზი უნდა ფეხები სველი უნდა ჰქონდესო.

ვისაც მიჰყავდე იმას მიჰგავდეო.

ვისაც უფროსისა არ ესმის იმის ვენახს არ ესმის.

ვინც თავი არ იცისო, იმან ბოლოც არ იცისო.

ვისაც სახლი არ აუშენებია, ბოძები მიწიდან ჰგონია ამო-  
სულიო.

ვისაც სხვისი ბედნიერება შურს, ვერც თავისას მოესწება.

ვისაც ღმერთისა ეშინია, შენც იმისი ნუ გეშინია.

ვისაც შვილი არ მოჰკლამია, შვილის სიკვდილს ნუ შეს-  
ჩივლებო.

ვისგანაც არ გეგონოს ყველა იმისგან გეჭეროსო.

ვირი გავყიდე, დოლი ვიყიდე.

ვირი გაჰენდა ცხენთანა, მეც ბედაური შენთანა.

ვირი კლდეზე გადავარდა, ჯორმა ყროყინი დაიწყო: ჩემი ამო-  
სატანი გახდებაო.

ვირი რომ შენი ბატონი იყვეს, აცეს ნუ ეტყვიო.

ვირიდან ჩამოვარდნილს ცხენზე არ შეეჭლომებაო.

ვირის ზურგს, ვირის კურტანი მოუხდებაო.

ვირი სამხეთთ შეიძლება, —ვირი გაყიდე და ცხვარი იყიდე და  
სამხეთო იქნებაო.

ვირის თავი ხალიჩაზე იდვა, იგორა, იგორა და ნაცარშა  
ჩაეარდა.

ვირის სასაფლაო მგლის მუცელიაო.

ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოსო.

ვირმა ნარი მოიტანა, დაჰდა და თვითონვე დხვრიმაო.

ვირმა პალო მოგლიჯაო და ერთი თუ სხვას მობარტყა, ათასი  
თვითონ მოირტყაო.

ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

ვირს კურტანს არ მოხდიან აქაო და უხდებაო.

ვირის მადევარი მის ტლინკებსაც უნდა უძლებდესო.

ვირს პიტნა სძულდა, მიუტანეს და ცვირ წინ დაუდესო.

ვირს რომ ზურგი აჰქავდება, დარბაზის კარს მადგება.

ვირს რქები არ ამოსვლოდა და თავის თავი პატარა ეგონაო.

ვირს რქები არ ამოსვლოდა და თავის თავი მუტრუკა ეგონაო.

ვირის ყროყინს ნუ გააჭავრებ, თორემ ვირის ყურები გამო-  
გებმევაო.

ვინც არ იცის ცერცვიანი, და ვინც იცის ცეცხლიანი. (ერთმა  
კაცმა ცოლთან კურო ნახა და მოსაკლავად გამოეყიდა. კურომ  
ეზოში ცერცივი მოგლიჯა და ხელში დაიჭირა, ხალხს ეგონა ცერც-  
ვის გულისათვის კლავსო და დამშვიდება დაუწყეს კაცს; მან კი  
ასე სთქვა: ვინც არ იცის ცერცვიანო, და ვინც იცის ცეცხლიანო.

ვინც გაიქცა ის წაიქცა, იმის ქირი მიჰამიანო.

ვინც ერდო მოხნა, ისიც მოკვდაო.

ვინც მოდიოდა ფქვამდა, ვინც არა ჯერს ელოდაო.

ვინც მოითმენს ის მოიგებსო.

ვინც მოკვდა თავაა მოუკვდა, ცოცხალი ღონიერია, წავა და  
ყველგან დარჩება, სოფელი გონიერია.

ვინც საქმე გააკეთა პურიც იმანა ჭამოსო.

ვინც ძალლი მოკლას იმანვე გაათრიოსო.

ვკამე, ვკამე და შემეკამაო.

## ყ

ზამთარი შემოტეული სჯობსო.

ზამთარს ეკონკე და ზაფხულს ეკობტეო.

ზამთარში ნაქერალი ცხენი ლაშქარში ზაფხულში გამოჩნ-  
დებაო.

ზარალს, ზარალი მოჰყვებაო.

ზარმაცისათვის ცისმარე დღე უქმია.

ზარს ერთხელ დარეკავენო.

ზაფხულში მონაქირვები ზამთარში ქვაც კი რბილიანო.

ზაფხულში შენახული ზამთარში ცივი ქვაც თბილიანო.

ზაქარია ჩხეიძეო, როგორა ხარ ქეიფზეო? წითელ ღვინოს რო-  
ცა დავლევ მაშინ მოვალ ქეიფზეო.

ზედნეტი სიტყვა კაცს თავს ატყენს და მეტი ჭამა კი კუქსაო.

ზემო იმერეთში ძაღლმა კაცი დაგლიჯა და ქვემო იმერეთში  
ძაღლები დახოცეს. (ქიზიყური)

ზეცას წერო დაფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურსაო.

ზოგან ტიკით, ზოგან ხრიკით საქმე წავა თოხარიკით.

ზოგიერთი მექორე ჩწყილს დააწვენს და აქლემს აწობინებსო.

ზოგიერთ კაცს ღმერთი უყვარს და ზარის რეკვის ღროს პირ-  
ჯვრის წერა ეზარებაო. (ქიზიყური).

ზოგი კაცი ბედით ცხოვრობს; ზოგი ვერც მოქირვებითა.  
 ზოგი კაცის შამალიც კვერცხსა სდებს.  
 ზოგისას კატას სტიროდნენ, ზოგისას კაცსაც არაო.  
 ზოგი მგლისაყენ და ზოგი ცხვრისაყენო.  
 ზოგი ღვთისაყენ და ზოგი ეშმაკებისაყენო.  
 ზოგი კირი მარგებელიაო.  
 ზოგი ცხოვრობდა ბედითა, ზოგი ვერც მომკირნებითა.  
 ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც კი არაო.  
 ზოგ კაცსა ღვთის წყალობა ღვთის ცეცხლათ მიაჩნიაო.  
 ზოგს მღვდელი სტყუის, ზოგს მღვდლის ცოლიო.  
 ზოგს რძალი სტყუოდა, ზოგს დედამთილიო.  
 ზოგს ღვდელი მოსწონს, ზოგს ღვდლის ცოლიო.  
 ზოგჯერ გაქცევაც კაი ბიჭობააო.  
 ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიან.  
 ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო.  
 ზოგჯერ ტყუილიც კაი ბიჭობააო.  
 ზოგჯერ კირიც მარგებელიაო.  
 ზღვა ისე არ დამრება, რომ გუბის ტოლა არ დარჩესო.  
 ზღვა კოვზით დაილიაო.  
 ზღვამ არ დაახრჩო კაციო და წვეთმა დაახრჩოვო.  
 ზღვა ფაფათ იღვა და უბედურ კაცს კოვზი არა ხვდაო.  
 ზღვა წვეთებით გაივსო.

## თ

თავმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო.  
 თავ აღებული, წყალწალელებული.  
 თავად არ იყო ძმარი ზედ დაუმატეს წყალიო. (ქიზიყური).  
 თავი არა სთქვა და ბოლო რა იყოვო?  
 თავი საქათმისაყენაო, (როცა მოვკვდე თავი საქათმისაყენ მი-  
 ყავითო) უთქვამს მელას.  
 თავის თვალში კაკალს ვერა ხედავს და სხვის თვალში ბეწვს  
 დაეძებსო.  
 თავისაზე ამავალივ ვირ ვერ ნახავ, სხვითაზე ამავალივ  
 ტილივ. (ხევსურ.)  
 თავის ურგები კაცი სხვისთვის რა სარგებელია.  
 თავის ქება თავის მტრევაო.  
 თავის ქება კიტრად არა ღირს, კიტრი ორშაურადაო.

თავის ქებაო, თავის ტეხაო.

თავსა სევდასა ნუ მისცემ, გულს ხავსი მოეკიდება, კაცი ცრუ ამპარტავანი სილაღეს ვოეკიდება, ის უფრო ცუდი იქნება, ვინც იმას წაეკიდება.

თავს რომ მკრი პრასა ხომ არა ვარ მეორეთ ამოვიხეტქოვო. თავში ქვა იკრას და მუცელში სამართებელიო.

თავჩაღუნული და კუდ გაბზეკილიო.

თვალეზ გინდა შავი გქონიყოს, გინდ თეთრიო. (ხევსურული).

თვალი გულის სარკეაო.

თვალი ვის გამოვთხარო თუ არა ჩემსა ძმასაო.

თვალნი რომ უწყლიანდება, ქალი მაშინა ხურავსო.

თვალი რამ გამოვთხარა და ჩემმა სიკეთემო.

თვალი რომ თვალს მოწორდება, გული გაცივდებაო.

თვალს თვალისა სცხვენიან და პირს პირისაო.

თვალი უნებურიო.

თვალში რა მჩხვლეტს და ჩემივე წამწამიო.

თათარი რომ ფლავს მოხარშავს, ვიანი იღბალიც იქნება ის შეკამსო.

თათარი ღორის ქურდობაში დაიჭირესო.

თათარო, შენი ჳირიმე, თუ ჩემი ძმა იქნებიო.

თამაშობა ხერხით უნდა, დათვმაც იცის ძუნძულიო.

თაროს უხდება ქურკელი, საღვინეს ღვინიანობა.

თაფლი იყოს თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვავო.

თაფლი კარგია, ძაღლის გუდაში რომ არ იღოსო.

თევზი ბოლოთი არ დაიჭირებაო.

თევზმა თევზს უთხრა: პატარა იქით მიიწიეო, დასაით მივიწიო, ღრივე ერთ ტაფაში ვიწვითო.

თევზი თავიდან აყროლდებაო.

თევზი მარხვაში, ცხენი აღმართში.

თევზი წყალში არ დაფასდებაო.

თვალში რომ ჩაუვარდეს ხელს არ მოისვამს.

თვე არის, ერთ დღესა ჰკეებავს, და დღე არის ერთ თვესა ჰკეებავსო.

თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს ჰაგრამ პირი წყლითა მაქვს გამოტენილიო.

თეთრი თხა მსუქანი ეგონათ, დაკლეს და მკვლე გამოვიდა (ქიზიყური).

თეთრი თხისა ხარ ციკანო, შორით გეტყობა ვაცობა, დღეს ღვინო გალაპარაკებს, ხვალ ვნახოთ შენი კაცობა.

თეთრ თხასა, შავსა თიკანსა შორს შეეტყობა ვაცობა.

თეთრი კბილი და შავი გულიო.

თეთრი ტანი, შავი ტანი, აბანოში გამოჩნდებაო.

თეთრი ქორისა მეგონა, შავი შავარდნის ბუდეო, ფუჭი და ცარიელი ხარ, ლამაზი ქალის უბეო.

თეთრი ცხვარი მგელს მსუქანი ეგონაო.

თეთრი ცხვარი შიგნიდანაც თეთრი ეგონათო.

თეთრი ძალღი მატყლის მოზარალეაო.

თეთრისა თხისა ციკანსა, შორს შეეტყობა ვაცობა, ისევ შენ გამოგადგება ეგ შენი კარგი კაცობა.

თეოზე ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე დეკაო, კაცი რომ იხარჯებოდეს, რიდასთვის უნდა დრეკაო.

თივა შთიბლების ნათიბი, ირმების ნაგელარია, ნუ გინდა ქალი ლამაზი, ბევრი ყმის ნახელარია.

თივა მთისა, პური ბარისა და ღვინო ზერისა.

თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო.

თითებით სამარე არ გამითხარონო.

თითო თავიდან თითო ჭკუა გამოდისო. (სხვადასხვა აზრისაჲ, სხვადასხვა ადამიანიო).

თვითონვე სჭრის, თვითონვე კერავსო.

თითო კაცს თითო რამის შნო აქვსო.

თირკმელივ გინდა ცოცხალისთვის გარმაგიგდავავ, გინდა მკვდრისთვისავ. (ხევსურული)

თმა გრძელი და ჭკუა თხელიო.

თოვლი იმიტომ მოვა, რომ ყველას ფეხები დააძროსო.

თოვლი კარგია მაგრამ დიდი ჭიცივე იცისო.

თოვლი ძალღის თავის ტოლათ რომ მოჩანდეს, მთაში მაინც საშიშიაო.

თოვლი ძალღს მამიდათ გაუხდა (ვითომ კაცმა თოვლში ქვა ვერ იპოვა რომ ძალღისთვის გაერთყაო).

თოკს არ ვანდობო.

თორმეტი უღვაშ კოკორი, მე მოვკალ ქალმა იამა. განა თავს რამე შევმატე, ცოტა რამ გულზე მიავა.



თოფმა სთქვა: „ჩემსა წამალსა შვიდ პირად უნდა ღუღილი, მაისის ღღეში გამნაყონ, მეპრ ნახონ ჩემი .ქუხილი, მემრ ნახოს ჩემმა პატრონმა ჩემის დაქრილის წუხილი“.

თოფო მოგიკვდა მქედელი, ჩახმანო გამკეთებელი, ტყვიას ვინ დაქკრა ისარი? ვინ გადაყარა წამალი?

თუ არ იწვიმა, დაქუხებით ზომ დაიქუხაო.

თუ ვერ მოვიხმარ იარაღს როგორც რიგი და წესია, რომ არ შეკიდოს წელზედა, ათასჯერ უკეთესია.

თუ თვალმა არ სკამა, გული ვერასა ქამსო.

თუ ბავშვი არ შემოგეტირა ხელში ნუ აიყვანო.

თუ ბავშვი არ შემოგეტირა კვერს ნუ დაუკრამო.

თუ ბზუის ფუტკარი—თაფლს აგროვებს, თუ ჩუმად არის—მასზე ფიქრობსო.

თუ გინდა ქვა კოკას და გინდა კოკა ქვასაო. (ქიზიყური)

თუ გული გულობს ქადა ორი ხელით იქმევაო.

თუ ეშმაკი არა ხარ აქ რასა კუნტიხარო.

თუ იყოს იყოს, თუ არა და წყალმა რიყოსო.

თუ კაცი არ იყვეს ოჯახში, კერას გამოელაპარაკე.

თუ კაცსა მტერი არა ჰყავს, მოყვარე დაუმტერდებო.

თუ კაცსა ძალა არ შესწევს, ყველგან წინ მიწევინასს გაიქვლებო.

თუ კაცი წაიქცა, დიდი და პატარა ზედ მისცვიდებიან და გადააქვლავენო.

თუ კუდი არ ჰქონდა ველარ მითხარიო? (ერთმა მონადირემ ტყუილი ამბის თხრობის დროს წინასწარ ამხანაგი გააფრთხილა, თუ გადავაქარბე კალთა მომწიეო და დაიწყო: ერთი მელა მოკვალის შვიდი ნეტრი კუდი ჰქონდაო. ამხანაგმა კალთა ჩამოსწია, მომყოლმა დაუკლო. შვიდი კი არა ხუთიო. ამხანაგმა კვლავ კალთა მოსწია. ტყუილის მთქმელმა კიდევ დაუკლო, ხუთი კი არა სამიო. ამხანაგმა კიდევ მოსწია, მაშინ მატყუარა მონადირემ შესძახა: თუ კუდი არ ჰქონდა ველარ მითხარიო).

თუ მადლსა შვრები მარილიც მოაყარეო.

თუმანს ცხრა მანეთი მაკლიაო.

თუ მე აღარ ვიქნებო, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებო.

თუ მგელია, რატომ კუდი გრძელი არ აქვსო, და თუ ტურაა, რატომ ტუჩი მურა არა აქვსო.

თუ მეზობლები გშურობენ, შენ ხარები დილით ადრე გარეკეო.  
თუ მტერი არა გყავს, ძალი გაიჩინე და მტერი გაგიხდებო.  
თუ მასპინძელი არ მღერის, სტუმარსაც მოეწყინებო.

თუ მოდიხართ მოდით, თუ არა და ჩვენც ვეყოფითო.

თუნდა მკვდარი, თუნდა შინ მოუსვლელო.

თუ ნიორი არ გიქამია, პირი რათ გეწვის?

თუ პილპილი არ გიქამია პირი რათ გეწვისო?

თუ ეამს ხელთა აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.

თურაშაულის პატრონი, ტყეში დაეძებს პანტასაო.

თუ სარკე არა გაქვს. წყალში ჩაიხედო.

თუ სახელის ქნა გინდოდეს, ლაშქარს წინაწინ წარსდგო.

თუ ტყავს მაძრობ, ქონიც თან გააყოლო.

თუ ქრისტიანი ხარ ჯვარს რაღათ შეუტაცხოფ, თუ მაჰმადან-  
ნი ხარ ღვინოს რაღათ სვაგო და თუ ებრაელი ხარ ღორის ხორცს  
რაღათა სქამო? (იხ. ზღაპარი № 13).

თუ ღარიბი არა ყოფილხარ, ღარიბი სტუმარი მაინც გეყო-  
ლებოდაო.

თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო?

თუ წყალი არ მოგყვეს, შენც წყალს მიჰყევო.

თუ ჭირი არ არის, შორი არ არისო.

თქვენსა კაფეს, ჩვენსა ყლაპეს.

თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არისო.

თხა კიკინით გამოვიდა, ცხვარმა სული დალიაო.

თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, ზურგზე ჭირი ავიკიდე.

თხა რომ გასუქდება, მგელთან ჭიდილს მოინდომებსო.

თხამ თრიმლი ჭამა, თრიმლმა თხაო.

თხამა სთქვა: მგელი მომკვდარა, შეხტა და გაიცინაო, შე თხაო  
რას გაგეცინა, განა სამგლეთი წახდაო, შენ თუ დაზარდე ციკნე-  
ბი, მგელსაც ლეკვები დარჩაო.

თხას თხა ურჩევნია, ათას სულს ცხვარსაო.

თხას თხის ფეხებით დაჰკიდებენ და ცხვარს ცხვრისაო.

თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაო და გრძელი წვერები მაქვსო.

თხამ სანეკრე ნახა და სახტოპი აღარაო.

თხილი როგორ გაიმტკრევა ერთმანეთის სროლითაო. მთერა-  
ლი როგორ გაიქარვებს ცეცხლთან წამოწოლითაო.  
თხილი უნაქუქოთ ვის უნახავსო.  
თხის ტყავი თხად გადამექცაო.



იანერისა რვასაო ნუ გამოხვალ კარსაო, ნურცა მიხვალ დისა-  
საო, ნურცა ცოლის ძმისასაო. თუ მიხვიდე ძმისასაო, თეთრი გედ-  
ვას ქისაო.

იაფფასიანი ხორცი წვენს არ იზამსო.

იერუსალიმში მიმავალი ღორიაო. (ერთმა ღორმა გადაწყვი-  
ტა იერუსალიმში წასულიყო ცოდვების მოსანანიებლად, გზას  
რომ დაადგა ნახა ადამიანის ფეიშანი და სთქვა: ჰოდი ერთხელ კი-  
დევ ვკამო და შერე გავიწმინდები ცოდვებისაგანო).

იესო ქრისტე ტყავში იცნესო.

იესო ქრისტე ცოფიან ძალს არ დაემალა და მთერალ კაცს  
დაემალაო.

ივანე ბოდბისხეველო დაბადებიდან გქვიანო, შეესწარ ცოლის  
ქორწილსა ბიჭობაც მაგას ჰქვიანო.

ივანესა თავის ჩრდილის ეშინოდაო.

ივანიკამ სთიბოსო, კიკოლიკამ ზიდოსო.

იზარდე ქერო, დაბრმავდი მტერო.

იმას დასჯერდი ხონდაო, რაც მამაშენსა ჰქონდაო.

იმდელს მოგარტყავ, ნახევარიც ველარ დათვალო.

იმედიანი შიმშილიც კარგიაო.

იპედი წამალაო.

იმ მეზობლის ქირიმე, რომელიც კვერცხზე მარილს მომიყრისო.

იმერელი ვარ არას გარგივარ, შეგსომ, შეგყლაპავ ისე წა-  
გივალ.

იმერელი რომ გაუჩენია ღმერთს, თან ცული დაუტანებია.

იმერელი სახლში რომ შეუშო, სიძეობას მოინდომებსო.

იმერელი სხვის ჯიბრზე ოდელიას იძახდაო.

იმერელი შეშაზე მიდიოდა, მკადი წყალში ჩაუვარდა, წალ-  
დიც თან გადააყოლა, წადი და შეშაც შენ ჰოიტანეო.

იმერელმა თეთრი იზოვნა და გამოსახვევი კი ველარაო.

იმერელმა ნემსი იზოვნა და სარკინეთი ამოაგდოვო.

იმერელმა ცხენი ჭამას გადააჩეიაო.

იმერელს მკადის სახელი დაავიწყდაო.

იმერელს სახლში არ უშვებდნენ და ფარხვალი ზემო თაროს (სართულში) დამიკიდო.

იმერელს უთქვამს: დანა რომ მქონდეს, უშეკამანდობას რას ვინაღვლიდიო შევითლიდი და შევექცეოდიო.

იმერელს უთხრებს: ყური სად გაბიაო და აქანა ბატონოვო.

იმერელს უთქვამს ცეცხლზე: ნურც სააქაოს მომაკლდება და ნურც საიქიოსაო.

ინდოეთში ვირი ხეზე გადიოდა: ეს ვირი და ეს ხეო, აბა აქაც გავიდესო.

ირემმა ირემს ბალახი გაუშვირა, არც შენ გაკლია არც მეო. ის ურჩეენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

ისე გავიდა მარტო ვერ მოპიკლა ციკნის ბარტყო (მეცხვარემ დაიკვება)

ისე გავძეხი, როგორც ჩვენი მღვდლის ცოლო.

ისე გისდება, როგორც ვირს კურტანიო.

ისე ვისწავლე ფშაური არ დაქეხარჯა შაური.

ისეთი კაცია რომა, მდინარე წყალთან დაიღვეაო.

ისე მოვიდა როგორც ბატონი სამარეშო.

ისე შეენის, როგორც ვირს კურტანიო.

ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვიაო.

ისევ ჩემმა ნახულმა მგელმა შემქამოსო.

ისეთ ალაგას ნუ დაჯდება, რომ მალე აგაყენონო.

ისეთი თხა ყოფილიყავ ტყუბი მოგეგოსო.

ისეთი სიტყვა სთქვი, რომ წინ არ დაგიხედესო.

ისეთი ხიდი უნდა გააკეთო, რომ შენ შვილიშვილს გამოადგესო.

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველისო.

ისემც მოგივა ზამთარი, როგორც შენა სთქვი მართალი.

იქცეოდეს — შეესიე, შენდებოდეს — შეეწიე.

იყო დრო და არა ფათერაკიო.

იშტა ვისა აქესო და ფლავი ვის უდგასო.

იციან ის, ვინც ბოლომდის გაიცინებს.

იცის მხარჯველმა და არა მკამელმაო.

იცოდე კუტი სჯობია ცუდ გზაზე კაცსა მავალსაო, ქვემძრომი  
ჰველი სჯობია, სამშობლო ქვეყნის მტარავსო.

იცოდეთ, ყოვლის ბუნება გვართაკენ მიიზიდება.

იხარე ჰერო, მოკვდი მტერო.

## კ

კაბდომ იცის სამართალი, მაღალ დაბალს გაასწორებს.

კაი ამინდში ნაბადს სახლში ნუ გასწირავ, კაი ამინდი მალე  
ცუდად შეიცვლება.

კაია კარგად ყოფნაო, კარგი ხარი და ძროხაო. დასახურავი  
ნაბადი, ახალუხი და ჩოხაო.

კაი კაცის ნაცოლარი და კაი ღვინის ნაძირალი.

კაი დედმამას კაი შვილი არ გამოუვაო.

კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხილად გაიდება, უხეირო კაცის  
პურმარილი პირშიაც არ ჩაიდება.

კაი კაცი ზუფრაზელო (პურის ჭამის დროს შემოსწრებულ  
სტუმარს ეტყვიან).

კაი მოკრივე გვიან გამოვაო.

კაი მონადირე დაწოლილ კურდღელს არ ესერისო.

კაი მუშა და მძლე ხარი საღამოხანს მოუმატებსო.

კაი მქნელის დედა გალანძღულიაო. (ქიზიყური).

კაი ქალსა თავი სთხოვე, თუ არ მოგცა ხომ არ გაგცემსო.

კაი ყმა, მგელი, არწივი, — არც ერთი არ გაიწურთნება; მგე-  
ლი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა, არწივი არწივობასა,  
მთის ყორეს ნადირობასა.

კაი ყმა ხვალსა ჩახედავს, ნეტავ გამიქრის თუ არა, ცუდი ქა-  
ლისა უბესა ნეტავ ჩამიხვევს თუ არა.

კაი ყმის ნაბინავარში შეშანი დარჩებიანო, ცულისა ნაბინავარ-  
ში ქარანი ნაცარსა ყრიანო.

კაი ცოლის პატრონს საგზალი არ უნდაო.

კაი ცოლ-ქმარნი ცულის ტარზე დაწვებიანო.

კაის მყიდველი ძვირადაო, მოგებულია ხშირადაო.

კაი ხარი სახრეს არ დაიკრავსო.

კაკალი შენზე გატყდებაო.

კაკალი უნაქუქოთ ვის უნახავსო.

კაკალს უთქვამს: ცხენზე არასდროს არ შეემჯდარვარ, მაგრამ  
უფხით არ გამივლიაო.

კაკაც უნდა და ჩიჩიაცაო.

კალია გაუჩინესო.

კამეჩი მყვანდა ნიკორა, ვაქებლი არა იყორაო.

კამეჩის მოკიდავე ხარს, რქები აღარ შერჩაო.

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფ-  
ლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

კამეჩს უთქვამს: ბალახში რომ ჰინჯველა დაიმალება, გეპოც  
წაუვო.

კამეჩს უთხრეს, რამდენ ხანს გასძლებო და ზეთმა იცისო.

კამეჩი ღონიერია უღელსა ზიდავს ხისასა, გაუჭირდება, წა-  
იღებს თავისასა და სხვისასა.

კანონმა იკანონოს, ნდობამ კი იბატონოსო.

კაპასმა ქალმა ძალი დააბა და ისე აყეფაო.

კაპიკმა გამომგზავნა, კაპიკისა ხურმაო, კარგიც იყვეს, ბევრიც  
იყვეს, კაპიკ ისევ ხურდაო.

კარგი ამხანაგობა — კარგი მამობის დარიაო.

კარგს არ მაღირსიანო და ცუდსაც არ მაკადრიანო. (უთქვამს  
გასათხოვარ ქალს).

კარგი ვაჟკაცის ცოლობა ნუ გიხარიან ქალოვო. კარგი ყმა მა-  
ლე მოკვდება, დამრჩები ცარიელიო.

კარგი ვარ იმას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა, კარგი  
ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა.

კარგი თესლი კარგი მოვლით კარგ მიწაში არ დალბება.

კარგი იყოს ავადობა, ინატრებდა თავადობა.

კარგი კამეჩი ხარ და კარგ ბაგაზე აბიხარო (ტუსალებზეა ციხი-  
დან ხევსურს დაუყოყნიეს და ხევსურმა დაუძახა: კაი კა-  
მეჩი ხარ და კაი ბაგაზე აბიხარო).

კარგი მეწისქვილის სულიც ჯოჯოხეთშია და ცუდისა სადღა  
იქნებაო.

კარგი მოთამაშე, კამეჩის ცოხნაზეც ითამაშებსო.

კარგი რამ სჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.

კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი, კარგი ღვინო — კარგი მსმელი.

კარგი ქენი, ქეჟა დადები, გაიარე წინ დაგვხვდება.

კარგი შვილისთვის სახლის აშენებაზე ნუ იზრუნებ ავ შვილს.  
ნუ დაუქცევო.

კარგისათვის კარგი ვის უქნიაო.

კარგისა ძვირად ყიდვა სჯობს, ცუდისა იაფობასა.

კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს, ზედ გამოლება სართისა.

კარგის მძებნელი ცუდს შეეყვრებაო.

კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება, სწორების მკობინობასა, ცუ-  
დი კი ბოსლის ყურესა, ქალებთან ლოგინობასა.

კარგი ყმისა ცოლობასა კარგი უნდა ქალობანი, კარგნი ადგომ-  
დაჯდომანი, კარგი საქციელობანი.

კარგი ყოფა და ქონება მკლავს მოაქვს კაი ყმისასა.

კარგი ცოლშვილის პატრონსა ლხინში რა უნდა, ლხინი სახლ-  
ში აქვსო.

კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყავსო.

კარგი ცხენი მთის ძირას იცდება, ჰეომარი იცდება ომში და-  
ხმალი კრაშიო. (ხევსურული).

კარგი ცხენი ქერს იმატებს, ცუდი ცხენი მათრახსაო.

კარგი ხარ კარგო ვენახო, რომ არა გქამდეს ქათამი.

კარგი ხარ კარგო ყოფაო, ბევრო ცხვარო და ძროხანო, საწყუთ-  
როდ სანახევრო ხარ წამოსასხამო ჩოხაო.

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

კარგმა კაცმა, კარგმა სახლმა, ცუდი გამადედაკაცაო.

კარგმა ქალმა არც ქნა და არცა სთქვაო.

კარგ მთქმელსა კარგი გამგონიც უნდაო.

კარგსა ყმასა შურობს სოფელი, ყველას წინ წამოდგებაო.

არ იციან საწყლებმა, გაჭირდეს გამოდგებაო.

კარგს კარგი ჰქვიან, უხვიროს უხვიროვო.

კარგ ყმასა შურობს სოფელი, იტყვიან კარგი რად არი, საქ-  
მე რომ გაუჭირდება ყველა იბარებს სად არი.

კარგ შვილსა, გვერდ გამოხლართული ქმარი სჯობიანო.

კარზე მოსულსა ნუ გააბრუნებ თუ გინდა სახლში მარილის  
მეტი არ გქონდესო.

კარგმა ძალმა აეკაცს აჯობაო.

კატა ააყენე და შენ დაწექიო.

კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.

კატამა სკამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.

კატას კუდი სად აბიაო.

კატას უთხრეს შენი ცურკლი წამალიაო, ადგა კატა და ღრმათ-  
ამოთხარა მიწა და შიგ ჩაფლა, რომ არავინ არ გამოიყენოსო.

კატას ფილტივი გადუგდესო.

კატას ფილტივი მიუგდეს და მეც ეგ მინდაო.

კატის მანძილი საბძელიაო.

კარებამდის არ მოგყვება ბატონიანთ წყალობაო.

კარგმა რა ქნა, ბოროტმა რა უნდა გვიყოსო.

კაცია და გუნება, თავში ჩაბრაახუნება.

კაცი ან აკაცობით ან კაი კაცობითაო.

კაცი არ ვარგა უმტერო, არც ისე მტერ მორეული.

კაცი არ ვარგა უცოლო, არც ისე ცოლმორეული.

კაცი გულითა ხარობსო, ხე კი ნაყოფითაო.

კაცის აშენებული ოჯახი დედაკაცმა დააქციაო და დედაკაცის  
აშენებული ოჯახი ქრისტე ღმერთმა ვერ დააქციაო.

კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რა გინდ კარგ-  
ცოლი ყავდეს, მაინც მოსწონს კიდეც სხვისა.

კაცი გინდა კოცნით მოკლა, გინდ იარაღით, მაინც შენგან  
მკვდარია.

კაცია და გუნებაო.

კაცი ვინამ არ მოკვდება იმის საქმე არ გამოჩნდებაო.

კაცი ვერსად ვერ წაუვა თავის ბედსა და წერასაო.

კაცი თუ ვარგა, ჯილაგი ნეტა რა საძებარია? თუ თვით არ  
ვარგა, სუყველა ფუჭი და საცინარია.

კაცი იზრდებოდა და ვირდებოდაო.

კაცი იმისთანა უნდა, რაც არა სჯობს არა სთქვაო.

კაცი ისე არსად იცნობა, როგორც მგზავრობაშიო.

კაცის კაცით არის ყველაფერი გაკეთებულიო.

კაცი მოკვდება ცოლზედა, მამულსა საკუთარზედა.

კაცი ლალისა მძებნელი იაგუნდს შეხვდაო.

კაცი ოჯახის სტუმარიაო.

კაცი რასაც სხვისად ამზადებს ნახევარი იმისი მაინც დაუბ-  
რუნდება თავის თავზე.

კაცი რომ გაჯირვებას ვერ ხედავს, თავი ბედნიერი ჰგონიაო.

კაცი რომ გეტყვის მალე გაუგონე, თორემ იტყვიან ყრუაო.

კაცი რომ დაიბადება, თვისა და წლისა სავალსა, ღმერთი მა-  
შინვე დაუწყებს თავის თავგადასავალსა.

კაცი რო კაცს მოერიოს, უნდა ღმერთი მაიგონოსო.

კაცი რუ ლაბარაკობდეს, უნდა სხვისაც გაიგონოსო.

კაცი რომ ორმოცი წლისა ჩონგურის სწავლას დაიწყებს, ის  
მხოლოდ მოუსაველეთში მოესწრება დაკვრასაო.

კაცი რომ ღვთის მცნებას გადავა მისი საქმე წახდებაო.



1  
კაცი რომ წაიქცევა ყველა ზედ შესდგებაო.  
კაცი უნაგირს ვერ მისწვდა და უზანგებს მტვრევა დაუწყოვო.  
კაცი უნდა კაცი იყოს, რომ დაპირდეს, არ გამტყუნდეს.  
კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, არც  
უნდა რომ ხარბი იყოს, სულ თავისკენ გამოჰქონდეს, უნდა თავის  
ოფლსა სჭამდეს, განა თუ არამი ჰქონდეს.

კაცი ფიქრობდა და ღმერთი იცინოდაო.

კაცი ქარსა სთესდა და ქარიშხალს იმკიდაო.

კაცი ყველას ნახავსო და სიჭეველეს ველარაო.

კაცი შიმშილით არ მოკვდებაო.

კაცი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო.

კაცი ცხენზე იჯდა და უნაგირს ეძებდაო. (ქიზიყური).

კაცი ცხენს ვერ მოერია, უნაგირი დაამტვრიაო.

კაცი ხატს შეეჩვიაო და ნაფოტის სროლა დაუწყოვო.

კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობსო.

კაცმა თოკი დაკარგა და ცულიც თან მიაყოლაო.

კაცმა კაცი დაპატიჟოს, შაიქმნება პატივეცმა.

კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.

კაცმა კაცს ვენახი აჩუქა იმან კი ყურძენიც არ აქამაო.

კაცმა მალა, მალა, ქორმა არ დამალაო.

კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი კაცი ხარო.

კაცი ხალხისა ქებითანუ გაიდიდებ თავსაო. დღეს ერთი ყვავის  
ყვავილი, ხვალ ბევრი იმისთანაო.

კაცს თავს აპირდნენ და მუწუკი არ მატკინოთო. (ქიზიყური)

კაცს როცა არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.

კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა და კარში საქმეს ეშურებო-  
დაო.

კაცმა ცოლი გაუშვა და ცოლის მამიდას ჰყვარობდაო.

კაცმა ხელეჩო დაკარგა და იმას დარდობდა, ნეტავი გარეთ პი-  
რიდან არ გალესონო.

კაცსა თავსა სპირიდნენო და დაიტათ კისერი არ მატკინოთო.

კაცსა ღვთისა გაჩენილსა თვალი უზის ეშმაკისა, შინ რო კარ-  
გი ცოლი ჰყავდეს, გარეთ ქალი მოსწონს სხვისა.

კაცს რომ კაცი ეჯავრება, ჭამა ჰყავაჰყუპია და სიტყვა რახა-  
რუხიაო.

კაცს რომ ღმერთი გაუწყრება პირველად ჰკუას გამოუღვესო.

კაცს სულ ლხინიც მობეზრდებაო.

კახელებო თქვენი ქალი, ვნახოთ როგორ მოიქცევა, დაჯდო-  
მაზე ზარმაცია, ადგომაზე წაიქცევა.

კბილები დამალე, ძალი ძვალს ეძებსო.

კბილის ჩიჩქნით მუცელი არ გაძლებო.

კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალო.

კედელს ცერცვი შეაყარე, ძირს ტყაპა-ტყუპით ჩამოვაო.

კედლებს განზე გასწევენო.

კეკე ცხონდეს სხვის პურ-ღვინოზეო.

კერა ჰოითხოვსო.

კერატი რომ გასუქდება, ნეტა მგელთან დამკიდაო.

კვერცხის მდებელი ქათამივით მოეგლებაო.

კვირაძალს უთქვამს, მოვდიოდე დამეშურე, მივდიოდე მამე-  
ჩიდეო.

კვირაძალი შემომესწრო, ირემს კუდი ვერ მოვებო.

კვიცი გვარზე ხტისო.

კვიცი იყიდე, დედა უკითხეო.

კი არ ჩამოვედი, ჩამოვარდიო.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ  
ამოსწყდებიან ჭავრი არ შკამონ მტრისანი.

კიდევც მეტყემლებოდა და კიდევც ვკამე ტყემალიო (უთქვამს  
ორსულ ქალს).

კითხვა-კითხვითაო კაცი იერუსალიმს წავაო.

კიცხვა ქებაზე ადვილიაო.

კოკავ შენ გუუბნები, ლიტრებო თქვენც გესმოდეთო.

კოკა წყალზე გატყდებაო.

კოლოც თავის მუცლისათვის ბზუისაო.

კომბლეს ვირი არა ჰყავდა, იყიდა და იყოლიაო.

კოცნა სჯობს თეთრი ქალისა, ჩახვევინა შავგვკრემანისა.

კულავ ჩემო საყვარელო, გუთნის მაძუგძუგებელო. — არც ისე  
მეხალისება, ძკლად მაძუგძუგებენო.

კუზიანს სამარე გააწორობსო.

კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.

კურდღელმა თქვა: თავმკვევით ვერ გავიქცევი, მადგამ აღმართ-  
ში კი ვერავინ დამეწევაო.

კუტიდან ნახშირს ვერ გამოარჩევს.

კუტი ადგა ბრმას დააწეაო. (ქიზიყური):

კუტსა კუტი მოუტეხეთ, ფენს აიდგამს მადლიაო.

## ლ

ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩაეარდნაო.

ლამაზ ქალს უქკუო ყმა მისდევს, რეგვენი გონდალეული.

ლამაზსა ფიფქალიანსა გადმოუყრია ქარსაო, არ უნდა ეუბნე-  
ბოდეს სულ მუდამ ცოლი 'ქმარსაო, ერთხელ იქნება მაართყავს  
ცეცხლიან მუგუზალსაო.

ლარი გაიტანს კედელსაო.

ლაპარაკი ლაპარაკსა, კაცი გაჰყვა ამხანაგსაო.

ლაფში მწოლარ მცოხნავ კაჰჩხს, გული ერჩის, კლდეს შეან-  
გრეცს.

ლუკს გოკი სძულდა და ღორი დაუკლესო.

ლიტრავ შენ გეუბნები, კოკავ შენ გაიგონევეო.

ლომისა ტყავსა ჩაიცმენ, გვიჩვენე გულთა სრულობა, ვერ  
ამამაცებს ვაუკაცსა აბჯრისა ჩანაცმულობა.

ლომს ხერხით კოლო მოერია.

ლოჭო დასაჯეს და მორევეში გადააგდესო.

ლუკმა გავარდეს ჯაშში ჩაეარდეს.

ლუკმა მაშინაა ტბილი, როცა ოფლითაა ნაშოენიო.

ლუკმამ ქვეშ მოიტანაო (დიდი ლუკმა ყოფილა).

ლხინში გულდინჯად წადი და ქირში გულფიცხადო.

## მ

მაგათი ციციხეც ვიცი და კოვზიცაო.

მაგან მხოლოდ ის არ იცის როდის მოკვდებაო.

მაგის ფერისა ხატიც არ ვარგაო.

მაგ საღვინემ ერთხელ ჩემთვისაც წამოაჩქაფუნოსო (ორი კა-  
ცი ღვინოსა სვამდა, რომელიც ღვინოს ასხამდა, თავის ჭიქას პი-  
რამდე ავსებდა, ამხანაგს კი ნაკლულად უსხავდა; ამხანაგმა ვერ  
მოითმინა და უთხრა „მუდამ შენ რომ ივსებ, ერთხელ მეც გამივ-  
სეო“. არც მე მინდა ჭიქის ავსება, მაგრამ საღვინე წამოაჩქაფუ-  
ნებს ხოლმეო. მაშინ მეორემ გულნატკენმა მიუგო: „მაგ საღვინემ  
ერთხელ ჩემთვისაც წამოაჩქაფუნოსო“).

მადლი მატლად მიქციეო.

მაისის წვიმა ოქროა, ივნისისა ვერცხლიო, ივლისისა—  
ცეცხლიო.

მალვით ვინც მტერი მტერს მოკლავს, ის ქალს ვითა სჯობს თმიანსაო.

მამალს უთქვამს: მე ბარემ ასი ცოლი მყავს, მაგრამ ჩემი ბრძანების მორჩილნი არიანო.

მამლის ხორცმა დედალი მამათხოვინაო.

მამხილავი ცხონდესო და დამფხანავი წაწყდესაო.

მანდ რომ მორჩე აქეთ მოდიო.

პანქანის გაშვეთებელს კალათის დამწვნილი უკვირდაო.

მარტი, მარტატურა, აპრილი აპრალტურა, თვე წინა, თვე უკანა, კაცო ცხრა თვეაო (პატარძალს მუცელი მოჰყოლია და ღროზე აღრე მომშობიარებულა, ქმარს გაკვირვებია ეს ამბავი, მაშინ ცოლს ასე უანგარიშია თავის მართლებისათვის...)

მატარებელი რომ გადაბრუნდება შეისრე მაშინ გამოჩნდებაო.

მატრაკვეცას ნათშიაო ცხრა მაშხალა ანთიაო.

მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა-ბინდი დგებოდეს, იცვამდეს გრილსა რკინასა. ომს ვიქავ, ემზადებოდეს.

მაშინ კარგია კაი ყმა ხმალი რომ შეიქმს ელვასა, ისარი მოციქულობდეს შუბი აგდებდეს ენასა.

მაშინ მეწყალვი მტყუანო, მართალსაც არ გიჯერებდნენ, შენ გულით ეფიცებოდე ისენ კი სიცილს კვებოდდნენ. (ხევსურული).

მაშ კი მოგიკვდე შენ ჯავრო, თუ შენ გიგლოვო, გიქარვო; შვიდის წლის სამგლოვიარო სამ დღესა გადაგიჯავრო.

მაძლარი მშიერს წვრილად უფშხენიდაო.

მაძლარსა მშიერი, მაძლარი ეგონაო.

მაწანწალა მგელმაო მწოლიარეს აჯობაო.

მარიამობა დღესაო ქათამი ჰქექავს ბზესაო, ქათამო ნუ ჰქექი ბზესაო, თორემ დაგიბნელემ მზესაო.

მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.

მარტო მარბოლი ცხენი, ხალხს მეწინავე ეგონაო.

მარტოხელა კაცი პურის ქამაშიაც ბრალიაო.

მარხვა ვის გაუგონია შეცხვარისა და მგლისაო.

მარხვა ვჰვამე დოსთვინაო, ქურდობა ვქენ ხბოსთვინაო.

მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა.

მარხვას არავინ გასტეხს დოსთვისა და ქურდობას არავინ იქმს ხბოსთვისა.

მამალმა სთქვა: მე კი მიყვილიაო.

მამა გიცხონდა მსუქანი, ძალი მიაკვდა უთხარი.

მამასახლისს შინ არ უშვებდნენ და ფარხმალი ზემო თაროს დამიკიდეთო.

მამიდასთან წაეალ კვიცსაც გავხედნო და მამიდასაც ვნახამო.

მამის სიკეთე შეილს ინახავსო.

მამის სული დაივიწყა და პაპის სულსა ფიცულობდა.

მამლის ყვილი ხიდანა, მცნებათ არ მიიჩნევაო.

მბაძს მბაძი არ დაელევაო.

მამუჩიანთ სალამით ონბეშ თუმან ზარალით (უთქვამს თათარს).

მგლებში მაცხოვრებელმა, ღმუილი უნდა იცოდესო.

მგელი ავდებოდა და ცხვარი კი კუნტრუმის გუნებაზე იყო.

მგელი რომ დაბერდება — ძაღლები თამაშს დაუწყებენო.

მგელი რომ დაბერდება ძაღლების სათრეველი გახდებაო.

მგელი მგლობას არ მოიშლის, ძალი ძაღლობასაო.

მგელმა რომ ძაღლსავით სუნი იცოდეს ქვეყანას ამოაგდებდაო.

მგელმა სთქვა: რასაც ჩემი კბილი ვერ მოვაველე გემო ვერ ჩავატანეო.

მგელმა სთქვა: ჩემ დამპყერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო.

მგელმა ცხვარი მოიტაცა — ჩემი სერისა იყოვო.

მგელსაც თავის ფეხები აქმევს პურსაო.

მგელს კარაბადინს უკითხავდნენო და რა დროს ეგ არის, გამიშვი ცხვარი ვთაზე მოდისო.

მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო.

მგელს მგლურად დაუხვდი და მელას მელურადაო.

მგელს რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

მგელს რომ შეიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი არისო.

მგელს უთქვამს: ეს ოხერი და ეს სატილო ჩემ სოროშიაც ვერა ვსთქვარაო?

მგელს უთხარეს: შენ ცხვარში უნდა გაგზავნოთ და შენი შვილი კი კრავშიო. შეხტა და შემოტრიალდა. აქაც მე უნდა წავიდე და იქაცაო.

მგელო, ცხვარი გებარებოდესო.

მგზავრი კაცი. ნაშუადღევს ბინჯს უნდა ექებდესო.

მგზავრის დგომა — ცდომაო.

მგლისა ბატკანი ვის უნახავსო.

მგლისაგან შეშინებული ძალი მთვარესა ყეფდაო.

მგლის შიშით, ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.

მგლის წყალობითა, მელა რჩებოდაო.

მგორავ ქვეს ხავსი არ მოეკიდებაო.

მდიდარი ღარიბს წერილად უფხვნიდაო.

მდიდარიც გაღარიბდება, თუ არ არის ჰუშა კაციო.

მდიდრისას კატას ტიროდნენ და ღარიბისას კაცსაც არაო.

მდიდარს ეშინოდა ცხოვრების გათავებისა და ღარიბს ეშინო-  
ნოდა შერცხვენისაო.

მდიდარს ეტყვიან, მშვიდობაშიო და ღარიბს ეტყვიან: ვინ  
მოგცაო?

მდიდრის ურემი მთას გადაივლის, ღარიბისა კი სწორე გზასაც  
შეშლისო.

მდინარე წყალი ნათელიაო.

მეგრელს დანა აჩუქე და თავის ქონებაზე ხელს აიღებსო.

მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და საბძელი და კალო ჩვენ  
გვერგო. (ქიზიყური).

მე და ძეკას წიწილა მოგვაქვსო.

მე დიდი მადლობელი ვარ რასაც მიბრძანებ ბატონო, ჩემს  
თავს კალთაში გაგიხვევ შენ იცი რასაც უზამო.

მე დოს ვეუბნებოდი და ის მაწონს მათლაკუნებდაო.

მედღე-ხვალიე კაცსაო თოვლი ჰოუვა კარსაო.

მე ვიყივლე და ღმერთმა იცის გათენება.

მეზობელმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არა გქონდეს,  
მარილიანი სიტყვა მაინც უთხარი.

მეზობელი მეზობლის სარკეაო.

მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.

მეზობლები რამ გადაჰკიდაო და ძაღლმა და კატამაო.

მეზობლის ქალს არ შეირთავენ ფეხ ნაცრიანიო, წავლენ და  
თვალნაცრიანს მრთიყვანენო.

მეზობელს თოკი სთხოვეს და ფეტვი უნდა გავშალოთო. (ქი-  
ზიყური)

მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარი ეგონაო.

მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო.

მეზობელს მუცელი რომ სტკიოდეს, შენ მუცელზე ხელს  
უნდა ისვამდეო.

მეზობელს ცუდსა ნუ ეტყვი, შერიგების დროს შეგრცხვება.  
მეთევზე მეთევზის სიარულს შორიდან იცნობსო.

მელა კვდებოდა და თავი საქათმისაკენ მიქონდაო.

მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა: სიზმარი იქნებოა.

მელამ თავის კული მოწმეთ მოიყვანაო.

მელამ კული გაიქნია და ქათამს თვალი დაუდგაო.

მელასაც თავისი კული სჯიდაო.

მელას თავის მახრჩობელა უყვარსო.

მელას მოედანზე რა ხელი აქვსო.

მელას მოწივდა, გზაზე ერთი ნაქერი ყინული იპოვნა. ქაპა დაუწყო და თან მოსთქვამდა: „ვაი ჩემს თავსა! ეს რომ შეეკამო, არც თავში ამივა და არც მუცელში ჩამივაო“.

მელას საქათმის კარზე გაუთენდებდა. (ქიზიყური)

მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდა.

მელას უთქვამს: როცა მოვედე თავი საქათმისაკენ მიყავითო.

მელას ჰკითხეს: რამდენ რიგი ოსტატობა შეგიძლიაო?—ათასი რიგით. ოცდაათი მარტოკა ძაღლისა ვიცითო. მაგრამ ჩემი დიდი ოსტატობა ის არის, არც მე ძაღლი ვნახო და არც ჩემი თავი ძაღლს უჩვენოო.

მელიასავით გაგრძელდაო.

მემრის ლიტანიობას ერთად წავიდეთო. (აღდგომა ღამეს ორაქალი სახლში დარჩენილიყვნენ, ეკლესიაში წასვლა ვერ მოეხერხებინათ, ერთმა მათგანმა მეორეს გასძახა: მოდი ყურში რაღაც გითხრაო. მეორე ქალი მივიდა შეეკითხა: რა უნდა მითხრაო—მემრის ლიტანიობას ერთად წავიდეთო, უპასუხა პირველმა).

მე მქადს ვთვხოვდი და ის ქადას მოატლავუნებდაო.

მენავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის, ნავს ქვეშიდან მოექცევაო.

მენახირემ თავისი ოჯახი ააშენა და მოჯამაგირემ კი დალუპაო.

მენახირემ საქონელს თავი დაანება და პატრონმა კი არაო.

მენახირეს მძახალი მეხბორე იქნებოა.

მენახირის შვილს მენახირე წაიყვანს და მებზორის შვილს მეხბორე (აღზანას ჩაღზანა არ დააკლდებაო).

მე ოსტატს დამიძახებენ შენ ოსტატის ცოლსაო (ერთი კაცი ორშაურათ ვირსა კოდავდა და აბაზის საპონს უსვამდაო. ცოლმა უთხრა: რას შერები კაცო ორშაურად ვირსა კოდავ და აბაზის საპონს უსვამო. ქმარმა უთხრა: რა გენაღვლება? მე ოსტატს დამიძახებენ. შენ ოსტატის ცოლსაო).

მე რას მიზამს ყარაული, ტყეს რო ახლო არ გაუვლი.

მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, ჩემს მისხის-მისხს ნუ აკამაო.

მე რომ ერთი ფუთი, შენ ერთი გირვანქა არაო?

მე რომ ნახირში დავდექი ფამფარა შაშინ გასწყდაო.

მე სიკვდილი რას დამაკლებს, თუ რომ ღმერთთან სიმატლემ მაქვს, ან სიღარიბე რას მიზამს, თუ ცოლი რიგიანი მყავს.

მეტი მიეცი და კარგი იგემეო.

მეტისმეტი თავში რეტიო.

მეტისმეტი მაძიებელი მოკვდა გაუხარებელი.

მეტისმეტმა სიწმინდემა საბერძნეთი დააქციაო.

მეტს დახარჯავ და კაცთან გაივლიო.

მექურკლე კოკას ყურს საითაც. უნდა იქით მოაბამსო.

მე ღვინოსა ესვავ და შენ თვრებიო.

მელორემა ღორსა სცემა, რატომ ტყეში შემივარდი.

შინ მოვიდა ცოლსა სცემა, რატომ ბერწად დამივარდი.

მე შენსკენ, და შენ კი ეშმაკისაკენო.

მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა, თუ გაიგრძელებს ნადიმსა, მგელს გაუკეთებს სადილსა.

მეცხვარე ცხვარს ვერ გარეკავს თუ წინ არ უძღვის ვაციო.

მეცხვარეს უთქვამს თუ მეცოდინებოდა, რომ ბანიდან მგელი ჩამოვარდებოდა, ჩემს ძაღლებს გულადმა დავაწვენიდი და მეც ვიფხიზლებდიო.

მეცხვარისათვის ერთი ცხვრის მოვლა, ერთი ომის გადახდაო.

მე ძილმა ასე მიბრძანა: დაწვე და დიძინეო, თუ ლამაზი ცოლი გყავდეს ისიც გვერდს მაიწვინეო, სიღარიბის არგანს ხელა მოგცემ, დაიჭირეო.

მეწყინა, განა მეტყინაო.

შინაღ უნდა იყვეს კარგი ყმა, რა ამბავ ჩამოვარდებაო.

მზეს ვინც ტალახს ესვრის, მზეს ვერ მიუწევს. მასვე თავზე დაეცემაო.

მზეს შეყურებს, როდის ჩავაო (ზარმაც მუშაზე იტყვიან).

მზეო ჩამოდი, ზეგნელო ღრუბლების დაუდევნელო: ქალქმართან წადი შალევე, აუგის დაუდებელო.

მზეს რომ მთვარე შეეყაროს, დაილევა და დაქენებაო.

მზე ჩადი და ალოვ გადიო.

მთა და ბარი როდის. გასწორებულაო (მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო).

მთა მთას არ მოხვდება თორემ კაცი კაცს შეხვდებაო.



მთას ვიყავ, მთობა ვერა ვქენ, ბარს ვიყავ ბარიანობა. ქალმა  
თქვა მე კი დავწყველე ჩემს დღეში კმარიანობა.

მთვრალი კაცი, კარგი კაციო.

მთელი არ გატეხო და ნატეხს არ მოატეხოვო (ქიზიყური).

მთისა მეცხვარეს კითხეთ, ბარისა — გუთნის დედასაო.

მთიული სახლში შეუშვი და ნამუსი კარში გაუშვი.

მთიულს უთქვამს: სად გაგონება არ არის, კარგვაა სამართლი-  
საო.

მთხვრის ჯორივით მომადექიო.

მიზარებული მგელმაც შეინახაო.

მიდის მოდის გაბრიელი, კაცი არ ყავს მადლიერი.

მიზანი ყოველგვარ საშუალებას აშართლებსო.

მითზარ ვის ამხანაგობ და გეტყვი ვინა ხარო.

მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური.

მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დადგებო.

მიმპარავი ძალი შეფთარზე უარესიაო.

მიწამ თონე ცხელია პური უნდა გამოცხვესო.

მიწდორს თვალი აქვს და კედელს ყურიო.

მიშველოს დამბადებელმა, პირი დაგბანოს ღვინითაო.

მიძმობ თუ მიღობ, მაინც არ მიწდობ.

მიწა ვარ, მიწად ვიქცევიო.

მიწა მიწას დააყარე, პატივად დაედებო.

მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს და ნუ  
შემოსწყრებიო.

მიწას უთქვია: ცუდათ მომხან, ოლონდ კარგად დამფარცხეო.

მქადიქამიას მქადი და დოქამიას დო აგონდებოდაო.

მქედელს დანა არ ჰქონდა და ფეიქარს ხელსახოციო.

მიხვდა მხარჯველი, ვერა მქამელი.

მიპყე მიხედულებასაო.

მიპყე, მიპყე სიმართლესა, გამოგაცლის სინათლესა.

მიპყევ და მოპყევ სოფელსა, სოფელი ღონიერია, სოფლის  
წყალობა დიდია, თუ კაცი გონიერია.

მიპყე და მოპყე სოფელსა, ამ ტიალსა და ოხერსა.

მკედარი მკედარსა აეკიდა, სამარემდის მიმიტანეო.

მკედარი უკულმა ვინ წაილო.

მკედარს რალას არგებს წამალიო.

მოაკლდეს მძინარესაო, უმატოს მღვიძარესაო.

მოგება და ზარალი, ძმები არიანო.

მოდით მიუხდით კუთსაო, ბატონი მოგცემს ქუდსაო. მოგცემს და ისევ წაგართმევს, ნუ დაგაკლდება გულსაო.

მოთმინება საპოთხის გასაღებიაო.

მოვიდა სეტყვა დახვდა ქვა.

მოკვდეთ არ მოხვიდეთ, მოკვდეთ არ მოვიდეთ.

მოკვდა პაპა, დარჩა ჭაყვაო.

მოვიდა სომეხი და მოიტანა თან შეხიო.

მოკვდი და შეგიყვაროვო.

მოლა მეჩეთში არ შედიოდა და კინწისკვრით შეიყვანესო (ქიზიყური).

მოლამ თქვა: ფლავს არიგებენო (მოლამ მოიტყუა ფლავს არიგებენო. ხალსმა დააჯერა და ქვაბებით ფლავზე გაიქცნენ. ბოლოს მოლამ იფიქრა, იქნება მართალიაო და თვითონაც გაიქცა).

მოლას უთხრეს, შეილი გადაგერიანო და როდის იყო ქკვიანიო. მოლოდინი სჯობს მოსვლასა, ლაშქრით ლამაზი ყმისასა. მოვა მაიტანს ამბავსა თავისასა და სხვისასა.

მონადირეს უთქვამს: ირემს თოფი ვესროლე, სანამ მივიდლოდი, მწვადები შემწვარი დამხვდაო.

მოპარვა ვიცო და დამალვა არაო.

მოპარული ყურძენი ტკბილიაო.

მორჩა ბერი ცხონებასა, მოლოზანი წაწყმედასა (ბერმა მონაზონი შეაცდინა; მე აღარ ვცხონდებო ამ ცოდვითაო, ხოლო მოლოზანი აღარ წაწყნდება ჩემი მადლითო).

მოსავალს მოცდა უნდაო.

მოტეხილს მოსტეხიაო.

მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

მოყვარეს შემოუთვლია მოყვარის მოყვარე კვდებაო. მოკვდეს და ჯანი გავარდეს, სხვა უყეთესი მრჩებაო.

მოჩივილი თხოვნა არის, თხოვნა კარზე დგომაო.

მოჩქარეს მოუგვიანდესო.

მოცინარე ადგა და აღარ დადგაო.

მოციქული ყეენტან მივაგო.

მოციქულმა სქამაო და ღორებს თივა დაუყარაო.

მოხეტიალე მგორავსა ხავსი არ აკრავს ქვასაო, მუდამ მღვლო-მელი გზაზედა ან გველს, ან გველის ფხასაო.

მოხვდა ბერი ცხონებასა და მისი მღვდელი ცხოვრებასა.

მოხისელებმა მტკვარზე ხიდი ჩააქციეს — ძერა გამოდის და ქათმებს გვიქვამსო.

მოხტუნავე მელამ აჯობა მწოლიარე მელასაო.

მოჯამაგირის დღესაო არ დაეღევა კენესაო. სატკივარი აუტყ-  
დება ყველა ბედნიერ დღესაო.

მსრიტი რათა სჯობია მსუნაგასაო.

მსუქანს ყელი გაიგებს მძიმეს ხელიო.

მტერი დღისითაც მტერია და ღამითაცაო.

მტერო მამწყინდა მტერობა, სიკედლო — მგლოვიარობა, ღე-  
ლისერთაო — ტირილი, საყულო ცრემლიანობა.

მტერო ნუ მოხოვ მუქარასა, ზამთარია ქარიანი, კიდევ საღმე  
შეგეყრები უფაროსა ფარიანი.

მტერსაც ექნება ის გული, ძმას რო მოუკვლენ ძმასაო.

მტერსაც მოუღის ამბავი: შენი დაქრილი კვდებაო. მორჩომის  
მაგიერადა უარ და უარ ხდებაო.

მტერს მტრულად დაუხვდი, მოყვარეს მოყვრულადაო.

მტრისაგან სისხლის აღება ძველთაგან ვაჟკაცთ წესია.

მტრისა მიწვენა-მისვლასა დაწოლა უნდა, განა ძილიო.

მუღის ტყავი გადმოვარდა და ცხრა რძალი დაიტანაო.

მუნჯის ენა დედამ იცისო.

მუქთა იყვეს და გინდ თოფის ტყვია იყვესო.

მუქთა კუბოში ჩაწებბაო.

მუქთა წიწკა შაქარზე ტკბილიაო.

მუშამ იჯავროს სიგარძე და სიცხე დღისაო.

მუშა კაცი ცხონებულიაო. (ქიზიყური)

მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი ხმალს იქნევდეს, უნდა იჯ-  
დეს ბერიკაცი, პურსა ქამდეს, ყბას იქნევდეს.

მუშტარავ ბრმა ჯობავ, ფულის დათვალვა აერევა. (ხევს).

მუშტარავ გინდ ბრმა ყოფილა გინდ კოკლივ. (ხევს).

მიეცეს და მიემატოსო.

მუცელს აქორებ ქორია, აღორებ ღორიაო.

მუცელი მუცელს არაფერს არგებსო.

მუცელი ჩემს ქვევით არის, ჩემს ზევით ხომ არაო.

მუცელი ღმერთად გაუხდიაო.

მუხამ რომ ვარდი მოისხას, საღ გაგონილა.

მღვდელი რომ იყვე, რა მალე გამოიყვანდი წირვასო.

მღვდელმა თავის ქებაში ადამიანების ცოცხლად მარხვა დაი-  
წყოვო.

მღვდელს კანკი მოართვითო.

მღვდელს საყდარში მოუხდება წიგნის წაკითხვა და გალობა, მოწყალება რომ გაიღე, ნულა დაიწყე ნანობა.

მშვილდი გამიტყდა ვაეკაცო, მხარ თეთრი, გოზა წითელი, არ გაიტეხო ნამუსი, არ მოგეხაროს კისერი.

მშობლების ამაგს შვილი ვერ გადაიხდისო. (შვილი მშობლების ამაგს ვერ იხდისო, რაც გინდა ყელამდი პატივში ჩასო, ამაგს მაშინ გადაიხდი, როცა შვილებს აღზრდი სამაგიეროსო, მაშინ დაუფასდებათ მშობლებს ამაგიო).

მშიერი ნუ იქნები და ბაძი იყავიო.

მშიშარა ღღეში ორჯერა კვდება (ქიზიყური).

მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.

მცონარა ადგა და სახლი დაწვა (ქიზიყური).

მძულს დედალი ნაკრუხალი, მერე ბოლო დაგლეჯილი, კაცი კარში ჰოცინარი, შინ ჯალაბში დაღრეჯილი.

მწარე ნიორმა ერთი წელიწადი თავი შეინახაო.

მწარე-წიწაკა არ მოგაგონდესო.

მწევრის კუდი ას წელიწადს სამარეში იყო, ამოიღეს და ისევ მოკაცული იყოვო.

მწიფეს ესროდნენ და კვახე ცვიოდაო.

მწიხლავს წინ დაუდგებიან, მკბენარს უკანაო.

მწყერს ერთხელ ეღირსა ხეზე შეჯდომა და მაშინაც ტოტა მოუტყდაო.

მწყურვალის წამალი წყალიაო.

მკადი კარამდე, ქერი მთამდე. წმინდა პური გადავლამდეო.

მქედლო, განა ჩკინასა სპილენძი არ გაერევა: კაცსა თუ კაცის ჯავრი სპირს, მიზეზი არ დაეღევა.

მქედელს დანა ვინ მისცაო.

მჯობმა მჯობს რით აჯობაო და აღრე ადგომითაო.

მჯობნის მჯობნი არ დაიღევაო (მჯობს მჯობი არ დაეღევაო).

## 6

ნათქვამია კაცისაგან: კაცმა ჰირი დაშალაო, ჰირმა თავი არ დამალა და მით გამოაშკარაო.

ნავში მჯდომი, მენავეს ეჩხუბებოდაო.

ნათლიავ ჩემი თავი შენ თავს მიჩვენინან და შენი თავი სხვა-  
საო.

ნათქვამი არის ფშველზე: გული უძევს როგორც რკინაო, სიკე-  
დილი უჯობს სიცოცხლეს, მტერს არ გაუშვებს წინაო.

ნათხოვარი მოგიხდება, ისევ მალე გაგეხდებაო.

ნამგალთა მოღუპულობა რეგვენს მაცდომბა ღგონია. (ხევ).

ნამუსისათვის გამოვა უღვაშები და წვერია, რაც გინდა ელა-  
პარაკე თუ კაცსა არა სცხვენია.

ნარდი — ნარდი ბაზრულიაო.

ნარეცხის ნარეცხმა კუროს პერანგი გარეცხაო.

ნარი აშბავს წაიღებსო.

ნატკენს ეტკინოსო.

ნალველსა შაქრის გემოვო?

ნაყიდს გემო არა აქვსო.

ნაყოფისაგან იცნობა ხის ჭიშოო.

ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაუჩინჯებაო.

ნაჩუქარი ტალახიანი ჯობიც კარგიაო.

ნაცნობი ციებ-ცხელებაც კარგიაო (ქიზიყური).

ნახე, —სიყვარულის ძალამ სოვდაგარი ამუშავა (ერთ სოვდა-  
გარს შეჰყვარებოდა ერთი ლამაზი ქალი, ქალს მოეთხოვნა თუ ამ  
მთაზე წყალს გაიყვან და ბალ-ვენახს მოაშენებო, შენი მარჯვენით,  
გამოგყვებიო. სოვდაგარს ისე ძლიერათ ჰყვარებოდა, რომ რამდე-  
ნიმე ასეთ ძნელ დავალებისათვის ბოლო მოუღია და ქალიც ცო-  
ლათ გაჰყოლია).

ნახშირი ჩაიღე პირში არავინ შეგაშინოსო.

ნემსის ყუნწში გაძვრებაო.

ნეტა ვის გაუგონია, უქუხვრად დაკვრა მეხისა.

ნეტა ისეთი თხა ყოფილიყავ, რომ ტყუპი მოგეგოსო.

ნეტა რა არის მისთანა ქვეყანათაზე მზისთანა, საკმელ-სასამე-  
ლად პურ-ღვინო, სანელად — მარილისთანაო.

ნეტავ რა ზნე სჭირს სიკვდილსა, ვერ მიხვდა ჩემი გონება?  
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება.

ნეტავ დიღომში შამყოფა და დიღმელი არა მქნაო.

ნეტავი ასი დამკრა და ერთი მართალი მათქმევინაო.

ნეტავი ფაფა მაჭამა, ზედ ღვინო დამალეკინა, ქვაბი არ გა-  
მარეცხინა, ქვევრიც არ მომახდევინა.

ნეტავი ჩემო დედაო, დავბადებიყავ მე არა, ერთი სხვა დაგ-  
ბადებიყო, ჩემი სახისა კი არაო.

ნორმა თავის სიმყრალე შეიდ წელს შეინახაო.

ნორს უთქვამს: გიორგობის თვეს ჩამასწარ და თიბათვეს ამომასწარო.

ნისია ნახევარი სხვისია.

ნალვარი რომ ბარს გართმევდეს, მაშინაც უნდა მორწყო ყანაო.

ნონიანთ ხარი ხომ არავარ (ნონიანთა ერთი ხარის მეტი არა ჰყავდათ და აქეთ-იქით დაჰყავდათ ქირით, რომელსაც „ფეხის ქირა“ უწოდებდნენ. ზოგჯერ დღეში ოთხჯერ აქირავენდნენ სხვადასხვა კაცზე. მუშას რომ იქირაებდა ვინმე და სხვაც მიაკითხავდა მუშა ეტყოდა: ნონიანთ ხარი ხომ არა ვარ, რომ შენთანაც წამოვიდე და სხვასთანაცაო).

ნუ გაუტყდები მოყმეო, გაბევრებასა მტრისას, გავლა-გამოვლას ეცადე. რიგებას სოფლებიასა.

ნუ გეშინიან სიყვდილსა, გეშინოდეს სირცხვილისა.

ნუ დაენდობი სოფელსა, სოფელი ჰრელი გველია.

ნუ დაიკვებებ მაჰულსა ყველა ამინდის შვილია.

ნუ დაკარგავ ძველსა რჯულსა, ნურცა ძველსა მეგობარსა.

ნუგეში თავმოჭრილ კაცსაც ეთქმისო.

ნუ დასციინი სხვასაო, გადაგზდება თავსაო.

ნუ ენდობი მოსულსაო, ქალს დაგიტოვს ორსულსაო.

ნუ იამაყებ, თუნდ იყო ცხრა თავი ბაყბაყ მღვეიო.

ნუ მიენდობი ვაჟკაცსა, ტყეში შეჭრილი ჰველია, დილას მოგიფენს ენასა, საღამოს ჰრელი გველიაო.

ნუ მისდევ მტრისა ენასა, ცხენს შეგსმენ გაშტერებულსა, დაგიწვრილებენ მამულსა, კარი პირს გაბრტყელებულსა.

ნურა კაცი დაიკვებებს ქვეყანაზე მარტო მე ვარო, ისიც ისე გახდება როგორც ეხლა მე ვარო (საფლავის ეპიტაფია ხალხში ანდაზად ქცეული)<sup>1</sup>.

ნურც შემომფხან და არც შემოგფხანო.

ნუ ზცრუობ. ნუ ამპარტავენობ, ნუ ეთელები ქალთაო, გაქირდეს. გამოექცევი ამომღერებულ ხმალსაო.

ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.

ნუ ხარ ავი და ნუ გეშინიან ავისაო.

<sup>1</sup> მიქელაშვილ იორდანეს (სოფ. დილომში) სიტყობლეშივე დაწერა ეს ეპიტაფია.

ობობაც თავის საქმეზე ფიქრობსო.

ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი გამდიდრებასა, პატარა ცოლის პატრონი მოელის გადიდებასა.

ობოლი ვარ, ვზივარ ჩრდილსა, ველი ჭვისა ამოსვლასა, ნუ მამკლავ შავო სიკვდილო, შენი წვერის გამოსვლასაო, სახლში მიზის ბოზი ცოლი, ელის სულის ამოსვლასაო.

ობლის თვალი ხარბია, ვერა ძღებო.

ობლის მამა ღმერთიაო.

ობოლო ვის გაართყივო? ვინც კვერი დამიკრაო.

ობოლი ობლის მტერია, ქვეყანა იმათ მტერია.

ოთოთანთ ქორივით რა შინაურებს ემტერებო (ოთოთანთა ერთი სანადირო ქორი ყავდათ როცა ფრინველს მიუტევედნენ ის შინაურ ქათმებისაკენ მიფრინავდა და იმათ იტაცებდა. ამ ქორზე დარჩა ასეთი თქმა ხალხში: რა ოთოთაანთ ქორივით შინაურებს ემტერებო).

ოთურ დარეჯანსაო, გარეთ გამოსდგავს ჯარასაო. შინ რომ ყმაწვილს უტიროდეს, ჯარედან ეტყევის ნანასო.

ომი არ გაუქირდება შენი დედამისი შვილსაო.

ომიანობა ზოგს აშენებს, ზოგს გადააშენებს.

ომ უჩვეულსა ქაბუქსა ომი ჯვარობა ეგონა. ხმლის ცემა, ფარის ფარება ფარეკობა ეგონაო.

ომში ნაცადი ხმლისა იმედი გქონდეს სახლშიო.

ომში რა სჯობიანო და რაც ხელში მოგხვდებაო.

ორაგული წყალში ჩადეს და დასაჯესო (ქიზიყი).

ორთითი და ფიწალი მე ველარას ვისწავლი, გამიშვით შინ წავიდე, ოროველას ვისწავლი.

ორი შაურის მუშამ აჯობა მანეთიანსაო.

ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.

ორი ცხენი, ერთი კვიციო, ამის ვეტი აღარ ვიციო.

ორი ხანჯალი ერთ ქარქაშში არ ჩაეტევაო.

ორი წლის ქათამს უთქვამს: პატრონი აღარა მყავსო.

ორმა კაცმა რომ გითხრას ბრმა ხარო, უნდა დასჯერდეს

ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო.

ოროველა ხნავს გუთანსა, იპის შვილი ანეულსა.

ორშაურიან თავზე, ოცთუმნიანი ქულია.

ოსებმა ასე იციან: ქერს გამოხდიან ლუდათა, თხას სადმე მოიპარავენ გადააქცევენ გუდათა.

ოქრო პატარაა, მაგრამ ფასი დიდი აქვსო.

ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიაო.

ოქროს ყადრი ოქრომკედელმა იცისო.

ოხერი ცხენი, ოხერი ქერი.

ოჯახის სიმდიდრე იმით გაიზომება, თუ იქ ძალლი და კატა მსუქანიაო.

ოჯახობა ვისიაო, ვინც მოუვლის მისიაო.

## ქ

უამის ქირს ყველანი ემალებიანო.

უანგმა სთქვა: ვიდრე მე რკინა შევქამე, დარღმა გული უკვე ასჯერ მოინელაო.

## რ

რა გინდ რომ ქერქი შეიძროს, გველი აგრეთვე გველია.

რა დამიღე ხელზედაო, რა წაგისვა წვერზედაო.

რად უნდა ეხვეწებოდეს ბიჭი რეგვენი ქალსაო? წყეული არი დიაცი, გაიზვიადებს თავსაო.

რა ბუზიცა ბზუნს, ყველა თაფლს კი არ ინელებსო.

რა ზღვას დაუხერხივარ, რა ცვარსაო.

რამცა დაადა თხაო, მანაც დაუგრიხა რქაო.

რამდენსაც შიშმეთ მოიქცევი, იმდენათ წონაში მეტი მოხვალო.

რა მებადის ყური გამოიბიო?

რა მოსაკლავი გველივით თავი დაგიდვიაო?

რა მოკლავს ვაჟკაცის გულსა, ცუდი მეუღლის მეტიო.

რა ხახვია ბორჩალოშიო.

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

რასაც დასთეს იმას მოიმკიო.

რასაც ერთი ავი ქალი გაიწევს უღელი ხარი ვერ გაიწევსო (ქიზიყური).

რასაც ეძებდე იმას პოვებდეო.

რასაც ვერ შეწვდები იმას ნუ შეეწოდინებო.

რასაც ვირი აიკიდებს იმის როლიაო.

რასაც ვირი ეწეოდა, ორ იმდენს ვირის პატრონიო.



რასაც იტყვის მეგრელიო ხელთ არა აქვს იმტელიო.

რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც არ უზამსო.

რასაც შენ დაიხარჯები, ღმერთია გადამსდელიო.

რას ვაქნევ ვაეკაცს უგუნურსა უმნოს, ტოტყსა და ტლანქსაო.

რას მასწავლი სარქისაო, აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.

რას მეტყვი კარგო ნიშანო, რა კარგი დამეყრებო? წამყვანი ჩემის ცოლისა წინ ხომ არ შემეყრებო?

რა ქნას რომ არა ტიროდეს, შავი და ბნელი ქალიო, პირდაპირ ჩამოუჭდება სიკვდილის ფერი ქმარიო.

რაც არა ვშობე შვილი არ იყო, რაც არ გავზარდე—ყმაიო.

რაც არ გერგებო არ შემერგებო.

რაც არ მერგება არ შემერგება (ქიზიცი).

რაც ერგება შეერგებო.

რაცა ვკამე ძველათაო ჩამაშხამეს ხელათაო.

რაც აღხანა ის ჩალხანა.

რაც არ გეკითხებოდეს ნუ მოიკითხავო.

რაც გაჩნდება ის დარჩება.

რაც გეზარებოდეს ის გეძნელებოდესო.

რაც გინდოდეს სხვისთვისაო, მოგივიდეს თქმისთვისაო (ქიზიცი).

რაც თომა, ის თომააო.

რაც თხამ უყო თრიმლსა, ის თრიმლმა თხის ტყავსაო.

რაც კაცს ეჯავრება, ღორს ის იამებო.

რაც კაცმა თავის თავს უყო ქვეყანა მიდგა და ვერაუყოჩა (ქიზიცი).

რაც მამა, ისიც შვილიო, ხემ გამოისხა ხილიო.

რაც მამა, ის შვილიაო.

რაც მარტმა მომიტანა აპრილისაგანაც იმას ველიო.

რაც მოგივა დაეითაო, ყველა შენი თავითაო.

რაც გარჯუნოს ბედმა შენმა, დასჯერდი და დაჰყაბულდიო.

რაც მამა შვილიც იგიაო.

რაც პატრონი, ის საქონელიო.

რაც რომ მაქამე, სულ ჩამაშხამეო.

რაც შენი ორი ყურით არ გაგიგონია, ნუ იტყვიო.

რაც ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო.

რა ციხე მაგარიაო.

რაც უქნია პაპაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა.

რაც ფხიზელს ფიქრში აქვს, ის შთვრალს ენაზეო.

რაც ხეაო, ნათობიც იგივეაო.

რა ჯილაც მშობლებს დაადგი, იმ ჯილას შვილი დაგადგამსო.

რეგვენი ბრძენთა ბრძენია, რაშიაც გამოცდილია.

რეგვენი საქმეს წაახდენს და ფათერაკს დააბრალებსო.

რიგი მიდის, რიგი მოდის ვერ ხედავ სოფლის წერასაო?

რკინა იწრთობა ცეცხლითა, კაცი კი გაქირვებითა.

რიყეზე ქვა ვერ იპოვნაო.

რკინა რკინით დაიქრება, კაცი — კაცითაო.

რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამსო.

რკინას ჟანგი სქამს, კაცის გულს დარდიო.

როგორც ალაგო, ისეთი ალაბიო (ერთმა ჩერქეზმა დაიჭირა ერთი ვაჟარი: მისცა თავისი გრძელი ჯოხი და უთხრა: გინდა თუ არა ამით ამიზომეო. მეტი ჩარა არ იყო, ვაჟარმა მიუზნომა და თანაც ბურტყუნებდა: როგორიც ალაგო, ისეთი ალაბიო).

როგორიც ალხანა ისეთი ჩალხანა.

როგორიც ერი ისეთი ბერიო.

როგორიც მღვდელი ისეთი ერიო.

როგორიც პირმარხვა, ისეთი დიდმარხვაო.

როგორიც ტყე იყო ისეთი ნადირი გამოდიოდაო.

როგორიც ხარ ქარხანაო, ისეთი გყავს თარხანაო.

როგორ გოდორსაც დასწნავ, ისეთ გოდორში ჩაჭლებიო.

როგორც გიწირავს, ისე სწირეო.

როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო.

როგორც დამიკრავ ფანდურსა ისევე დაგიროკლები.

როგორც დამიკვრენ ჩონგურსა, მეც ისე აყვებიო.

როგორც თვალი შორს ისე გული შორს.

როგორც მოხვალ ინაო, ისე წახვალ შინაო.

როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო.

რომელ თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინებაო.

რომელი მგელიც მე არ შემეკამს, დიდხანს იცოცხლებსო.

რომელი მთის იმედი მქონდა ემანაც ფეხნი გამაზრობინაო.

რომელ ქვეყანაშიაც მიხვიდე იქაური ქუდი დაიხურეო.

რომში პაპა ვერა ვნახე და თბილისში აბანოეო.

როსტომ სთქვა: გაგონილი ნახვისთანა რა იქნებაო.

როსტომ სთქვა: დღეიჲც კრულია დაბადებისა ჩემისა, რაც რა მე გამოვიზარდე, დღე ვერა ვნახე ლხენისა, სიყმე სიბერედ ვაქციე.

გაქრა სინათლე ჩინისა, ვერც გული გავალხინე-რა, ულელი მედგარკინისა.

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჭირითი შემოვინარე, მეზობლის შაძულებასა ისევ დათმობა ვირჩიე.

როსტომ სთქვა: ეს სოფელი კაცს ხელში გაუქანდება, ვინცა სთქვა ახლა მე დამრჩა, არც იმას გაუთავდება.

როსტომ სთქვა: ერთი არა სჯობს, ამ ჩემსა მოგონებასა, ერთ-ხელ სჯობიან სიკვდილი სულ მუდამ დაღონებასა.

როსტომ სთქვა: თუკი შეისმენთ, სიტყვა ეს არი მართალი, დატყვევებასა მტრისასა დაწოლა უნდა, გან ძილი?!

როსტომ სთქვა: იმ მთას, ამ მთასა, ხელს მოვკრამ, ერთად თავს უზამ. ათას ლიტრასა რკინასა კბილსა მოუქურ ყლაპს უზამ. ადიდებულსა არაგვსა დავაყენებ და ყლაპს უზამ. თავადებულსა დიაცსა გაუშვებ ველარას უზამ.

როსტომ სთქვა: ჭკუა დიაცისა არც მომწონს არც მეკეთება, კაცსა დიაცის მჭერესა სამარემც დეეკეთება, ჯერ ხომ შენია დიაცი, მერე სხვას გეეკეთება.

როსტომ სთქვა: მიწა გრილია, სიტყვას არ უნდა გრილობა, კაცი რო საქმეში იყოს, გარჯა უნდა და ცდილობა.

როსტომ სთქვა: სამი ქართული ჩინეთის ქვაზე სწერია. ვიზეც დაეთესე სიკეთე ის უფრო ჩემი მტერია.

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაქირდა, წადით და ჰკითხეთ დიაცვანს, როსტომის ხმალსა რა სჭირდა, კურტნიან აქლემს ჩამოჰკრა, ცხრა აღლ მიწასა სხვას სჭრიდა.

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაქირდა, ჯაჭვი პერანგად გავცვითე, ეხლა აღუბაც გაქირდა.

როსტომ სთქვა: სიბერკაცითა სიტყვას არ უნდა რბილობა, თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.

როცა არ გყავს გულისა, თავს ვერ მოიკლავ რეგვენო.

როცა დაეკაცდი, ჭკუას მაშინ ავცდიო.

როცა ვნახავ ალოსათ, მაშინ გავლეწამ კალოსათ.

როცა კურდღლობა მომინდება, ჩემს მწევარს სახლში ყოფნა მოუნდებაო.

როცა პური არ არის მკადი უნდა სჭამო.

როცა ჩაკრა ცულმა ქვასა, მაშინ ჩახედა გულის ხმასა.

როცა ჯონი არა გვაქვს, ძალდი ლუკით მოიგერიო.

რძალ დედამთილის ჯიბრითა სახლი აივსო ნავეითა.

რძალზე იტყვიან: ვაი მე და სხვაო (ვითომდა თუ ის რძალი მოკვდა, სხვას მოვიყვანათ).

რძალო, დედამთილი გიჩივისო, — რას მიჩივის ის სულდადლიო, — აი სწორედ მაგას გიჩივისო.

რწყილს ნესტარი გაარტყესო და ჰირათაც ეს ეყო და ლხინათაცაო.

რწყილს ნესტარი ჰკრეს და შეტიც არ უნდოდაო.

### ჰ

პაპიროსისა წვევითა შენ ვერ გადივლი მთასაო. პაპიროსი რომ მიყვარდეს ბუზარში წაყოფ თავსაო.

პატარა არის ბეწვი, მაგრამ კაცს გულს აუჩრევსო.

პატარა კაციც ხედავს დიდ სიზმარსო.

პატარა მერცხლის კლანჭითა არწივი არ დაიჭირვის. თუ კაცსა ბედი არა აქვს, ტყუილად საქმეს იჭირვის.

პატარავ მთის კიპყინაო, გულზე მეღიტიწებო. ერთი რომ კალდეე შეგქამო, კიდეც მემყოფინებო.

პატარა ტოროლა დიდი ტოროლას ატყუებდაო.

პატარძალი ტყუოდა ისევ თვითონ ბზუოდა (ქიზიცი)

პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და ბაკი ბრუდუაო.

პატარძალს ფაფის ქაჩა უყვარდა და ქვაბის გარეცხვა ეჭავრებოდა (ქიზიცი).

პატარძალს უთქვამს, ჩემი შენ და შენი მეო.

პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო.

პატივს ნურც მოითხოვ და ნურც დაითხოვო.

პატრონს გამარჯვებაში, მუშას მშვიდობაშიო.

პატრონმა როგორც გითხრას ვირი ისე დააბიო.

პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონებაო, მესამე ვირზე შეჯლომა, მეოთხე გაჰქნებაო.

პირდაუბანელი და ძმასაც არ ეჩვენებაო.

პირველი ხელი ეშმაკისაო.

პირი პირია, განა ქვაბის ძირიაო.

პირის გამთავსებელი ძმაზე უკეთესიაო.

პირს პირისა სცხვენინანო (ქიზიცი).

პირობა კაცს ცოლს წაართმევსო:

პირში ღუპა, ზურგზე დანაო.

პირში მქებელი კაცი არ დაინდობს.

პირში მქებელი ეშმაკის მოციქულიაო.

პურადი კაცი მამაცზე სამი გაფრენით მეტია.

პურადი კაცის ჭირიმე, შორითავე გაეცინება, სტუმარ რომ კარზე მიუვა, სიცილით გაელმონება. ცუდია უპურადობა, არ მაქვის დაიჩივლება. (ხევსურული).

პურა ძვირს ერთი პური მეტი ეხარჯებოდაო (ქიზიყი).

პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტია.

პურა ძვირას მარილი მეტი წაუვაო.

პური და ღვინო ძველი სჯობს, ტანისამოსი ახალი.

პური და ღვინო ძველი სჯობს, ტანისამოსი ახალი; არ ვარგა კაცი უნიჰო, ამაყი, გული მაღალი.

პური ვჭამე და წყალი ვსვი, ეხლა ვომეცა ხალისიო.

პური მშობლეს ვერ ვიტყვი დედინაცვლისა შიშითა, წამოხტების და თმას დამგლეჯს პირს ამოგვივსებს ქვიშითა.

პურის მცხოვრების მოსამსახურე და ძალი მშვივრები დარჩნენო.

პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისაო.

პურის ჭამის დროს ძალიც გაჩერდებო.

პურ-მარილი ბატონსაც კი ყმათ გახდისო.

პურ-მარილის დასწავლა ქვაჰაც იცისო.

პურმა მოქვა: მე პირს არ მოვძებნი, თუ თვითონ არ მომქებნაო.

პურს ქადაში ვერ არჩევსო.

პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო, არ ვიცი არა სწადიანთ, არ ვიცი არ იციანო.

პწკენა-პწკენაში პატარძალი დაორსულდაო.

## ს

საბედამ ამოიოხრა გული თან ამოაყოლა.

საბძელი თუ გეწოდეს ხელები მოითბეო.

სადაური სადა კვდება, სად უთხრიან სამარესა.

სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ჟეხი შენი.

სადაც არ იყოს, ცოტაც კმარიყოს.

სადაც დავეკარ იქ არ გასკდაო.

სადაც ერდო მაღალია, იმის იყო მაყარო.  
სადაც იყოს ბედი შენი, მიგიყვანოს ფეხმა შენმა.  
სადაც მზე არ შედის — იქ ექიმი ხშირად შედისო.  
სადაც რამე კეთდება, იქ რაღაცა ფუჭდებაო.  
სადაც სიკვდილი გიწერვის ფეხნიმც იქ მიგიყვანენო.  
სადაც ჩიტი გაიზრდება, იმის ბაღდადიც ის არისო.  
სადაც ძალა შევა, სამართალი ბანიდან ავაგო.  
სადა ხარ ღობევ დაბალო, გადაუყვე გადავიარო.  
სად დავკარ და სად გასკდაო.  
სად ვესროლე და სად მოხვდაო.

სადაც ვშობილვარ გაგზრდილვარ ჩემი სამშობლო ის არის.  
საიდან კულ ილლიასაო.

საიდან სადაო, წმინდა საბაო.

საიქიოს ერთად წავალთ, ცოლიანი და უცოლოვო.

სათვალავში რვანიო, ოცდახუთი ბრმანიო.

საკოცნელ პირს საფურთხებელს გაიხდისო.

სამართალმა პური ჭამაო.

სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტყინებაო.

სამართლით მოქრილი ხელი არ მეტყინებაო.

სამგლე გოქივით ატყდაო.

სამ დღემდისა სამმა იცის, სამდღის იქით ცხრა მთამ იცის.

სამი დღის ხბო წყალზე მივაო.

სამი ღორის ნახარწიო, მამაშენის ხახაშიო (ებრაელებმა იციან).

სამ ძმას ერთი ცხენი ჰყავდათ და ყველას დასვენებული ეგონაო.

სანამ თონე ცხელია, ლავაში ჩააკარო.

სანამ თონე ცხელია, პური გამოაცხევე: განელდება — აღარ გაშოაცხობსო.

სანამ მწარეს არა ნახამ ტკბილის გემოს ვერ გაიგებო (ქიზიყური).

სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო.

სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ შოაწოებენო.

სანამ ხმალი მოვიდოდა ენამ სისხლი დაღვარაო.

სანახევრო ყანა თაგვმა შეჭამაო.

სანახევრო ხორბალს ან ჩიტს შესუქავს ან ქივიქავს.  
 სანთელ საკმელი გზას არ დაჰკარგავსო.  
 საოხროდან აღებული სატილოზე დაადგო.  
 სართი დასწრებისაო.  
 სართი მოგებისაო.  
 სატილოდან აიღებს, საოხროზე დაადებსო.  
 საქონელი პატრონს ეგვანებაო.  
 საქონლის ღმერთი კაცაო.  
 საღამოთი მოიმატებს კაი მუშა და მხნე ხარი, გადაბრუნდება  
 მოკვდება გადანაწინეული მქლე ხარი.  
 საყდრიდან მე ვოვდივარ და წყალობას შენ მეუბნებიო.  
 საყდრის კარი ღია იყო და ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო.  
 საშოვარი კარგია, საშოვარი ძვირფასიაო.  
 საცა არ გერგება, არც შეგერგებაო.  
 საცა არ გეხარჯებოდეს ლხინს ნურა გირჩევიანრა.  
 საცა არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მამაციისაგან.  
 საცა არა მქამს იქა მფხანსო (ქიზიყი).  
 საცა ბოლი მალაღა, ის იმისა მყარია.  
 საწყალი კაცის აფთიაქი მიკიტნის ღუქანიო.  
 საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღება ღამეს ღვინოსა, პური  
 ქვამს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.  
 საწყალ კაცსა ბეჩავი გული აქვსო.  
 საწყალ კაცს ერთი დღე შეხვდა ისიც ავდრიანიო.  
 საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო.  
 საწყალ კაცსა ღმერთი არ დაჰკარგავსო.  
 საწყალ კაცსაც ცოტა ყოფნიდაო (ეყოფაო).  
 საწყალი კაცი ნატვრაშიაც საწყალია (ქიზიყი).  
 საქმელი ერთი დღისაო, სახელი ასი დღისაო.  
 სახელადაც ეყოფა და სახრავათაცო.  
 სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიანო.  
 სახელი სჯობს ქონებასა და უფლება მონობასა.  
 სახელი ჩემია, სახრავი სხვისა (ქიზიყი).  
 სახელი სჯობს ქონებასა, ვფოცავ შამის ცხონებასა.  
 სახელოვანი სიკვდილი შამაცთა სანატრელია.

სახლო გამწვევებს ჭურჭელი, ჭურჭელო ღვინიანობა, ქალო და რძალო სიტურფე ერთურთში გემრიელობა.

სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო.

სახარე ხბოს სასკორაეზე ეტყობაო.

სახლი დანგრეულიყო და მუხას ეკითხა: ჩენი ძმები იქ იყვნენო? — არაო. — იმიტომ დანგრეულაო.

სახლი მოითხოვსო.

სახლის პატრონს მარილი მეტი ეხარჯებოდა.

სახლო არ დაიშლებოდე, ცოლო არ გათხოვდებოდეო.

სელის დათესვაზე რაც ითქვა, მოგლუჯაზეც ის ითქვაო.

სესხი და ვალი არ დაბერდებო.

სეავი კისერზე მოიზომავს და ძვალს ისე გადაყლაპავსო.

სეავმა მოზომა და ისე ჩაყლაპაო.

სეინდისიც კი სქონელიაო.

სეავეს სიტყბო სჯობიანო.

სიბერე როსტომსაც შორევიაო.

სიბერე ძნელი ყოფილა, სიბი ქვას აეწონება, დაჯდება, ველარადგება, არგანზე დაეწონება, რაც უნდა კარგი სიტყვა თქვას, არავის მოეწონება.

სიბერემდი სიქაჩლე გეწეროსო.

სიბერეს სირეგენემდე შიპყავს ადამიანო.

სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიო.

სიზმარი — სიბერკაცამდეო.

სიკვდილამდის ერთი ღრო არავის შერჩენიაო.

სიკვდილი და სიცოცხლე ამხანაგები არიანო.

სიკვდილივ განა კითხვით მაგივავ (ხევსურული).

სიკვდილის ღროს გველიც კბენას ეცდებო.

სიკვდილმა თქვა: ისე არავინ მოკვდება რომ ბრალი მე არ დამღონო.

სიკვდილს გინდ მტერებიყავი და გინდ ფერებიყავი (ხევსურული).

სიკვდილს ვაძლიე ქრთამები, თუ კი რამ მებადებოდა, არ დაიჯერა, მე მამკლა, არვიც რას მემართლებოდა.

სიკვდილს სიმაგრის მეტი არა გამოადგებარაო.

სიკვდილმა უთხრა: შვილს მოგიკლავო — მჯერა შენი ჭკუისაგანაო.

სიკვდილმა ქრთამი არ იცის, არცა დიდკაცის შვილობა, ვისაც მოასწრებს წაიღებს, როგორც წისქვილმა პირობა.

სიმართლე არ დაიკარგებო.



სიმართლე ზღვაში რომ გადაავდო არ დაიკარგებაო.

სიმართლე შვილის შვილამდენაო.

სიმართლე ჭანის სისაღვა. (ქიზ).

სიმართლის ნერგი იხარებს, დადო. თუნდ სიპსა ქვაზედა.

სიმიინდის ქურდს ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს თავი წააგდე-  
ბინეო.

სიმძიმე ქვასაც ამშვენებსო.

სირცხვილი მომადგა და სიკვდილი მანატრაო.

სირცხვილს უფრთხილდი ვაჟკაცო, არ მოგიხაროს კისერი.

სირცხვილს სიკვდილი ბევრჯერ სჯობიანო.

სირცხვილისათვის გამოვა უღვაში, თმა და წვერია. დახარჯავ  
წამუსახთენინა, ვინ არის გადამყრელიო?

სისირი და ბაკლაო, გაბრიელ მაჰსახლისმა პირუბანში კაცი  
დაკლაო.

სისხლი სისხლით არ დაიბანებაო.

სისხლი წყლით უნდა დაიბანოსო.

სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო.

სიტყვას ბანზე ამიგდებსო.

სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაო.

სიტყვას ბაჟი არა აქვსო.

სიტყვა უსაქმით მკვდარიო.

სიფთა უენი, ბარაქა ხეთისა.

სიფიცხე ვოუთმენლობა, სუყველგან დასაგმობია.

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

სიღარიბემ ფარჩის კაბა გამაცვეთინაო.

სიღნდი ისე როგორ დადაბლდება, რო საქათმის სიმაღლე  
აღარ იყოს (ქიზ).

სიყვარული ბრმაო.

სიყვარულმა სირცხვილი არ იცისო.

სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარევსა, თუ  
გამუღვენდა გლოვა უნდა, როგორც გულის საყვარულსა.

სიჩქარეს ნურა გიჩჩენიარა.

სიცილი გადამდებიაო.

სიცოცხლეს ვერსად იშოვნე ცაჰდის რომ აყო ხელია.

სიცოცხლე ცეცხლსა მიაგავს: მისი დასაწყისი ალია და დასას-  
რული ნაცარი.

სიძე რომ სიმამრისას ჩავა ლობის მარგილებიც გაიხარებენო.

სიძეო, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგიყვარდებიო.

სიძეო ცოლეურთასა გამჩინაობა გინდაო, დიდთანა და პატარასთან ჩოქვით სალამი გინდაო.

სიწუნარე გვობილი სჯობს, სიჩქარესა ქებულსა.

სიხარბე კაცს ქკუას წაართმევსო.

სიხარბემ რა ნახა — ყველა დაკარგაო.

სვა უმღერალი არ ვარგა, ვაუკაცი დაუთრობელი, არც ქალი. ვარგა გამწევი, სიტყვის ხმა-მალლა მთხრობელი.

სმა-ქამაზე კაცს გველიც არ უკბენსო.

სმა-ქამამ ორად კი არ მაქცია, მაგრამ პირველს კი დამამჯობინა (ქიზიყური).

სოკო თავის ამინდს მოჰყავსო.

სოფელზე გატყავებულმა მელამ ჩამოირბინა და ზედსიძე კაცსა ხომ ვჯობივარო.

სოფელი ვინ? — ერთი კაციო.

სოფელი ერთ დღეს არ აშენებულაო.

სოფლისა თავსა ვესახლე, არა სოფელი ჩემს თავსა, სოფელს კი ვეთავსებოდი, სოფელი მე არ მეთვისა.

სოფლის ბოლოს რომ მიხვიდე, სოფლის ამბავი ბავშვსა კითხეო.

სოფლის გზა რომ არ იცოდე ბავშვსა კითხეო.

სოფელ კოტაანში სამი კაცია და ოცდა ათი მოურავიო (ქიზიყური).

სოფელო მიეთ-მოეთო, საბრუნავისა მახეო! ზოგსა ცათამდის აიყვან, ზოგსა უკულმა დახეო.

სოფელს რა მხარეც უნახე, სუყველა მხარე ქრელია, ძმაცა ვცან და ძმობილიცა ფეხებ ქვეშ მიწისმთხრელია.

სოფელში ვიყავ და ღვინოს სათითო მასმევდნენო.

სუსტ ხიდზედაც გინდ რბოლით შამხარხარიც გინდ კოცნითაც მაი ჩატყდებავ (ხევსურული).

სტუმარი მიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არცერთი.

სტუმარი, მოვა და წავა, სახლსა ბარაქა დარჩება.

სტუმარი სტუმარს ეპატიეებოდა, მასპინძელი არც ერთსაო.

სტუმარი რომ ბჰედ დაჭდება, საქმე მაშინ გაფუქდებაო.

სტუმარს საბაბით მასპინძელი გამოძღაო.

სტუმარს სტუმარი სძულდა მასპინძელს ორთავენიო.

სუ არარაობას ცხრა უღელი ხარიც კარგიაო.

სულგრძელობა კაცური კაცობა არისო.

სულელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო.

სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო.

სულელს ჰკუა კბილებში აქვსო.

სული კბილით მიჰირავსო.

სული სიცოცხლეა და ხორცი მისი სამოსიო.

სული სულსა სცნობსო.

სული ტკბილიაო.

სულ მოკლე კაცი უჭკუოს მონახავსო.

სულ რომ ვილაპარაკო, დამიძახებენ ყბედსაო. თავად მენა ვარ სულელი, ნულა ვაგიჟებ სხვებსაო.

სულ რომ სახლი ვაშენო, ვაშენო, შიგ როდისღა დავდგეო.

სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო.

სხვა ისე არ შესწუხდება შენი თავისთვის, როგორც შენ შენი თავისათვისაო.

სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

სხვათა სიკვდილმა გვერდით ჩამიარა, შევლის სიკვდილმა გულზე გადამიარა.

სხვისა გული ხალვათია (სხვა ისე არ შეწუხდება შენ თავისთვის, როგორც შენ შენი თავისთვისაო).

სხვისა სანთელ-საკმელო, ჩემი კვდარი აცხონეო.

სხვისას ფეხს გასჰიმავენო.

სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო.

სხვისთვის უღელი ნუ გშურს, რომ შენ ყევარი გყავდესო.

სხვისი გიჟი სასაცილოა, თავისი კი სამარცხვინო.

სხვის თვალში ბეწვს ეძებდა და მის თვალში ედვა ღირეო.

სხვისა იმედით მდინარეში არ უნდა შეხვიდეო.

სხვისი იმედით ფართო ლოგინს ნუ დაიგებო.

სხვისი ხელით ნარს ნუ გლიჯავო.

სხვისი ქირი, ლობეს ჩხირი.

სხვის შვილს აჰამე და შენ შვილს შეერგებაო.

სხვილათ მონაფოტე, ხშირად ტყეში დარბოდაო.

სჯობს მართლის თქმა მუდამა, ტყუილის მოგონებასა.

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.

## ო

ტარნინა-ნინაო, ბატი მიგვეყავს შინაო.

ტარანა თვლით არ არისო?

ტაში კეკე, ბანი მართა, თამაშობა გაიმართა.

ტაში, ქა, ჩვენი რძალი თამაშობსო! (ერთხელ ლხინში ერთი ახალი პატარძალი თამაშობდა, დაინახა დედაპთილმა და სინჯარულით გადასძახა მაყურებელს: „ტაში, ქა, ჩვენი რძალი თამაშობსო!“).

ტაშტი გატყდა ხმა გავარდა.

ტახი იგრე არ გახდება რომ ქეჩოში სიმსუქნე გამოელიოსო (ქიზიყური).

ტერტერ, ცოლს გრთავენო და ინი პიტო (მეც ეგ მინდაო).

ტირილითა და გლოვითა, მტერნი არ შეგვიბრალევენ, სადაც რო დაგვეწვიან, დღე იყოს დაგვიღამებენ.

ტირილით მკვდარა არ დაიმარხებაო.

ტირილი ჩვენი ფარი და ხმალიაო (ქალს უთქვამს).

ტიტველი ცხრად გაცარცვესო.

ტბილი ენით მთას ირემი მოიწველაო.

ტბილი ლუკმა ბოლოსათვის შეინახებაო.

ტბილმა ენამ, კარგმა სიტყვამ, ხმალი უკანვე ჩააგო.

ტოლმა ტოლს რითი აჯობაო და ადრე ცოლის შერთვითაო.

ტრქატორი გინდ ძველი იყოს გინდ ახალი თუკი გამოიმხნავსო.

ტურა მგელი და მელია, ერთ გზას არიან მავალიო.

ტყუილი კაცს შეარცხვენსო.

ტყუილის ენით კაცი როდი უნდა მოტყუვდესო.

ტყუილის თქმასაც მოხერხება უნდაო.

ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ უჯერებენო.

ტყუილად ჯდომას ტყუილად შრომა სჯობიანო.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალვო.

## უ

უარესზედ უარესი არ დაიღვეაო.

უბაღლო და უძაღლო ოჯახი დაყრუებულიაო.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევა.  
უბედურის ნაზოგვარი ბედნიერმა მოიხმარაო.  
უბედურს ხარი მოუკვდება, ბედნიერს ცოლიო.  
უბედურმა კოკნა, კოკნა, ბედნიერმა კი შეკოკნა.  
უგვარო ცხენსაო ნუ აკმევ ქერსაო.  
უგვანო ბუნებისაგან ქმნა, ნურა გიკვირს ნურასი.  
უდრო-უდროთ ტირილი კვდარს ფეხებს გააქნევიწებს (ქიზა-  
ყური.)

უეკლოდ ვარდი ვის მოუწყვეტიაო.  
უვირისთაოდ ქორწილი არ იქნებაო.  
უთავბოლო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევიწებსო.  
უთქმელი მთქმელი მთქმელმა შექამაო.  
უეკლო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდება.  
უუულო ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერი-  
ებლაო.

უნაკირი ვიშოვნე, ცხენი ვერ ვიშოვე, ცხენი ვიშოვე და უნა-  
გირი ვერაო.

უნათესაო გაღმა ჯაგიც არ არისო.  
უნამუსო ვირზე შესვეს და — „აცე ვირო“ დაიძახაო.  
უნამუსო ვირზე შესვეს, ფეხებს ატლაკუნებადაო.  
უნახავემა რა ნახაო, ცხრა მთა გადალახაო.

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენო.

უპატრონო ცხვარი ზამთარშიაც იკრიკებდაო.

უპატრონო ცხვარს მგელი ეპატრონებოდაო.

უპერანგოს საკინძეს აგლეჯავდნენო.

უპიროსა, უძიროსა ზღვასაც ძილი აქვსო.

უპუროთა და უღვინოთ ჟამი არასდროს იწირვისა.

უპურო ქვეყანაში ქერი პურად მოიშეება.

ურგები შვილი წყალსაო.

ურემი გადაბრუნდა და პატარავ სადა ხარო. (ქიზიყური).

ურემი რომ კრიალს დაიწყებს, საპნის წასმა უნდაო.

ურემი მძიმეა მაგრამ ტვირთს ამსუბუქებსო.

ურემი რომ გადაბრუნდება გზა მაშინ გამოჩნდებაო.

ურემმა რომ შეშა არ მოიტანოს, თვითონ შეშა არ არისო?

ურემს ბევრ რომ დაუდებ, ისიც კრიალს დაიწყებსო.

ურემს რომ ძალა დაადგება, კრიალს დაიწყებსო.

ურემო ფერას მალაღ, სუნდი გიყრია გიშრისა, გადადი გა-  
დაამტკრიე, რომელი ბოლოც გიშლისა.

ურჯულომ დაიფიცა, რჯულიანმა დაიჭერაო.

უსაპართლოდ შეტენილი კაცს არ შეერგებო.

უსაქმო კაცისათვის მუღამ ეამს უქმიაო.

უსენიღისოს უთხრეს ფურთხის ღირსი ხარო და — მომაფურ-  
თხეთ რა, მეც ავიწევ კალთას და ჩამოვიწმენდავო.

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურ-  
ცხვდება.

უსწავლელი გონიერი, მიჯაქვეული ლომიაო.

უფასო მუშას პური არ დაეყვედრებო.

უქალო ქვეყანაში ვირსა პირმთვარისას ეძახდნენო.

უქონლობამ ქამსა-ატლასი გამაცვეთინაო.

უქონელი კაცი, ქვაზე მაგარიო.

უღონობია ღონემა პატარძალთან დამაძინაო.

უშვილო და პურაძვირი, მის დღეში არ ცხონდებაო.

უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურ შვილის ყოლასა.

უჩვევს ნუ დააჩვევ და ნაჩვევს ნუ გადააჩვევო.

უჩინარი მტერი გამოჩენილზე უარესია.

უძალო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო.

უძმო ქალსა ისე არა სღევს პატივი, როგორც საქარავნო  
გზასაო.

უწინ ბებერს მიართვი, ის უფრო სულწასულია.

უკუო კაცს ცოტა გაუკვირდებაო.

უკუო კაცის სიკეთე ვაი რა ცარიელია.

უხეირო არწივი დაჯდომის დროს აფრინდებაო.

უხეირო ბუზი ფილტვს დააჯდებაო.

უხეირო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდებაო.

უხეირო მეხრესა შორიდან მობრუნება ურჩევნიაო.

უხეირო ყველაფერში საწყალია.

უჯიმოსაგან ჯიშინი არ ნახულა, არ იქნება.

უჯიმო ცოლს ნუ მოიყვან, თორემ შვილიც უჯიმო გეყოლე-  
ბა, ჯიშინი — ბრმა, კოკლიც რომ იყოს, კოკლისა ფეხიანი შვილა  
გეყოლება და ბრმისა კი თვალებიანი.

## ფ

ფათერაკს თვალი არ უჩანსო.

ფანცი-ფუნცი გაცვლება და შავი ქაში დარჩებაო.

ფარა რომ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევასო.

ფაფა ხასამდენა, მახუხი კართამდენაო, იფქლის პური მთამდენა, ქერისა გადავლამდენაო.

ფაფაში თითი ჩამიკარო? (მე რა დაგიშავეო?).

ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო.

ფაფით შეშინებული ქარს უბერავდაო.

ფერი ლალისაო და გემო წყალისაო.

ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსა.

ფერი-ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერესო.

ფერიცვალობა დღესაო ქარი არ ანძრევს ხესაო.

ფენიანის დაჭერა სჯობს, თორემ უფეხო ხომ არსად წავაგო-  
(ფენიანს დაეშურე, თორემ უფეხო სად წავაო).

ფეხზე ცხვარი აბიას (მოხუცებულთა და ძლივს დადის) ე. ი. სასიკვდილოაო.

ფეხი თბილად, თავი ცივათაო (ბავშვის აღზრდაზეა ნათქვამი).

ფენმძივე ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო.

ფიქრი არ არის გურჯისა, წამოიკიდებს ხურჯინსა.

ფიცი ვწამს ბოლო მაკვირებსო.

ფლავი ვის უდგა და იშტა ვის აქვსო.

ფრთხილი ნადირი, ოთხი ფეხით გაებმისაო.

ფული ფულთან მიდისო.

ფური მოკვდა ხანულობა გადავარდაო.

ფური ნახე, საწველელი ისე ითხოვე.

ფურმა იწველა, იწველა, წიხლი ჰკრა და დაღვარაო.

ფუტკარი თუ ბზუის — თათლს აგროვებს, თუ ჩუმათ არის.  
და მაზედ ფიქრობსო.

ფუტკარი რომ ასი ძირი გყავდეს, ერთი, ერთი სთქვიო. ერთი  
გყავდეს და ასი სთქვიო.

ფუტკრისა და კიანკველის შრომა კაცსაც კეუას ასწავლისო.  
ფუყე, უსახო კაცისა, მოკლედ აღწერა ძნელია.  
ფუქი კაკალი არც ყვეს არგია, არც კაცსაო.  
ფხიტურზე მოგაგონდება გუდამაყრული ხინკალი.

## ქ

ქათამა სთქვა: მარილს — ფოფოდის მეტი ვერავინ მომასწორებსო.

ქათამა ჩხრიკა, ჩხრიკა, თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო (ქიზიყური).

ქათამა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო.

ქათმისა მიყვარს ყვილი, მალლიდან გადმოფრენაო, მხარკურტუმ კისერ-ბარკალი, ცოტა რამ საწიწქნელაო (უთქვამს პატარძალს).

ქათმის მოჩივანს, ინდაური კალთაში უნდა გყავდესო.

ქათმის ქურდობას ცხენის ქურდობა სჯობიანო.

ქალაქამდის თხის ტყავი თხაზე მძიმე გახდაო.

ქალი არ ვარგა ქმარბოში, ვაჟი სოფელში მკვებხარი, გაუპირდება დადგება, როგორც უღელში მქლე ხარი.

ქალ-ვაჟთა მდომიარეთა ხალხი ბრმა-ყრუი ჰგონია. ის არ იციან საწყალთა, კედელსაც თვალი ჰქონია.

ქალი თმიანი, მწვადი ცვრიანი.

ქალი იცინის, როცა შეუძლიან, მხოლოდ სტირის როცა კი მოესურვებაო.

ქალი მოჩახვი, ვაჟი ხასი, ორივე კი ქვეყნის ფასი.

ქალი რომ დაიკოყრება შინ აღარ უნდა ბრუნებაო.

ქალი რომ შემოგეყაროს, აარიდეო თვალიო, ნდომას ნუ შეატყობინებ შეეწონება თავიო.

ქალის სიყვარულით ღობეს ეხვეოდაო.

ქალი სხვისი საქონელიაო.

ქალი ქებით გათხოვდება და რძალი ვის უნახავს კარგიო.

ქალო, ქმარს რატომ არ ირთავ, არ გასაზრდელიო რას ელიო.

ქალი ქმრითა, ცხვარი მთითა.

ქალი ქმრისა მწუნებელი ბევრისკენ გააქანებს გულსა. ბევრი გაულამაზდება. ბევრი ბიჭი მოატყუებს, ბევრიც გააცინებს გულსა.

ქალი ქმარს სწუნობდა იყო იმის ამარაო.



ქალი შუბლი გახსნილიო და კაცი შუბლ შეკრულიო.

ქალმა ჰკითხა მეცხვარეს: ეგრე რამ დაგაბერაო?—ნიადავ  
ჯოხზე დგომამა, ფარების ყოლებამაო.

ქალო რას გამოგადგება მონადირისა ცოლობა, დაეგლო თბი-  
ლი ლოგინი ნისლიან მთასა სწოლოდა.

ქალ ქებით გათხუებულო, ვამისაო და ძმისაო, ორისავ დაწუ-  
ნებულო, მაზლისაო და ქმრისაო.

ქალო ქმარს შეუპატიე, ლაშქრობა ჩამოვარდება, ძნელია  
უსუსურობა, გზაზე სად დაგივარდება.

ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა საპირეო.

ქალს რო უთხრა და-ძმობა, ის უკეთესი და არი, თუ ისიც არ  
დაგინდია, ის ჯოჯოხეთი ვზად არი.

ქალს ვინც უპატრონებს იმისაო.

ქალს თმა გრძელი და ქკუა თხელიაო.

ქალს რომ ქმარი მოუნდება, შინ ქალაბთ გაუაუდებაო.

ქალს ძალლიც არ დაყუფავსო.

ქალს ჯვარობაში ნუ ჰყურობ ტანთ ნათხოვარი აცვია, თუ  
გინდა ქალი ლამაზი, დაკვლიე ქერის მკაშია.

ქარი არ დაყენოვო.

ქარის არც მოტანილი მინდა არც წალებულიო.

ქსელი ქსოვე კეკლუცაო, ყურს ნუ უგდებ ყეფააო.

ქაჩალი თავს არ მოიფხანს და თუ მოიფხანს სისხლს დაი-  
დენსო.

ქაჩალი რომ ექიმი იყვეს თავის თავს მოარჩენდაო.

ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას სჩიოდაო.

ქვა მოგორავსო, — მე კი ამცდეს და ვისაც უნდა მოხედესო.

ქება სჯობდა ნახვასაო (პატარძალზე უთქვამთ).

ქერი მქონდეს ჩემს ცხენს დაუყაროვო.

ქერო ნუ სდილობ-ჩარათო, მზე შოვა, თავსა დაგიხრის; ეგრე  
შენ კარგო ქალო, ქმარ-ყოფა თავსა დაგიცდის.

ქვა ააგლო და თავი შეუშვირაო.

ქვა ააგდეს და თავი შეუშვირესო.

ქაჩალს ერთი გიდელი სავარცხელი ახარესო.

ქვა ცამთ აგორებულა და მე ნუ მამხვედრიაო.

ქვევრს არა ჰკითხავდნენ და ას საპალნიანი ვარო.

ქვევრს რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებსო.

ქვეითა კაცი ცხენიანს დასცინოდაო (ქიზიყური).

ქვეყანა ვნახე უძაღლო, უჯოხოთ დავიარები.

ქვეყანა წყალს მიჰქონდა და ქალი კი ბანზე ლეკურს უსვამდაო.

ქვეყნები სულ მომივლია ესლა მივდივარ ქაჰასა, ვინც თავი არ დაგვანებოს თან გაჰყვეს მამა-პაპასა.

ქვეუქვეშა და კუდაბზიკაო.

ქვეუქვეშას ნათში ცხრა მაშხალა ანთიაო.

ქვიდან ხარშო არ გამოვო (ქიზიყური).

ქვრივი რომ განაზღებო, მაშინ გალამაზებო.

ქვრივ-ოსხერს ღმერთი არ დაკარგავსო.

ქმარი დასახრჩობათ მიყავდათ და ცოლი ეუბნებოდა, ჰრელი საკაბე მომიტანეო.

ქმარი ქალს ფრთებიაო.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადაო.

ქოთანი დაგორდა და სარქველი იპოვნაო.

ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუქასაო.

ქორო ბევრისა მღევარო, ბევრჯერ დარჩები მშვიერო.

ქორფა ბავშვსა მარჯვენა ხელი რომ აყენებს, მარცხენა აწვენსო.

ქორწილი უჩხუბრად ვის უნახავს.

ქოფაკმა ძაღლმა რო კურდღელი გამოაბრუნოს ვითომ დაუქერაო.

ქრისტე ღმერთი რომ შენი მეკვლე იყოს, კვალი არ გაგიმჩუდლებო (ქიზიყური).

ქრისტე ღმერთი ჰკუთ იცნესო.

ქრისტიანობის თოვლიო, გამოსული ლორიო.

ქსნელი ბავისა ჰირივე ირემს ჰგავს ქორბუდიანსაო.

ქუდი დადე და სამართალი ჰქენო.

ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი დააქცევსო.

ქურდის შემნახველი თვითონაც ქურდიაო.

ქურდმა საფიცარი იშოვნა, შინ მახარობელი გაგზავნაო.

ქურდმა ქურდს მოპარა და ღმერთმა გაიციანაო.

ქურდობა ვქნა ხბოსთვისაო და მარხვა ვქამო დოსთვისაო?

ქურდს რა უნდა? ბნელი ღამეო.

ქურდს ყველა ქურდი ჰგონია.

ქურდს ქუდი ეწვისო.

ქუხილით წვიმა არ ჰოვა, ხმა დაგდებითა ლაშქარი.

ლადელთა და ღუდელთათჳ ძალლი ჰყავდათ ზიარით, ერთმანეთის ჭიბრით, ძალლი მოკლეს მწიერით.

ლამე გამოვლილი მტერი მოღებო.

ლამევე თენდი, ლამევე თენდი, ლამევე რად არ გაატენდები? ამდენს ვაივავლასშია ჰგელო რად არ დაბერდები.

ლამის გადიდება ვირმა ზაგაზე გაიგოვო.

ლამის ქურდს დღისით დაიქერენო.

ლარიბი თუ არ ხარ, ლარიბი სტუმარი ხომ გყოლიაო?

ლარიბი კაცის პურის კამა მადლიანიაო.

ლარიბის ლუკმა ტუბილია.

ლარიბს ორჴაგათ ეზარჴება და მღლდარს ერთმაგათო.

ღვდელსა შიანო.

ღვდელს თავის წვერებს აბარებდნენ — კარგა მოუარეო.

ღვდელთ ვინა გყავს მოწამე და დიაკვანიო (ქიზიყური).

ღვინით გალახულს სახრით გალახული სჯობიანო.

ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტუკებს აღბობდნენო.

ღვინო და პური ძველი სჯობს, ტანისამოსი ახალიო.

ღვინო თხლუზე რომ დადგება მაშინ გაგემრიელდებაო.

ღვინო უფროსსა და წყალი უმცროსსაო.

ღვინომ თქვა სახელქებულმან: მეცა ვარ ყველგან ქებული.

მცირედი კაცი არ დამლევს თუ არა შირონცხებული.

ღვინომ თქვა ჴაჴანაურმა: უცეცხლოთ ამოვდულდები, ჴკვიანთან ბრძენთა ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოვიჩხუბდები.

ღვინო ჴვეერსაც ხეთჴავსო.

ღვინო ყველას როდი დაეღევაო.

ღმერთი დიდათ გაისარჴა, ჩვენი გამოსახვისათვისა, ახლო, ახლო დაგვასახლა ერთმანეთის ნახვისათვისა.

ღმერთმა იხე აგაშენოს. როგორც შიოს შარანიო.

ღმერთმა მოგცეს ერისთავიანთ წყალობაო და ჴაეაზიანთ მადლობაო.

ღმერთმა ჴნას ჩვენ ძროხას მგელი დაეჴიროსო.

ღმერთო ნუ მისცემ გლახასა, ვერაფერს შეინახავსო.

ღმერთო ნუ მისცემ ვეჴაცსა, ცოლსა ყბედსა და მძინარსა, ის მოკლავს ის დააბერებს ჴირსაც ის მისცემს მრავალსაო.

ღმერთსაც თავი პირით შეეხვეწებოიანო.

ლობე-ყორეს ედებო.

ლოლოს შეჰჰანდა მეხი დაეცეს და ისიც უმაროლოსო.

ლონუსაც ნოხმარება უნდაო.

ლორმა სთქვა რომ დამკლავენ მაშინ დამაფასებენო:

ლორი რომ გასუქდება მგელს გაექედურებო.

ლორის თავი ხალინაზე დადეს და იმდენი იგორა რომ ტალახში ჩავარდაო.

ლორის ტალი ფეხზე დაისვი და თავში აგივაო.

ლორი ლაფში გორვას არ მოიშლისო.

ლორი ჰყვიტინითაო და ბავშვი ტირილითაო.

ლორმა გვერდი იქით იბრუნა, სადაც დიდი ლაფი ნახაო.

ლორმა მოგება იცის კოქამდის, ზარალი ყელამდისო.

ლორს დინგით იცნობენო და ვირს სიარულითაო (ან ყროყინითაო).

ლორს რაც გოჭები დაეხვა წმინდა წყალი მოენატრაო.

ლორს უთქვამს: მინამ წვრილები ჰყვანდნენ შვილები, წმინდა წყალს ვსვამდი, დამეზარდნენ და წყალი ამიშლვრიესო.

ლორს უთხრეს: ქეჩოში ქერი გიყრიაო — მე კი პირი არ მიწვდება და გინდ ცხრა მთას იქით ეყაროსო.

ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.

## ჟ

ყანა სამკალად მშრალი სკობს სველსა და ჰანჭახიანსა, ქალო ცუდაი — ლამაზსა, კორიან, საძრახიანსა.

ყანაო წყლის პირსაო, მალა თუ ნელა წყლისაო. აეგრევე კა ვაჟის ცოლი, მალა თუ ნელა სხვისაო (ხევს.)

ყანას უნდა ბაგი-ბუგი, ომი გადასაველია, ყანა იყოს მოსამკალი თორემ ბიჭი მრავალია.

ყანას უთქვია: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხა, თიბათვეში გული ჩავიდგი და მკათათვეში მოვიჰკიო.

ყაფლანიანთ ყმებსაო აჰკიდებენ ქვებსაო. აყვირებენ ვაისაო.

ყბად აღებული, წყალწალეებული.

ყბედი ვინ მოლალაო და მუნჯმაო.

ყვა, ყვა, ძაღლის ყბა. მოგტყდა ფრთაო. (იტყვიან ყორნის ჩხავილზე).

ყვავი აფრენაზე იყო, ხელის აქნევას ელოდებოდაო.

ყვავი ნეხვზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო.  
ყვავი სკამდა გოგრაასაო, ვაი ჩვენ ამ დროს მოყრასაო.  
ყვავი რა ვარდს იშოვის თავი ბულბული ჰგონია.  
ყვავი ჩხიკვის მაჰიდაო.

ყვაემა უძახა კაქკაქსა: ჩაეარდი გულის ხმასაო, კაცი რო დაი-  
კუზება, შენთვის აიღებს ქვასაო.

ყვაემა ყვაეს წასძახა, აი შე ყრანტალაო.

ყვაესაც თავისი ბახალები მოსწონდაო.

ყვაეს ბახალა მოუყვდა და ბუს მიუგდო — იტირე შენ დიდა  
თავი გაქვსო.

ყვაესა თავის სკლინტიანი საბუღარი ქვეყანას ურჩევნია (ქი-  
ზიყური).

ყვაეს კაკალი გააგდებინე ისიც კარგიაო.

ყვაეს რა აქვს, კაქკაქს რა მისცეს.

ყვაეს რა ჰქონდა ბუს გაჰქონდა.

ყველა ბუზი ბზუღდა და ფუტკართან კი ყველა სტყუოდაო.

ყველა დაბალ ლობეზე გადადისო.

ყველა დედასა თავის შვილი მოსწონსო.

ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე ბუზანკალასაო.

ყველანი დაეიხოცებით, ვაი ჩვენ ბედის წერასა, დაეეხსნეთ  
ქირის კრეფასა, ძრახვასა მეზობლისასა.

ყველა კაცი სიკვდილის შვილია.

ყველას კაკალი უგორეთ.

ყველა სხვის საქმეში ბრძენიაო.

ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობა კი ზეცაშიო.

ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი თავის ქმრითაო.

ყველაფერი ადრეული სჯობიან სიკვდილის მეტით.

ყველაფერი დროს ელის დრო კი არაფერსაო.

ყველაფერი ღმერთს ეხვეწება წალდი კი თავის წვერსაო.

ყველაფერს აკლდებოდეს, სარეცხს ემატებოდესო.

ყველა ცხენი თოხარკიაო.

ყველა წაელენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, დაიზრ-  
დებიან ობლები მამულში დარჩებიანო.

ყველა ქაში რომ ჩააფურთხო, წყალი სადღა უნდა დალიოვო.

ყველი და პური კეთილი გული.

ყველისა და პურის მკამელმა კაცმა ღმერთი აღარ მოიგონაო.

ყინულის კბა შავკერე, ფიფქი დავდე სარჩულადა, მინდა  
რო გამოვიყვანო ასე ტყუილი მართლადა.

ყმა გავლილ გამოვლილი სჯობს, ქვეყნიერება ნახული. ქალ შამის კერას ნაჯდომი საქმარედ თავშენახული.

ყმა უმღერალი არ ვარგა, კაბუკი დაუთრობელი.

ყმაწვილს კვერს ნუ დაჰპირდები და ეკლესიას სანთელსაო (ქიზიყური).

ყმაწვილს ნუ აიყვანავ თორემავ შამატირილს დაგიწყებსავ (ხევსურული).

ყოველგვარ ჭირს ფეხი ზიდავსო, ფეხს კი არაფერიო.

ყოველ ჩიტს თავისი ბუდე უყვარსო.

ყრუთათვის ასჯერ არ რეკენო.

ყრუსა სცემდნენ და ბანგი-ბუნგი საიდან მოდისო (ქიზიყური).

ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ბევრის გამგონეაო.

ყურს უთქვამს: უცხო ამბავი რომ მესმის იმიტომ არ ვიზრდებო.

ყურძნის ქურდი იანვარში დაიკეცხებსო.

ყურძნის სიყვარულით ლობეს ეხვეოდაო (ჰკოცნიდაო).

## შ

შავი ლაქები დიდ მთვარესაც აქვსო.

შავი ძალლი და თეთრი ძალლი, ორივე ერთიაო.

შავი ხარ და შახი ხარ, შახა-შუხით დადიხარ, თეთრი ხარ და ლაყე ხარ, ლაყა-ლუყით დადიხარ.

შავი კამეჩი სჩიოდა, მალლა შემიდგეს თივაო. ამდელი მალლა ცქერითა გულის ფიცარი მტკივაო.

შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სწორ-სწორად სმა უნდა? პირზე მოსულსა ზიტყვასა განა ჭუყველას თქმა უნდა? ფარი და ხმალი ვაეკაცსა ლამაზად ხმარება უნდა.

შარი ბეგო, შარი ბეგო, სკამ და არას არიგებო, ხალხს რომ არაფერს არგიხარ სიბერის დროს გაიგებო.

შაიკვრის შავი ღრუბელი, საწვიმრად გაემზადება, გულს რომ ვარამი ეხვევა, რა კარგი დაემართება?

შარო საიდან მოდიხარო.

შარშან დიდი მარხვა იყო წრეულ პატარა აღება, როგორც პურის ჭამა უნდა, ისე ჭუფრის აღება.

შეადარე მსხალი პანტასაო.

შეაქეს მელიაო და შეაჭამეს ტურასაო.

შეგნებულთან ჩხუბი სჯობიან შეუგნებულთან ლაპარაკსო.

შემატოს მღვიძარსაო, შემოაკლდეს მძინარსაო.

შემოდგომით სარჩო თავებუზებსაც კი აქვსო.

შემოდგომის ბუზები უფრო მწარედ იკბინებიანო.

შემოდგომის წიღნაო, ვითომ ქვევრში გიდგაო.

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო.

შენი მასწავლებელი ჩემი შეგირდი იყოვო.

შენი სვი და შენი სკამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე.

შენი სჯობდეს შენი მტრისასაო.

შენი წახდა და ჩემი გაძლოა.

შენი კირიმე ლამაზო, ნუ გამიხდები ავადა. თუ შენ გამიხდ  
ავადა, თავს მე მოვიკლავ თავადა.

შენი კირიმეთი შეილი არ გაიზრდებაო.

შენი ჯაგლაგი გერჩივნოს, სხვის ბედაურსაო.

შენს მტერს თუ ხელთ აქვს ისარი, ნურც შენ გიჭირავს  
ფიცარი.

შენ რომ გგონია ერბო ქონია, რომ გადადნობ ღორის ქონია.

შენს სახლში შეიხედე და კარში ისე გაიხედეო.

შენ შენთვის მე ჩემთვისაო.

შენ შენი ნომერი იცოდეო. (ე. ი. შენი ადგილი იცოდეო).

შენ წისქვილში წაბრძანდი და მე ქორწილში წავეთრევიო.

შენ კკუა მე ფულიო.

შენ ხილი სკამე და მებალეს რას დაეძებო.

შენც გინდოდა, მეც მინდოდა, მოციქული რათ გვინდოდა.

შენც სუ და მეც სუ.

შეუსმენელთან საუბარს შესმენილთან ჩხუბი სჯობიაო.  
(ქიზიყური).

შეუჩვეველ კირს შეჩვეული კირი სჯობიაო.

შეძლეული პური ძალმა არ შექამაო.

წემა ტყეში ვის წაუტანია.

შეშინებული ყვაფი ბუჩქებს ეფარებოდაო.

შეშინებული ძალი ერთ წელიწადს ბუჩქს უყუფდაო.

შეხედე კახბა ქალსაო, კურო არჩია ქმარსაო.

შვიდ მაისის ნამი თავზე დამედინა, შვიდშვიდი ნაწნავი ზურ-  
გზე დამეჭიმა.

შვიდ მაისის წვიმად არა ღირსო

შვიდ მაისისათვის, შვიდი გოდორი ბზე უნდა გეყაროს და შვიდი ზურგი თივაგო.

შვილი მტრულად გამოზარდე, რომ მოყვარედ გამოგადგესო.

შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.

შვილმა გული მატკინაო, შვილიშვილმა გულის წვერიო.

შვილმა გული ნახა და შვილის შვილმა გულის გულიო.

შვიდ მაის რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, შვიდ მაისის წვიმა რომ მოხვდეს მაინც ყანათ იქცევაო.

შვიდ წელიწადში ერთხელ გუთნის სახნისის წვერი ოქროს წამოედებაო.

შვიდ წელიწადში ერთხელ, ნეხვიც აყვავდებაო.

შვიდ სადილზე რომ შეესწრო, შვიდი ლუქმა აიღეო.

შვილო მამისაო, მოსწი გვარისაო.

შინ დარიგებული საქმე კარში არ გამოდგებაო.

შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო.

შინაური ელაშიაო.

შინ შვილის სიკვდილს, გარეთ შვილისშვილისა სჯობიანო.

შინ რომ უფროსი არ გყავდეს, დედა ბოძს დაეკითხეო.

შინ რომ ყმაწვილი გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, სწორება სასთუმალისა.

შიშს დიდი თვალები აქვსო.

შორ გზას მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო.

შოლტი ისე უნდა მოიქნია შენვე არ მოგხვდესო.

შუა კაცის გული ხალვათიაო.

შუბი გუდაში არ დაიშალებაო.

შუბი კალთაში არ დაიშალებაო.

შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ესობოდაო.

## ჩ

ჩამავალმა არ წამწყმიდა და ამომავალმა წამწყმიდაო.

ჩამცემელს დამნახველი უნდა (ქიზიყური).

ჩამოსხდებიან ყორნები, არ გაირევენ ძერასა, კაცი ვერ დაე-  
მალება სიკვდილს და ბედისწერასა.

ჩახმახს ნუ მოსწევ სხვისასა თუ ფული არ გაქვს ქისასა.

ჩემ ღროულ კაცს სიზმარიც დაეჭერებაო.



ჩემი ავლადიდება კურდღელს აეკიდება.

ჩემი გვარისას რომ არ მოეპრა კისერი, სხვა ვერას დამაკლებდაო.

ჩემი ენა ჩემი მტერიაო.

ჩემი თვალით შეგახედაო.

ჩემი მტერი ჩემი სინდისიაო.

ჩემი პირიდან გავარდნილი ლუკმა ჩემს ჭამშივე ჩავარდესო.

ჩემი სხვისას მირჩევნიანო.

ჩემი ტილი ჩემთვის მქონდესო.

ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო.

ჩემი ურგები ქოთანი ქვასაო და შექამანდი ძალსაო.

ჩემი შაჩხირული ხატის ამბავი მე ვიცოო.

ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი.

ჩემი ცოტა სხვის ბევრს მირჩევნიანო.

ჩემი ცუდი მირჩევნია შენს ოქროსაო.

ჩემი ცუდი სხვის კარგს მირჩევნიანო.

ჩემი ჯაგლაგი შენს იორლას მირჩევნიანო.

ჩემმა დაქედებულმა ჯორნა წიხლი ისევ მე შესროლაო.

ჩემო ნამგალო რკინაო, გასქერ გამიშვი წინაო.

ჩემ სისაწყულეში ხეში მატლი არ იყოვო.

ჩვენი მღვდელი ეგრე არ სწირავსო.

ჩვენ ინდაურებს აქეთ ხომ არ ჩამოუვლიაო? (ერთ ქალს ხელზე ბეჭდები კეთებიყო. სხვისთვის რომ ეჩვენებინა და გაეკვირვებინა, ხელი გაეშვირა და ეთქვა ჩვენ ინდაურებს აქეთ ხომ არ ჩაუვლიაო).

ჩვენსა კაკანებს, სხვაგან კვერცხა სდებს.

ჩვენსა მოხვალ, ღვინოს ტყლურქავ, თქვენსა მოვალ, თვალებს ხუჭავ.

ჩვენ ღორსა ცხრა გოჯი ყავსო.

ჩვენში ასეთი წესია, ფეტვი აღგილზე სთესია.

ჩიტთა შეკამეს მიმინო, შაიქნა დროთა სვლილობა, აცაო, თუ შაგრაათ, ჩიტებო, მაგაზე თავმოვლილობა.

ჩიტი ბღღენად არ ღირდა, და დევნა შეტი იყოვო.

ჩიტი ნარს შეეხიზნაო.

ჩიტი ფრთითაო, ქალი თმითაო.

ჩიტის სკლინტზე სანეხვეს აგებენო.

ჩიტმაც თავის ბუდე იცისო.

ჩხირი კედელს, ვირი შვედელს (ჭიხიყური).

ჩხირი პირსა დავრჩი ფინთსა (ერთ ქალს ორი ახალგაზრდა

მთხოვნელი ჰყოლია. სასიამოროს ეთქვა სასიძოვებისათვის: ვინც წინ ამოასხამს ქალამნებს, იმას მივცემ ქალსაო. ორ სასიძოში ყოფილა ერთი ლამაზი და მეორე ულამაზო. ლამაზს ქალამნის ამოსხმის დროს ჩხირი ეკარგებოდა, ულამაზო კი ჩქარა ასხავდა. ქალმბრო დაინახა ეს ამბები სთქვა ჩხირი პირსა, თორემ დაერჩი ფინთსაო).

ჩხუბის დროს გამშველებელი ღმერთიაო.

## 6

ცალთვალას ჰკითხენ ცალი თვალით რას ხედავო და ნეტა იმდელი მომცა რასაც დავინახამდლიო.

ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს ეწეოდა.

ცალ-ცალკე მოჩივარი მოსამართლეს შართალი ეგონაო.

ცამეტი წლის ქალი ან ქვის ქვეშ ან ქმრის ქვეშაო.

ცა მტკავლით, ქვეყანა ცილით, ნახე თუ გაიზომება. ზღვა თუ აიწყვის პეშვითა ან ცანი გადიწონება.

ცარიელა კაკალზე რომ ახვიდე რა უნდა ჩამოაყრევიწო, როცა ესხმევა ქარი ჩამოყრის და შენც აჰკრიფეო.

ცარიელი ტომარაო ფეხზე არ დადგებო.

ცარიელ კაცს საბაეოზედ მიუხაროდო.

ცარიელ ჯამში ხელს ვინ ჩაყოფსო.

ცას არავინ შეაბერდება.

ცაში მტრედი მიფრინავდა და ძირს შამფურსა სთლიდნენო.

ცა ქუდათ არ მიმანდა და დედამიწა ქალამნათო.

ცეცხლზე ნავთი დამისხიო.

ცეცხლიდან გავიყარენით განა ძმობიდანაო.

ცეცხლზე წყალი დამისხიო.

ცეცხლი ვთქვი და პირი არ დამწეო.

ცელო ნალევთა ნალევი ხარ, ბალახთა ძირის დამლევი ხარო.

ცეცხლს ხელსა ვკიდებდი და გულსა მწვავდაო.

ცვარი-ცვარსა ჰკარ, ზღვათ გადაიქცევაო.

ცვარი-ცვარს მიემატება, დიდი გუბე დადგებო.

ციდან ქექა-ქუხილის ხმა ისმოდა. კინკრაქა გულალმა დაწვა ფეხები ცას მიაბჯინა, თუ ჩამოინგრევა დავიქვრო.

ციციანთ სუფრა ხომ არ არიო (როცა სუფრაზე ცოტა პურა აწყვია, მაშინ იტყვიან).

ციხე შიგნიდან გატყდებაო.

ცოდვა გამოქვლავნებული სჯობიაო.

ცოდვილსა ცოლი რად უნდა, ცოდვაც ეყოფა ცოლათა.

ცოდო არ ასვენებსო.

ცოდო ზოგსა წინ ეწევა, ზოგს უქნიდანაო, ზოგს შვილისშვილამდე.

ცოდო კაცს არ დააყენებსო.

ცოდო პატარძალიაო (როცა ვისმეს სცემენ და ნაცემს წამოეჭმაგება ვინმე, სიბრალულით ეტყვიან: ცოდო პატარძალიაო. იგულისხმება ქორწინების პირველი ღამე).

ცოლია განა ცომიაო.

ცოლი მყავს და გაღმა ერთ კაცს ყავსო.

ცოლ-ქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებაო.

ცოლ-ქმრის სიყვარული შვილმა შუაზე გაჰყოფო.

ცოლი ქმარს სწუნობდაო და იყო მისი ანაბარაო.

ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ფუთი საფანელი.

ცოლს ნურას შეეხუმრები, თავს უყეთესი ყმისასა, თორ გზაში შამოგეყრება სულს შამოგაბნევს მძლისასა.

ცოლ-ქმრის ლაპარაკი რეგვენს ჩხუბი ეგონაო.

ცოლ-ქმრობა ნებიტაო.

ცოტა მოთოხნე, ცოტა მოხოხნეო.

ცოტავ სად მიხვალო — ბევრთანაო.

ცოცხალი კატა სჯობიან მკვდარ ლომსაო.

ცუდ კაცთან ჩხუბს კარგ კაცთან ომი სჯობიანო.

ცუდ მეზობელთან პურის სესხებას უვახშვოდ დაწოლა სჯობიანო (ქიზ.).

ცუდი არის სამძიმარი, უსარგებლო ცრემლის დენა, რაც გემართოს გამოართვი, ნულა გინდა უკან დევნა.

ცუდი ამპარტავანი კაცსაც ძულდა და ღმერთსაცო (ქიზიყური).

ცუდი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო.

ცუდი ცოლ-შვილის პატრონი უნდა იჯდეს და ოხრავდეს.

ცუდმა სახლმა, ცუდმა კაცმა, კარგი ავად მაქციაო.

ცუდს ნუ იქამ და ცუდისა ნუ გეშინისო.

ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წამოაქცევსო.

ცხარე ძმარი თავის ქურქელს გახეთქავსო (ქიზიყური).

ცხენზე ვიჯექ და ვირზე შემსვესო.

ცხენი არა მყავ, ცხენს ვეძებ, ლურჯა კი დაქარიანდა. ცოლო არა მყავს, ცოლს ვეძებ ქალები დაქმარიანდაო.

ცენიდან გადავარდნა სჯობიან ვიჩიდან გადავარდნასაო.

ცენმა გააბრაზა და უნაგირი დაამტვრიაო.

ცენმა გაწყვიტა საბელი, დავაბი ჩაჩანაკუნედა, ქალო ევ შენი სიკეთე გეტყობა ფაფანაკუნედა.

ცენმა ჭამა, კვიცმა ჭამა, პატრონმა ფეხები მომქამაო (ქაზი-ყური).

ცენსა სქედდენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო.

ცენს ვერაფერი დააკლო და უნაგირს მივარდაო.

ცენს კბილებს გაუსინჯვენ და მოჭიდავენს მკლავებსაო.

ცენს რომ სცოდნოდა საპალნეს აკიდებდნენ, პატრონს არ დაექვრინებოდაო.

ცენს რომ წყალზე მიიყვანენ თუ სწყურიან თვითონვე დალევს, რალა დასტვენა უნდაო.

ცხვარი უთხოდ არსად წავაო.

ცხვარი ცხვარია თუ გაცხარდა. ცხარიაო.

ცხვარმა სთქვა მთელი მთები რომ მოვიარო, ვერ გავძლებიო, მაგრამ მწყემსი მეცოდებაო.

ცხვარო გამშვენებს ვაც-ვერძი, ვაც-ვერძო თავ-რქიანობა, სახლო გამშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო ყანწიანობა.

ცხვარს სიმშლით სული ამოძვრა და თხა კაკანით გამოვიდაა.

ცხვარს მგელთან დააბავენო? (მშიერ ადამიანს საქმელს გაუშვებენო).

ცხვარს მგელი დაერია და ვაი ერთის პატრონსაო.

ცხვირი პირიდან არ მოიკრებაო.

ცხვრის ღუმას არა სკამს, უკან აბიაო.

ცხოვრება კიბიანია.

ცხრა ქალის ჭკუა ერთი თხილის ნაქუქში ჩაიდება და კოდევ •დგილი დარჩებაო.

ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო.

ცხრაჯერ ძველმა გამახარა, ერთხელ ახალმაო.

ცხრაჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო.

ცხრა მეჭურჭელს ერთმა შტეხელმა აჯობაო.

## ბ

ძაბუნსა თავის თავი ეჯავრებაო.

ძალა აღმართსა ხნავსო.

ძალათ მაცხოვნეო.

ძალათ შეკოკისპირულებაო.

ძალდი ახსენე, ჯოხი ხელში აიღეო.

ძალდია ცუგუაშვილი, არ დაიყენებს სხვის შვილსა, თუ დაიყენებს სხვის შვილსა, მააკლევინებს სიმშვილსა.

ძალდი იყეფებს, იყეფებს, დაიღლება და გაჩერდებაო.

ძალდი პატრონს ვერ იცნობსო.

ძალდი რაც უნდა გაწერთნა ყეფას ჰაინც არ მოიშლისო.

ძალდისა ბატკანი ვის უნახავსო.

ძალდის თავი აი სად მარხიაო.

ძალდის კუდი ცხრა წელი სამარეში იყო ამოიღეს და ისევ ძალდის კუდი იყო (ქიწ).

ძალდის კუდი მარხიაო.

ძალდი ქლიბს ლოკავდა, სარგებელს მოელოდაო.

ძალდი შინ არ ვარგოდაო და სანადიროთ გარბოდაო.

ძალდი სამკედურიდან ვერას გაიტანსო (ქიზიყური).

ძალდი ჩვენია და საყელო კი სხვისი აბიაო.

ძალდი ძალდის ტყავს არ დახვეს.

ძალდი ძალდის ძვალს არ გასტეხს.

ძალდი ძალღურათ მოკვდებაო.

ძალდი ხსენებაზედაო.

ძალდიც კი საწყალ კაცს დაეტევაო.

ძალდმა კბენა არ იცოდა და ძალაზე ასწავლესო.

ძალდმა კბენა არ იცოდა და ადამიანმა ასწავლაო.

ძალდმა რომ შემოგიყუფოსო, ჯოხს ნუ მოუქნევ მასაო. ეს იმას უფრო შერცხვება არ ამოიღებს ხმასაო.

ძალდს რომ გააძალღებ გიკბენსო.

ძალდსა სცემდნენ და რძალს ასმენდნენო.

ძალდს ქვა ესროლე პატრონი გამოჩნდებაო.

ძალდს ჰკითხეს, რათ იყეფებო — ნადირსა ვკვლევო. კუდს რალათ იქნევო? — მეც მეშინიანო.

ძეგველი კაცი ნემსს ატყავებდა, მცხეთელმა ნახა და უთხრა — ჰეე რამოდელა ლეში გაგიყოლებიაო!?

ძველი ბზე ვერცხლიაო და თივა ცეცხლიაო.

ძველი კაცის ნათქვამიო ხშირად არის მართალიო.

ძვირად გიყიდი სიყმეო, თუ ამოჩნდება ვაჰარი.

ძილს სასთუმალი არ უნდა, შიმშილს შაჰამანდო.

ძილს ძილი მოსდევსო.

ძილში ქკუა არ მოქმედებსო.

ძირს დაგდებულ, ძირს გახვრეტილ მძიეს ვინ აიღებს და გზაზე შემთხვევით გავლილი ობოლიო.

ძმათა სიკვდილი ერთია, თუნდა შენ იყვე თუნდა მეო.

ძმა კაცი ძმაკაცისთვისა შემწვარ ქათამს შესჭამსო (ერთ კაცისათვის შეფეს რალაც დანაშაულისათვის დაღრჩობა გადწყვიტნა და საპყრობილეში ჩამწყვდეული ჰყავდა. დამნაშავის მეგობრებს გადაეწყვიტათ რომ მეგობრისათვის სიკვდილი შეემსუბუქებინათ, და შეეწვათ ქათამი, მოეწამლათ და შეეგზავნათ საპყრობილეში. როცა ერთ-ერთი მეგობარი ქათმით საპყრობილეში მისულიყო, ტყვესათვის ერჩია ეხლავე სჭამე, ვინემ გაცოდებოდესო. ტყვეს დაეჭრა ქათამი და მომტანიც მიეპატიენა, ეთხოვნა ერთად ეჭამოთო. მეგობარს უარი ვერ ეთქვა, და ორთავეს ეჭამნათ მოწამლული შემწვარი ქათამი და ორივე დახოცილიყვნენ, ამიტომ იტყვიან, ძმაკაცი, ძმაკაცისათვის შემწვარ ქათამს შესჭამსო).

ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევე ძმანი იყვნენო.

ძმა რომ ძმასა გაეყრება, მაშინ მტერი გაუჩნდება.

ძმას გაეყარე და მტერი გაგჩინდებაო.

ძმა ძმისთვის შავი ღლისთვისაო.

ძმამ ძმის ხორცი ღოღნა და გვამმა არ ჩაუშვაო.

ძმამ ძმის ხორცი სჭამა და ძვალი ჭიბეში ჩაიდო ჩემი ძმისააო.

ძმა ძმობილსა რითი სჯობს: ძმა ძმაც არის და ძმობილიცა.

ძნა იწოდა და ულო იცინოდაო, ულოვ ნუ იცინი თორე ცეცხლი შენთანაც ჩქარა მოვაო.

ძუენა ძალღმა სიხარბითა ბრმა ლეკვები დაყარაო.

ძუნწი კაცის ჯამშია ლუკმა არ დასველდებაო.



წაბაძულობით კაცი დამაკებულაო.

წადი და მოდიო, განა წადი და დაიძინეო.

წავიდა დრო და არა ფათერაკიო.

წამსვლელ-მომსვლელი სტუმარი ოჯახის მაზარალებელიაო.

წამწამი ისე არ გაიზრდება რომ წარბს ასცილდესო.

წარამარა მავალსაო, მუცელი ატანს ძალასაო.

წარსდგა მშიერი და ვერა ტიტველი.

წასვლა ზოლი მოსვლა გვიანიო.

წასვლა სჯობს წამაველისა არ დაყოენება ხანისა.

წახდა მამულის პატრონი და არა შვილის პატრონი.

წყალში თევზი დიდი გამოჩნდებაო.

წყალი რომ დაგუბდება აყროლდებაო.

წყალში რომ ჩავარდები, მშრალი ვეღარ ამოხვალო.

წყალწაღებული ხავსს ექიდებოდაო.

წყალი უმცროსსა და ღვინო უფროსსა.

წყლისა და ცეცხლის შუა ვარ, ორივეს დავეყ ნებასა, ცეცხ-  
ლი მიპირებს დაწვასა, წყალი თან ჩაყოლებასა, ერთხელ ჯობია-  
სიკვდილი სულ მუდამ დაღონებასა.

წყალსაც ზოვეა უნდა — მისვლა-მოსვლა უნდაო.

წედისი დაიწვა, რაც იმას ბერვა ჰქონდაო.

წელზე ბარგი ჰკიდიო. ჩამოუღეთ მადლიო. (ადამიანის ტან-  
საცმელზე როცა რაიმე ძაფს ან თმას შეამჩნევენ).

წელიწადში ერთხელ ნეხვიც აყვავდებაო.

წვადი ცვრიანი, ქალი თმიანი.

წვიმა რომ მოდის, ყველა ალაგს როდი ასველებსო.

წვიმას უფრო ადვილად დაიქერ ვიდრე გასათხოვარ ქალსაო.

წვიმიანი ამალდება, ყანა მალა ამალდება.

წითელი კვერცხი აღდგომისათვისაო.

წითელი ოქრო შავ დღისათვისაო.

წითელი ძაღლი ტურის ბიძაშვილია (ქიზიყური).

წითელო ვაშლო შენ გესვრი, თეთრო შენ ჩამოვარდებაო.

წილიან ბაკლას წილიანი ვაქარი არ დაეღვევაო.

წინ წასული თხა უკან ჩამორჩაო.

წინ წყალი უკან მეწყერი, შუაში შენი თავიო.

წინა კაცი უკან კაცის ხიდაო.

წირვის წინ ნაწირავი როდი გაიცემაო.

წიფლის ძირი და მუხის ძირი, ლეკებს ხამხაძე ეჯონათო (ხამ-  
ხაძე განთქმული ვაჟკაცი ყოფილა, მძარცველ ლეკებს მოსვენებას  
არ აძლევდა და შიშის ზარს სცემდა. ხამხაძე გადმოცემით სოფ-  
ყვავილიდან ყოფილა).

წლის საფიქრებელი და წუთში გასაკეთებელი.

წმინდა ბერი წმინდათ წაწყმდაო.

წმინდა გიორგიმ დაგწყველოს, საით მამხვდები სასმელო? ე-  
კაცის გამცრუებელო, შენ კაცის შამარცხენელო.

წუთისოფელი ზოგისთვის მაჰაა, ზოგისთვის მამინაცვალი.

წუთისოფელი რა არის? აგორებული ქვა არის, რა წამს კი და-  
ვიბადებით, იქვე საფლავი მზად არი.

წუწკი ცოლ-შვილის პატრონი უნდა იჯდეს და ოხრავდეს.

წუთისოფლის ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება, მდიდარი  
კაციც მონახავს, ოხრათ რჩენია ქონება.

წუნია კაცი და ქალი, წუნიაობაში გამოლამდებიანო.

წყალი მიდგება მოდგება, თვის ნადგომში ჩადგება.

წყალი პირველად პატარასაო.

წყალსა წყლობა ერქვაო და იმასაც მოტანა უნდოდაო.

წყალკურთხევის წინა დღესა, ამალღების უკანაო, ხორცი ისე  
არ იშვება, როგორც ბაღის წუნკალო.

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, გაიზრ-  
დებიან ობლები, მამულზე დადგებიანო.

წყევლამ სთქვა: სწორი გზა მიჩვენე, თორემ უკანვე დაგიბ-  
რუნდებიო.

წყევა მწყევარს თავად უბრუნდება, ლოცვა კი ზიარიაო.



ქამა მადანიო.

ქამა მადაში მოდისო.

ქამა ქონებაზე კიდიო.

ქამამ რა ქნა, ლოკვამ რა ქნასო.

ქამას რომ გადაეჩვია მაშინ გაფშიკა ფეხიო.

ქამაში გამარჯვებული საქმეში წყალწადებული.

ქამა ძლომამდისაო.

ქამა ძლომამდისაო და სმა თრობამდისაო.

ქამის საზღვარი გაძლოაო.

ქანგას უთქვამს: შვიდი წელიწადი კაქკაქის საბუდარზე ვიყუ-  
ვიო, მთაში წაველ და გავნელდიო (მიწას პირი მოვკიდე და გავ-  
ნელდიო).

ქიანქველა გველთან როგორ გაიქიმებაო.

ქიანქველა გველთან რომ გაიქიმება, შუაზე გაწყდებაო.

ქიანქველას ღმერთი მაშინ გაუწყრება, როცა ფრთები გამოუ-  
ვა. მთაში წასვლას ჰოინდომებს, გზაზე სული ამოუვა.



კიანკველას ღმერთი მაშინ გაუწყრა, როცა ფრთები გამო-  
ესხაო.

კიას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც ხმას ამოიღებსო.

კინკარი კირის კირია, სატატური ბალღამია, სეინტრი ყველას.  
წამალიაო.

კინკრაქა რა არის და იმის ქონი რა უნდა იყვესო.

კირი არ წავა უქიროდ თუ კირის დედა მთელია.

კირი და ლხინი ძმები არიანო.

კირი დანახული სჯობს დაფარულსა.

კირი მეზობლის კარსაო.

კირი სიღედრსაო, ლხინი პირ-თეთრსაო.

კირს უნდა გაძლება თორემ ლხინი სულ ლხინიაო.

კირი კირს გადაეკიდაო.

კირი კირს გაართობსო.

კირსა არ უნდა გატეხა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან  
დარჩება, სოფელი ღონიერია.

კირისა გამონაცადს კითხეო.

კირსაც გაძლება უნდაო.

კევიან კაცს სისულელე არ დაეღევაო.

კეუა ბევრს აქვს, მაგრამ მოხმარება კი ცოტასო.

კეუაზედ მოდი, ხიდზე გადიო.

კეუამ მოსკამა სოფელი, ფარხმალმა ამოღებულმა.

კეუას რომ არიგებდნენ სად იყავიო? შენ საძებნელად ვა-  
ყავიო.

კეუას რომ არიგებდნენ შენ ფრანგების აფთიაქში ხომ არ  
იყავიო?

კეუა უნდა გონებასა, მოხმარება ქონებასა.

კორი თქვი და მეკორე ხელში დაიქირეო.

კრელი გველი ყველაზე საწიში და შავნეაო.

კრელ-კრული გიჟის ლხინიაო.

კუქყიანი ჯოხი რომ გექიროს, მანამ სხვას არ იპოვნი, არ  
გადაადგოვო.

## ს

ხამ თამაღისათვისა ახალი შესწრებული სტუმარი კარგიაო.  
ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებსო.

ხალხის წინ გარდმოხევა, თავი რას მოგიწონია. ვინც იცის საქმე ხომ იცის, ვინც არა ცერცივი ჰგონია.

ხან ალთასა, ხან ბალთასა.

ხან სიჭიელისას, ხან სიბერისასაო.

ხან სმა უნდა ლეინოსა, ხანდახან შემღერებო, ხან ომი უნდა ძლიერი, ხანდახან შასვენებო.

ხარი დაკლეს ზედ დამაკლეს, ძროხა დაკლეს ზედ დამაკლეს, გოკვი დაკლეს ზედ დამაკლესო (უთქვამს ქათამს).

ხარი დაკლეს და ქათამი ზედ დააკლესო.

ხარმა სთქვა: ხარი შემიბი, ხარულად გამაწვევინე, ოღონდ ტოლს კი ნუ დამიღებ, დამკარ და გამაწვევინე.

ხარი სხვისა, სახრე ტყისაო.

ხარი რომ დანათან მიიყვანო, აზირ დანა მიიტანო ხართანაო.

ხარი ქირაზე მოკედება, კოკა წყალზე გატყდებაო.

ხარმა სთქვა: ხარი ვერ დამკრავს თუ მეხრე მიზის ღვთიანიო.

ხარი ხართან დააბიო ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.

ხარი ხნავს, ფური იწველის, ღორმა რა იცის თხრის მეტაო.

ხარმა ხარს ერჩოლა და საძოვარზე გადააგდო.

ხარმა ხარს ერჩოლა და ბაგაზე მიაგდოვო.

ხარს რქები არ დაამძიმებსო.

ხარს რქებით დააბაჟენ, ადამიანს ენითა.

ხარჯები გინდ კვერცხებზე შემოუწერიო, გინდა კამეჩნეო.

ხატო შემიწყალე შორეული ვარო, — რაით შეგიწყალო, ცარიელი ხარო.

ხბო დავკარგე ბატონისა, დედა უტირე პატრონისაო.

ხბო უნდა თებერვლისა, ციკან კრავი მარტისა, თუ რომ სადმე გაიზრდება ტახი იანვარისა.

ხე ნაყოფით იცნობაო.

ხე ფესვითა დგას და ადამიანი მოყვრითაო.

ხე ხილისაგან, ხილი ხისაგან იცნობებაო.

ხე ხმება და ფესვი ჩჩება, ფესვი ისევ აყვავდება, იგი დედა არა კვდება, რომლის შვილიც დაფასდება.

ხევი ავიარე ქვა ვერ დავინახე (ქიზიყური).

ხევსურმა თქვა შაგის ხელში დავბერდი და დავბნელდიო.

ხევსურო ხმალი გალაღებს, ფშაველო ენა გრძელიო; გუდამაყრელო — შაჟარი, ტყვია გამოდის ცხელიო.

ხევსურს უთქვამს მომცრო და მომცრო მიყვარდაო (ერთ ხევ-

სურს თორმეტი შვილი ჰყავდა, და როცა შეეკათხნენ რათ გინდო-  
და ამდენი შვილებიო, ხევსურს უთქვამს: მომცრო და მომცრო  
მიყვარდაო).

ხევსურს შინ არ უშვებდნენ და ფარხმალი ზემო თაროს  
დამიკიდეთო.

ხელი უში გუდუნასა, ყველი მაქვს და პურიო, ცხრა აბაზა  
ფულიო (უთქვამს იპერელს ყაჩაღებისათვის).

ხელი ხელსა, მადლი ღმერთსა.

ხელი ხელსა, გოქი მგელსაო (ქიზიყური).

ხელით ტარებას მუცლით ტარება სჯობიანო.

ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო.

ხელოსანი ხელოსნის მტერიაო.

ხელში მამცა კრელი გველი, შავი ყელზეც ჩამამკიდა, ყველა  
იმას გაუძლებდა, ავსა ქმარსაც არ ამკიდა.

ხელში ტარი და სახრელი კერაზე დაძინებული. (ხევსურული).

ხემა სთქვა: ცული ვერას დამაკლებდა ჩემი ბიძაშვილი შაგ  
რომ არ ეჩაროსო (ხევსურული).

ხემ შოისხა ხილიო, რაც დედა ისიც შვილიო.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მაიგონებსა.

ხეს ერთი ვაშლი ება ისიც ჭიანო.

ხვალაც ამ თვისაო.

ხვალ წვიმა მოვა, ადგეს ქიამ თვალები დაითხაროსო.

ხვნაში გარიგებას მკაში გარიგება სჯობიანო.

ხვნაში პირობის დადება სჯობს, თუ გინდა რომ მკაში არ წა-  
მოგედავონო.

ხილი მეხილესაო.

ხილით ხილის ხე იცნობაო.

ხმელა პური და კეთილი გული.

ხმლის სიმოკლე რას გიშავებს, ფეხი წარსდგი გაგრძელებიას,  
კაცს მანამდის ეშინიან, მინამ საქმე გაძნელებიას.

ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო.

ხორცი ვალადე, ვასუქე, სულს გადაუდექ მტრადაო.

ხოხობის მოტყუებულსა, თვალი დაუდგეს მელსაო. პირში  
მეჭირა ხოხობი რალა დიდება ღმერთსაო.

ხუთამდე დათვლა ბავშვმაც კი იცის.

ხუთ თითში ერთმანეთის ტოლი არც ერთი არ არისო.

ხუმრობა ყოველთვის თავს ვერ დაიქერსო.

ხუმრობაში კაცის ქკუა მოკლეაო.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ალაპი არის რუსეთსა. ქე არ მეშორებაო მარა ქე მექორებაო.

ხუცესმა უთხრა ხუცესსა, წირვას ამბობენ რუსეთსა — წასვლა კი არ მეზარება, თუ გამიძლობენ მუცელსა.

ხშირად სამგზავროს მავალი, ან გველსა და ან გველის ძვალსაო

## ჰ

ჰარავ, ჰარავ ბზიო, ნართი დამირთიო, დედამთილის საპე-რანგევ ოხრად დამირჩიო.

ჰამში ლალატს ომში ლალატი სჯობიაო.

ჰალილა თათარი გოქის თავს მედავებოდაო.

ჰანდაქი ვირიო თავებთან გმირიაო.

ჰლომას და დგომას ერთი ფასი აქვსო.

ჰეელი კაცისა საყელოც კი სქაშსო.

ჰერ დედის ხსენი არ შეშრობია ტუჩებზეო.

ჰერ აკიდებული არ უვლიაო.

ჰერ არ მინდოდა შობაო და მერე სიკვდილიო.

ჰერ ბარე, ბარეო და მერე მიწა ყარეო.

ჰერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო.

ჰერ მინახე კინკველაო, მერე იმის თირკმელაო.

ჰერ პირზე დედის რძე არ შეშრობია.

ჰერ რქები არ აძოსელიაო.

ჰერ შობა, მერე აღდგომაო.

ჰერ სულ არ იყო ძმარო, ზედ დაუმატეს წყალიო.

ჰერ არ მიკამიხარ ასლის პურო, მუცელსა მგვრემ, რომ შეკ-  
ჰამ რაღას მიზაო.

ჰერ ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო.

ჰერ გაუშეებს ჰელასაო, მერე უწყებს შტვენასაო.

ჰერ მომკლამდი და მერე გამაცოცხლებდიო.

ჰერ ძილო ჰერე სიზმარო.

ჰიბეში რომ ჩურჩხელა მაქვს ეგრე ტბილად დაბერდიო.

ჰიშსა და ჰილაგს კაცი ჰინჯილით უპირავსო.

ჯორის კუდივით ვერც დავმოკლდი, ვერც დავგრძელდიო.  
ჯიხვო ყინვარში ნაზარდო, მუდამ უველო მტრიანო, ნიავესაც  
მოაქვს ამბავი, თავი არ დაიზიანო.  
ჯორი სჯობს საქონელშია, დაუთოშირებს დადგება.  
ჯორჯმა ძაღლმა, რომ კურდღელი შოგიბრუნოს ისიც კარგიაო.  
ჯობი ჩემზე გადატყდაო.  
ჯობი თავზე გადატყდებო.  
ჯობს ორი წვერი აქვსო.  
ჯოჯობეთს ერთი მუგუზალი ეკლდა და ისიც მიუმატესო.



ଶି ଶ ଚ ଉ ଚ ଚ





ვარსკვლავებო ამობრწყინდით,  
მოიწმინდე ცაო,  
გულს ნისლი შემომეხვია,  
ლექსი უნდა ვთქვაო. <sup>1</sup>

ეგრე ბიჭო, დაჰკარ ფეხი,  
აგრემც შეგეწევა ღმერთი,  
სამი სიტყვა გუშინ გითხარ,  
სამი ღლესა გახდა ექვსი.  
შენზე ვერა გავაწყე-რა,  
ვერც შაირი, ვერცა ლექსი. <sup>2</sup>

აეაშენებ სახლსა.  
ჩაურიგებ ქვასა,  
შენისთანა მოშაირეს,  
დაუყენებ თვალსა. <sup>3</sup>

ბიჭო მელექსე, მელექსე,  
სანამ შამალი ყიოდეს.  
თორემ ისეთ ღლეს დაგაყრი.  
კბილებში ოფლი გდიოდეს. <sup>4</sup>

ასკილი და კაკაბეჩი,  
შაირებში მე გაჯობი,  
აბა მითხარ რალას მერჩი. <sup>5</sup>

აო, ბაო, დაგიღია ყბაო,  
როცა შაირი არ იცი  
გაიწყვიტე ხმაო. <sup>6</sup>

ახალი ფეჩი ვიყიდე,  
ჯერ არ გამიხურებია,  
შენისთანა მოშაირე  
ბევრი გამიხუნებია. <sup>7</sup>

წისქვილში პური წავიღე,  
ჩამოვიდა ხრიალითა,  
შაირებში ვერ მაჯობებ,  
გინდა გასკდე ღრიალითა. <sup>8</sup>

მალა ლურსმანი ავაგდე,  
აილურსა, დაილურსა.  
შაირებში ვერ მაჯობებ,  
ცხვირი გიგავს მაიმუნსა. <sup>9</sup>

კოლექტივის საბჭელში  
თიეც არის, ბზეცა,  
შაირებში გამეჯობრე,  
შენც დაიწყე, ჰეცა. <sup>10</sup>

გიტარა მაქვს აწყობილი,  
ტარი აკრელებული,  
მოდო ბიკო მეშაირე,  
ნუ ხარ გაშტერებული. <sup>11</sup>

ქალაქში ბევრი მოსულა,  
თევზი, დოში და სათალი.  
თუ შენი ქალი კარგია,  
გასათხოვარი რათ არი? <sup>12</sup>

თქვენ კარზე ერთი ხე გდია  
ძირფესვიანათ ნათხარი,  
შენ იმნაირად გახველებს,  
ფილტვი გექნება წამხდარი. <sup>13</sup>

მალა ზიხარ ბუსა ჰგეხარ,  
ძირს ჩამოხვალ, ყორის გველსა,  
ვაეკაცობას კარგს გიქებენ,  
ოჯახობას ცარიელსა. <sup>14</sup>

ბიკო რასა მიედები,  
ნაღვინევი ვთერალივითა,  
გადადიხარ, გადმოდინხარ,  
ძველი ურმის თვალივითა,  
გაგუხარჩენია ულვაშები,  
მეწრეულე მსხალივითა. <sup>15</sup>

თოვლო ითოვლე, ითოვლე,  
გააკეთე ლანდებიო,  
დედას გიტირებთ ბიკებო,  
ძილში მოგელანდებითო. <sup>16</sup>

ვაჟო ეგ შენი ქებაო,  
არა ვსთქვა, არ იქნებაო,  
პურის ქამაზედ მარდი ხარ,  
საქმეზედ წელი გწყდებო. <sup>17</sup>

ერთი ძირი ნუში გვიდგა,  
სულ შენ დაგაკრეფინებ,  
შეჯვარებულს მე წაგართმევ,  
გულხელს დაგაკრეფინებ. <sup>18</sup>

აჰა ბიკო, ლენტი, ლენტი,  
შენ რითა ხარ ჩემზე მეტი?  
სილამაზით მე გჯობივარ,  
სიმაღლით ხარ ჩემზე მეტი! <sup>19</sup>

იორი ადიდებულა,  
წაულია მტკვარსა,  
დედამენი ვერ იშოჯნის,  
ჩემისთანა რძალსა. <sup>20</sup>

გოგონამ ვაშლი მესროლა,  
მეტკინა გულის ფიცარი,  
იცოცხლოს მისმა გამზრდელმა,  
აინც არ გეტყვით ვინც არი. <sup>21</sup>

ქალო უნდა გეშაირო.  
მაგრამ გულში ხინჯი მაქვსო,

ვერსაიდან ვერ წამიხვალ,  
მოსავლელი ხიდი გაქვსო.<sup>22</sup>

ბიკო პირი მოგიპარსავს,  
საარღიყოთ კისერი,  
ნეტა, რატო ცოლს არ ირთავ?  
აბა მითხარ ვის ელი?<sup>23</sup>

ახალი მანეულები  
ჩაუნერგე რიყის პირსა,  
გოგოვ, იმას გეხვეწები,  
გადმიგორო გულისპირსა.<sup>24</sup>

რუსები რომ გადმოვიდნენ  
ურემს დამირქვეს არაბა,  
გასწიე, იქით გამეცა,  
ნუ გახდი დავიდარაბა<sup>25</sup>

ურემზე თივა დაუდე,  
დაუდე და დაჰეშალა,  
გოგო. იქით გამეცალე.  
სალერლელი ამეშალა.<sup>26</sup>

ტყიდან ღორი გამოვარდა,  
მასა ჰქონდა ეშვები,  
ახლა გოგო, არ მიყვარხარ,  
რატომ არ მომეშვები?<sup>27</sup>

კაკლის ტოტი დავიწოდე,  
ჩამოვარდა კიანი,  
ჩვეყანაზე არ იქნება  
შენისთანა კვეიანი.<sup>28</sup>

ქალო, დედაშენის შვილო,  
გადახრილო თეძოშია,  
შენთან ვგრე მოვისვენებ,  
როგორც პური თონეშია,<sup>29</sup>

ყველა ფრინველი ხეზე ზის,  
მწყერი ვინაზე გოგდება,

რად გინდა, გოგო, ეგ ქმარი,  
ხაშალია და მოკვდება.<sup>30</sup>

ქალო შენი ქმარი ენახე,  
ქალას პირის ბანაშია,  
ყვავის ბახალა მეგონა,  
მოთრეული ტალახშია.<sup>31</sup>

ოქრო ვერცხლი გადავადნე,  
გაუტრე გიშერი,  
რას იპრანკები ბიქიკო,  
ნახშირს გიგავს კისერი.<sup>32</sup>

მე არ მომწონს სინაზე  
და არც შავი თვალები,  
მხოლოდ პატიოსნებას  
ვეტრფი, ვენაცვალები.<sup>33</sup>

სიყვარული არის ტანჯვა  
და არ არის ნეტარება,  
მაგრამ ყველა ნორჩი გული  
ამ სიყვარულს ეტანება.<sup>34</sup>

ალები, ლალები,  
წყალზე ჩაერეკე ხარები.  
ბიკო მალხაზო ვისი ხარ,  
მე შენ გენაცვალები.<sup>35</sup>

კაკლის ჩონგურს გაეაქეთებ,  
ზედ დავასხამ ლარებს,  
ლაუკრავ და ვათამაშებ  
ქვემოხვითის ქალებს.<sup>36</sup>

აბაზები აბაზებს,  
მანეთები მანეთებს,  
თეთრ ხალათას უნდა გავყვე,  
მთვარესავეით ანათებს.<sup>37</sup>

ბალჩაშია გადვიხედე,  
ქინძი კამას ეხვეოდა,  
ჩემი თვალით დავინახე,  
ბიჭი გოგოს ეხვეოდა.<sup>38</sup>

სიყვარულმა გული დამწვა,  
შენმა ცქერა: თვალებიო,  
როგორ უნდა შეგიყვარო?  
ახლოს არ შეკარებო.<sup>39</sup>

ბიჭო მაგ წითელ ხალათზე  
ნემსი დაგაკიდებია,  
თუ ჩემს იქით გზა გქონდეს  
ცეცხლი წაგკიდებია!<sup>40</sup>

ლითონებში შემოყვარდა  
ფოლადი და რკინა,  
ბიჭო შენმა სიყვარულმა  
კლექი გამაჩინა.<sup>41</sup>

კოკა დაედგი კოკაზე  
შენ გაკოცე ლოყაზე.<sup>42</sup>

საარშიყო ვაშლი მქონდა,  
შენსკენ გადმომივარდა,  
თუ ჩემს იქით სხვა გიყვარდეს  
გვარიც ამოგივარდა.<sup>43</sup>

გარეული ღორი მოვკალ,  
გადმოყარა ეშვები,  
ჩემ პირდაპირ გოგო რომ ზის  
იმას არ მოვეშვები.<sup>44</sup>

ბიჭო, შენი თეთრი წინდა  
წყალს მიჰქონდა მდინარესა,  
ჩაეყავ ხელი ამოვიღე.  
ჩაგეკონე მძინარესა.<sup>45</sup>

ჰყლინტი ყვილის კამა მიყვარს,  
კბილში გაკრაქუნებო,  
თეთრი ბიჭის კოცნა მიყვარს  
გულში ჩახუტუნებო.<sup>46</sup>

გაზაფხულის პირია,  
შაშვეა დაიწყო გალობა,  
რაზედ დამწვი და დამდაგე,  
მოისპოს შენი ქალობა.<sup>47</sup>

ნორჩი სიცოცხლე დავეკარგე,  
დამეჩაგრა გული,  
თურმე ამის მიზეზი  
არის სიყვარული.<sup>48</sup>

არ მიყვარხარ გენაცვალე,  
ძალით ვერ შეგიყვარებ,  
ნაძალადევ სიყვარულს  
გულში ვერ გავიტარებ.<sup>49</sup>

ამოდუღდი მარგალიტო,  
ნაგუბარში ჩადექ წყალო,  
არც ისეთი ლაპაზი ხარ,  
როგორც ინაზები ქალო.<sup>50</sup>

თეთრი ლობიო დავთესე,  
ხანდიხან გაშავდება,  
ბიქმა რომ გოგოს აკოცოს,  
ამით რა დაშავდება?<sup>51</sup>

რა მშეენიერად გიხდება  
ფეხზე თეთრი ტუფლები,  
წაუყვანელს არ გაგიშვებ,  
გულში ჩაგეხუტები.<sup>52</sup>

ქათამო, ტრიახ-ტრიახო,  
ძერას წიწილა მიაქვსო,  
ქალო ეგ შენი მანდილი  
ორლობის ნიავს მიაქვასო.<sup>53</sup>

ამას ამასობაღია  
წავალ ლეკის სოფელშია;  
შვიეყვარებ ლეკის ქალსა,  
ჩავეარდები ყოფაშია.<sup>54</sup>

ბურჯინი რომ აიკიდე,  
ნეტავ საით აიბარგე.  
გოგო, მაგ შენი ცქერიტა,  
დავიწვი და დავიდაგე. <sup>55</sup>

ღობეზე ჩიტი შემოქდა,  
გადიშალა პიმპილი,  
ვაი, ვინც შენ დაგივიწყოს  
არ ეღირასო გვირგვინი! <sup>56</sup>

მოვა ტურფა გაზაფხული,  
ია, ვარდი, გაიშლება,  
ჩემი სახე შენს გულიდან,  
სამუდამოდ წაიშლება. <sup>57</sup>

მინდვრიდანა მოვდიოდი,  
დაღალული, ნაყანევი,  
წინ ქალი შემომეყარა,  
თვალეუთუნა საყვარელი. <sup>58</sup>

წყალი უწყლოსა ალაგსა  
გაუშვი ჩაედინოსა,  
ბიჭო დაეხსენ გოგოსა,  
პატარა დაეძინოსა. <sup>59</sup>

ნთასა დაუთოვლებია,  
ზარსა დაღბარებია,  
ქალო, შენ ქმარს, შენი თავი,  
ჩემთვის ჩაუბარებია. <sup>60</sup>

აქროლდი სულო ცოდვილო,  
ჯანიც არ დააგვიანო,  
ბეც შენი შეტკობილი ვარ,  
შენ გონიერო, კკვიანო. <sup>61</sup>

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი,  
ზეცას მფრინავი ძერაო,  
შენ რომ იმ გოგოს შეყვარდი,  
ის იყო შენი წერაო. <sup>62</sup>



მაროს ბაღში გაიშლება  
ასკილი და რცხილა,  
თვალი დაუდგა მაროსა,  
თავი შეირცხვინა,  
სადაც ბიჭი დაინახა,  
ყველას გაუცინა. <sup>63</sup>

მარტო ვზივარ მოწყენილი;  
წვერი მიტყდება კალამსა,  
სადაც რომ შემოგეყრები,  
გეტყვი სულ მუდამ სალამსა. <sup>64</sup>

მინდორშია თეთრი ქვაო,  
დავკარ ხელი არ ამყვო,  
გოგოვ შენი სიყვარული,  
საცა წავალ, თან წამყვო! <sup>65</sup>

აგური და ქვაო,  
სანდრუამა სთქვაო,  
თუ ელენეს არ მოვიყვან,  
თავსაც მოვიკლო! <sup>66</sup>

ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი,  
ზეცას მფრინავი ძერარო,  
შენ რომ იმ გოგოს შეჰყვარდი,  
ის იყო შენი წერაო. <sup>67</sup>

არ გათეთრდება ყორანი,  
რაც უნდა ხეხო ქვიშითა.  
ქალო ერთს მაინც გაკოცებ,  
გინდაც რომ გასკდე ფიცითა. <sup>68</sup>

ვერა ხილი ვერ სჯობია  
აყვავებულ ატამსაო,  
შენ რომ თვალით დაგინახამ.  
გული იწყებს კანკალსაო. <sup>69</sup>

ჩველით დავკრიფე ბალები,  
ამოვლით ბუდეშურები,  
ქალო მითხარი სად მიხვალ?  
საითყენ მიეშურები? 70

ტყიდან ურემი მამქონდა,  
ზედ მედო ვაშლის კალათა,  
შენმა თვალმა და წაჰწამმა,  
მე გული გამიხალვათა. 71

ორლობე ამოვიარე,  
გადმოვიწოდე ატამი,  
ერთსა პირთეთრა ქალსაო  
გვერდზედა ედგა აკვანი.  
მე უთხარი: ნანა,  
იმან მითხრა: არა,  
შენნაირმა მოარშიყემ,  
ბევრმა ჩაიარა. 72

პური ვკამე და წყალი ვსვი,  
ახლა მომეცა ხალისი,  
საცა ლამაზები ვნახე,  
სულ ყველას ხელი გაუსვი. 73

სოფელზე ჩამოვიარე,  
ქალებმა ჰკრეს მუზიკანტი.  
ერთი გული მეუბნება:  
ადექი და დატრიალდი,  
ერთი გულიც მეუბნება:  
გიყი ნუ ხარ, დაქკვიანდი. 74

ორი ცხენი, ერთი კვიცი,  
აჰის მეტი აღარ ვიცი. 75

დახტა-დუმრას უკრავენ,  
ჩვენ კეკელას ნიშნავენ,  
ვიზე, ვიზე?  
კოტორაანთ ბიკზე. 76

ნეტავი რას იბერები,  
თავი მოგაქვს დიდათაო,  
შენი თავი გამოდგება,  
ვარანცოვის ხიდათაო. <sup>77</sup>

მატარებელი წამოვიდა  
თავის გოგორებიანათ,  
ჩვენი ვანე წინ შემოგზედა,  
თავის მოზვერებიანათ. <sup>78</sup>

საარყე ქვაბი შემოვლდი,  
ზედან დავადგი ზარფუში,  
გოგო, იმას გეხვეწები,  
რომ მაკოცნინო ზაფხულში. <sup>79</sup>

ცხვირსახოცი დამეკარგა  
თავის ფოჩებიანათა,  
ქერივი კაცი შემიყვარდა  
თავის ბავშვებიანათა. <sup>80</sup>

ქვემო ხვითში წვიმა მოდის  
ზესტაფონში დარიაო  
მე და შენი დაშორება  
ჩვენი მტრების ბრალიაო. <sup>81</sup>

ქვაზე დავდებ ქვასა,  
ავაშენებ სახლსა,  
ორი წლის შეყვარებულსა  
არ დაუთმობ სხვასა. <sup>82</sup>

სულ ვიარე არე-მარე,  
ჰსოფლიოს აქვს ოთხი მხარე,  
მაგრამ ყველა შენ გაქებდა,  
შენ ხარ ჩემი მზე და მთვარე. <sup>83</sup>

ვიდაცამ ვაშლი მესროლა,  
მატკინა გულის ფიცარი,  
მაინც არ ვიტყვი მის სახელს,  
ღმერთმა მიცოცხლოს ვინც არის. <sup>84</sup>

მე როდესაც დაგინახე  
შენ მეგონე ვარდი,  
მე სკოლაში გაგიცანი,  
კიდეც შემიყვარდი. <sup>85</sup>

ამოვიარე სოფელი,  
ჩამოვეკრიფე ატამი,  
ერთ პატარა გოგონასა  
კარზე ეღვა აყვანი. <sup>86</sup>

აბრეშუმის კაბა მინდა,  
როგორ ვიყიდოვო,  
მოშიაირე რომ მომიკვდე,  
როგორ გიტიროვო. <sup>87</sup>

ერთმა ბიჭმა ქვა მესროლა,  
მეორემ კი ვარდის კონა,  
ქვამ ვერაფერი დამაქლო,  
ვარდმა გული შამილონა. <sup>88</sup>

რა კარგია მთაზე ასვლა,  
და იქიდან დაგორება,  
რა ძნელია სიყვარული,  
და მერე კი გაშორება. <sup>89</sup>

მთლად რომ გასკდეს დედამიწა  
და ჩავვარდე უკუ ბნელში,  
არ იფიქრო ჩემო ტურფა  
დაგივიწყო მე ჩემს დღეში. <sup>90</sup>

ჩვენს ეზოში წყალი მოდის  
ქვეშ-ქვეშ მიედინებაო,  
ჩემი ბიჭი ის იქნება  
ვისაც გაეცინებაო.<sup>91</sup>

დედამთილო კონკა მოდის  
არ გაგიტანოსო,  
შავმა მიწამ პირი გიყოს  
თან გაგიტანოსო.<sup>92</sup>

ბალჩაშია გაღვიხედე,  
დავინახე კამა,  
ნეტავ როდის მელირსება  
ქმრის ნაყიდი კაბა.<sup>93</sup>

თითბერის კალმით დავწერე  
ჩვეულში ერთი ფურცელი,  
ისე მიცვარხარ ლამაზო,  
როგორც კახური ყურძენი.<sup>94</sup>

სიყვარული არის ცეცხლი  
ცეცხლზე უფრო ცხარეა,  
სიყვარულის მამგონი  
ცეცხლზე დასაწველია.<sup>95</sup>

ქვემო ხვითის ბიჭი ვარ,  
ღამე ნიქოზს დავდივარ,  
შენ ლამაზო მელექსეე  
სულ შენ გზაზე დავდივარ.<sup>96</sup>

ფანჯარაში ლექსები  
ბიჭო რას მელექსები  
სამი წელი მომიცადე,  
სიყვარულს ვერ ვესწრები.<sup>97</sup>

პარიკმახერთან შევედი,  
ულვაშები დამიმშვენა,  
ცალ ლოყაზე თეთრი ბამბით  
პლანტაცია გამიშენა.<sup>98</sup>

დამენაძლიე საბედო  
პენი შაირი გავბედო,  
შეს ჩემი დაწუნებისთვის  
მაგ გულზე ცეცხლი მოგედო. 99

წყალში მოდის ორაგული,  
ბოლოს აქნევს თავს არაო,  
ეხლანდელი ახალგაზრდა  
მზითვებს ეძებს ქალს არაო. 100

ამოდუღდი მარგალიტო,  
ნაგუბარში ჩადექ წყალო,  
არც ისეთი ლამაზი ხარ,  
როგორც იბერები ქალო. 101

ქვეყანა ქალათ არა ღირს  
სიმდიდრე ქალათ არა ღირს,  
რაც გინდა გქონდეს ქონება  
ერო ლამაზ ქალათ არა ღირს. 102

ბროლის ქიქით ჩაის ვსევამდი  
შიგ შაქარი ჩამეყარა,  
ერთი წერილი მომწერე,  
შენი კირი შემეყარა. 103

კ ა მ თ ც ა ნ ე ბ ი





## ბ უ ნ ე ბ ა

1. ერთი დედა ზრდის შვილებსა,  
დიდსა პატარას წვრილებსა,  
გაზრდის და თვითონვე შესქამს,  
კიდნს ილესავს კბილებსა.  
(დედამიწა)
2. დედამ დაზარდა შვილები,  
დიდრონები და წვრილები,  
დაჭდა და თვითონ შექამა,  
დააკრეკინა კბილები.  
(დედამიწა)
3. დავარტყი ხმალი, არ დაეტყო კვალი.  
(წყალი)
4. ვწერი, ვკერი ვერ გავკერი.  
(წყალი)
5. ტყეში ფიჩხი გადაუშვი.  
(წვიმა)
6. მალლიდანა წამოვიდა  
შავი შარაშურიტა,  
შაშესა პირი, აუხვიე  
შავი აბრეშუმითა.  
(წვიმა)  
დაბლიდანა მიეგება  
მაისკუმის კაპარა.  
(წვიმა)
7. გულით მნატრობენ, ყველგან მელიან,  
როცა კი მოვალ იმალებიან.  
(წვიმა)
8. ჩემი ციკან-ბატკანი  
ბანზე კუნტრუშაობენ.  
(ხორხოშელა)

9. ავიარე ალთასა, თხა დაეკლა თათარსა,  
ხოცი ვთხოვე ნებითა, დამიფრინა ქვებითა.  
(სეტყვა)
10. ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაპენტილამცა-  
ვინც ამას არ გამოიცინობს, ყრუც არის და ბენტერაცა.  
(თოვლი)
11. თავზე ბურბუშელა, ფეხზე ფუნტრუშელა.  
(თოვლი)
12. აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი,  
მზით ავილე, მთვარით დავდგი.  
(ყინული)
13. ერთი რამცა, თეთრი რამცა,  
ლურჯად გადაპენტილამცა,  
ვინც იმას არ გამოიცინობს  
ბრეყვიც არის ბენტერაცა.  
(ცა)
14. ერთი ხეა ხერხოვანი,  
ზედ ასხია ცერცოვანი,  
არც იქმევა, არც ისმევა,  
არცა ზედა გაივლება.  
(ცა)
15. თავს გვაფარია ბანივით,  
მსუბუქია და ვრცელია,  
რაც უნდა მაღალი იყვე  
ვერ მიგიწვდება ხელია.  
არც უნდა ბოძი, კედელი,  
ფანჯარა მასთან კარია,  
აბა თუ გამოიცანი  
მზათ არის საჩუქარია.  
(ცა)
- უსაზღვრო ყანა, უთვალავი ძნა.  
(ცა და ვარსკვლავები)
16. რაც ქვეყნიერება დაარსებულა მაშინ დაბადებულა  
და ჯერ წელიწადი არ შესრულებია.  
(მთვარე)
17. ერთ სოფელში, ორსა კაცსა,  
ორსავე ერთი ფერი აქვსო,  
ერთი მუღამ სიყრმეზე დგა,

ერთს სიბერე ახლო აქვსო,  
ერთსა ჯარი უთვალავი,  
ერთს მარტოკა ტახტი აქვსო.

(მზე და მთვარე)

18. მოვიდა თეთრი მოწვეერი, გააგლო შავი მოწვეერი.

(დღე და ღამე)

19. ერთი ალვის ხის ტოტზედა  
თორმეტი ტოტი ასხია,  
სცივია და სცივია ფოთოლი,  
ისევე იმღენი ასხია.

(წელიწადი, თვეები, დღეები).

20: ოთხი ოქრო, ოთხი ვერცხლი,  
ოთხი ბოლო დროს რკინაო,  
ამის გამომცნობი კაცი  
აბა წამოდგეს წინაო,  
ან ჩამოასხი ხელადა,  
ან დამბატიყე შინაო.

(წლის თვეები გლეხკაცისათვის შემოსავლიანობის  
:თვალსაზრისით).

## ა დ ა მ ი ა ნ ი

21. ერთი სტუმარი გვეწვია, მის დღეში უსტუმრებელი,  
ისეთი საკმელი მივართვი სუფრაზე დაუდებელი.

(ბავშვი და დედის ძუძუ)

22. რა იცი და რა არ გახსოვს.

(დაბადება)

23. აცაცუნა, ბაცაცუნა, ბატონსაც და ყმასაც უნდა.

(სახელი)

24. ერთი რამ უცხო მავალი  
ორი ჩნდა გამიკვირდაო,  
თუ გავიქეცი, გამომყვა,  
თუ დავდექ, დადგა ისაო,  
თუ ხელში ავიღე რამე,  
მან ბარგი აიკიდაო.  
თქვენი ჭირიმე მიშველეთ,  
ეს რა გადამეკიდაო.

(ჩრდილი)

25. ბუმბულზე რბილი, შაქარზე ტკბილი.  
(ძილი)
26. უნაგრილოდ გაღმა გავალ.  
(ხმა)
27. ბუმბულზე რბილი, შაქარზე ტკბილი, სასწორზე  
აუწონავი.  
(სული)
28. ვერც იყიდი, ვერც გაჰყიდი,  
უმისობაც არ იქნება.  
(სიცოცხლე)
29. ერთი რამეა ყველაზე მაღალი და ღმერთზე დაბალი.  
(სიკვდილი)
30. ვიცი და არ ვიცი.  
(სიცოცხლე და სიკვდილი)
31. ვინ ნატრობს ცალთვალობას?  
(ბრმა)
32. ერთი ლაპარაკობს  
ორი იცქირება.  
(ენა და თვლები)
33. წაქნი-წუქნი წაეკიდნენ,  
ხელით ეკირათ ფარები.  
(თითები და ფრჩხილები).
34. ხუთნია ხუთხურაული, ხუთსავ ფარები ასხია.  
(თითები და ფრჩხილები)
35. ერთი რამეა, ყველაფერი შიგ შედის.  
(სმენა, ყურები)
36. ხე ბრუნდე და ხე მართალი,  
აბია ხუთი მარცვალი.  
(ხელი)
37. ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე.  
(თმა)
38. ერთი ხელსახოცი მაქვს,  
ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე.  
(ენა)
39. ოცდათორმეტი მცეხველი და ერთი მხვეტელი.  
(კბილები და ენა)
40. ერთი თახჩა მაქვს, კენჭებით გაჰოტენილი.  
(კბილები)

41. ვხვებთ: ვხვებთ, ვერ დავხვებთ.  
(ცხვირი)
42. ორი ბოსელი მაქვს და ერთი ბოთი აქვს.  
(ცხვირი)
43. ქელი-ქელ ჩამოწოლილა გავაზ-გავაზი გველიო,  
ქვეითკენ ჩაიციკრება, იქ არის ჩემი ველიო.  
(წარბები)
44. ერთი კლდეა და იმ კლდეზე ორი გველი გაწოლილი.  
(წარბები)
45. ორი თოკი მაქვს, სადაც მინდა გაუწვდენ.  
(თვალეები)
46. ორი გორგალი მაქვს, სადაც გინდა გაუწვდენ.  
(თვალეები)
47. დავეცე ფარის ოდენა.  
გავშალე ქვეყნის ოდენა.  
(თვალეები)
48. აყლაყუდა ყუდაო, ყუდას ზევით გუდაო,  
გუდას ზევით მიკრიჟა, მიკრიჟს ზევით მიცერიტი,  
მიკერიტს ზევით ქალა, შიგ ღორები წვანან.  
(მკებენარი)

### ტანსაცმელი და იარაღი

49. ორმო ბნელი, შიგ მოზვერი; ძნელად მოსაბრუნებელი.  
(ხმალი)
50. გარეთ ელვა, შიგნით ქექა, კაცის შესაშინებელი.  
(თოფი)
51. აქედანა გავიქეცი, მინდვრის ბოლოს წავიქეცი,  
იქა ვკამე ილა, შინ მოვედი მშიერი.  
(თოფი)
52. თავი ქვისა. ტანი ხისა,  
ბალახს კამს და ნაცარს ყრისა.  
(ყალიონი).
53. ჭელი ვარ, ბრმა ვარ, დავებრდები თვალეზიანი.  
(ქალამანი)
54. დავაბამ დადის, აუშვებ დგას.  
(ქალამნები)
55. თხა და ხარი დაძმობილდნენ რკინის შუამავლობითა.  
(ფეხსაცმელი, ნემსი)

56. ორნი იყვნენ, ტოლნი იყვნენ,  
ორივენი დარბოდნენ და დადიოდნენ.  
(ქოშები)
57. კაცზე მალალი, ღორზე დაბალი.  
(ქუდი)
58. ხე გადავქერ, ზედ გადავჭექ.  
(შარვალი)
59. თავს მოვქრი გულს ამოვაცი, ვასმევ და ვალაპარაკებ.  
(კალამი)
60. ერთსა რამეს მოგაბარებ  
უსულოსა. უგულოსა,  
.ვინძლო ასე შეინახო,  
რწყილმა არსად უკბინოსა.  
(თოჯინა, ტიკინა)
61. გაეიხედე მინდორშია,  
სიო ქარი ჭრისო,  
ყველა იმას ურტყავს  
სინახლი არა დისო.  
(ბურთი)

## ო ჯ ა ხ ი

62. ერთი იძახის თავი, მეორე იძახის წელი,  
მესამე ეუბნება:—ყაირათი ქენი!  
(დარბაზი, დედაბოძი, და თავზე)
63. წითელი ხარის ნაძოვარზე ბალახი აღარ ამოვა.  
(ცეცხლი)
64. სკრის და არ აკაკუნებს.  
(ცეცხლი)
65. სამი ძმანი არიან:  
ერთი მიდის, აღარ მოდის,  
მეორე ქამს და ველარ ძღება,  
მესამე წეეს და ველარ დგება.  
(კვამლი, ცეცხლი, ნაცარი)
66. ღერჯი აბრეშუმში სარკმლისაკენ მოიწეეს.  
(ბოლი)

67. რომელი ცეცხლი არ სწვავს?  
(დახატულა)
68. შავი არის შაშვივითა, გალაჭულა კაცივითა.  
(ბუხარი)
69. მიდი-მოდის, ისევ იქ დგას.  
(ქარები)
70. მიდი-მოდის ქარავანი;  
არ უცვდება ქალამახი.  
(ხალიჩა)
71. ამოცანას დაგიყენებ  
ამოცანის ფერიას,  
ზოგან თეთრი, ზოგან ქრელი,  
ზოგან ალისფერიას.  
(ხალიჩა)
72. გამოცანას მოგახსენებ,  
დიდი არაფერიას,  
ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ,  
ზოგან ალისფერიას.  
(ხალიჩა)
73. უსულოსა, უგულოსა, ორი თავი აბია.  
(მუთაქა)
74. სახლში ძალი წევს, კული ბანზე აქვს  
(ფეჩი).
75. აბანოს თეთრი ბატები  
აბანოს ებანებიან,  
იმათი ნაყარ-ნუყარი,  
ხელმწიფეს ეკადრებიან.  
(სარქეცი)
76. ოთხი ძმანი არიან, ერთი ქული ხურავთ.  
(სკაპი)
77. აი იმ გორაზე ერთი კაცი ზის და ორი ხელით წვევს  
იგლეჯს, ლოყებზე ბეწვს არ ირჩენს..  
(საჩეჩელი)
78. მალა ვზივარ თახჩაშია,  
წვერი მცვივა კალთაშია.  
(საჩეჩელი)
79. ძალი წევს და კული ღრინავს, სახელური იძაბება.  
(ქარა)

30. ჩვენს კარებზე წამოწვება  
დიდი უზურველა,  
თავი ბურბუშელა,  
ფეხი კუნტრუშელა,  
კუდიტ პირჯვარს იწერდა,  
არუშ მარუშელა.

(ჯარა)

31. ერთი პატარა ბაჰია, სირბილით არის მაჰია.

(თითისტარი)

82. ჩემაი დეკეულაი სირბილით გაიმაკება.

(თითისტარი)

83. ხუთნი ძმანი არიან, ოთხნი ციხეს აშენებენ,  
მეხუთე სულ თავს უვლის.

(წინდის ჩხირები)

34. ასი ხევი ავიარე,  
ასი ხე ვნახე ნათალი,  
ერთი ხე ვნახე ნათალი,  
ისიც გულ გამონათალი.

(ვარცლი)

35. ხე დავიარე ხერგნელი,  
ხე ვერ ვიპოვე მართალი,  
ერთი ხე ვნახე მართალი,  
ისაც გულ გამონათალი.

(ვარცლი)

86. ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი.

(სამოვარი)

37. კაცმა თქვა და ღმერთმა ბრძანა:

მდევეს დავადგათ უნაგირი,  
ვაი თუ მდევი გაიპაროს  
თან წაიღოს უნაგირი.

(ტივი)

38. ცოცხალია ბალახსა სძოვს,  
მოკვდება და ღვინოსა სვამს.

(ტივი)



89. ვზივარ კლდესა, ვიქნევ ხელსა,  
მოსწი მამაშენის მზესა.  
(ხელსაფქვაეები)
90. გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი,  
ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი.  
(სამოვარა)
91. ერთი პატარა სოფელი  
გარგალათ შემოვლებული,  
ბევრჯერ მინახავს მორწყული,  
არც ერთხელ აყვავებული.  
(ქვაბი)
92. ერთი ხარი მყავს, ბაგა-ბაგა ასხავს.  
(საცერა)
93. წითელსა ეკლესიასა შავი შემოჭდა ყორანი.  
(ქვაბის ცეცხლზე დაღმა).
94. ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე,  
სახლში მოვედი, დიდი დავიძახე.  
(ფილი)
95. პატარა წიკწინკელასა, მთიდან თივა ჩამოჰქონდა..  
(სამართებელი)
96. პატარა არის საწყალი, მალღა გუდის ცანცარი.  
(სამართებელი)
97. შავხედე და შემომხედა ის არაფერს მეუბნება.  
(სარკე)
98. ერთი კედლის წინ, ხან ერთი ვარ, ხან ორი.  
(სარკე)
99. ზიკრიცისა, პირი მზისა, შიგ რომ ხალაზანა ზისა.  
(სარკე)
100. ხორცის შამფური, რკინის მწვადი.  
(ბეჭედა)
101. ყველა მიწვება-მოწვება, ერთი ისევ კუნტია.  
(ტომარა)
102. ტომარა და ტონტრუკელა, სახელს გეტყვი ვერ აიცნობ..  
(ტომარა).
103. ორი წვერი, ორი რგოლი, შუაშია ლურსმანი.  
(მაკრატელი)
104. ზორიდან შევხედავ შავია,  
ახლო მივალ მკედარია,  
ხელს მოვკიდებ

ცოხნას დაიწყებს.

(მაკრატელი)

105. ურემი ხევში ხიჩხიჩებს.

(მაკრატელი)

106. ავხადე ფარფიტელასა, ჩავხედე გულყვითელასა.

(ერბო)

107. სუფრა კარგი, მაგრამ ნახევარიაო.

(სუფრანზე ვარია არ ყოფილა)

108. პატარა და უცხო.

(ნემსი)

109. რკინის ხარს, ბამბის კული აბია.

(ნემსი, ძაფი)

110. დათვი მიღის შარა, შარა,  
კული მიაქვს ჩქარა, ჩქარა

(ნემსი და ძაფი)

111. ერთი რამ იყო ელაო,  
მხარზე გაედო ენაო.  
იმის სიტყვა და პასუხი,  
სუყველამ დაიჯერაო.

(სასწორი)

112. ერთი თხა მყაედა ექაო,  
ზურგზე ეკადა ენაო,  
იმის სიტყვა-პასუხი  
ქვეყანამ დაიჯერაო.

(სასწორი)

### მეურნეობა

113. დათვი სკამდა რახრახებდა  
მასპინძელი ყურს უგდებდა.

(წისქვილი)

114. ზედადგარი ზედ ნაღგარი

ზედ ირემი გაწოლილი.

ზევიდან აყრიან, ქვეით ჩამოდის.

(წისქვილი)

115. თოფი ხისა, ტყვია წყლისა,

ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

(წისქვილი)

116. მუცელი ქვისა, ზურგი ხისა.  
(ცვრი).
117. ორბი იჯდა ორასი,  
ფრთა გაშალა სამასი,  
ნისკარტი ჰკრა ოთხასი,  
კლდე გააპო ხუთასა.  
(გუთანე, გუთნეული)
118. ლალის ფერად აყვავდება,  
ხელს უპირავს ლამაზიო,  
ვერ გამოსჭრის კარგი მჭრელი,  
ვერ შეეკრავს ხარაზიო.  
(ღვინო)
119. მამა დაგრეხილი, დედა დაწყლულია,  
შვილი გადარეული.  
(ვაზი, ყურძენი, ღვინო).
120. აბა ვინ არის? ქათამი შავი,  
ავგლიჯე თავი, შეეკამე მხარი.  
(ყურძენი)
121. დედა ლამაზი, მამა კოქლა, შვილი გადარეული.  
(ღვინო)
122. ძირი მიწასა, შუა ბაგასა,  
თავი შენი ყველაყასა.  
(ყანა)
123. ეს რა არის, მასრა არის,  
მასრას უკან კალო არის.  
კალო გაჰედლილი არის,  
კვიცი გაკრეპილი არის.  
(ყანა, ძნა)
124. მალლა კიღობანი შეეკარ  
აკნისაო — ბაენისაო,  
კურტუმები ჩავალაგე  
ციკნისა და ბატკნისაო.  
(ბროწეული)
125. ცას კოკროქინა ჰკიღია  
სიგრძითა და სიგანითა,

პირთამდისინ სავსე არის,  
თოხლითა და ცუკანითა.

(ბროწეული)

126. ცას ვკიდე ხელი, ვერ ვკიდე,  
ვარსკვლავებს დავედარები,  
ქერქი მაქვს, მეტად მწარე მაქვს,  
ფერით ლალს დავედარები,  
თასი მიბოძეთ, დავეყარო,  
იაგუნდი და ლალები.

(ბროწეული)

127. შიგნით გული გურგუმელი  
გარეთ კანი ატლასისა,  
რაც იმაში ჯარი არის,  
თუ არ შეტი ათასისა.

(ბროწეული)

128. მალღადანა წამოვიდა, ვაიმე დედი, ქული ჩეჩი.  
(კაკალი)

129. აკიბესა ჩაკიბესა, კარტა-კურტი გაჰკიდესა,  
ჰკრეს ჯოხი და ჩამოაგდეს, გული გამოუტანჯესა.  
(კაკალი)

130. მდლიდან წამოვიდა თავში გიშით-გიშერაო,  
იყრენა ტყავნაბადი, გამოვარდა შიშველაო.  
(კაკალი)

131. წითელი ქვევრი, შავი სარქველი,  
შიგნიდან ყრია ხაშარ-ხუშური.  
(ასკილი)

132. აგერ იმ გორას, რა არის?  
ამწვანებულა მთა არის,  
შიგ უსხედს ოქროს კბილები,  
ვერ გამოიცნობ რა არის.

(მარწყვი)

133. ტყეში ერთი წირპლიანი კაცია.

(ზღმარტლი)

134. ა იქითა ველშია წუწიანი კაცები გამოიციკირებიან..  
(ზღმარტლი)

135. ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე,  
ქალსა შივი ავეყარე, კალათაში ჩავეყარე.

(შვინდი, მარწყვი)

136. გომურში ხარი შევაგდე, ქული ხელში შემრჩა.  
(მსხალი)
137. გალმიდან იხვი, ხოხობი, გამოლმა გამოჩანჩქობდა,  
კვერცი დაედო ოქროსი, შუა ბაზარზე ვაქრობდა.  
(კიტრი)
138. ერთს მინდორზე თესლი ვთესე,  
მწვანეთ იყო ამოსული,  
შევეყავ ხელი ამოვიღე,  
ეკლით იყო შემოსილი.  
(კიტრი)
139. გაუთლელი ჩხირი, შაუკერავი პარკი,  
დაუფქველი ფქვილი.  
(ფშატი)
140. გარედან პარკი, შიგნიდაზ ფქვილი,  
შუაში უღევს მოგრძო რამ ჩხირი.  
(ფშატი)
141. თეთრი კაცი ცხვარსა ჰკლავს,  
ცხვარი არ სტირის, კაცი კი სტირის.  
(ხახვი)
142. ერთი რამ უცხო ნაზარდი  
შორს წაიყვანა ძიძამა,  
იქ დახვდა ნათესაეები,  
მაგრამ ვერ იცნო ბიძამა.  
ვერცა აწყინა სიცივემ  
ვერცა სიცხემა მზისამა,  
რომელიც დარჩეს იხაროს,  
ნაყოფმა მამულისამა.  
(ნამყენი)
143. მკვლარსა ვქამ კუბოს ვაგდებ.  
(მზესუმზირა)
144. თავი ბურბუშელა, ბოლო ფუნტრუშელა,  
თუ იმას ვერ გამოიცნობ, უქკუო ხარ შენა..  
(ბოლოკი)
145. თოკი სვამს და ტიკი იბერება.  
(გოგრა)
146. ტყეში ხარი შემივარდა,  
გამო, გამო, გიშერაო,

ნაბდის ძველა იქ დააგდო,  
გამოვიდა შიშველაო.

(თხილი)

147. უფანჯრო და უქარებო, შიგ ხალხითა სავსე.

(საზამთრო)

148. ლობეში ხელი შეეყავი, კაპასმა ძალღმა მიკბინა.

(კინკარი)

149. ყასაბი ცხვარს დაკლავს,

ცხვარი არ ტირის და ყასაბი კი ტირის.

(ხახვის დაკრა)

150. ჩვენებიანთ ბალშია, ჯამი, ჯამზე ამხია,  
ვინც იმას არ გამოიცნობს, თავზე ლაფი ასხია.

(კომბოსტო)

151. ჩემი თეთრი ქათამი, ლობის უკან ჩავფალი.

(ნიორი)

152. ტყეში ცალფეხა სკამია.

(სოკო)

153. თეთრად დავიბადე,

წითლად გავიზარდე,

შავად დავებრდი.

(მაყვალი)

154. დილით თეთრი ვარ,

სალამოს შავ კუპრად ვიქცევი.

თუ თვალი მომკარ,

უთუოდ საკმელად გამოიქცევი.

(მაყვალა)

155. ალაღმა დაიკისკისა,

გარს შემოუსხდნენ შვილები.

არც იყო მისი შვილები,

არც მისი შვილიშვილები.

(წიწილები)

156. სახლი; შაქვა აგეთ-მაგეთი,

ოქროს ყაჭუაქიძე ნაგები

შიგა ვზივარ და ვიძახი,

კარი არცა აქვს საღები.

(წიწილა)

157. ერთი რამა სულიერი,

იქლა ბროლსა და ნადარსა,

ას სულ მკედარსა გააცოცლებს,  
სამი კვირის დანაყარსა.

(კრუხ-წიწილა)

158. ეგრეც ვიყავ, ესრეცა ვარ,  
ისე გაგხდი როგორც მე ვარ.  
(ქათამს უთქვამს კვერცხისათვის)
159. აბურძგნულმა სიპი შობა, სიპმა აბურძგნული შობა.  
(ქათამი და კვერცხი)
160. ორჯელ შობილი, ერთხელ მკედარი.  
(ქათამი და კვერცხი)
161. ერთი საკმელია, რაც გინდა ბევრი მარილი უყო.  
მაინც უმარილო იქნება.  
(კვერცხი)
162. ერთი ტიკი მაქვს, ორნაირი ღვინო ასხია,  
რაც გინდა აქყანყყარო, ერთმანეთს ვერ შეუერთებ.  
(კვერცხი)
163. შიგნით ოქრო, გარეთ ვერცხლი.  
(კვერცხი)
164. უსულო არის ორსული  
სულიერისა მშობელი,  
შვილსა შობს, დედა მოკვდება,  
ვინ არის გამომცნობელი.  
(კვერცხი)
165. უარე, უარე კარი ვერ ვუპოვე.  
(კვერცხი)
166. აქედან გავკარ ისარი, მცხეთას გავხვრიტე ფიცარი.  
(მამლის ყივილი).
167. თავი მაღალი, ბოლო ნამგალი, ბიჭო, იცანი მამალი.  
(მამალი)
168. ყველაზე ღარიბი ცხოველი რომელი არის?  
(თხა. წვერის გასაპარსი ფული არ აქვს).
169. მიდის, მიდის, მირაკრაყებს,  
მინდორს გავა გაიშლება,  
ვინც იმას არ გამოიცნობს,  
სულ კკუიდან შეიშლება.  
(ცხვარი)
170. ოთხნი არიან, ძმანი არიან,  
ბალში ჩადიან, ჩაიმღერიან.  
(ძროხის ცური)

171. სანამ პატარა ვიყავი,  
ოთხი სოფელი მიჰამია,  
გავიზარდე, მიწა მინგრევია,  
მოკეკედი, ქვეყანა მიხილია.  
(ხბო, ხარი, შემდეგ ხარის ტყავის ქალამნები)
172. ორი ოლოლსა, ოთხი კოლოლსა,  
არც ერთი ანლატუნესა.  
(ძღუძუები: ცხვარს ორი, ძროხას ოთხი, ქათამს არც ერთი)
173. ორნი არიან, ტოლნი არიან,  
დარბაზს ჩადიან, ჩაიმღერებენ.  
(ცხვრის ცური)
174. ოთლო თოთლო, ოთხო ბოძო,  
ზევით მთანი სათიბაო,  
ქვევით წყარო სადინარო.  
(ცხვარი)
175. ოთხო ბოძო ზედადგარო, ქვევით წყარო სადინარო,  
ზევით ველო სათიბველო.  
(ცხვარი)
176. ბოძი, ბოძი, ბოძანძარა;  
ზედ გუდა და მოსართავა.  
(ცხენი)
177. უჩინ ბოსლის ყურეშია, თეთრებს ისრებს ისვრიანო.  
(ძროხის რძე წველის დროს).
178. ჩვენ კარებზე ბევრი მოვა,  
მატიტელა ღრინჭოლაო,  
წამოდგება დაიყვირებს  
გაბერილი ტიკჭორაო.  
(სახელარი)
179. ერთი რამე სულიერი ჩიტსა გვანდა სოსანსაო,  
მისი ფინთი ჩავაყარე შენს მკვდარსა და ცოცხალსაო.  
(ფუტკარი)
180. სახლი ავაშენე ხისა, არ არის ნაფოტისა,  
შედიან და გამოდიან, ბრძანება არის ღვთისა.  
(ფუტკარი)
181. ჭალა-ჭალა მოდიოდა უზუმბარა რქიანი  
მოვიდა და დაიბერტყა ფეხი ტალახიანი:  
(ფუტკარი)



## ფრინველები, ცხოველები და მწერები

182. ტანშიშველი, ფეხშიშველი, სახელს გეტყვი ვერ აიცილო.  
(შველი)
183. უწყლოთ, უმიწოთ ნაზარდი, ნახე რა ტურფა ხე არის.  
(ირმის რქა)
184. უფხო, უძელო, ტყის ნადირი...  
ვინც იმას არ გამოცნობს,  
გამართოს ერთი სადილი.  
(წურბელა)
185. შავი არის შაშვივითა,  
იკბინება. ძალღვივითა,  
წელში ისე ათამაშებს  
ქამანჩა და სტვირივითა.  
(რწყილი)
186. ერთი რამე სულიერი, მთაში დადის მწყრალვითა,  
ცეცხლსა ძლიერ ერიდება, შეშა დააქვს ძვალღვივითა,  
მე მინახავს დახვეოდნენ ბატონები ყმანივითა.  
(ირემი)
187. კვერცხსა სდებს, ქათამი არ არის  
ბალახს სძოვს, ძროხა არ არის.  
წყალშია, თევზი არ არის.  
(კუ)
188. ძროხა. არ არის, ბალახსა სძოვს,  
ქათამი არ არის, კვერცხსა სდებს.  
(კუ)
189. ანაკეცი, შენაკეცი, ქალი მოდის თმა ნაკეცი.  
არცა უნდა პირსა წყალი, არც თავსა საფარცხელი.  
(გველი)
190. ერთი პატარა მანანა, სახლსა და კარსა ჰგალობდა,  
შავი ჩოხანი ჩაეცვა, წვივსა კი არა ფარავდა.  
(შაშვი)
191. ჩემი პატარა იობა, წამოსულიყო თიობა,  
წინ თივა უკან იობა, შიგა-შიგ ჩამოდიოდა.  
(ობობა)
192. ჩემი პატარა მიმინო გულთ ეშმაკების მახია,  
ისე მომიქსოვს წინდებსა თვალითაც ვერა ვნახია.  
(ობობა)

193. ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს, ხან არა.  
(ციცინათელა)

194. თავი ბუს უგავს, ფეხი ჩალასა,  
ნახტომი იცის, დევის ქალასა.  
| (კალია)

### ნ ა რ მ ვ ი

195. კიკლი-კიკლი კიბესაო,  
როსტომიანთ ციხესაო,  
ზედ კურდღელი შემომჭდარა,  
აწკაპუნებს ყურებსაო.  
(სამრეკლო და ზარი)

196. არწივები მოფრინავენ  
მიყვარს მათი ხმაურიო,  
ხმაი ხმაში გაუხვიე  
მარგბილებზე დაუბიო.  
(ჩონგური)

197. ცოცხალი მკვდარსა სცემს,  
მკვდარი უმოწყალოთა ჰყვირის.  
(ზარი)

198. წყალში ქვა როგორია?  
(სველი)

199. მეცხვარე ნაბადს რატომ წამოისხამს?  
(ნაბადს სახელოები არ აქვს).

200. შარშანდელი მამაჩემი,  
წრეულ ჩემი შვილი იყო,  
ჩემი გაზრდილი ყმაწვილი  
დედაჩემის ქმარი იყო.  
(გათხოვილ ქალს დაუპირეს მამა და ციხეში ძუძუთი:  
გამოკვება, რადგან მამას მისჯილი ჰქონდა შიმში-  
ლით სიკვდილი).

201. კურდღელი მთაზე რატომ არბის?  
(მაშ მთას ზომ ვერ გახვრეტს და ისე არ გაძვრება?)

202. მალლა ბატები მიფრინავენდნენ, ძირიდან კაცმა დაუძახა:  
— გამარჯობათ ასო ბატო!

ბატებმა უპასუხეს:— ჩვენ ასი არა ვართო.

კაცმა უთხრა:— მაშ რამდენი ხართ?

— ხეებზე რომ თითო თითო ვსხდებით,

ხეები არ გვყოფნის და ერთი ბატი მიწაზე ჯდება, ხოლო  
თუ წყვილ-წყვილად დავსხდებით, მაშინ ხე რჩება კენტათაო.  
(ყოფილა 4 ბატი და სამი ხე).

203. კაპეჩი რატომ წვება?

(ვერ დაჯდება და შაშ რა ქნას?).

204. ქალი და კაცი ცხენზე იხდნენ. კაცი წინ იჯდა, ქალი უკან  
მოესვა. გავიდნენ ერთ მდინარეზე. მინდორში მუშები  
ყანასა მკიდნენ. მუშებმა დაიძახეს: ერთი უყურე ქალი  
მიჰყავს!... ქალი მიჰყავსო!... ქალმა დაუძახა:

— ჩვენზე ცუდი არაფერი იფიქროთ, აჰ კაცის დედა  
დედაჩემის დედამთილიაო.—რა ყოფილა კაცისა ეს ქალი?

(შვილი)

205. ვკეცე ვკეცე ვერ დავკეცე.

(გზა)

206. მსოფლიოს გასწვდა და ქვეყანას სახურავათ არ ეყო.

(ფული)

207. პატარა წიკ-წიკელაო,

ბატონის საყვარელაო.

(ფული)

208. ტარანა ნახევარი, ღირს კაპიკნახევარი,

რა ეღირება თითო ტარანა??

(თითო კაპიკი)

209. ახში ვარიგებ, არა მტრულადა

ასთით მოგიტან ათ ბექს.

ხუთი წავალთ, ოთხი მოვალთ.

(მკედრის დამარხვა)



სტანდრები და თქმულებები



## დათვი და გელა

იყო ერთი მელია. იპოვა ორი თხილი, დაამტვრია ერთი თვითონ შესკამა და მეორე, მეზობელ დათვის აკამა. დათვის თხილა ეგემრიელა და ჰკითხა:

— მელია, რა იყო რომ ისეთი ტკბილი იყო?

მელიამ უთხრა: — მე ერთი თვალი გამოვითხარე და ის შეგაკამეო, — თან ტყუილად თვალი დახუჭა.

დათვმა უთხრა: — მაშ რადგან ეგეთი გემრიელი ყოფილა თვალი, მოდი, ერთი თვალი მე ამომაცალეო.

მივარდა მელია, გამოსთხარა თვალი და შეაკამა დათვის. თვალი მწარე ყოფილიყო, დათვმა უთხრა:

— მელიკო, ჩემი თვალი მწარე რად არისო?

— უი, — უთხრა მელამ, — შარცხენა თვალი გამოვითხარა, მარჯვენა თვალი არის ტკბილიო.

— მოდი მარჯვენა თვალიც ამომთხარე, ყელი ჩავიგემრიელო. თორემ ძალიან მწარე იყო და ყელი მეწვისო, — უთხრა დათვმა.

მელიამ მარჯვენა თვალიც გამოსთხარა. დაბრმავდა დათვი, ვეღარ დადიოდა. მელიამ უთხრა:

— რადგან ეგ უბედურება გვეწვია, მოდი შე კუღზე ექვანს გავიკეთებ და ის რომ იხმაურებს, შენ იმის ხმას მოსდიე ხოლმეო.

დათვი დასთანხმდა. გაიკეთა მელიამ ექვანი კუღზე და დათვიც დასდევდა. ერთ ზამთარს დიდი თოვლი იყო და მელა საკვებს ვეღარ შოულობდა. უთხრა მელამ დათვის:

— შენ რომ ნელ-ნელა მოდიხარ ხოლმე, მე მსხვერპლს ვეღარ ვიჭერ და მშვიერი ვრჩები. სწორე მინდორზე მაინც ირბინე კარგადო.

— კარგიო, — უთხრა დათვმა. გავიდნენ ერთ დიდ მინდორზე და უთხრა მელიამ დათვის:

— ახტი, დახტი, ბერო ბიძავ,

აქ რომ დიდი კლდენიაო...

დათვი ნელ-ნელა მიძუნძულებდა. მელიამ უთხრა:

— ნახე კლდეზე როგორ კარგა დადიზარ და სწორე მინდორზე როგორღა გაივლიო.

მელიამ დათვი ახლა კლდის პირას მიიყვანა, ამ კლდეს დიდი უფსკრული ჰქონდა. მელიამ კიდევ უთხრა:

— ახტი, დახტი, ბერო ბიძა,

აქ რომ დიდი ველი არი...

მელიამ თან კული გადასავარდნისაკენ გააქნია. ეყვანის ხმა რომ გაიგონა დათვმა, აქუნძულდა გასაქცევათ. გაქანდა დათვა იქითკენ, საიდანაც ეყვანის ხმა მოესმა და ყლაპანი კი მოილო უფსკრულში. შემდეგ მელია ჩავიდა და კარგად გამოიყენა მეგობარა დათვის ხორცი.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, პური აქა.

### მელორის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მელორე. ამ მელორეს ისეთი ავი ცოლი ჰყავდა, ისეთი, რომ მეტი არ შეიძლება. ამ კაცს სახლში არ უშვებდა ღამის გასათევადაც. ერთხელაც ეს მელორე ტყეში ღორებთან არის. ნახა, რომ ერთ ღორსა ქვა გადაუბრუნებია და ღრმა ორმო აღმოჩენილა. ეს ორმო დაიმახსოვრა მელორემ და იფიქრა: ეს ორმო როდისმე სიკეთეს მიზაშისო.

ერთხელ ერთ ვაქარს დატვირთული აქლემი დაეკარგა და ამ მელორემ აპოვნინა; ვაქარმა სიხარულით მელორეს ერთი ოქროს ზოდი მისცა; მელორეც ამ ოქროს ზოდით მივიდა თავის ეზოში, ცოლმა რომ დაინახა თავისი ქმარი, ყვირილი დაუწყო: — წადი, აქედან მოშორდიო.

ჩაკეტა კარი და მელორეს შინ არ უშვებდა. მელორემ კარიდან როგორც იყო შეაგდო ოქროს ზოდი და თან დაუძახა:

— ასეთებია ტყეში ერთ ადგილას დაგროვილი და მოვიტანოთ!

მაშინ კი გაუღო ცოლმა კარი და შეუშვა ქმარი შინ. პური არც კი აქამა, ჩქარა წავიდეთ, მოვიტანოთო. თან წყევლიდა, რატომ ბევრი არ წამოიღეო.

მელორემ ცოლი იმ ორმოსთან მიიყვანა, ერახელ ღორმა რომ აპოვნინა. მივიდნენ ორმოს პირზე, კაცი ეუბნება:

— მე ჩავალო. ზოდები იქა ყრიაო.

ცოლმა წყევლა დაუწყო: — შენ რომ ჩახვიდე, დაგეპნევა, სადა გაქვს მაგის შნო, ხურჯინს არც კი გაავსებო.



ჩავიდა ქალი და კაცმა ზევიდან ქვა კი დაათარა. თან მიაძახა: — ახლა აავსე ხურჩინებით!

თურმე, ნუ იტყვით, ამ ორმოში ერთი ეშმაკი არა მჯდარა?!

ჩავიდა თუ არა ეს ქალი, დაეძგერა ამ ეშმაკს და საქმე ისე გაუხდა, რომ ეშმაკი მალლა ქვას მიეკრა ბეჭებით, ქალი კი ქვეშაიდან უყვიროდა:

— ჰაი შე ეშმაკო შენა, თუ შემოგწვდებოდე, ნახავდი შენ ყოფასაო!

ეს ეშმაკი ქალმა ისე გააბეზრა, რომ ისულ მალლა ამოსვლას ნატრობდა, ოღონდ ქალს ზომორებოდა. ერთხელ მელორე მივიდა ამ ორმოსთან და ყურს უგდებს: რა ამბავი ამოდისო... ეშმაკმა გაიგო ფეხის ხმა და ამოსძახა:

— ვინა ხარ კაცო? ოღონდ აქედან გამაძვრინე და ბედსა გწევო.

მელორე ჯერ არ უშვებდა ეშმაკს, ეშინოდა ჩემი ცოლი არ ამოხტესო. მერე შეეცოდა ეშმაკი და გაათავისუფლა. ეშმაკმა უთხრა მელორეს:

— აღმოსავლეთის მეფის შვილს გავხდი ავადო და შენ უთხარა მე ჰოგარჩინებო, მხოლოდ ხალხი დაითხოვე, სადაცა ქალი იწვება, იმ ოთახში არავინ იყვეს. მე დავანებებ თავს და მორჩება ის ქალი, შენ კი ისე თქვი, ვითომ შენ მოარჩინე. მეფე ქალს მოგათხოვებს და ბედნიერად იცხოვრებ. მხოლოდ, სხვა ვინც გინდა ავად გახდეს, მოსარჩენად აღარ მიხვიდე, — თუ შენი თავის დაღუპვა არ გინდაო!

მელორეც მართლა ასე მოიქცა, აღმოსავლეთის მეფეს მოურჩინა ქალი და თვითონ ითხოვა კიდევ. ახლა, დასავლეთის მეფეს ჯაუხდა ავად შვილი და მოსწერა აღმოსავლეთის მეფეს: — შენი სიძე გამოგზავნე შვილი მომირჩინოსო. იცოდე თუ არ მოვიდა და შვილი არ მომირჩინა, დიდი ბრძოლა გვექნებაო.

რას იზამს მელორე, უნდა წავიდეს, მეტი ღონე არ არის...

წავიდა მელორე, მივიდა თუ არა, მიეგებნენ და მოიყვანეს ავადმყოფთან. მელორემ ხალხი დაითხოვა: — ავადმყოფის მორჩენა არ შეიძლება თუ თქვენ არ წახვალთ აქედანაო.

როცა ხალხი წავიდა მელორემ მოიხედა ოთახში და ის ეშმაკი დაინახა. ეშმაკმა უთხრა:

— შე ხომ გითხარი, არსად წახვიდე, არავინ მოარჩინო გარდა აღმოსავლეთის მეფის ასულისა მეტქი? ეხლა რა გიყო, გაჯაუბედუროვო?! მელორემ უთხრა:

— მე იმისთვის მოვედი, რომ ერთი რაჟე უნდა მეთქვა შენ-  
აუვისაო...

— აბა სთქვიო, — უთხრა ეშმაკმა.

მელორემ უთხრა:

— თუ გახსოვს, ორმოში რო ქალი დავაწყვედიეთ? ის ქალი  
ამოსულა და შენ დაგეძებოს!

ეშმაკს შეეშინდა იმ ქალისა და მელორეს უთხრა:

— დაადევნე შენი ჭარი-ჭარამათიო, ოღონდ იმ ქალის ლუკმას  
ნუ გამხდი, ძლივს თავი დავახწიე! მე ამ ავადმყოფს ესლავე მო-  
ვარჩენ, ცხრა მთის იქით გადავიკარგები და აღარავის გავხდა  
აუღაო.

### მოხერხებული ვაჭარი

ერთ სოფელში სცხოვრობდა ერთი გლეხი კაცი, რომელმაც  
დიდა ამბით შეირთო ერთი ლამაზი ყმაწვილი ქალი. ბედნიერად  
ცხოვრობდნენ, მანამ ავი სული შეუჩნდებოდათ.

ერთხელ, იმავე სოფლის მღვდელმა, ეს ქალი როგორღაც ნა-  
ხა და ძლიერ მოეწონა. მღვდელმა დაუწყო ლაპარაკი ამ ქალს და  
იქდენი ჰქნა, რომა შეაცდინა და მასთან დაიწყო სიარული.

ეს საქმე ბოლოს ქმარმაც გაიგო, მაგრამ რას იზამდა, შემთხ-  
ვევას უტედა. ერთ დღეს კაცი სამუშაოთ რომ წაეიდა, შეყვარე-  
ბულნი ისევ ერთად შეიყარნენ და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რო-  
გორ მოეპოვონ ის ქალი შემსლეილი ქმარი.

დიდი ფიქრის შემდეგ, მღვდელმა გადასწყვიტა, კაცი შორს  
სადმე გაგზავნოს. ქალი კი დაარიგა — როდესაც შენი ქმარი შინ  
დაბრუნდება, რაჟე მოუგონე და კისრით ადგილზე გაგზავნე, საიდა-  
ნაც ვეღარ დაბრუნდებაო.

ქალი მართლაც ასე მოიქცა და თავი მოიავადმყოფა. კაცი სა-  
მუშაოდან რომ შინ დაბრუნდა, ცოლი ავით დახვდა. ქმარი ძლიერ  
გააოცა ცოლის ასეთმა უეცარმა ავადმყოფობამ და ჰკითხა:

— რა დაგეპართაო?

ცოლმა კენესას მოუმატა და უბასუხა:

— ხომ ხედავ, ავდა ვარ, თუ თოვლითს წახვალ და იქიდან  
ბერს მომიტან, მოვრჩები, თუ არ მომიტან, მოვეკვდებიო.— ქმარი  
მიუხვდა ეშმაკობას, მაგრამ მაინც უთხრა:

— ხვალვე წაეალო;

როდესაც დილა გათენდა, კაცი ადგა საწოლიდან და გარეთ  
გაეიდა. ცოლს შეატყობინა: თოვლითს მივდივარ თავს გაუფრ-  
თხოლდო.

ცოლს მართალი ეგონა ქმრის სიტყვები და სიხარულით არ იცოდა რა ექნა. კაცი გავიდა გზაზე და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. უცებ გზაზე მიმავალი ვაჭარი დაინახა, მივიდა მასთან და უთხრა:

— ესე-ესეა ჩემი საქმე და უნდა დამეხმარო.

ვაჭარი მაშინვე გაბრუნდა სახლში და ტომარი მოიტანა, ჩასვა შიგ ეს კაცი, წამოიკიდა ზურგზე ტომარი და გზას გაუდგა. ამ კაცის სახლთან რომ მივიდა, ტომარი იქვე ახლო დამალა, თვითონ კი დაიწყო სახლის დათვალიერება. ზედავს: ამდგარა ავდმყოფი ქალი და სახლს ალაგებს. სახლი რომ დაალაგა და დაწმინდა, მღვდელიც მობრძანდა. ქალმა მღვდელს ახარა:—ჩემი ქმარი თოვლეთს გავგზავნეო!

მღვდელს ძლიერ გაეხარდა. ქალმა სუფრა გაშალა და სმა-ჰამა დაიწყო. ვაჭარი იმათ სახლთან მივიდა, წამოიკიდა ტომარი და ყვირილი დაიწყო:

— საწვრიმალო! გასაყდიი!

წამოდგა სუფრიდან ეს ქალი და ვაჭარს დაუძახა; მივიდა ვაჭარი, ტომარი გარედან კარებში მიაყუდა, თვითონ კი სახლში შევიდა. სუფრაზე მიიპატიჟეს და სმა ისევ განაგრძეს. როდესაც სამივენი კარგად დაითვრნენ, ქალს ზეეწნა დაუწყეს, რომ ემღერა. შართლაც ქალმა ბევრი არ ახვეწნინა და დაიწყო თავისი ნაზი ხმით სიმღერა:

ჩემი ქმარი თოვლეთს არის  
თოვლეთური პურისთვინა.  
ღმერთო, ცოცხალს ნუ მოიყვან,  
ჩემ საყვარლის გულისთვინა...

ქალმა რომ დაამთავრა სიმღერა, ჯერი მიდგა ახლა ვაჭარზე და იმანაც გასძახა გარეთ: ;

ჩემო ბამბის ტომარაო;  
გეყურება თუ არაო?

ამ კითხვაზე რამდენიმე ხნის შემდეგ პასუხი მოისმა:

აბა! მოდი, ამომიშვი  
გავადინო ბურიო!

მარლაც გავიდა ვაჭარი გართ, გაუხსნა ტომარს პირი და ამოუშვა ლოპივით გაცოფებული კაცი. მივიდა ეს კაცი, აიღო კარებში მიყუდებული ჯოხი და ორივეს ბური ადინა.

## ხოხობის მოტყუებული მელა

ერთი ჯაგის ძირში ხოხობი იჯდა და ხორბალს კენკავდა. ისე იყო თავის საქმით გართული, რომა ვერც კი შენიშნა როგორ წამოებარა მელა. მელამ ერთი ნახტომით მოიგდო პირში საბრალო ხოხობი და იქვე ჯაგის ძირშივე დაუპირა შექმა. ხოხობმა რა დანახა ჩემი საქმე გათავებულად და მელიას კბილების ანაწერა ვხდებიო, გაიფართხალა და საყვედურით მიმართა მელას:

— არც კი გრცხვენნიან, ეს ხომ დამიჭირე და ჭამასაც ისე მიპირებ, რომ ღმერთს არც კი ახსენებო. განა სადღა გაგეჭიცივი? ადიდე ღმერთი და საქმეს ისე შეუდექიო!

მელას ჭკუაში დაუჯდა ხოხობის რჩევა; ნაშოვარით გათავამებულმა, გაიფიქრა: ამ ხოხობს მერეც ხომ შეეკამ, კარგი იქნება ღმერთი ვადიდო, და მართლაც ადიდა ღმერთი, შესთხოვა: — სხვა კიდევ ბევრჯერ შემეწიეო და ასეთი ლუკმა მრავალი მაშოვნიეო.

ისარგებლა ხოხობმა, პირიდან გაუსხლტა მელას და გაფრინდა. რა დაინახა მელამ ეს ამბავი, დაიწყო მოთქმა და თავში ცემა:

ხოხობის მოტყუებულსა  
თვალი დაუდგეს მელასა,  
პირში მეჭირა ხოხობი  
რალა დიდება ღმერთსაო.

## მარტმა რომ თებერვალი დაკატიშა სტუმრათა

ერთ დღეს თებერვალი და მარტი შეიყარნენ ერთად. მოიკითხეს ოჯახები ორივემ, ხან იმ მთისა თქვეს, ხან ამ მთისა... ბოლოს გამომეშვიდობნენ ერთმანეთსა და წავიდნენ. მარტმა სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და წასვლის წინ თებერვალს სთხოვა — უქველად სწვეოდა სტუმრათ თავის ცოლ-შვილით.

გავიდა კარგი ხანი. თებერვალს გადაავიწყდა ეს ამბავი. მაგრამ ერთხელაც გზაში კიდევ შეეჩინა მარტს. მარტმა საყვედურებით დაახრჩო.

— რა იქნება მეწვიო ცოლშვილით სტუმრათ. ნუთუ არ გაინტერესებს ჩემი ოჯახის ნახვაო?!

თებერვალი ეხლა კი შეპირდა რომ უეჭველად ეწვეოდა მარტს სტუმრად.

ერთხელაც გაბრიყვდა თებერვალი. შეაბა ურემი, ჩასხა შიგ ცოლ-შვილი და გაუდგა გზასა. გავიდა ერთ ისეთ ტროლ მინდორზე, რომ არსად ერთი ხეც არა ჩანდა. სულ ქვიშა და ეკლანნი ბარდებია.

დაინახა მარტმა, რომ მის სახლისაკენ თებერვალი სტუმრად მოდიოდა ურპით. გაიცინა ერთი და ისეთი დიდი ქარი ააყენა, რომა ქვეყანა ინგრეოდა. თებერვალი მიხვდა მარტის ოინბაზობას. ბევრი იღონა, თავისი გამოცდილი ხერხით გადაარჩინა ცოლ-შვილო და შინ მშვიდობით მიიყვანა.

არ გავიდა დიდი ხანი და მარტი ხურჯინ აკიდებული გზაში შეხვდა, შორიდანვე დაუწყო ძახილი.

— თებერვალო, თებერვალო, საით მიდიხარ, მე შენკენ მოვდივარ ძღვენითაო და სახლში უნდა დამიხვდეთ. — თებერვალმა აუჩქარებლივ მიუგო:

— ქარისა არც მოტანილი მინდა და არც წაღებულო, — და თავისთვის გზა განაგრძო.

## ერთი კაცს რომ ანჩხლი ცოლი ჰყავდა

იყო ერთი კაცი, მეტათ ჰქვიანი და კეთილი, საუბედუროთ, ერთი ჰქუა თხელი და ანჩხლი ცოლი ჰყავდა. დღე ნიადაგ ქმარს წყევლისა და გინების მეტს არაფერს უკეთებდა. ერთხელ ცოლი აუტყდა:

— სახლი არ გვივარგა და კარგი სახლი ააშენო.

წავიდა ეს კაცი ტყეში მასალის მოსაპრელად. გზაში ერთი მოხუცებული ქალი შეხვდა. მიესალმა კაცი და გზას გაუდგა. დედაბერმა დაუძახა:

— შვილო, შვილო შენ გახარებას უკან დაბრუნდი, ერთი რჩევა უნდა მოგცეო.

დაბრუნდა ეს კაცი დედაბერთან. დედაბერმა უთხრა:

— შვილო, გატყობ რალაც ვარამი შემოგწოლია სახეზე. აიღე თითო პური დილ-დილობით და ზღვაში გადააგდე ხოლმე, ბელს ეწვეო, — და თავის გზას გაუდგა.

ეს კაცი ისე მოიქცა როგორც დედაბერმა დაარჩია. აიღო ერთი პური და ზღვაში გადააგდო. ზღვიდან ერთი კაცი გამოვიდა და პური თან წაიღო. ასე აკეთებდა ყოველ დილით, ისევ ის კაცი

ზღვადან ამოვიდოდა ხოლმე და მიჰქონდა თითო პური, — თურმე ზღვათა ხელმწიფესთან.

ერთ დღეს ზღვათა ხელმწიფე შეეკითხა იმ ზღვის კაცსა:

— ვინ არის ის კაცი, მოიყვანე აქა და სიკეთისათვის დავასაჩუქრებო.

მეორე დღით იმ კაცმა რომ პური ჩააგდო ზღვაში, მოვიდა ზღვის კაცი და უთხრა:

— ხელმწიფის ბრძანებაა იმასთან მიგვევართო, რათა სიკეთისათვის სიკეთე გადაგიხადოსო. თან ზღვის კაცმა დაარიგა ეს კაცი: რაც უნდა შემოგაძლიოს ხელმწიფემ არ გამოართვა, მხოლოდ უთხარი: ენა შენს პირში გამომავლებინეო.

აიყვანა ეს კაცი, ააფარა პირზე ხალათის კალთა, ზღვაში შეიყვანა და ხელმწიფეს მიჰგვარა.

ხელმწიფემ უთხრა: — რით დაგასაჩუქრო მითხარი და მოგვცემო:

კაცმა მოახსენა: — ჩემი ენა შენს პირში გამომავლებინეო. მისცა ნება ხელმწიფემ. გამოავლო თუ არა კაცმა ენა პირში, — მაშინვე ისწავლა ყველა სულდგმულის ენა. ზღვათა ხელმწიფემ გააღრთხილა:

— ეხლა, რომელი სულდგმულის ნათქვამიც გაიგო, არავის უთხრა, თორემ მოკვდებო.

ზღვიდან რომ გამოვიდა, კაცი თავის სახლისაკენ წავიდა. გზაში დაიღალა და ერთი ფლატოს ძირში წამოწვა დასასვენებლად. ამ დროს მოფრინდა ერთი ბოლო ქანქარა, ამ ფლატოს თავზე დაჯდა და თქვა:

— რა იცის ამ კაცმა, რომ ამ ფლატოს ძირში მრავალი ოქრო ვერცხლია და თვალ-მარგალიტი დამარხულიო.

გაიგო კაცმა ბოლო ქანქარას ნაამბობი, ამოთხარა მიწა, იპოვა სიმდიდრე და სახლში მიიტანა.

სახლში ისეთი მატაოცი და არამკითხე ცოლი ჰყავდა ამ კაცსა, რომა მისვლის უმალვე დაუწყო კითხვა:

— ვინ მოგცა ამოდელა სიმდიდრეო?

კაცს არ უნდოდა სიძარტლას გამხელა. იცოდა, რომ ეთქვა მოკვდებოდა. ცოლმა ლანძღა, ავინა, მაგრამ ვერაფერი ათქმევინა ამ კაცსა. ბოლოს, როცა მოაბეზრა თავი, გადასწყვიტა: წავალ ეკლესიაში, სიკვდილის წინ აღსარებას ვიტყვი, ჰოვალ და გეტყვიო. წავიდა ეკლესიაში, ეზიარა და დაბრუნდა სახლში. როცა საქათმისთან გაიარა, მამალმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა სამჯერ. ძაღლმა მამალს შეუყეფა:

— რას გიხარია, ხვალ ჩვენი პატრონი კვდება და ჩვენ უპატრონო ვრჩებითო.

მამალმა უპასუხა:

— მე რა ვქნა თუ მოკვდება. მე ბარემ ასი ცოლი მყავს, მაგრამ ჩემი ბრძანების მოჩიონი არიანო.

— განა სუყველა ანჩხლი და კაპასიაო?! — შეესიტყვა ძალლი:

— კაპასის მოქვეიანებაც შეიძლებაო: — სათქვა მამალმა. — წავიდეს ტყეში, მოსპრას იფნის სახრეები, მოიტანოს შინ და თუ კიდევ შეეკითხოს ცოლი ვინ მოგცაო სიმდიდრე, მიდგეს და იმდენი სცემოს ამ ჯოხებით, სანამ ხმა არ გააწყვეტინოსო. მერე კი უთხრას: — ამ ჯოხებმა მომცესო.

ეს კაცი სწორედ ასე მოიქცა. მეორე დღეს წავიდა, მოსპრა სახრეები და მოვიდა სახლში. როცა ცოლი შეეკითხა — ვინ მოგცა სიმდიდრე, ჩქარა მითხარო....

— ამ სახრეებმა მომცესო... და იმდენი სცემა, რომ მერე კიდევ ეხვეწებოდა ცოლი: — ღლონდ ნულა მცემ და აღარაფერს შეგეკითხებო.

## ნუ მომკლავ თორე ნარი ამბავს წაიღებსო

ერთ სოფელში ორი საწყალი ღარიბი გლეხი ცხოვრობდა. მოილაპარაკეს ორივემ და გადაწყვიტეს საშუაოდ წასულიყვნენ სადმე, ეშოვათ ცოტადენი ფული და ისე დაბრუნებულიყვნენ შინ. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს, წავიდნენ შორს უცხო მხარეს, დაიწყეს მუშაობა და ფულიც ბლომათ იშოვეს. როცა საკმაოდ დააგროვეს ფული, შინ დაბრუნება იფიქრეს. გზაში რომ მოდიოდნენ, ერთ მათგანს გულში ბოროტმა აზრმა გაუარა: მოდი მოვკლავ ჩემს ამხანაგს, მე ხომ ამას თავისუფლად მოვერევი: ვერც ვერავინ შეესწრება ამ ამბავს ამ უღაბურ ალაგს და მისი ფულით გავმდიდრდებიო.

მართლაც ეცა ამხანაგს, წამოაქცია და დახრჩობა დაუწყო. ამ დროს ქარმა დაუბერა და გამხმარი ნარი გამოაგორა. მომაკვდავმა თვალი შეასწრო გამხმარ ნარს და შეჰყვირა: — ნუ მკლავ, თორემ აგერ ის ნარი ამბავს წაიღებსო.

მკვლელს გაეცინა: — ნარი ამბავს როგორ წაიღებსო, — უფრო მაგრად წაუქირა ყელში და დაახრჩო. მიიტანა ფლატონზეო, ჩააგდო და ოდნავ მიწა გადააყარა. წამოიღო მისი ფულიც სახლში. ყველას გაეხარდა მისი შინ მოსვლა, დაუწყეს კითხვა მის ამხანა-

გის შესახებ: — ის რაღა იქნაო? — ეს კაცი მოკლე პასუხს აძლევდა ყველას: — სამუშაო კარგი შეხვდა და ჯერ არ ისურვა წამოსვლაო.

გავიდა კარგა დიდი დრო. დაკარგული კაცი ყველას მიავიწყდა. მხოლოდ ცოლშვილი ისევ იგონებდა და იმედი ჰქონდათ მისი დაბრუნებისა. ერთხელ კაცის მეკვლევი, ცოლთან ერთად ცოლეურთას მიდიოდა საქეიფოდ; მინდორში რომ გავიდა, ნიავე ნარს შოაგორებდა, ამ კაცმა შეხვდა ნარს და გაეცინა. ცოლმა მის სიცოცხლს თვალი შეაწწრო და შეეკითხა: — რად გაგეცინაო?

ქმარმა არაფერი უპასუხა. ცოლს გულში ჩაუვარდა. ცოლეურთას რომ მივიდნენ, კარგი დრო გააატარა ამ კაცმა, ბევრი სევა და იმღერა. როცა მოიღალა, დაწვა მოსასვენებლად. ქმარს ცოლიც მიუწვა. ქალმა დრო იხელთა და შეეკითხა:

— წელან მინდორზე რომ მოვდიოდით რათ გაგეცინაო?

კაცმა ხან ის უთხრა, ხან ეს, მაგრამ ქალი ვერ დააჯერა. ქალს ცნობის სურვილი უფრო ედებოდა. თავი რომ მოაბეზრა ქალმა ბევრი კითხვით, ქმარი იშულებული გახდა ეთქვა ყველაფერი, რაც მას თავს გადახდა: როგორ ჰკლავდა იგი ამხანაგს, ამ დროს ნარს როგორ ჩამოატარა ქარმა, როგორ გააფრთხილა შოკლულმა, როგორ მოაგონდა წელან ეს ამბავი, როცა მინდორზე მგზავრობის დროს ქარი ნარს მოაგორებდა. ქალმა გული იჯერა და სიტყვა მისცა ქმარს რომ არსად წამოსდებოდა ეს ამბავი.

არ გავიდა დიდი ხანი. ერთხელ ამ კაცის ცოლს მხარზე კოკა წამოეკიდა და წყალზე მიდიოდა. გზაზე თავის მეზობელ კეკელას წამოეწია და გაუბეს ერთმანეთს მასლაათი. ხან ამ მთისა სთქვეს, ხან იმ მთისა, მერე აავსეს კოკები წყლით, შეიდგეს მხარზე და გზაზე გაჩერდნენ ლაპარაკით. ცოლმა ყურში წასჩურჩულა კეკელას:

— ქა, კეკელო, ერთი რამ უნდა გითხრა და კი არსად გრჯოდეს.

— უიშე ქა, დამიდგეს თვალები, ვის რა უნდა უთხრა, რომელია სოფლის დალდალინა მე მნახე რომა წავიდე და ვილაპარაკო. — თან კი მოსახვევი გადაიწია მოსასვენათ.

— გახსოვს, ქა, ჩემ ქმართან ქირაზე რომ წავიდა წიწიანთ ვაჟუაი?

— როგორ არა, იმისი უბედური ცოლშვილი დღესაც გზისაკენ იყურება.

— ჰო და გენაცვალე, არსად არა გრჯოდესრა, ჩემ ქმარს ნოჟკლავს გზაშია, როცა უკან მოდენილან.

მეკვლელის ცოლმა სიტყვა ჩამოართვა კეკელას რომ არსად



იტყოდა ამ ამბავს და სახლისაჲც გასწიეს ლაპარაკით. კეკელამ სახლში კოკა მიიტანა და ტყვიასავით გაჲარდა მეზობლებში: — გაიგეთ, ქა, წიწიანთ ვასუა რომ მოუკლავთ!

— ვისა ქა, ვისა?

— ვისა და კი არსადა გრჯოდესა, და ამა და ამ კაცმა მოკლაო. მისმა ცოლმა გამანდოო. — კეკელამ, მართას უთხრა, მართამ სხვა-სა და მოედო მთელ სოფელს. მკვლელს ხელი წააღეს. სასრჩობელაზე ჩამოაკონწიალეს.

ასე წაიღო ამბავი ნარმა.

## არც ზენე ზებრჩება მეფეო ..

ერთ ხელმწიფეს სასახლის წინ ლამაზი ბალი ჰქონდა გაშენებული. ბალი სავსე იყო ყველანაირი ხილითა და ყვავილებით. ამ ბალის მომვლელად შეეფე ერთი გლეხი დააყენა და დაავალა:

— ჩემს ბალში ჩემი შიშით არავინ უნდა გაიაროს და თუ გაბედა ვინმემ ჩემი ბალის მყუდროების დარღვევა, მაშინ მოდი ხოლმე ჩემთან და შითხარიო.

მებალემ დაიწყო ბალის მოვლა, გალამაზება და მეფის ბრძანებასაც ასრულებდა: არავინ უშეგებდა ბალში მეფის უნებართვით. ერთხელ მებალე მოვიდა ხელმწიფესთან და შოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეო, თქვენს საყვარელ ვარდზე ბულბულს ბუდე გაუკეთებია და ბარტყებსაცა ზრდისო, რას მიბრძანებ დაუშალო ბულბულს ბუდე თუ გაუშვაო?

— გაუშვი, ხელს ნუ ახლებ, მაგრამ იცოდე, რომ არ შერჩება მაგ ბულბულს, ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთებაო. — უთხრა მეფემ.

გავიდა რამდენიმე ხანი, მებალე ერთ დღეს ბალში დასეირნობდა და თან ხეხილებს ათვალიერებდა. ამ დროს ვარდის ბუჩქსა წაადგა და შიანდომა ბულბულის ბარტყების ნახვა: — მოდი ვნახავ, დასაფრენები არიან უკვე თუ არაო?

გადასწია ბუჩქი და რას ხედავს: დახვევია ბუდეს გარშემო გველი და ის ბარტყები სულ მთლად დაუქამია. წავიდა ხელმწიფესთან მებალე და უთხრა:

— მეფეო თქვენს ვარდზე რომ ბულბულმა ბუდე გააკეთა, ბარტყები გველმა შეუქამაო.

ხელმწიფეს გაეცინა და უპასუხა მებალეს: — აკი გიანხარი ბულბულს არ შერჩება ვეთქი ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთება. მაგრამ არც იმ გველს შერჩება ბულბულის ბარტყების შექამაო.

გავიდა ამ ამბის შემდეგ კარგი ხანი, მებაღე ერთ დღეს ნამგლით ბალახს სთიბდა და ასუფთავებდა. უცებ ბალახებში შწილიარე გველი ნამგლით შუაზე გადასჭრა. მებაღე გაიქცა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ხელმწიფეო თქვენს ბაღში ბალახს ვთიბავდი და ის გველი, ბარტყები რომ დაუქამა ბულბულს, შუაზე გადავქერიო.

ხელმწიფეს გაეცინა და უთხრა: — ხომ გითხარი, რომ არ შერჩებოდა გველს ბულბულის ბარტყების შექმა, მაგრამ არც შენ შეგარჩება გველის მოკვლათ — უთხრა მებაღეს.

გავიდა დრო, მებაღე ძველებურად ბაღს უვლიდა და ასუფთავებდა. ერთ დღეს შემოესმა ქალების სიცილ-კისკისი. მებაღე იქით წავიდა საითაც ხმაური იყო. აუშთან მეფის ქალები ბანაობდნენ. მებაღე დადგა და ქურდულათ ცქერა დაუწყო; ეს შენაძნეს მეფის ქალებმა, და მამასთან იჩივლეს, რომ მებაღემ მოზანჯვეებს ზედ წამოგვადგა და ქურდულათ გვიცქეროდაო. განრისხდა ხელმწიფე და ბრძანა მებაღის დაქერა. ვეზირებს კი უბრძანა, მებაღე გაეყვანათ მოედანზე და ჩამოეხრჩოთ. თვითონაც მოედანზე გავიდა. მებაღემ დაინახა რომ საქმე ცუდათ არის, დაიწყო მუღარარათა ერთი სიტყვის თქმის უფლება მიეცათ მისთვის და მერე დაეხრჩოთ. მეფე მოღბა და ბოლოს მისცა უფლება. მაშინ მებაღემ სთქვა:

— გახსოვთ ხელმწიფეო, თქვენ ვარდზე ბულბულმა რომ ბუდე გაიკეთა, თქვენ ხომ ბრძანეთ: არ შერჩება ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთებაო. ისიც ხომ გახსოვთ, როგორ შეუქამა გველმა ბარტყები ბულბულს, და არ შერჩა ბულბულს თქვენ ვარდზე ბუდის გაკეთება. ისიც ხომ ბრძანეთ, — არც გველს შერჩება ბულბულის ბარტყების შექმათ! გველიც ხომ თიბვის დროს ნამგალში მომიყუა და შუაზე გადავქერ. როგორც გველს არ შერჩა ბარტყების შექმა, ისე არც მე შევჩრა გველის მოკვლათ, თქვენი ბრძანებით მახრჩობენ, მაგრამ, ხელმწიფეო, თქვენც კარგათ იცოდეთ, არც თქვენ შეგარჩებათ ჩემი ჩამოხრჩობათ.

მეფეს გაეცინა და აპატივა მებაღეს დანაშაული.

## რატომ არის რომ ზვინდი მაღალი არ იზრდება

ერთ მშვენიერ თბილ დღეს დათემა ბუნაგიდან თავი გამოიყო. გაიხედ-გამოიხედა ტყეში და დაინახა, რომ ჭერ არაფერი არ აყვავებულოყო. მარტო შვინდის ყვავილი გაშლილიყო. დათემა გაიფიქრა: ყველაზე ადრე ეს აყვავებულა, ალბათ ყველაზე ადრეც ეს

დამწიფდებო და გადასწყვიტა შინდის ქვეშ წამოწოლადაყო. სანამ შინდი დამწიფდებოდა. ასეც მოიქცა, მიწვა შინდ ქვეშ და დაუწყო ლოდინი შინდის დამწიფებას. გავიდა კვირეები, თვეები, მაგრამ შინდი არ მწიფდებოდა. ერთ დღეს ცა მოიღრუბლა, წამოვიდა დიდი წვიმა და ნიაღვრები, შეხედა დათემა ნიაღვარს და რას ხედავს — წყალს მწიფე პანტა მოაქვს. წამოხტა გაჭყერებული დათვი, შინდს თათი ჩაარტყა ზემოდან და ჩალეწა. ამიტოვია, რომ მას აქეთ შინდის ხე დიდი ველარ იზრდება.

## სამი ძმის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღეთას უკეთესი რა იქნებოდა? იყო მამვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი ხელმწიფე. ყავდა სამი საცოლუ ვაჟი. სამივეს მესობელი ხელმწიფის წესთუნახავი ქალი უყვარდათ. ამ ქალის სიყვარულს ერთმანეთს არ უმხელდნენ. თითოეულს ეგონა მართო მას უყვარდა ეს მზეთუნახავი ქალი.

სამივე ვაჟი ეუბნებოდა მამას: — მამი, უკვე დრო არის და ცოლები შეგვრთეთ. — მამამ ფული მისცა თითოს, ათას-ათასი რუმანი და უთხრა:

— აი შეილებო, ეგ ფული ხომ გაქვთ, სამგზავროდ გამოიყენეთ, როგორც გინდათ ისე მოახმარეთ, წადით სამ-სამი აჯათ, საითაც თქვენი ნება იყვეს და რომ დაბრუნდებით, ცოლს მაშინ შეგვრთავთ ვინც ღირსი იქნებაო. წავიდნენ ძმები. იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ადგილას. გზა სამად იყოფოდა. ერთი ერთ გზას დაადგა, მეორე მეორეს, და მესამე—მესამე გზას. მხოლოდ დრო დანაშნეს, რომ ორი თვის შემდეგ, ისევ ამ გზით შეყრილიყვენენ ერთად. შემდეგ დაადგნენ თავ-თავიანთ გზას და გასწიეს თავის განზრახვის შესასრულებლად.

უფროსი ძმა მივიდა ერთ ქალაქში, გაიარ-გამოიარა და ნახა რომ ერთ ქალს ჭიქა უჭირვას და ყიდის. მივიდა ეს ბიჭი და დააფასებინა. ქალმა ძვირი დაუფასა, ვაჟმა უთხრა:

— დეიდა, მხვავან მაგ ფასად ათას ჭიქას ვიყიდო.

— შეილო ეს ჭიქა იმ ჭიქებისაგან დიდად განსხვავდება.

ეს ისეთი ჭიქა არის, ამით რომ მკვდარი შეიწყალო, იმ წუთშივე გაცოცხლდებაო.

იყიდა ვაჟმა ეს ჭიქა და თან წამოიღო.

შუათანა ძმაც ერთ ქალაქში შევიდა. მან ნახა, რომ ერთი კა-

ცი ერთ ხალიჩას ისე ძვირად აფასებს, რომ ამ ფასით სხვაგან ათხალიჩას იყიდის. ჰკითხა მეფის შვილმა: — კაცო აგრე ძვირად რად აფასებო?

გამყიდველმა უპასუხა:

— ეს ისეთი ხალიჩა არის, რომ კიდევაც იაფად ვყიდო...

— როგორი ხალიჩა არის? — ჰკითხა შუათანა ძმამ:

— ეს ისეთი ხალიჩა არის რომ, ზედ გინდა ხუთი კაცი დასხლეთ, ჩასაც ინატრებთ, სულ თვალწინ გაგეშლებათ და სადაც გენდომებთ იქით გადაგაფრენთო.

იყიდა შუათანა ძმამ ეს ხალიჩა და თან წამოიღო. უმცროსმა ძმამაც შეიარა ერთ ქალაქში და იქ ერთი სარკე ნახა. ეს ისეთი სარკე იყო, ვინც შიგ ჩაიხედავდა, რაც კი ქვეყნიერებაზე ხლებოდა, ყველაფერს გაიგებდა. იყიდა სარკე უმცროსმა ძმამაც და თან წამოიღო.

როდესაც დანიშნული დრო მოვიდა, სამივე ძმა ისევ ერთად შეიყარნენ ამ გზაჯვარედინზე. მოდიან სახლში ძმები და თან ერთმანეთს ჰკითხავენ ვინ რა გააკეთა. უფროსმა თქვა, — მე ისეთი ქაქა ვიყიდე, ამით რომ კაცმა მკვდარი შეიწყალოს იმ წუთში გაცოცხლებათო. შუათანა ძმამა თქვა: — მე ისეთი ხალიჩა ვიყიდე, რომ სადაც გინდა იქ გადაგვაფრენსო. ახლა უმცროსმა ძმამა თქვა: — მე ისეთი სარკე ვიყიდე, რომ ვინც იმაში ჩაიხედავს, ყველაფერს დაინახავს ქვეყნიერებაზე, რაც რამ აინტერესებსო.

უფროსმა და შუათანა ძმამ დაინახეს: აბა მოიტა ჩავიხედოთ. — იფიქრეს, იქნებ ის მზეთუნახავი ქალიც შიგ ჩანდესო, რომლის სიყვარულით სამივე ძმა იტანჯებოდა.

ჩაიხედეს შიგ, და რა დაინახეს? ნახეს რომ ეს მზეთუნახავი ქალი მომკვდარა და მის ოჯახში არევ-დარეულობა არის, დასამარხად ამზადებენ ქალს.

— აბა ჩქარა, მოიტა უენი ხალიჩა, ჩქარა გადაეფრინდეთ ქალის ოჯახშიო. — უთხრეს შუათანა ძმას, დასხდნენ ხალიჩაზე და მეორე დღეს მიფრინდნენ.

ქალი უკვე დასამარხად მიყავდათ. ძმებმა დააყენებინეს მკვდარი. მოატანინეს ღვინო, შეიწყალეს ქალი და გაცოცხლდა. გაიქცნენ კაცები ხელმწიფესთან და ახარეს. უენი ქალი გაცოცხლდა, საიდანაც სამი ვაჟი მოვიდა და მათ გააცოცხლესო. გაეხარა და ხელმწიფეს, მოაყვანინა სამივე ვაჟი და უთხრა: — რადგანაც თქვენ ეგეთი სიკეთე მიყავით, ახლა როგორც გინდაც ისე მოიქეცითო. ჩემი სახელმწიფო თქვენთვის დამილოცნია, ჩემი ქალიც ერთ-ერთმა თქვენგანმა შეირთოს და იცხოვრეთო.

ძმები ვერ მორიგდნენ, უფროსი ძმა ამბობდა: — ქალი მე მერ-  
გება, ჩემმა ქიქამ გააცოცხლო.

შუათანა ძმა ამბობდა — ჩემი ხალიჩა რომ არ ყოფილიყო,  
ასე ჩქარა ვერ მოხვიდოდი რომ გაგეცოცხლებინაო!

ახლა უმცროსმა ძმამა სთქვა: — თქვენ რომ თქვენას ამბობთ,  
მე აღარაფრად მაგდებთო? ჩემი სარკე რომ არ ყოფილიყო, საი-  
დან გაიგებდით საქმის ვითარებასაო?

ასე ამგვარად ვერ მორიგდნენ; გადაწყვიტეს, რომ ეს ქალა-  
ისევე დათ მიეღოთ, თვითონ კი სხვა ქალები მოეყვანათ და ტკბი-  
ლად ეცხოვრათ.

ქირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
ტყეში შეველ შავადა  
ხე გამოვქერ კავადა.  
თქვენი მტერი და ორგული  
ყველა დახდნენ ავადა,  
თუ რამ თავი მოგაწყენეთ,  
ნურას უკაცრავათა.

## სამი ტყუილი

მოხუცები ისხდნენ ქვაზე და ბაასობდნენ თავიანთ ზიკვამლე-  
ლეზე. ერთი მათგანი იგონებდა ყრმობის წლებს და უამბობდა და-  
ნარჩენებს: — ჩემ ბალობისას, დიღმურა აღიღდა ისე, რომა...  
არემარე თან მიჰქონდა... გავხედე წყალსა და ერთი უზარმაზარ  
მსხმოიარე შეინდი მოჰქონდა, ზედ დათვი იჭდა და შეინდსა ჰამდა,  
კურკებს კიდევ ნაპირზე ისროდა.

ახლა მეორემ დაიწყო: — ეგ რა არის, მამაჩემმა ერთხელ ჭა-  
ლაქს წამიყვანა ურმით ქირაზედ. ვერისხევს რომ გადავდიოდით,  
ისე დიდი გამოვარდა ვერისხევი, რომა, სასახლები მოვგლაჯა და  
მოჰქონდა. ერთი სახლი ჩამოატარა, შიგ ტახტზე ერთი დედაბერი  
იჭდა და ჯარას ართავდაო.

— ეე, გინახავთ თქვენცა რამე რალა. — დაწყო მესამემ, — მე  
რომ მოჯამაგირედ ვიყავი, წოდორეთში, ყოჩიანთა, ერთი დიდი  
თავლა ჰქონდათ, მთელი ცხენის ჯოგი შიგ ება და ეტეოდა ხოლმე.  
მერე არ იტყვიან რის თავხეები ჰქონდა თავლას? — ასკილისა.

## მღვდელი და გლეხი

თიანეთის ერთ-ერთ სოფელში ერთ კაცსა მამა მოჰკვდომოდა. ერთ დღეს მისუღიყო მიცვალებულის პატრონი მღვდელთან და შეეჩივლა: — მამაო, თქვენაც ხომ მოგესხენებათ მამაჩემი როგორი ცოდვიანი კაცი იყო, სანამ ცოცხალი იყო, სულ იმას ეუბნებოდნენ: — საიქიოში არა ცხონდებიო, ჯოჯოხეთში ჩაგაგდებენ და იქ საკირეში დაგწვავენო. ეხლა, მამაო, მოველი თქვენთანა, იქნება რამე უშველოთ მამაჩემის სულსა და როგორმე სამოთხეში მოხვდეს თქვენი ლოცვა-მადლითაო. თუ იმის სულს შავედრებ ღმერთსა და წლის თავამდის უწირავ, აი ამ ძროხას თავის ხბოიანათ საწირავის საფასურში დაგიტოვებო.

— კარგი — დაყბულდა მღვდელი, — დასტოვე შეილო და მაშინის სულსა ყოველდღე უწირავ, რათა შეუნდონ ცოდვები და მისცეს სამოთხესა განსვენება უფალმაო...

დასტოვა კაცმა თავისი ძროხა ხბოიანათ და წავიდა. მღვდელმა ეს ძროხა ეკლესიის გალავანში გაუშვა და მოვლელიც მიუყენა. კარგმა პატივმა ძროხა ისე გაასუქა, რომ სითამამისაგან ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ამასობაში წლის თავიც გავიდა. დადებული პირობა გლეხსა და მღვდელს შორის დასრულდა... გლეხისაგან მღვდელს ძროხა რჩებოდა თავისი ხბოთი წირვის ფასში. ერთ დღეს მოვიდა ეს ბიჭი მღვდელთან და შეეკთხა: — რა ქენი მამაო, უწირე მამაჩემის სულსა?

— როგორ არა შეილო, არცერთ წირვაზე არ გამომიტოვებია მამაშენის სახელის ხსენება. ამდენი ლოცვა ვედრებით, მამაშენი ეხლა უკვე სამოთხეში იქნებო. — მიუგო მღვდელმა.

გლეხმა მადლობა გადაუხადა მღვდელს და წავიდა. მივიდა ეკლესიის გალავანში, გაიგდო ძროხა თავისი ხბოთი წინ და სახლასაკენ წავიდა. ეს ამბავი მღვდელს აცნობეს: — ვილაც კაცმა შენი ძროხა და ხბო წაიყვანაო. გამოეკიდა მღვდელი ამ კაცს და გზაში წამოეწია.

— სად ჰიგყავს შეილო ეგ ძროხა და ხბო! — მიაძახა მღვდელმა, — განა პირობა ასეთი იყო? იცოდე უკან გამოაგდებენ მამაშენს სამოთხიდანაო.

— ჰე მამაო! — მიაძახა ამ კაცმა; — მამაჩემს შენც ხომ კარგათ იცნობდი, რა ოხერი კაცი იყო, ის თუ სადმე შევიდოდა, კეტით რომ მოგეკლათ, უკან ვერ გამოიყვანდით, ეხლა რა კი მამაჩემი?

სამოთხეში შესულა, მას უკან ვილა გამოაგდებს, ვისა აქვს თავი სქელი და მუცელი ცარიელი? ეს ძროხა რაც უნ მოიხმარე, ღმერ-თმა შეგარგოს, ესლა კი მე მინდაო.

ასე დატოვა პირში ჩალაგამოვლებული მღვდელი იმ კაცმა.

## მედავითნე და ყვაპი

ერთ ქალაქში ერთი ისეთი ეკლესია ააშენეს, რომა, მისი ბადა-ლი მთელს ქალაქში არ მოიპოვებოდა. გუმბათზე ოქროს ჭვარი და-ადგეს. მზე რომ უყურებდა, ცეცხლოვითა კაშკაშებდა. ერთხელაც ამ ეკლესიას ერთი ყვაევი შემოეჩვია. დილიდან საღამომდის იმ ოქ-როს ჭვარზე იჯდა. ისე გააუბედურა ყვაევმა ეს ოქროს ჭვარი, რომა თითქოს ხისა ყოფილიყო იანე მოსჩანდა. ეს შეამჩნიეს ამ ეკლესიას მსახურებმა და ერთ ჭაგონებელში ჩავარდნენ. რით არ სცადეს, რომ დაეფრთხოთ ეს ფრინველი, მაგრამ საქმეში ხარ? დაიგულე-ბდა თუ არა, რომ მისი მღვდნელი აღარავინ იყო, ისევე მიფრინდუ-ბოდა და დაასკუბდებოდა თავის საყვარელ ჭვარს.

ბევრი ეწვალეს, მაგრამ ვერაფერი ვერა უყვესრა. ერთხელაც ამ ეკლესიის მღვდელმა დაუძახა მედავითნეს, და ანიშნა ჭვარზე. მჯდარ ყვაევზე და უთხრა: — ან შენ უნდა იყვე ამ ეკლესიაში ან ეგ ყვაევი მაგ ჭვარზეო. აირჩიე, არჩევანი შენზეა, რომელიც გერ-ჩივნოს ის ამოირჩიეო.

დაღონდა მედავითნე. რალას იზამდა? წავიდა სახლში, იფიქრა, ბევრი იფიქრა თუ რა ელონა იმ ყვაევისთვისა და ბოლოს შოიფიქრა. აილო ერთი ნაჭერი დამარილებული მქლე ღორის ხორცი. ერთი ჯამი ღვინო და წავიდა ეკლესიაში. ავიდა გუმბათზე, დაჰკიდა და-მარილებული ხორცის ნაჭერი ჭვარზე და ღვინოც ჯამით ჭვრის ძირში დასდო.

სად იყო და სად არა, მოფრინდა ყვაევი და დაქდა ჭვარზე, სა-დაც ხორცის ნაჭერი დახვდა. ხორცს ჭერ უნდობლად უყურებდა. მერე ვედარ მოითმინა და ერთი ნისკარტი ჩაჰკრა. გემო მოუსინჯა. ეგემრიელა, მეორედ, მესამედ ჩაუნისკარტა და დაუწყო უკვე გულდამშვიდებით ჰამა. მედავითნე კი ჩუმათ უყურებს ამ სურათს. და სინხარულით სულ ასკიკუქუს უვლის, ყვაევმასჰამა, სჰამა და რო-ცა გაძდა, ფრთები ფრთებს შემოჰკრა და დაიჩხავლა.

მლაშე ხორცის ჰამის შემდეგ ყვაევს წყალი მოსწყურდა, დაი-ხვდა ძირს, ჯამით ღვინო უღგა, აფრინდა და ჯამის გვერდით დას-კუბდა. ყვაევმა ჰამის გარშემო ტრიალი დაიწყო. არ ენდობოდა

ჯამს... მაგრამ წყურვილმა თავისი გაიტანა და დაიწყო ჯამიდან  
სმა; რამდენსაც სვამდა ყვაეი ღვინოს, იმდენათ უფრო მაგრად ედ-  
ებოდა წყურვილი. იმდენი სვა, რომა სუმთლად გამოცალა. როცა  
დაინახა რომ ჯამში აღარა იყორა, აფრინდა ისევე ჯვარზე. მაგრამ  
ვაი იმ აფრინას. ძლიეს აიტანა ტანი ზევით. ჯვარზე ყვაემა დაიწყო  
ქანობა, და მოუსვენრად ტოკვა. ღვინო თანდათან ედებოდა, უც-  
ბათ შეტორტმანდა ყვაეი ჯვარზე, ფრთები უმწეოდ გაფოფხა, მაგ-  
რამ ამათ, ძირს კი ზღარათანი შიილო. მედავითნეც ამას ელოდა,  
როგორც მგელი ისე დააცხრა ამ საბრალო ყვაესა. აილო ხელში,  
უყურა, უყურა ყვაესა, რომელიც უმწეოთ ბლიტავდა თვალებსა  
და მიამახა:

— თუ ებრაელი ხარ, შე ოხერო, ღორის ხორცს რაღათ სკამ?  
თუ მაქმადანი ხარ, ღვინოს რაღათა სვამ? თუ ქრისტიანი ხარ იმ  
წმინდა ჯვარს რაღათ აფუქებდი შე სატილოვ, — და თავი კედელს  
მიუნაყა.

## ებნისელების სამხვთო

როდესაც დიდი გვაღვა ჩამოვარდებოდა, წესი იყო რომ დე-  
დაკაცებს ლაზარზედ დაევილოთ. გუთანი შეებათ და წყალი მოეხ-  
ნათ, თან კი შესაწევარი ეგროვებინათ. როცა დაივილიდნენ სო-  
ფელს ლაზარზე, ნაშოვნ ფულით ყიდულობდნენ ციკანს, ამ ცი-  
კანს ელიას მთაზე დაკლავდნენ, რომ წვიმა მოსულიყო.

მაშაკაცებმა ამ დროს იცოდნენ ფულის შეგროვება, იყიდდ-  
ნენ ცხვარს ან დეკეულსა სამხვთოთა და თელის წყაროზე გამარ-  
თავდნენ პურის ჯამას. სამხვთოდ დაკლულ საქონელს, ნაწილს ხალხს  
ლაურეგებდნენ, დანარჩენს თვითონ ხმარობდნენ. სამხვთოში მო-  
ნაწილენი აღიდებდნენ ღმერთს და მაგრა გამოძვრალნი თავთა-  
ვიანთ სახლებსაყენ წავიდოდნენ, წვიმის მოლოდინში.

ასეთი სამხვთო თურმე ებნისელებსაც გადაუხდიათ. ერთ წე-  
ლიწადს ისეთი დიდი გვაღვა დაეკირა, რომა, თელი ქვეყანა გა-  
დამხმარაყო. მაშინ ებნისში თავკაცებს ეთავათ: — მოდი სამხვთო,  
გავმართოთო. ხალხიც დათანხმებულიყო, სამხვთოთ ებნისელებს  
ღორი ამოერჩიათ! — უფრო ბარაქიანი არისო და ღეშს მეტს  
დაყრიას!

განზრახვა სისრულეში მოეყვანათ, დაეკლათ ღორი და პურის  
ჯამას შესდგომოდნენ. შუა პურის ჯამის დროს, ერთი პატარა  
ღრუბელი წამოსულიყო. ეს პატარა ღრუბელი დიდ ღრუბლად



ქცეულა და ებნისელებსათვის კაკლის სისხო სეტყვა დაეყარა: ისე რომა, რაც გვალვას გადარჩენოდა, ის სეტყვაა შეესრულებინა. მერე ამ ამბავზე ხალხმა ებნისელებს დასცინა, ლექსი გამოუთქვა:

ებნისელებმა სამხეთო ჰქნეს  
ლორი დაკლეს ეშვიანო.  
ეგებ დაყაროს ლეშიანო...

## ორი მგზავრი

ერთი კაცი გზაში მიდიოდა და ნაცნობი შეხვდა. მიესალმენ ერთმანეთს და მოკითხვა დაუწყეს. მეორე მგზავრმა დააყოლა:

— გავიგე, მამაშენი მამკვდარა და ძალიანაც გამიკვირდა, ვფიქრობდი, ნეტა რას უნდა მოეკლა მეთქი? ჰართლაც, კაცო, ნეტა რამ მოკლა, ჰა? საკვირველი არ არის?

— ე ჩემო კარგო — უპასუხა პირველმა მგზავრმა. — მამაჩემსა თურმე ყველა სახადი ნახადი ჰქონიყო. მარტოკა სიკვდილ უხადი ყოფილიყო, ბოლოს როგორც იყო, სიკვდილი შეხვდა, სიკვდილმა კიდევ, ატრიალა, ახრიალა, ველარ გადიტანა მამაჩემმა და მოკვდა.

## ალღინვაბუქი

იყო და არა იყო რა, ხეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორა-ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ორი შვილი: ერთი ქალი და მეორე ვაჟი. ერთხელ კაცი წავიდა შეშაზე და ცოლს დაუბარა: სადილი ბავშვებს გამოატანე, ორი გზა არის, პირველ გზაზე ნაფოტი ყრია, მეორეზე ნახშირი, ბავშვები გამოყვენ ნაფოტიან გზას და ჩემთან მოვლენო. დედამ ბავშვები გაგზავნა და სადილი გაატანა, თან დაარიგა ნაფოტიან გზით იარეთო. ბავშვებს დაავიწყდათ და ნახშირიან გზას გაჰყენენ, რომელმაც დევების მოიყვანა. აქ ცხოვრობდა ერთი ცხრა-თავიანი დევი. როცა მივიდნენ ბავშვები დევმა ბიჭი გადაყლაპა და გოგოს ცოლად დაუწყო ზრდა. ბავშვების მამა სახლში რომ დაბრუნდა ცოლს დაემღერა.

— რატომ სადილი არ გამომიგზავნეო.

ქალმა მაშინვე დაიწყო ტირილი და თავში ცემა, ვაიმე ჩემი შვილები ალბთ დევებმა შექამესო. ქმარმა უთხრა.

— ტირილი რას უშველის წავალ და მოვიქებნიო.

წავიდა მამა შვილების საძებნელად, მივიდა დევების ციხესთან. ცხრათავამ ისიც ჩაანსლა. ელოდება ქალი ქმარ-შვილს, მაგრამ სად არის? გადიან დღეები, მაგრამ არა სჩანან: გამოვა მზის ამოსვლიდი მზის ჩასვლამდის და შესტირის გზას, მზე რომ დედასთან მივიდა უთხრა: — ერთი ქალი არის დილიდან საღამომდის სულ შემომტირის არ ვიცი რა გააქირვებია, დამწვა მისმა საცოდაობამაო.

მზის დედამ გამოატანა ერთი ვაშლი და უთხრა:

— მის პირდაპირ რომ მიხვიდე ჩაუგდე და ეშველებო.

მზემ წამოიღო ვაშლი და ჩამოუგდო, ქალს ძალიან მოეწონა ვაშლი და შექამა, რის გამოც დაორსულდა და ეყოლა ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვა ალღინკაბუკი. ეს ბიჭი დღის განმავლობაში იზრდებოდა მათრახის ტანის სიმაღლეს. ალღინკაბუკი დადიოდა ბავშვებში სათამაშოდ, და ძალიან აწუხებდა ბავშვებს. ბავშვებმა წააყვედრეს: — შენ თუ ანეთი ბიჭი ხარ, წადი და და შენი მამა მოძებნეო.

მოვიდა დედასთან და ჰკითხა: — მამა სად მყავს ანდა ჩემს მეტი შვილი თუ გყავდათო?

დედამ უთხრა:

— მამა მკვდარია, შვილი შენზე მეტი არა მყოლიაო.

დედა უმაღავდა რომ არ წასულიყო და დევთან შეტაკება არ მოსვლოდა. გავიდა კიდევ ერთი წელი. ალღინკაბუკი დაგეჟაკცდა რსე, რომ მიწას უმძიმდა მისი ტარება. ბიჭებში კიდევ რაღაც უკანონობა ჩაიდინა და ისევ წააყვედრეს:

— თუ ეგეთი ვაჟაკი ხარ, წადი მამა და და-ძმა მოძებნეო.

ალღინკაბუკმა ავადმყოფობა მოიგონა და დედას უთხრა:

— ძუძუ მომეცი ის მიშველის, მეტი არაფერიო.

დედამ ძუძუ მისცა. ბიჭმა კბილები მოუჭირა და უთხრა: თუ მტყვი მამა სად მყავს, და-ძმა, გაგიშვებ, არა და ძუძუს მოგაკნეტო.

დედამ პირობა მისცა. ბიჭმა გაუშრა. დედამ ყველაფერი უთხრა თუ როგორ დაიღუპა მისი მამა შვილებით.

ბიჭმა გადასწყვიტა წასვლა დევებთან საოპრად. ბევრი უშალა, მაგრამ არ დაიშალა, ბოლოს ასე უთხრა დედამ:

— რადგან არ დაგიშლია, წადი აღმოსაელეთით, მიდი ამა და ამ წყაროზე, დაიმაღე, იქ მოვა ერთი ცხენი. თუ ის დაიჭირე და შეჯდომა მოახერხე, მერე წადიო.

ალღინკაბუკი წავიდა და დაიმაღა წყაროსთან. არ გავიდა დი-

დი დრო, რომ მოფრინდა რაში და დაიწყო წყლის სმა. ბიკი წამოხტა და მოახტა ზურგზე. ცხენმა უთხრა:

— ჩამოდი, თორემ დაიღუპებიო. შენ მე პატრონობას ვერ გამიწვეო. — ბიკმა უარი უთხრა ჩამოსვლაზე. ცხენი აფრინდა, ცა დაეჯახა. ბიკი მუცელზე მოექცა. ჩამოფრინდა მიწაზე, ბიკი ზურგზე მოექცა. გახტა მარჯვნივ, გვერდზე მოექცა. ცხენმა უთხრა:

— კარგი, გემორჩილები, რაც გინდა მითხარი ყველაფერს შეგისრულებო.

აღლინქაბუკმა უთხრა:

— აქ რომ ცხრათავა დევია იქ წამიყვანეო.

— კარგი — უთხრა ცხენმა — ხოლო როცა მივალთ, სკამს მოგიტანენ არ დაჯდე, ვიდრე ნაცრიან ტომარას არ მოგიტანენო. სასმელად ბანგს მოგცემენ, არ დალიო, საყელოში ჩაისხი ჩუმათო, ტანისამოსიდან გასულს ბანგს ნაცარი შეიშრობს და ვერ შეგატყობენო. ლოგინს გაგიშლიან არ დაწვე, უთხარი — ჩემი ცხენის ბაგაში დავიძინებო.

ასე მისცა რჩევა-დარიგება ცხენმა და წავიდნენ. დევმა ცხენის ფეხის ხმა რომ გაიგონა სთქვა, — „კარგი სადილი მოდისო“. გამოვიდა და რასა ხედავს, ერთი ბთის ოდენი ვაჟკაცი დგას ეზოში. დევს შეეშინდა და ზრდილობიანად სახლში შეიპატიჟა. მიუტანეს ბიკს ოქროს სკამი და უარი უთხრა დაჯდომაზე. შეეკითხნენ: — რაზე ისურვებ დაჯდომასაო, — მან ნაცრიანი ტომარა მოითხოვა, რომელიც მაშინვე მოუტანეს. მოიტანეს ვახშამი და სასმელად ბანგი. ბიკი საყელოში ისხამდა ჩუმად, დევებს უკვირდა რატომ არ დაეძინაო — რა იქნებოდა, ლოგინი გაუშალეს, ბიკმა უარი სთქვა და უთხრა ჩემი ცხენის ბაგაში დავიძინებო. წავიდა და დაწვა ცხენთან. დევს გადაწყვეტილი ჰქონდა როცა დაეძინებოდა ვაჟს მაშინ მოეკლა და შეეჭამა. ამისათვის დაიძახა:

— ვინ მძინარი, ვინ მღვიძარიო?!

ბიკმა დაუძახა:

— მე შენი სტუმარი აღლინქაბუკიო.

— რატომ არ გეძინება? — შეეკითხა დევი.

— შენი მეზობლების ხმაური არ მაძინებსო, — უპასუხა ბიკმა.

დევი გამოვიდა და მეზობლები სულ შეჭამა, დაწვა და კარგახნის შემდეგ დაიძახა.

— ვინ მძინარი, ვინ მღვიძარიო?!

— მე შენი სტუმარი აღლინქაბუკიო.

— რატომ არ გეძინებათო?

— თქვენი საქონლის ხმაური არ მაძინებსო.

საქონელიც სულ შექვამა. კარგა ხნის შემდეგ კიდევ დაიძახა

— ვინ მძინარი, ვინ მღვიძარიო?!

ბიქს უკვე ეძინა. დევი წამოდგა, გააცხელა რკინის ჯოხი, რომ ამით მოეკლა ალღინკაბუკი: ალღინკაბუკის ცხენმა რომ დაინახა დევი მოდიოდა. პატრონს ტორის ცემა დაუწყო, რომ ვერ გააღვიძებოდა. ნეკის თითი მოკვნიტა. წამოხტა ალღინკაბუკი, რკინის ჯოხი გააგდებინა დევს და ეცნენ ერთმანეთს. დევმა აიღო ალღინკაბუკი და მუხლამდის ჩასვა. ალღინკაბუკმა აიღო და წელამდის ჩასვა მიწაში. ამ კიდაობის დროს, ალღინკაბუკის და, დევს ლატს უდებდა ფეხქვეშ, რომ ფეხი არ დასხლტოდა და ალღინკაბუკს კი წყალს უსწამდა ფეხებში, რომ დამარცხებულიყო. ბოლოს ალღინკაბუკმა დევი ჩასვა ყელამდის, მოაჭრა რვა თავი და უთხრა:

— თუ მეტყვი ჩემი მამა და ძმა სად არიან სიცოცხლეს შეგიწარჩუნებო.

დევმა უთხრა:

— თუ არ მომკლავ შენს მამას და ძმას დაგიბრუნებ, კუჭში მისხედანო.

ჯერ ამოყარა თავისი ძროხები, მერე ჰეზობლები და მერე ალღინკაბუკის მამა და ძმა. ბიქმა დევს ის თავიც მოაჭრა. მამას და ძმას გააცო თავისი თავი, თავისი და იქვე მოკლა ლალატისათვის. შემდეგ კი დაბრუნდნენ სახლში, სადაც დედა მიეგება სიხარულით. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.

## მეფე და გლეხი

ერთმა ზემო ქართლელმა გლეხმა გადასწყვიტა წასულიყო ქალაქს და მეფისათვის ცხენი ეთხოვნა. ერთ დღეს ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. ცოლს უთხრა:— დედაკაცო ეცოტა საგზალი მამიმზადე ქალაქს უნდა წავიდე.

— რა გინდა ქა, ქალაქსა, ქალაქს რა დაგრჩენია?

— საქმე მაქვს მეფესთანა.

— რა საქმე, ადამიანო, აღარ იტყვი?

— უნდა ცხენი ვთხოვო, აგები მაჩუქოს.

— აი ჩაგტიტე, — და ცოლმა ქოქოლა მიაყარა, — შე განოკუეებულო, ახლა შენთვისა სცალიან მეფესა, რომ დაგიჯდეს და შენ ყბედობას ყური უგდოს?

— მე კი ვთხოვ და...

— ჰოდა ორი ხელით მოგართმევს.

— ეჰ, თუ მამცემს, თუ არა და იმის დედაც...

კოლმა ბევრი უშალა ნუ წახვალ ტყუილათ, სახლში აუარე-ბელი საქმეა ნუ მოსცდებიო, მაგრამ გლებმა რაკი აიჭინა ქალაქს წასვლა შეფესთან აღარც გადასთქვა. წაიღო პატარა საგზალი და გზას გაუდგა. გზაში ერთი თავადი შეხვდა, სანადიროდ ყოფილიყო და სახლში ბრუნდებოდა.

— გამარჯობა შენი კირიძე—და ქული მოუხადა.

— გაგიმარჯოს: საით მიდიხარ ყმაწვილო?

— ქალაქსა შენი კირიძე,

— ზერე და რათა, რა დაგრჩენია ქალაქსა?

— მეფესთან მივდივარ შენი კირიძე.

— რა საქმე გაქვს ბიჭო მეფესთანა?

— ცხენი უნდა ვთხოვო, იქნება მაჩუქოს.

— ეეე გაგიუბუღხარ ვილაცა ხარ, მეფე თვითონ დაეძებს ცხენებს, სალაშქროდ ემზადება და შენთვისა სცალიან ეხლა ცხენი გაჩუქოს.

— ეეჰ შენი კირიძე, მე კი წავალ და ვთხოვ და, თუ მამცა მამცა, თუ არა და იმის დედაც...

არ დაუჯერა გლებმა თავდასაც და წავიდა ქალაქისაკენ. როცა ქალაქს ჩავიდა კითხვა-კითხვით მიადგა სასახლეს. კარის კაცებმა შიგნით არ შეუშვეს და დაუწყეს კითხვა, ვინ იყო ან რისთვის მოსულიყო.

— კაცო, რო გეუბნებით მეფე მინდა მეტი, თქვენა არ გესმით! არ გესმით!

— გვესმის, მაგრამ რა გინდა მეფესთან? მეფეს ეხლა არა სცალიან.

— ერთი სათხოვარი მაქვს. უეჭველად უნდა ვნახო.

— რა სათხოვარი გაქვს?

— უნდა ცხენი ვთხოვო იქნება მაჩუქოს.

— ეი შენი... მოგცლია რაღა, რა დროს ცხენს თხოვნაა, თათრები და ლეკები შემოსევას აპირებენო მაგის დარდი გაქვს, შე კაი კაცო?! — გამოეპასუხა მეორე კარისკაცი.

— თქვე კაი ხალხო, თქვენ რასა დარდობთ, მე ვთხოვ მეფესა ცხენსა, თუ მამცა, მამცა, თუ არა და მაგის დედაცა...

კარის კაცებს ბრაზი მოუვიდათ და საცემლად მისცივიდნენ.

მაგრამ ამ დროს სახლთუხუცესმა მოუწრო და კარისკაცები დაა-  
შოშმინა.

— აბა რა ამბავია ჩასა ჰგავს ესა. ვინ არის ეს გლეხი?

კარის კაცებმა უბასუხეს ვინ იყო.

— მერე და რისთვის მოსულხარ?

შეეკითხა სახლთუხუცესი გლეხს.

— მეფესთან გიახელი შენი პირიმე...

და უამბო თუ არა რისთვისაც მოსულიყო. გლეხის უხეშობამ  
სახლთუხუცესიც ააღელვა და უთხრა უკან დაბრუნებულიყო. მაგ-  
რამ გლეხი აღარ მოეშვა. მაშინვე წავიდა სახლთუხუცესი და მე-  
ფეს მოახსენა.

— ერთი ვილაც გადარეული მოსულა ცხენსა თხოულობს,  
ემბობს — მეფეს ცხენი უნდა ვთხოვო თუ მამცემს: მამცემს, თუ  
არა და ჰავის დედაცაო... მეფეს გაეცინა და ბრძანა შემოეუკათ  
გლეხი. მეფემ გლეხი დასვა სკამზე და წყნარათ გამოკითხა სხვადა-  
სხვა ამბები. მერე კი შეეკითხა რისთვის მოსულხარო.

გლეხმა უამბო რა მიზეზით იყო მოსული.

— ერთი სათხოვარი მაქვს შენი პირიმე, მეფეე, ცხენი მა-  
ჩუქე.

მეფემ მეჩინიბე იხმო და უბრძანა:

— ამ კაცს ჩემი თეთრი რაში მიეციო.

მეჩინიბეს ელდა ეცა და შეეკითხა:

— მერე და რომელ ცხენზე ისურვებთ მეფეო შებრძანებასა?

— მაგაზე მერე ვიფიქროთ, ესლა კი ჩასაც გიბრძანებ შეა-  
სრულე.

— მერე და მეფეო თქვენი თეთრი რაში თქვენის მეტს რომ  
'არვის ისვამს, როგორ შეჯდება ე ბიჭი ივისთანა ცხენზე?,—

აღარ ისვენებდა მეჩინიბე.

— შენ ცხენი მოჰგვარე და თუ შეჯდა, შეჯდა, ხომ კარგი, თუ  
არა და ამის დედაც... დაუმატა მეფემ.

## მეფე ირემკლე და ნატახტრელი გლეხი ტონუაშვილი

სოფელ ნატახტარში ცხოვრობდა ერთი მდიდარი გლეხი გვარაღ  
ტონუაშვილი. რომელსაც ძალიან ბევრი საქონელი ჰყავდა. ტო-  
ნუაშვილი თვითონაც მშრომელი კაცი იყო და სხვასაც ლუკმას  
არ შეაკმევდა მუქთად თუ საქმეს არ გააკეთებინებდა, ასე სთქვით  
სტუმარი რომ სტუმარია, იმასაც რაღაც საქმეს გამოუნახავდა და

ისე აქმევდა პურს. ერთხელ ტონუაშვილმა ახალი დარბაზი ააშენა ბანი კი დასატყეპნი ჰქონდა, რაზედაც დიდძალი მუშა სკირდებოდა. ტონუაშვილმა მოისაზრა — ამოდონა ქონების პატრონი ვარ, შილი მეფე ერეკლეს დავპატიეებ სტუმრათ თავისი ამალით და რძათ დავატყეპნიებ ბანსაო, თორემ სოფელს რომ დავუძახო, მგონებ ერთ თვეს ვერ დამიტყეპნონ ამოდენა ბანიო.

მართლაც ერთ მშვენიერ დღეს ტონუაშვილი თბილისისაკენ წავიდა, ეწვია მეფეს სასახლეში და სტუმრად მიიწვია მეფე და მისი ამალა ნატახტარში. ტონუაშვილმა ლექსად გააცნო თავისი ვინაობა ნეფე ერეკლეს.

ნატახტარ სოფლით გახლავარ,  
მდიდრად განთქმული გლეხიო,  
საწყალი კაცის მოყვარი,  
მტრების გახლავართ მეხიო.  
თქვენის ამალით მეწვიეთ  
მიკადრეთ მონა გლეხიო  
თუ ღირსეულად ვერ დაგხვდეთ  
თაეზე დამატყდეს მეხიო.

მეფე დაჰპირდა ტონუაშვილს, რომ უეჭველად ეწვეოდა თავის ამალით ნატახტარს. მეფეს გაუტყვირდა გლეხი როგორ უნდა დახვედროდა მის ამალას და უფრო დაწვრილებით გამოიძია ტონუაშვილის ვინაობა, როცა გაიგო რომ ტონუაშვილი სტუმარსაც კი პურს არ აქმევს თუ არ ამუშავაო, ძალიან ბევრი იცინა და სთქვა: — აბა ერთი შე რალას გამაყეთებინებსო, და ბეჯითად გადაწკეიტა სტუმრად წასვლა.

ტონუაშვილსა მიქებენ,  
ბლომათა ჰყავსო ზაქები,  
წავალ და სტუმრად ვეწვევი,  
ნუთუ მართლაა საქები?

ერთ დღეს მეფემ ნატახტარისაკენ გასწია თავისი ამალით. როცა ტონუაშვილის სახლს მივიდნენ, მაჰპინძელი მიეგება მეფეს და ჰოკითხვის შემდეგ დარბაზის ბანზე მიიწვია — მინამ თქვენი საკადრი სუფრა გაიშლებოდეს ჰეფეო, არ მოიწყინოთ ბანზე ლხინი ვავამართინე ახალგაზრდებს იქით სჯობიანო. — ლხინში, სიდაც აუარებელ ხალხს მოყვარა თავი, მეფემაც კი ითამაშა; როდესაც მეფე და მისი ამალასუფრაზე დასხდნენ ბანი ისე გახეპილი იყო. რომ კალო გეგონებოდათ. ქეიფში შესულმა მეფემ უთხრა ტონუაშვილს:

— ტონუაშვილო, შენზე ამბობენ, სტუმარს პურს არ აქმევს ისე. თუ საქმე არ გააკეთებინაო. აი მე და ჩემი ამაღა დღეს შენა სტუმრები ვართ, მაგრამ ამას ვერ ვხედავო!

— ჰე. ჰეფეო, დღეს თქვენი სტუმრობით ისეთი საქმე გამოიკეთეთ რაბა. შთელი სოფელი რომ დამეძახნა ერთი კვირის განმავლობაში იმ საქმეს ვერ გამოიკეთებდნენო. აი დიღო მეფეო ეს დარბაზი ახალი აშენებულია, ბანი კი დასატკეპნი იყო, წელან ბანზე ლხინი რომ გავშართე, ყველა ჩემი სტუმარი იღებდა მონაწილეობას ბანის დატკეპნაშიო.

## ნათლიმამას მარილი

ერთხელ, როცა მარილის უშოვნელობა იყო ქვეყნად და ხალხი დიდ გაკვირებას განიცდიდა მარილზე, ერთმა კაცმა იშოვნა ერთი კაი დიდი მარილის ქვა და ნათლიდედას მიიბარა — შემოდგომამდე შემინახეო. ნათლიდედას ძალიან უჭირდა მარილი, მაგრამ ვერ ბედავდა პატარა ნატეხი მაინც მოეტეხა. ბოლოს ძალიან გაუჭირდა და მეტი გზა აღარ იყო აიღო მარილის ქვა და წყლით სავსე კასრში ჩადო გასარეცხად და აჰ ნარეცხს ხმარობდა. როცა მლაშე წყალი გაუთავდა კიდევ გარეცხა მარილის ქვა. მარილის ქვის გარეცხა და მისი მლაშე წყლის ხმარება მოეწონა ნათლიდედას და უფრო ხშირ-ხშირად დაუწყო ქვას რეცხვა, რომ იღეოდა მარილის ქვა იმას კი აღარ უკვირდებოდა. ერთხელაც მოაკითხა ნათლიმამამ ნათლიდედას, მიბარებული მარილის ქვის წასაღებად.

— დღამშვიდობისა ნათლიდედა!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს ნათლი.

— აღბათ ღვთისწყალობით კარგათა ხართ ოჯახში, არა ნათლიდედა?

— ხეთის მადლით და შენი წყალობით კარგათ, აგრემც შემოგველოს შენი ნათლიდედა.

— ვაჰ რახან კარგად ხართ, ერთი ჩემი მარილის ქვა გამომიტა ამ გაზაფხულით რომ მოგაბარე. მინდა წავიღო. შემოდგომამა, ოჯახში ეხლა უფრო საჭიროა. ჩემი პატივისცემას კი ღმერთი გადაგიხდის. ჩემო ნათლიდედა.

ნათლიდედა შეუძღვა ნათლიმამას შარანში მარილის ქვის შინააქემად. როცა ნახა ნათლიმამამ თავის მარილის ქვა, რომელიც



ძალზე გაღებულიყო და გათეთრებულიყო, მისედა რა ნათლიდენის  
ეშმაკობას ლექსი თქვა:

აბა ჩემო მარილაო, დღეში სამჯერ ბანილაო,  
უფრი კარგად გაცვლიაო, ტანი კი არ გქნიაო.

## სამი ძმა

სამ ძმას ერთი ცხენი ჰყავდათ და იმით ცხოვრობდნენ. ერთ-  
ხელ ცხენი დაკარგეს და სამთავემ ერთად დაიწყეს ძებნა. ერთი  
რომელიღაც სოფელი დაინახეს და იქ წავიდნენ. სოფლის ბოლოა  
რომ მივიდნენ ეკლესია შეხვდათ, რომლის გალავანში ერთი დიდი  
ხე იდგა. ძმებმა გადაწყვიტეს შესულიყვნენ ეკლესიის გალავანში  
და იმ ხიდან მოეძებნათ ცხენი. ხეზე უფროსი ძმა ავიდა, — ძირიდან  
ძმებმა დაუძახეს:

— რა ჩანს?

— ვიცხა ჩანს დაბალიო — უპასუხა უფროსმა ძმამ.

— თუ დაბალია ქოსა იქნებაო — სთქვა შუათანა ძმამ.

— თუ ეგ დაბალია და ქოსაა, სახელად კოსტა ერქმევაო —  
სთქვა უმცროსმა ძმამ.

კოტახნის შემდეგ გამოიარა იმ კაცმა, რომელიც ხიდან შეამ-  
ჩნია უფროსმა ძმამ.

— გაწარჯობათ თქვენი — მიესალმა ძმებს მოსული.

— გაგიმარჯოს — უპასუხეს ძმებმა. როცა ნახეს ძმებმა რომ  
ეს კაცი დაბალია და ქოსაც არის, შეეკითხნენ:

— სახელად რა გქვიან?

— კოსტა — უპასუხა მგზავრმა.

მისცევდნენ ძმები და უმოწყალოდ ცემა დაუწყეს, თან ეუბ-  
ნებოდნენ:

— რა უყავი ჩვენი ცხენიო, რათ მოგვპარე სამ ძმას ერთი  
მარჩენალი ცხენიო.

კოსტა ტიროდა და ემუდარებოდა — არ მომიპარავს თქვე-  
ნი ცხენიო.

ამ ამბავს შეესწრო ერთი მეტად კარგი შესახედაობის ვაჟა-  
ცი და შეუტია:

— რას შვრებით, არა გრცხვენინათ. სამი კაცი ამ პატარა  
ჟღონო კაცსა სცემთო?!

— საქმეც ეს არის რომ ამ დაბალმა და ქოსამ, რომელსაც

კოსტა ჰქვიან, სამ ძმას ერთი ცხენი გვეყავდა და ისიც მოგვეპარაო—  
უპასუხეს ძმებმა მოსულ კაცს.

—რა იცით რომ მაგან მოგპარათ?

უფროსმა ძმამ უპასუხა:

— მე ხეზედ ავედი, დავინახე ვილაც დაბალი მოდიოდა გზაზე-  
ეს ამბავი ძმებს უთხარი, შუათანა ძმამ სთქვა თუ დაბალია ქოსა იქ-  
ნებოა. უმცროსმა კი სთქვა— თუ დაბალია და ქოსა, სახელად კოს-  
ტა ერქმევაო. მართლაც, რომ მოვიდა, ვნახეთ რომ დაბალიც არის  
და ქოსაც იყო, სახელად შევეკითხეთ და კოსტა ერქვა. მაშინ მივზ-  
დით რომ ეს იყო ჩვენი ცხენის ქურდი. აბა შეეკითხე თუ კოსტა  
არ ჰქვიან.

შეეკითხა უცნობი კაცი და დარწმუნდა რომ პართლაც კოსტა  
ერქვა.

მაშინ უცნობმა მგზავრმა უთხრა ძმებს:

— ჩემთან წამოდით სახლშიო.

გაჰყვენენ ძმები და ის ქოსაც თან წაიყვანეს. როცა პური ჰკა-  
მეს, მასპინძელმა ძმები ერთ ოთახში მოათავსა, ქოსა მეორე ოთახ-  
ში, ისე რომ მასპინძელი ორივე ოთახს ყურს უგდებდა. როცა ძი-  
ლის დრო მოვიდა სამ ძმას არ ეძინა და თავიანთების ჩუმად ლაპა-  
რაკობდნენ: უფროსი ძმა ამბობდა მასპინძელზე — ნამეტანი შეძ-  
ლებული კაციოა.

შუათანამ უპასუხა:

— ნამეტანი შეძლებულიც არის და ნამეტანი შეგნებულიცაო-  
უმცროსმა კი სთქვა:

— ნამეტანი შეძლებულია და ნამეტანი შეგნებული, მაგრამ  
მკვიდრი მამისშვილი არ არისო.

ეს ამბვი რომ გაიგო, მასპინძელმა გაიქცა დედასთან და ძუძუ-  
სთხოვა.

— დედი ძუძუ მამაწოვევო.

— რა დროს შენი ძუძუა შეილო?

— არა, მამაწოვე, მინდაო.

ადგა დედა და ძუძუ ჩაუღო შვილს პირში, შვილმა იქვე მოუ-  
კირა რომ წინალამ მოკვნიტა და დედას უთხრა:

— მითხარი მე ჩემი მკვიდრი მამისშვილი ვარ თუ არაო?

დედას გაუკვირდა და უთხრა:

— ვინ გითხრა შეილო?— და გამოუტყდა დედა, რომ ის თა-  
ვის მკვიდრი მამისშვილი არ იყო და უამბო ის თუ როგორ მოხდა  
ეს ამბავი:

— მამაშენს შვილო ჩემთან შვილი არ უჩნდებოდა, მამაშენის თანხმობით მე ერთ კაცთან დავრჩი და შენ შევეძინეო.

დაბრუნდა ეს კაცი და მეორე დღისათვის გააკეთა ყუთი, სადაც ჩადო ფორთოხალი. როცა გათენდა ძმებს უთხრა:—რა დევმა ამ ყუთშიაო. უფროსმა ძმამ აიღო და გადაატრიალ-გადმოატრიალა, ყურთან მიიღო და სთქვა:

— რაღაც რგვალი და რბილი უნდა იყოს შიგო.

— თუ რგვალია და რბილი, მაშინ ყვითელი უნდა იყოსო სთქვა შუათანამ.

— თუ რგვალია და რბილი, მერე ამასთან ყვითელი, მაშინ ფორთოხალი იქნებაო. — მიუგო უმცროსმა.

მასპინძელმა რომ დანახა ძმებმა გამოიცნეს, მივარდა ქოსას და უთხრა—ეხლავე მოჰყვარე ამას თავიანთი ცხენი თორემ ჩემო ხელით მოგკლავო. — რას იზამდა საბრალო ქოსა, წავიდა და მოჰყვარა თავისი ცხენი.

## ტარანინა ნინაო, ბატი მომხავეს შინაო

ერთ კაცსა უხეირო საქციელის ცოლი ჰყავდა, საყვარლები დაუღიოდა. თავის ქმარი რამეს რომ მაიტანდა იმავე წუთს დამალავდა და ეტყოდა:

— რა მოგიტანია რა უნდა გაქამოვო?

ეს კაცი ერთავად იპის ფიქრში იყო თუ რა მოეხერხებინა ცოლისათვის, რათა საქმელს რომ მოიტანდა აღარ დაემალნა. ერთხელ ეს კაცი წავიდა ბაზარში და ცოტა ღვინო დალია, იყიდა ერთი მსუქანი დაკლული ბატი, დაიქარა მეზურნეები და დაკვრით წამოვიდა სახლისაკენ. ხელში ბატი ეჭირა იმიტომ, რომ ქვეყანას დაენახა რომ სახლში მიაქვს საქმელი. ზურნას რომ უკრავდნენ ეს კაცი ამას დამღეროდა „ტარანინა ნინა, ბატი მიმაქვს შინა“. სახლში როდესაც მივიდა ცოლს შესძახა:

— აბა დედაკაცო, ჩემი სტუმრებით მოვედი.

ქალი მიეგება ქმარსა და სტუმრებს და სახლში შეიპატიჟა.

— აბა ჩქარა ქვაბი მოიტა და ბატი მოხარშეო — შესძახა ქმარმა. ცოლმა შემოსდგა ქვაბი და ბატს ხარშვა დაუწყო. ეს კაცი ადგა, აიღო ტიკი და სთქვა:

— მე მარანში წავალ, ღვინოს მოვიტან ეხლავეო.

სანამ ეს კაცი დაბრუნდებოდა მარანიდან, ამ ქალმა აიღო როდინის ქვა, თავზე ერბო წაუსვა და ცეცხლში შესდო, მეზურნეება

გაშტერდნენ, ერთმანეთს ყურება დაუწყეს და ვერ მიხვედრილაყ-  
ენენ რას შვრებოდა ეს ქალი. როცა გახურდა როდინის ქვა ამ ქალ-  
მა გამოიღო და ისევ ერთო წაუსვა. გახურებულმა ქვამ სულ ქახქა-  
ხი დაიწყო და ისევ ცეცხლში შესდვა. მეზურნეებმა ველარ მოათ-  
მინეს და შეეკითხნენ:

— რას აკეთებ?

— მე რომ ეს არ გავაკეთო, შოვა ჩემი ქმარი და ცემით მომკ-  
ლავს. ჩემ ქმარს ხშირად მოჰყავს თქვენისთანა პატიოსანი სტუმ-  
რები და ამ გახურებული ქვითა სდადავს ხოლმე.

წამოხტნენ ეს სტუმრები და გაიქცნენ. ამ დროს ეს კაციც მო-  
ვიდა ღვინით, სტუმრები რომ არ დაუხვდნენ გაუკვირდა და შეე-  
კითხა ცოლს.

ცოლმა უთხრა:

— მეხი შენც დაგაყარე და შენ მორეკილ სტუმრებსაცაო.  
ბატი ქვაბიდან მოიტაცეს და გაიქცნენ.

ამ კაცმა ტიკს ხელი უშვა, იძგერა კიდობანს, ამოიღო ერთი  
პური, მოიტეხა ყუა და გამოეკიდა; მეზურნეებმა რომ დაინახეს  
კაცი უკან მისდევდა, უფრო მოუმატეს სირბილს, ეს კაცი კი  
უკნიდან მისძახოდა:

— თქვენი ჭირიმეთ, ბატის ხორცი არ მინდა, წვეწში მაინც  
ჩამასველებანეთ პურიო.

იმათ კი ეგონათ ხელში როდინის ქვა უქირავსო და უფრო  
ძალას ატანდნენ თავს და მირბოდნენ თავქუდმოგლეჯილები. ეს  
კაცი რაღას დაეწოდა, მანამ სახლში მოვიდოდა მისმა ცოლმა და-  
უძახა თავს მეგობრებს, ბატსა და ტიკით ღვინოს ბოლო მოუღეს.  
როცა სახლში დაბრუნდა, ქმარმა ღვინო მოიკითხა და სთხოვა  
ცოლს:

— მაიტა ის ღვინო მაინც დამალევიწყო.

ცოლმა უპასუხა—

— იმათ რომ გამოუღდექი, ტიკი აქ დააგდე, გასკდა და ღვინო  
სულ დაიქცაო.

ამ კაცმა შემოიკრა თავში და სთქვა— ჩემი ბედის მწერალი  
დაიწვასო.

## საწყალი კაცის ამბავი

იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ამათ ორი შვილი. სულ ერ-  
თავად სიღარიბეში ცხოვრობდნენ, ტიტველ-მშვივრები დადიოდნენ.  
სიღარიბის ნიადაგზე ხშირათ ცოლ-ქმართ უსიამოვნება მოსდიო-

დათ. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს: — კაცო, როდემდის უნდა ვიყვეთ ამ სიღარიბეში? წადი, ნახე ის ჩვენი ბედის მწერალი და უთხარი — „ამდელს რომ ვწარმოვბთ რათ ვართ ამ სიღარიბეში“ — თქო.

წავიდა ეს კაცი და დადგა ბედისმწერლის საძებნელად. იარა. ბევრი იარა და მიადგა ერთ ადგილს; იქ ბევრი ხალხი დამსხდაროყვინენ და ზოგი სწერდა, ზოგი ხნავდა, ზოგი სთესავდა, ზოგი კერავდა, ზოგი ლაფში იწვა, კაცს გაუკვირდა და იკითხა:

— ეს რა ხალხია?

იმათ უპასუხეს:

— ესენი სულ ბედის მწერლები არიანო.

— ჩემი ბედისმწერალი ვინღაა ხომ არ იცით?

— აგერ, იქ რომ კაცი წევს ტალახში, ის არის შენი ბედის მწერალიო — უპასუხეს.

მივიდა ეს კაცი თავის ბედის მწერალთან, ზემოდან წიხლი ჩაახილა და უთხრა:

— ადე ფეხზე შე ოხერო, ან შენ რათ იტანჯები ამ ტალახში ან მე რათ მტანჯავ ამ სიღარიბე გაქირებებაშიო?!

ბედის მწერალმა ჩიბეში ხელი ჩაიყო, ისე რომ სახეზედაც არ შეუხვდავს, ისე გაუწოდა ორი კაკალი და თან ასე უთხრა:

— წაიღე ეს ორი კაკალი და ჰეც მოვდივარო.

გამოართვა ამ კაცმა ის ორი კაკალი და წამოიღო სახლისაკენ, თან უკან იყურებოდა, მოდის თუ არა ჩემი ბედის მწერალიო. მაგრამ საქმეში ხარ, თავის ბედის მწერალი არსად არა სჩანდა. გზაში ორი ბავშვი შემოხვდა, ერთმანეთს სცემდნენ და ასისხლებდნენ ერთი რგვალი ქვისათვის. კაცმა რომ ამათ ჩხუბს უყურა გაუკვირდა და შეეკითხა:

— შეილებო, რათ ჩხუბობთ, რათ სცემთ ერთმანეთს?

ორთავე ბავშვებმა ერთად უპასუხეს: — ქვა მ, დავინახე და ამან დაიტაცაო. ამ ლაპარაკზე კიდევ ჩხუბი მოუვიდათ: არა მე დავინახე არა მეო. და დაიწყეს ცემა ერთმანეთის. მერე ამ კაცმა უთხრა: მოჩხუბარ ბიჭებს:

— შეილო რა განხუბებთ ამ ქვის გულსათვის, აი ორი კაკალი, ერთი ერთს. მეორე მეორესო. მხოლოდ ეს ქვა კი მეო.

ბავშვებს გაეხარდათ და გამოართვეს, ქვა კი ამ კაცს მიიტყეს. წამოვიდა ეს კაცი სახლისაკენ, დაღონდა საწყალი კაცი. ეს რასისულელე გავაკეთე, სახლში ბავშვები შიმშილით მებოცებიან და ჰეკი ხელცარიელი მოვდივარ, ეს ქვა რა თავში სახლელათ მინდაო —

ამ ფაქტებით მივიდა სახლში. ჩუმად შეიპარა სახლში, ცოლი არ უნახავს. შეიტანა ის ქვა და კიღობანზე დადო, თითონ კი გარეთ გამოვიდა და მიწაზე ჩამოჯდა. ამ დროს ცოლსაც მოვიდა საიდან-ღაც. ცოლმა რომ ქმარი დაინახა გაეხარა და შეეკითხა:

— რა ჰქენი კაცო, ნახე შენი ბედის მწერალი?

— ვნახე, ერთ ადგილზე მივედი, ზოგი ხნავდა, ზოგი სთესდა, ზოგი წერდა, ზოგი იწვა, ზოგიც ლაფში წამოწოლილიყო, ჩვენი ბედის მწერალი ლაფში ჩაწოლილიყო და ერთი წიხლი ჩავაზილე, ასე უთხარი: აჰოდი ამ ლაფიდან, ან შენ რაზე იტანჯები, ან მე რას მტანჯავ ამდენი სიღარიბითა ძეთქი. ასე მითხრა წადი და მოვდი-ვარო.

ამ დროს ჩამობნელდა, ცოლმა ბავშვებს გასძახა კრაქი აანთეთო, მაგრამ ოთახიდან ისეთმა სინათლემ გამოანათა, რომ ოჯახის წევრები დაფეთებულნი წამოცვიდნენ: ვინ აანთო ჩვენს სახლში კრაქიო. შევიდნენ და ნახეს, რომ ის ქვა ანათებდა. ჩასდებდნენ კიღობანში დაბნელებოდა, ამოიღებდნენ და განათებოდა. მაშინ გამოუტყდა ის კაცი თავის ცოლს:

— ჩემი ბედის მწერალმა ორი კაკალი მამცა, ის კაკალი კი ამ ქვაში მივეცი ორ ბავშვს, რომელნიც ერთმანეთს თავპირს ამტვ-ოვედნენო.

ამ ქვეყანაში სოვდაგარები დადიოდნენ ხშირად ძვირფასი ნივთების საყიდლად. ამ კაცმა უთხრა ერთ სოვდაგარს:

— ჩემთან მოდი ამაღამ და ერთ ნივთს მოგყიდო.

სოვდაგაური აუტყდა.

— რაღა ამაღამ მოდი და ახლავე მომეციო.

— არა მხოლოდ ამაღამ გაჩვენებო.

ეს კაცი როცა სახლში შევიდა ერთი კეთილი შეზობელი ყავდა და რჩევა ჰთხოვა. ამან უთხრა — ამ ნივთში ერთ ათ თუმანს მოგცემს, ისე არ ვისტყე თუ ძმობის ხელწერილს არ მოგცემსო. თორემ, ხომ იცი, დაგიჭერენ და გეტყვიან ამდენი ფული ვინ მოგცაო. — იმ საღამოს მოვიდა სოვდაგარი, ნახა ეს ნივთი, რამაც გადარია. სოვდაგარი შეევაჭრა

— რა მოგცე ამ ნივთში

— შენ კარგა იცი რაცა ღირს და მითხარიო — მიუგო საწყალ-კაცმა. მაშინ სოვდაგარმა უთხრა:

— ას თუმანს მოგცემო.

ამ კაცმა უთხრა:

— ჩემის მეტი მასხრად ასაგდები ვერავეინ ნახეო?

— ორას თუმანს მოგცემ, ჯანი გავარდეს — აეწია სოვდაგარმა.

— შენ კარგად იცი ეგ რაცა ღირს და სწორე ფასი მითხარიო.

მერე როგორც იქნა მორიგდნენ ათას თუმნათ, ერთსაც ეშინოდა არ შეემშალოსო და მეორესაც. ამიტომ ჩქარ-ჩქარა ითვლიდნენ ფულს. ბოლოს როცა მიიღო ამ კაცმა ფული სოვდაგარს უთბრა:

— ხომ იცი მე რომ ამოდენა ფული მაქვს ქვეყანა გაიგებს და დამიჭერენ. იტყვიან, ვინ მოგცა ამოდენა ფულიო. შოდი ერთი საკეთე გამიკეთე და ძმობის ხელწერილი დამიწერეო. სოვდაგარი დასთანხმდა.

— გინდ ხუთი ძმობის ხელწერილს მოგცემო.

დასწერეს ხელწერილი და მამასახლისს შეამოწმებინეს. სოვდაგარი ხელწერილში სწერდა რომ „რომ დიდხანია ჩემი ძმა აღარ მინახავს, პატარა იყო როცა ერთად ვიზრდებოდით, ჩემი ძმა არის ეხლა ენახე ამ სიღარიბეში, ვაძლევ ამდენ ფულსაო“. ამის შემდეგ ეს სოვდაგარი აღარ იშორებდა გვერდიდან და ისე დაჰყავდა როგორც თავისი ძმა. სოვდაგრებსაც თავის ძმად აცნობდა.

ერთხელ, როცა შოთაავეს სოვდაგრებმა ვაჭრობა და წასასვლელად მოემზადნენ თავიანთ ქვეყანაში, წესისამებრ შეიკრიბნენ საქეიფოდ და იქ უნდა ენახათ თუ რა ძვირფასი ნივთი იყიდება, ვინ რა ფასად. პირველად თამადამ ამოიღო ერთი ნივთი და აჩვენა სოვდაგრებს — ამისთანა ნივთი არავის გექნებათ ნაყიდიო. ამდელი და ამდელი მივეცოო. იაფიც არისო. ყველამ ამოიღეს თავიანთი ნივთები და ყველამ თავისი შეფასება მიიღო.

ბოლოს ეს სოვდაგარი წამოდგა და სთქვა: — ჩააქრეთ ზინათლეები — როცა ჩააქრეს სინათლე ამოიღო ეს ძვირფასი ქვა და მთლად გაანათა იქაურობა. ყველას გაუჟვირდა და სთქვა — ეს ძვირფასი ნივთი ვიყიდე ათას თუმნადო. ძალიან იაფი არისო. მაშინ ამ საწყალმა კაცმა სთქვა:

— მე ეს ქვა ორ კაცად ვიყიდეო.

სოვდაგარს ეგონა ალბათ ეს უბრალო ყალბი რამ არის და მომარტყუა, იქვე გული გაუხკდა და მოკვდა. ამის სიძლიდრე, ჯორაქლესიუბი სულ იმ კაცს დარჩა, როგორც სოვდაგარის ძმას.

## ცოლი და ქმარი

ერთი კაცი თავის ცოლს ცინჰარე დღე აყვედრდა:

აბა დედაკაცი შენი საქმე რა არის, მთელი დღე ისე ზიხარ და არას აკეთებ. ცოლი კი ეუბნებოდა:

— აბა აღამიანო რა ვქნა, ქალის საქმე ასეთია, არაფერი ჩანს.

იქ ბავშვები, იქ ქათმები, იქ ხბოები, იქ ოჯახი და მთელი დღე ანეთ საქმეს მიაქვს.

— ეჰ, აბა, სწორედ ტყეში რომ ჯაფა მადგია იმასა გავს არა თქვენი საქმე? — გაუტრიზავა ქმარმა. როცა ძალიან გააბებრა თავისი ყოველდღიური ყვედრებით ცოლი ქმარმა, გადაწყვიტა ქალმა თითონ წასულყო ტყეში და ქმარს უთხრა:

— ხეალ მე მივდივარ ტყეში, შენკი აქ იჯექი და სახლს მოუარეო.

მეორე დღეს სწორეთ ასე მოიქცა, შეაბა ურემი და ტყეში წავიდა, ქმარი კი სახლში დარჩა. პატარა აკვნის ბავშვი ჰყავდათ წახდა და ვერ მოუარა კაცმა. იქ მცხარე კრუხი იჯდა კვერცხიბზე, წამოუხტა და კარში გაექცა, სახლი დასაგველი დარჩა, ბოლოს ძალიან შეწუხდა კაცი, რადგან ვერაფერი მოუხერხა ოჯახს, ცოლი კი საცაა ტყიდან მოვიდოდა. ადგა და თვითონ დაჯდა საბუდარზე, ზვიდან კი საცერი დაიხურა.

მოვიდა ცოლი, ქმარზე დიდი ურემი დაედო, შემოვიდა სახლში, მიიხედ-მოიხედა, ნახა ბავშვი მოუვლელი და მტრალი, მერე ქალს ჩვეულებისამებრ მივიდა კრუხის სანახავად. ახადა საცერი, კაცმა ვითომ კრუხი იყო კრუხულად დაიწყა კრ-კრ-კრ. ქალმა იცნო ქმარი, ერთი ბასტი ჩააფარა თავში და მიაძახა ვითომ კრუხს:

— შე საოხრო, რა ზოგივიდა, პატრონი ვერ იცანი: მაშინ ადგა დარცხენილი ქმარი და სთქვა:

— არა, როგორც გიწირავს ისე სწირე, მე ისევ ტყეში ვივლი, შენ კი ისევ სახლში იყავიო.

მაშინ შეაფასა კაცმა ქალს საქმე.

## სამტემვან ზაბუშკაშვილი

იყო ერთი მეწისქვილე ღარიბ-ღატაკი. ერთი წისქვილი ჰქონდა, ისიც ისეთი, რომ დღე ღამეში 2—3 კოდ პურს ძლივსა ფქვავდა. იმის წისქვილის ახლოს ჯაგებში ამოვიდა ერთი ძირი ვაზი, რომელსაც მეწისქვილემ მოუარა და ხეივანზე გადაიყვანა. ვაზმა პირველ მოსხმაზე სამი მტევანი მოიბა. როცა დამწიფდა, ერთი მტევანი დააკლდა, მეწისქვილეს ძალიან ეწყინა და მესაფქვავეებს დაუწყა ჯაერობა: რათ მომიგლიჯეთო.

მესაფქვავეებმა შეფიცეს, რომ ჩვენ არ მოგვიგლეჯიაო. მეორე დღესაც დააკლდა მეორე მტევანი, მეწისქვილეს ძალიან ეწყინა



და კიდევ მესაფქვავეებს დაუწყო ჩხუბი: მამ ვინ მოგლიჯა თუ არა თქვენი.

მესამე ღამეს მეწისქვილე ადგა და ზედ ლატანსე წაწვა. უნდოდა. გაეგო ვინ პარავდა ყურძენს. იმ ღამეს მოვიდა მელა და მოწყობა მესამე მტევანი, ამ დროს სწვდა მეწისქვილე კუდში და დაიკირა. მელას ძალიან შეეშინდა და შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მამკლავ და ეს მტევანი შენაკამე, მერე მე ბედსა გწევო.

მეწისქვილემ სთქვა: მოდი გაუშვებ, ჯანაბას ამის თავსაო და ის მტევანიც მელას მისცა. წავიდა მელა და მივიდა ხელმწიფის კარებზე. ვეზირებმა უთხრეს:

— სად მიხვალო? მელამ უთხრა:

— დიდებულ ხელმწიფესთან საქმეზეო.

ვეზირები შევიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს, რომ თქვენთან საქმისთვის მელა არის მოსულიო. ხელმწიფემ უთხრა: შემოუშვიო. როცა მელა შეუშვეს ხელმწიფესთან, მელამ შემდეგი მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეე ამა და ამ ადგილას ერთი დიდი შეძლების კაცია და თქვენი ქალი იმას მიათხოვეთ.

მეფემ უთხრა:

— მაიყვა სასიძო, ვინ არის გავსინჯოთო. მელა დაეთანხმა, წავიდა მეწისქვილესთან და უთხრა:

— წამოდი ხელმწიფესთან, უნდა იმის ქალზე დაქორწინდეთო.

მეწისქვილეს გაუკვირდა და უთხრა:

— რამ გაგაგიჟა, ხელმწიფე მე ქალს როგორ მომცემსო.

— შენ წამომეყ და მე ვიცო. უპასუხა მელამ. წაიყვანა მეწისქვილე ერთ მდინარის ახლო და უთხრა:

— შენ აქ მომიცადე და მე ხელმწიფესთან წავალო.

როცა მელა ხელმწიფესთან მივიდა ასე მოახსენა მეფეს:

— დიდებულო ხელმწიფეე, თქვენი სასიძო ამა და ამ ადგილზე, რომ წყალი ჩამოდის იმ მდინარეში ჩაყარდა, ტანისამოსი და ფული წყალმა წაართვა და ვეღარ მოდის სირცხვილითო.

ხელმწიფემ. მაშინვე ძვირფასი ტანისამოსი და ფული მისცა მელას და უბრძანა:

— წადი, ჩქარა წაუღე და მოიყვანეო.

მელა წავიდა და წაუღო ტანისამოსი, როცა მივიდა მეწისქვილეს უთხრა:

— აბა ჩქარა გაიხადე და ამ წყალში იბანავეო.

როცა მეწისქვილები იბანავა, ჩაიცვა ხელმწიფის გამოგზავნილი ტანისამოსი, მერე მელამ ურჩია დალაქთან წასულიყვნენ და პირი მოეპარსნა. როცა სადალაქო ამბებს შორის ეს მეწისქვილე პირად მწვენიერი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მელამ ხელმწიფესთან რომ მიიყვანა, ხელმწიფეს ძალიან მოეწონა სასიძო, მერე ქალს გაასინჯეს, ქალსაც მოეწონა და შეთანხმდნენ დაქორწინებულნიყვნენ. მელამ უთხრა მეფეს:

— ჩვენ ეხლა საქორწილოდ მოგველიან, უნდა ქალი წავიყვანოთ და თქვენ თქვენი ჯარით უნდა წამოხვიდეთო, ჩვენ ასეთი წესი გვაქვს სულ თოფის სროლით უნდა წამოხვიდეთ გზაშიო. მეწისქვილეს შეეშინდა, სად უნდა წაიყვანოს ამოდოლა ხალხიო.

როცა წამოვიდნენ მელა წინ გამოუძღვა. გზაში ცხვრის ფარად აინახა. გაიქცა მელა მეცხვარეებთან და უთხრა:

— აგერ იქ რომ ჯარი მოდის სროლით, ხელმწიფის ჯარია. თუ შეგეკითხონ ვისია ცხვარი? ასე უთხარით: სამტევან კაბუჯაშვილისათჳ. თორემ თქვენც დაგზოცავენ და ცხვარსაც წაიყვანენო.

როცა მეფე მოვიდა იკითხა:

— ვისი ცხვარია?

— სამტევან კაბუჯაშვილისაო — უპასუხეს მეცხვარეებმა.

მერე მელა საქონლის დიდ ჯოგს შეხვდა. მესაქონლეებსაც უთხრა როგორც მეცხვარეებს. მეფემ რომ გამოიარა მესაქონლეებისაგანაც ისეთი პასუხი მიიღო, როგორც მეცხვარეებისაგან. ერთ მხარეში გაიარეს სულ კალოებს ლეწავდნენ. მელამ აქაც ასე უთხრა:

— სროლით ხელმწიფის ჯარი მოდის, თუ შეგეკითხონ, ვისი პურები ილეწება, — ასე უთხარი: სამტევან კაბუჯაშვილისათჳ. თორემ სულ თავებს დაგაქრიან და პურსაც ისინი წაიღებენო.

როცა მეფემ ჩამოიარა იკითხა:

— ეს კალოები ვისია?

— სამტევან კაბუჯაშვილისა — უპასუხა ხალხმა.

მეფესა და მის ჯარს უკვირდა, რა მდიდარი სიძე ჰყოლია მეფესაო. ამოდენა ქვეყანა მისი ყოფილაო. ერთ მხარეში მღევებს ქორწილი ქონდათ. მელა მივიდა მღევებთან და უთხრა.

— მღევებო, თქვენს თავს რა უბედურება არის, გაიხედეთ ერთი, აგერ იქ რომ ჯარი მოდის სროლით, თქვენთან მოდიან უნდა დაგზოცონო.

მღევებს შეეშინდათ და უთხრეს მელას — რა უნდა ვქნათო? მელამ უთხრა:

— აი იმ თივის ზვინში შეძვერითო.

მღევები შეძვრნენ და დაიმაღნენ. მელამ თივის ზვინებს ცეცხლი წაუქიდა და უკან გამოიქცა მეფის ჯარისაკენ. მეფემ და ჰისმა ჯარმა კითხვა დაუწყო მელას:

— კიდეც შორსა ვართ?

— არა, — უპასუხა მელამ, — აგერ იქ რომ ქალები ანთია არისო.

მივიდნენ მეფე და მისი ჯარი, ვითომდა სამტევან ქაბუჯიშვილის სასახლეში. გაუყვირდათ მეფესა და მის ჯარს როგორც საქორწილო სამზადისი ისე უზარმაზარი დარბაზები. თან ამბობდნენ: რამოდენა თივის ზვინებს სწვავენო, რა მდიდრები ყოფილანო.

მელამ ხალხი ადგილებზე დასხა. მეწისქვილე მალ-მალ მალლა იყურებოდა და უყვირდა ისეთი მდიდრული დარბაზები. მელას ეშინოდა არ მიხვედრილიყვნენ მეფე და მისი ხალხი. მივიდა მეწისქვილესთან და უთხრა:

— სამტევან ქაბუჯაშვილო რა მალლა იყურები ის ზურმუხტი არსად არ წასულა აი ის აქ არისო. აილო ძირიდან და გაუწოდა. მეფეს გაუყვირდა როგორ შეამჩნია ჩემმა სიძემ ერთი ქვის ნაკლოვანება ამოდოლა სიმდიდრეში. დიდის ამბით გადაიხადა მეწისქვილემ ქორწილი, ქალის მოსადევარი დიდად ნასიამოვნები წავიდნენ სახლებში. მეწისქვილემ დიდი მადლობა გადაუხადა მელას სიკეთისათვის და ტყბილად დაიწყო ცხოვრება.

## პატარა ბიორბი მონადირე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე, რომელსაც პატარა გიორგის ეძახოდნენ. ერთხელ პატარა გიორგი წავიდა სანადიროდ, დღის-საღამოხანით მოკლა კურდღელი, როცა დაღამდა ერთ მუხის ძირას დასდო ბინა და დაანთო ცეცხლი, გაატყავა კურდღელი. ხის შამფური გათალა და კურდღელი შესაწველად ჯობზე ააგო. შემდეგ ცეცხლზე შეწვა დაუწყო. დამშეულმა გიორგიმ წინა წვერის მწვადი წააძრო, მაგრამ ისე დაეწო მარჯვენა ხელი რომ მწვადის ნაჭერი ძირს გააგდო. გადაგდებული მწვადის ნაჭერი იქცა კურდღლად. პატარა გიორგის გაუყვირდა და დაიძახა:

— დედავ! დედავ! ხვთისმშობელო, ეს რა საკვირველება რამე ვნახეო. კურდღელი მობრუნდა და დაუძახა:

— ეს არ არის საკვირველიო, საკვირველი ის არის დიდი გიორგი მონადირის ამბავიო.

პატარა გიორგი მონადირემ რომ კურდღლის ლაპარაკი გაიგო, გაშტერდა და ელდა ნაცემმა პირჯვრისწერა დაიწყო. იმ ღამეს შიშით თვალში აღარ მოუხუქია. როცა გათენდა გაუდგა დიდი გიორგი მონადირის გზას, სოფლიდან-სოფელში გადადიოდა და კითხულობდა: — დიდ გიორგი მონადირეს ხომ არავენ იცნობთო. — ბოლოს როგორც იყო მიავნო დიდი გიორგი მონადირის ბინას და დაუძახა:

— მასპინძელო, მასპინძელო!

მასპინძელმა სტუმარა მიიწვია და გააცნო თავისი თავი. მე დიდ გიორგი მონადირეს მეძახიანო, თქვენ ვილა ხართ, საიდან მოდიხართ ან სად მიდიხართ?

— მე ვარ პატარა გიორგი მონადირე და თქვენს საძებრად ვარ წამოსული. თქვენი გაცნობის სურვილი აღმიძრა ერთმა საოცარმა თავგადასავალმა. ამას წინათ ერთ ტყეში სანადიროდ გავედი. სთელი დღე ისე ვიხეტიალე ვერაფერს ვერ წავაწყდო. დღის ბოლოს მოვკალი კურდღელი, ამ დროს ბინდმაც დაჰკრა. მუხის ძირას დავდე ბინა, დავანთე დიდი ცეცხლი და დავთალე შამფურა, რომელზედაც კურდღლის მწვადი ავაგე და დაუწყე ცეცხლზე შეწვა. მთელი დღის ტყეში ნავალს ძალიან მშოიდა, გულმა ველარ მოკითხინა და წინა წვერის წვადი წავაძრე. ისეთი ცხელი იყო რომ ხელები ჩამფუფქა და ხელიდან გადავაგდე. ის ნაქერი კურდღლად იქცა. მე გამიკვირდა და დავიძახე — დედავ, დედავ ხეთის: მშობელო ეს რა საკვირველება ენახეო! კურდღელი მოტრიალდა და მიპასუხა: — საკვირველება ეს არ არის, საკვირველი დიდი გიორგი მონადირის ამბავიაო. ამ ამბავმა გამაოცა, მთელი ღამე უძილოთ გავატარე, როცა გათენდა საძებრად წამოველ, რათა გამეგო თქვენი თავგადასავალიო.

— რახან ჩემი თავგადასავალი გაინტერესებს, ყველაფერს გიამბობ, ეგ არ არის ძნელი სამსახური, მხოლოდ ვინამ ამბის მოყოლას შეუდგებოდე ცოტახან თავლაში ჩამომყეო.

პატარა გიორგი მონადირე უსიტყვოდ გაჰყვა დიდ გიორგი მონადირეს. თავლაში ება ორი ცხენი. ერთი ულაყი და მეორე ფაშატი. ორივე ისეთი დამხმარები იყვნენ, რომ ცალიერი ძვალა და ტყავი, ძლივს იდგნენ ფეხზე. წინ საქმელი არაფერი ეყარათ. მოსულების დანახვაზე ცხენები შიშით ერთმანეთს მიეკრნენ. დიდმა გიორგი მონადირემ დაავლო ხელი ნიჩაბს და სიპრტყიდან ცემა დაუწყო. პატარა გიორგი გაკვირვებული იყო და სთხოვდა შეეზარალებინა უენო პირუტყენი ასეთი ცემისაგან მაგრამ დიდი გიორ-

გი ყურს არ უგდებდა მის მუდარას და სცემდა თავგამეტებით იქამდე, სანამ უღონოდ მიწაზე არ დაეყარნენ. მერვე დიღა გიორგია მოუბრუნდა პატარა გიორგი მონადირეს და ისევ სახლში წაგოუქცა. პატარა გიორგის ეკვი შეეპარა. ქუეხზე ნაკლებათ ხომ არ არისო. ისევ პურმარული განაგრძეს. სმის დროს პატარა გიორგი შეეკითხა:

— ასე დაუნდობლად იმ ცხენებს რათა სცემდით?

დიდმა გიორგიმ უპასუხა:

— შენ რომ იცოდე მაგათი ამბავი, ალბათ ცემაში მოქეხმარებოდით.

ეგ ულაცი ცხენი ჩემი ძმა არია და ფაშატი ცხენი კი ჩემი ცოლი. ეგ ჩემი ცოლი თვალთაქცი არაა, როგორც უყურებთ ჩვენ ერთმანეთს და ვხედავთ რომ ადამიანები ვართ, ისინიც ასეთივე ადამიანები არიან. მაგათ ერთმანეთი შეიყვარეს. მაგ ჩემ ცოლს ერთი პატარა ჯოხი ჰქონდა, ვისაც რათაც უნდოდა იმით აქცევდა. ერთხელაც ჩემმა ცოლმა ის ჯოხი, ასწია და ბოლერა ძაღლად ჰაქცია, თანაც მურია დაჰარქვა. ჩემმა ძმამ და ცოლმა ერთმანეთს ალერსი დაუწყეს და ჩემ თვალწინ რეებს არასჩადიოდნენ. მართალია ძაღლი ვიყავი, მაგრამ ისევ ადამიანის გონება მქონდა, მხოლოდ ლაპარაკი არ შემძლო. თუ შეეხასიათებოდათ ძვალსა და ნაკვამს მომიყრიდნენ და მეც იმას ვქამდი. რა მექნა, შიშშილი მაწუხებდა. ვიყავი ამ უბედურებაში. ამით საქციელს ვერ ვიტანდი. ავდექი და წავედი, ერთ შარაგზას გავეკვი. მეც არ ვიცოდი სად მივდიოდი დაღონებული და დაძვარებული. გზაში ერთი ვაჭარი ურმით მიდიოდა, ურემზე ერთი სავსე ხურჩინი ედო. ამ ვაჭარს მოვეწონე და დამიძახა: — ცუგა, ცუგა! თან კი ხურჩინში ხელი ჩაყო, ამოიღო ნახუჭი და გადმომიგდო, თან მუხლებზე ხელი დაირტყა და მეძახდა: მეც ურემზე ავხტი, ვაჭარს შევეშინდა არ მეძგეროსო. რომ შევამჩნიე კუდი გაუქნიე, ვაჭარმა ხურჩინიდან ამოიღო პური, ხორცის ნაკვრები და წინ დამიყარა. თან კი თავზე და ბეჭებზე ხელს მისვა. მეც ალერსით ვპასუხობდი. გზაში დაგვიღამდა და ერთ ადგალას ფარეხები შევნიშნეთ. ვაჭარმა იქით მიატრიალა ურემი და გასძახა: ჰაი მეცხვარეებო, მეცხვარეებო! მე ამა და ამ ზოფლას მეცხოვრები ვარ და ძაღლებს არ დამაგლეჯინოთ. მეცხვარეები წამოიშალნენ, ძაღლები მიფანტ-მოფანტეს და ბინამდე მიიყვანეს, თან ვაჭარმა გააფრთხილა მეცხვარეები: — თქვენმა ძაღლებმა ჩემი ძაღლი არ დათეთქვნო. მეცხვარეებმა ანუგეშეს და ცეცხლის პირას ჩამოსვეს, თავიანთი ძაღლები კი ბინის გარეთ გა-

რეკეს. მე ბინის კარში დაეწევი, ცხვარი ბაქში ეყენათ, ცხვრის პატრონმა ერთი ბიჭი ცხენზე შესვა და ლეინის მოსატანად გაგზავნა, მეორეებს კი უთხრა—ცხვარი დაკალითო? მერე ვაქარს მიუჯდა, და გამოკითხვა დაუწყო თუ საიდან მოდიოდა. ვაქარმა უამბო თუ საიდან იყო და რისთვის ყოფილიყო სხვა სოფელში. მერე დაუწყო გამოკითხვა — თქვენ როგორღა ხართ, ცხვარი ხომ კარგად დაადოლეთო.

მეცხვარემ უპასუხა:

— კარგად, ძმაო, კარგად, ხეთო ნადლით კაი ბალახიც არისო, მაგრამ ამდენი ხნის კაცი ვარ და ბავშვობიდან ცხვარში მოვდივარ, მაგრამ ასეთი ნადირიანობაარ მინახია.—მე კი მათ ლაპარაკს უგლებდი ყურს. არ გავიდა დიდი დრო და მგლებმა იერიში მოიტანეს. ძაღლები შიშით სულ ბაკებში შემოცვივდნენ, მე კი გადავეშვი ბაქს, ერთ მგელს დავავლე კისერში პირი და ბინაში შემოვათრიე. მეცხვრეებს გაუკვირდათ: — რა კაი ძაღლი ყოფილა, რა კარგო, — მაქებდნენ და ვაქარს უქებდნენ ჩემ თავს. ამ დროს კილევ შექმნეს ყუფა ძაღლებმა და მე კილევ გადავხტი და ერთი დამხრჩვალ მგელი კილევ მოვათრიე. იმ ღამეს ხუთი მგელი დავახრჩე. ვაქარი კი სიხარულით წვერზე ისვამდა ხელს. იმ ღამეს ჩემ ქებაში იყვნენ, მეცხვარეებმა ვაქრობა დაუწყეს. ვაქარი უარობდა და ამბობდა: — ჩემმა ცოლმა პატარა ლეკვი გაზარდა, ასე ადვილად ვერ დავთმობო, ბოლოს როგორც იყო მოთათლეს ვაქარი და ოც ქელილად დამთმო. იმ ღამიდან სულ მოხარშულ ხორცის ქმევა დამიწყეს. მე ისეთი სახელი მოვიპოვე ამ ცხვარში, რომ მწყემსები აღარ სკირდებოდათ, მე თითონ მიმიდიოდა საძოვრად ცხვარი და მერე უკან მამიდიოდა. თუ მგელი შემხვდებოდა ვახრჩობდი და თან მამქონდა, ჩემი ამბავი მთელმა სახელმწიფომ გაიგო, მეფესაც კი გაეგო ჩემი ამბავი. ამ მეფეს ერთი ქალი ყავდა და კომკში დაებინავებინა, რადგან ძილის დროს რაღაცა აწიოკებდა და შეშინებული იღვიძებდა. ბევრს ეცადნენ გაიგოთ თუ რა აშინებდა მეფის ქალს, მაგრამ ვერაფერი მოეხერხებინათ. კომკის გარშემო აუარებელი ჭარისკაცები ყარაულობდნენ, მაგრამ ვერაფერი ვერ შევლოდა. ბოლოს ვეზირებმა გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ მე შემეძლო მეფის ქალის დახსნა. მეფეს წარუდგნენ და მოახსენეს: — მეფეო, ალბათ თქვენც მოგეხსენებათ ის სანაჭებო ძაღლი ერთ მეცხვარეს რომ ჰყოლია, მოდი ვთხოვოთ იქნებ იხსნას თქვენი ქალი ავისულისაგან. მეფეს ვეზირებმის რჩევა მოეწონა და ბრძანება გასცა ძაღლი მოეყვანათ. ჩემს წასაყვანათ რომ მოვიღნენ

და ჩემმა პატრონმა გაიგო, ძალიან ეწყინა, ბევრი ეხვეწა მეფის კაცს, მაგრამ რას გახდებოდა? მე მაინც წამიყვანეს. როცა გავიგე საქმე რაშიც იყო გადავწყვიტე მეფეხიზლნა და საიდუმლო განეგო. მომათაესეს მეფის ქალის საწოლ ოთახში. შუალამე რო შეიქნა ერთმა ლამაზმა ქალმა ფანჯარა შემოაპკრიალა, მე გავინაბე. როცა გადმოვიდა ოთახში, ვწვდი და დავიკირე. მეფის ქალს კი საწოლში მშვიდად ეძინა. მოსულმა ქალმა ხვეწნა დამიწყო — ოღონდ გამიშვი, ნუ ჩამაგდებ ხელმწიფის ხელში და კა ბედსა გწევო. მეც გაუშვი პირი და გავათავისუფლე. მეორე დღეს მოვიდნენ მეფე და დედოფალი, ჰკითხეს თავიანთ ქალს—წუხელის როგორ გეძინაო? როცა გაიგეს, რომ არათერს შეეწუხებინა მათი ქალი ძალიან გაიხარეს. მეფემ ოქროს კალათით დამასაჩუქრა და ყელზე ჩამოქკიდა, ყველა დიდებულმა ძვირფასად დამაჭილდოვა. მე მეფის გვერდით ვსადილობდი და დიდი ამბით მეფერებოდნენ. ჩემი წყყმსი პატრონი ჩემ თავს თხოვდა მეფეს. მაგრამ ბოლოს უარით გაიბტუმრეს. მიუხედავად იმისა, რომ კაი პირობებში ვიყავი, მაინც მომენატრა ჩემი სახლი და ერთ დღესაც ჩუმათ, გამოვიპარე ჩემი ნივთებით. სიარული ღამით მიხდებოდა, ღლისით ბუჩქებში ვიბალეობდი. ღამით მოვიდიოდი. ერთ დღეს, გათენების ხანს მოვალწიე ჩემ სახლს, ჩემმა ცოლმა რომ დამინახა, ჩემ ძმას უთხრა: ჩვენ მურია მოსულაო. მომხსნა ის ოქროს კალათი და მე მუდარით დაუწყე ყურება, იქნებ შემიბრალოს მეთქი. ჩემმა ცოლმა აიღო ის პატარა ჭოხი, განეხარდა, ეხლა კი კაცად მაქცევს გავეფიქრე. მაგრამ იმან აიქნია დაიქნია და გარეულ იხვად მაქცია. დაღონებულმა მთელი დღე ვიფრინე და ვფიქრობდი: აქამდე ძალლი ვიყავი რაღაცა შემეძლო და პატივისცემას ვიმსახურებდი ეხლა კი რაღას წარმოვადგენ მეთქი. დაღლილი დაქანცული დავეშვი მიწისაკენ და ერთ ურმეულში შეეფერინდი. იქ ტკბილად დამძინებოდა, მოსულიყო ძნის პატრონი და რომ მნახა დამიკირა და სთქვა: — ეს კი ლუკმა არისო. გამიკრა ფესები და ურემზე დაშკიდა. სახლში რომ მივიდა, ცოლს უთხრა ჩემზე: — აბა დედაკაცო დაკალი და ჩახობბე, ვინამ მე მეორე გზას მოვიტანო. მე უკვე ომედი გადავწყვიტე, მაგრამ ქალმა შინაური იხვი დაკლა და ქმარს ის დაახვედრა. ქმარმა რომ იხვის ხორცი შექამა ძალიან მოეწონა და იძახდა: — რა კარვა ყოფილა გარეული იხვის ხორციო. — მესამე გზაზე რომ წავიდა კაცი, ქალმა გამოიღო ერთი ჭოხი, როგორიც ჩემს ცოლს ჰქონდა, გამიხსნა ფესები და აიქნდაიქნია, რაღაც წაიბუტბუტა და კაცად

მაქცია თან დააყოლა — მე ვერ მიცნობ ვინა ვარო? მე ის ქალი ვარ ხელმწიფის ქალს რომ ვაწიოვებდი. მე მაშინ დაგპირდი ბედსა გწევ. მეთქი და აი ჩემი პატივისცემაც ეს იქნება. აჰა ეს ჯოხი, ამ ჯოხს რომ აიქნევე-დაიქნევე, რასაც ინატრებ ყველა შეგისრულდებაო. შენი ცოლი ჩემი და არის, იმის ჯოხი უფრო მკაცრი და გავლენიანია, ის ამას სჯობნიან ღონით. ჩემი და და შენი ძმა ესლა ბაღში არიან, ეცადე თვალი არ შეგასწრონ თორემ იმის ჯოხი შენ ჯოხს შორევეა და დაედუბები.— იეც ასე მოვიქცეო, ჩუმათ მივეპარე და ვინატრე, რომ ორივე ცხენად ქცეულიყვნენ და მართლაც ორივენი ცხენათ იქცნენ.

— აბა ჩემო პატარა გიორგი, შენი საქმე უფრო საკვირველია. თუ ჩემი.

პატარა გიორგი დასთანხმდა და უპასუხა:

— მართლაც რომ შენი საქმე ყოფილა საკვირველიო.

კირი იქა, ლხინი აქა.

ქათო იქა, ფქვილი აქა.

## კოხტა ბიჭი

ერთ ხელმწიფეს ჰყავდა მზეთუნახავი ქალიშვილი, რომელსაც გარეთ არ უშვებდნენ, რომ მზე არ მოჰკიდებოდა. ერთხელ მამას სთხოვა:

— ბაღში გასვლის ნება მომეცით,

მეფემ ნება მისცა, ქალმა გაიხედ გამოიხედა და ზღვაზე ნავეები რომ დაინახა ძალიან მოეწონა. მამას შეეხვეწა:

— ნება მომეცით ნავით გავისეირნოო.

მამა ამაზეც დათანხმდა. ჩასვეს ნავში და მისცურავდა, მეფე და მისი ვეზირებიც უყურებდნენ. ნავმა რომ კარგი მანძილი გასცურა ზღვა შეირყა, ზღვიდან შავი რაღაც ამოვიდა, მენავე წაპურტით მოკლა, ქალი ზღვაში ჩაიყოლა. ხელმწიფემ დაიწყო ტირილი და თავში ცემა. განაცხადა თავის ქვეყანაში:

— ვინც ჩემს ქალს მომიყვანს ჩემს შემდეგ მეფე იქნება ჩემს ქვეყანაშიო და დღეიდანვე მივცემ გენერლობასო, და ცოლად შეერთავ ჩემ ქალიშვილსო.

ბევრს უნდოდა ქალის საძებრად წასვლა, მაგრამ არ იცოდნენ სად და როგორ ეძებნათ.

ერთი, ახალი, სრულიად გამოუცდელი ჯარის კაცი იყო, სახელად კოხტა, მან განაცხადა მეფესთან:



თუ პირობას შევასრულებ ქალს მე ვიპოვნო.

— ხელმწიფემ მისცა პირობის ხელწერილი, მისცა გენერლის ფორმა და აგრეთვე მისცა საგზაოდ ერთი ფუთი ოქრო. კობტა წავიდა ერთ-ერთ ქალაქში, მთელი ერთი წლის მანძილზე იქეიფა. ერთი წლის შემდეგ ოქროები გამოელა, მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— გავიგე თქვენი ქალი სადაც არის, ზღვის გაღმით გაუყვანიათ, განიშხადეთ ერთი გემი, შიგ ჩააწყეთ ერთი წლის სასმელ-საჭმელი, წავალ და თქვენს ქალს გამოვიყვანო. ხელმწიფემ უყიყ-მანოთ შეუსრულა თხოვნა, მისცა ლამაზი გემი ჯარის კაცებით და ოფიცრებით, აგრეთვე სასმელ საჭმლით სრულქმნილი. ჩაჯდა გემში კობტა და წავიდა. როცა იქნა გავიდა ნაპირზე, გემი გააჩერებინა და თვითონ ორი ოფიცრით გადავიდა ნაპირზე სანადიროდ.

ერთ მშვენიერ დღეს კობტამ ერთ-ერთი ოფიცერი დატოვა ხორცის მოხაზარშად, თითონ ერთი ოფიცრით წავიდა სანადიროთ. ოფიცერმა ხორცი დასჭრა, რომ მოხაზარშა აღმოსავლეთის მხრიდან გამოვიდა ერთი ბალნით დაჭარელი შავი კაცი, მივიდა და ოფიცერს უთხრა:

— მაქამეო.

მან უთხრა:

— უფროსი აქ არ არის და ვერ გაქმევო.

ძან მიბეგვა ოფიცერი, თავის ქვაბიანათ გადასანსლა სადილი და წავიდა. კობტამ უსაყვედურა ოფიცერს, რატომ სადილი არ დაშახვედრეო. მან ვერ გაუბედა თქმა ხათრით და უთხრა:

— ავად გავხდი და ამის გამო ვერ დავამზადეო.

კობტამ მეორე დღეს მეორე ოფიცერი დატოვა, იმასაც ასე დაუშვართა.

კობტამ იფიქრა აქ რაღაც საქმეაო. ოფიცრები სანადიროდ გაგზავნა და თვითონ დარჩა ბინაში. ხორცი მოხაზარშა და ამ დროს მივიდა ის შავი კაციც:

— მაქამეო, — ეუბნება კობტას.

— მიირთვით რამდენიც გინდაო, — უთხრა კობტამ, წამოდგა ფეხზე, დაუსხა ღვინო, რაც შეიძლებოდა გაუმასპინძლდა ძალიან კარგად. შევმა კაცმა უთხრა;

— შენ ძალიან კარგი კაცი ხარ, დიდი პატივი მეცი და მინდა დაგპატიეო.

— დიდი სიამოვნებით, უთხრა კობტამ და წავიდნენ ნანგრე-

ვებისაკენ. ბევრი იარეს თუ ცოტა მივიდნენ ნანგრევებში და აღ-  
მოჩნდნენ ერთ დიდ ბნელ ოთახში სადაც შავიდათ იყო დიდი  
ბრტყელი ქვა. შავმა კაცმა კოხტა იქ დასვა, მოიტანა ლეინო და ფუ-  
თიანი სასმისი, შავი კაცი სულ სვამდა და კოხტა კი ჩუმად ღერ-  
და. კოხტას მასპინძელი დაითვრა და იქვე წამოწვა. კოხტამ რომ დაი-  
ნახა მას ადგომის თავი აღარა ჰქონდა, ადგა და თავი მოჭრა, მერე  
შეუდგა ნანგრევების დათვალიერებას. ნახა ერთი დაკეტილი ოთა-  
ხი, როგორც იყო გატეხა კლიტე და რასა ხედავს, ხელმწიფის ქა-  
ლიშვილი ზის ამ ოთახში და ტარის. რომ დაინახა მამამისის გენერა-  
ლი სიხარულიაგან გაგვიდა და ეუბნება კოხტას:

— წადი, იმან არ დაგინახოს თორემ მოგკლავსო.

კოხტამ დააიმედა და უთხრა:

— ის მკვდარია ნუ გეშინიაო.

გამოიყვანა ქალაშვილი. დაჯდნენ ქვის შავიდასთან, კოხტამ ყველაფე-  
რი უამბო. ისიც უთხრა, რომ ჩემი ცოლი უნდა გახდეთ. ქალმა  
თანხმობა განაცხადა. მისცა კოხტას ოქროს ბეჭედი სიყვარულის  
ნიშნად, კოხტას ლეინო უნდა დაეხსა, ბეჭედი ქვაზე დადო, და იქ  
დაავიწყდა რომ წავიდნენ.

მივიდა კოხტა გემზე, გასცა განკარგულება და გემი დაიძრა.  
კოხტა იჭდა გემში ქალზედ ხელმოხვეული. ქალმა ბეჭედი რომ  
ვერ ნახა კოხტას თითზე შეეკითხა რა უყავითო, კოხტას მაშინ გა-  
ახსენდა, რომ დევის სახლში დაავიწყდა ბეჭედი. გასცა მაშინვე  
განკარგულება, გემი უკან დააბრუნა. გემი ზღვისპირას გააჩერა და  
თვითონ წავიდა ბეჭდის მოსატანად. გემის კაპიტანმა დასძრა გემი  
და წავიდა. შუა ზღვაში გააჩერა და ქალს უთხრა:

— თუ იტყვი რომ მე გიპოვნე და ცოლად გამოიყვები, ხო კარ-  
გი, თუ არადა გემს ჩაეძირავო.

ქალმა უთხრა:

— რა ვქნა, მხოლოდ სამშობლოში გამოიყვანე და თანახმა ვა-  
რო.

ჭარისკაცებს და ოფიცრებს ასეთი პირობა ჩამოართო და წა-  
ვიდნენ. კოხტამ ბეჭედი იპოვა, როცა ზღვის პირზე შოვიდა რას  
ხედვს გემი წასულა და ოდნავდა მოსჩანს გემის იალქნები. მიხვდა,  
კოხტა რაშიც იყო საქმე და რას იზამდა, გაიმაგრა გული და წავი-  
და ზღვის ნაპირზე. იარა, იარა და მივიდა ერთ წყაროსთან, სადაც  
მისვლისთანავე დაეცა უგონოდ შიმშილისაგან დასუსტებული. წყა-  
რო თურმე ერთი ხელმწიფის შვილისა იყო, სადაც ხშირად დადი-  
და საქეიფოდ. ეხლაც მივიდა და დაინახა რომ უცხო ქვეყნის გე-

ნერალი გდია წყაროს გვერდზე, მაშინვე ექიმი იხმო, გაუწია სასწრაფო დახმარება და გამოაცოცხლა. კობტა წაიყვანა სახლში, გამოჰკითხა:

— როგორ მოხვდი ჩემს საბრძანებელშიო.—კობტამ დაუფარავად უთხრა ყველაფერი და სთხოვა:

— დამესმარეთ რომ ჩემს ქვეყანაში როგორმე წავიდეთ.

მეფის შეიღმა უთხრა:

— რადგან ასეა, მე მინდა დაგეხმარო. მოგცემ ერთი ფულის ქისას, ქისაში ფული რომ გამოილევა, მარჯვენა ხელით გააქნიე და სავსე იქნება. მოგცემ ფრთიან რაშს და მასთან ერთდ ფრთიან ძაღლს, რომლებიც უეჭველად გამოგადგებიანო.— თან დასძინა,— ერთ ხმალსაც გაჩუქებ რომლის საიდუმლოება შენმა ცოლმაც კი არ უნდა იკოდესო. ხმალი მოუტანა და უთხრა:

— ეს ხმალი როცა წელზე გაბია ტყვია და ხმალი არ იმოგეკარებაო, ხოლო ფრთხილად იყავი ხმლის საიდუმლოება არავისთან წაგცდესო.

მისცა ეს ყველაფერი და გამოისტუმრა. კობტა შეჯდა ფრთიან რაშზე, გადაიკიდა თილისმის ხმალი, ჩაიდო ჭიბეში თილისმის ქისა და გაქრა ზღვაზე. საღამო დროს მიახწია კობტამ თავის სატახტო ქალაქს, მივიდა ერთ ბებერთან და სთხოვა:

— ჩემი ჯაგლაგი ცხენი და ჩემი ძაღლი შემიხანხეთ და მასთან ერთად გამაცანით ქალაქის ამბებიო.

ბებერმა უთხრა:

— ცხენის შენახვაში ფული გადამიხადე, მხოლოდ ამბებს უფულოდაც გეტყვიო.— ჩვენს ქალაქში დიდი ამბავი მოხდა, მეფემ ქალი დაკარგა, ვილაც გემის კაპიტანმა იპოვა და მათი ქორწილი ამ საღამოთი იქნებაო.

კობტამ გაიგო რაშიც იყო საქმე. წავიდა, იყიდა ძველი ჩოხა, დამალა გენერალის ფორჰა, როგორც იყო და როგორც არა მიაღწია ქორწილამდის. ხედავს რომ გემის კაპიტანს ხელი აქვს გადახვეწული კობტას საცოლესათვის და მეფე გვირგვინებს ახურავს. დაიწყო შაბაში, მთელი ნაზირვეზირები რასაც ფულს დებენ შაბაშზე ერთ იმდენს ვილაც ჩოხიანი დაყრის სუფრაზე. მეფის ქალი თავისი ხელით ოქროს აზარფეშას აწვდის ყველა მნიშვნელოვან პირებს. ხელმწიფემ შენიშნა, რომ ერთი ვილაც უხარისხო კაცი ბევრ ფულს დებს შაბაშზე და უთხრა ქალიშვილს:

— მართალია ის ვილაც მდაბიოთაგანია, მაგრამ მან შენთვის ძალიან დიდი ფული დახარჯა, სასმიხი მასაც გაუგზავნეთო. ქალმაც

მართლა გაგზავნა მსახურის ხელით სასმისი, კობტამ დალია მეფე დედოფლის სადღეგრძელო, ცარიელ ჭიქაში ჩააგდო ბეჭედი, რომელიც დაავიწყდა და რის გამოც დარჩა მეფობის და მეფის ქალის ქრმობის გარეშე.

მეფის ქალმა რომ მიიღო აზარფეშა, შიგ ნაღებს ბეჭედს რომ დახედა, გამოვიდა წინ და განაცხადა:

— მე გამომიყვანა კობტამ, რომელმაც მოკლა ჩემი მომტაცებელი, მხოლოდ კაპიტანმა დატოვა ის ზღვის გაღმით, მე შემაშინა გემის დაძირვით და იძულებით მათქმევინა ის რაც დღემდამს მოგატყუეთ, ამჟამად კობტა აქ არის და მოძებნეთო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კობტამ გაიხადა ძველი ჩონხა, წარსდგა მეფის წინაშე, აუხსნა საქმის ვითარება, მოითხოვა კაპიტანს დასჯა, რაც იმავე წუთში იქნა სისრულეში მოყვანილი. კაპიტანი ჩამოახრჩვეს. ქალს კობტა ამოუყენეს გვერდში და დააქორწილეს. ხელმწიფეს უნდოდა სახელმწიფო კობტასათვის ჩაებარებინა, მაგრამ მან უარი განაცხადა — ვიდრე ცოცხალი ხართ მეფობას არ შეგეცალებითო.

დარჩა მეფის სასახლეში, ცხოვრობდა ბედნიერად და მიდიოდა ყოველდღე სანადიროდ.

გაიგო მეზობელი ქვეყნის მეფის შვილმა, რომ ამ ქვეყნის მეფის ქალი ლამაზი და მზეთუნახავია და შეირთო ვიღაც უბრალო კაცმაო. შეყარა დიდი ჯარი და ამ ქვეყნისაკენ გამოსწია. თან მეფეს შეუთვალა:

— თუ გინდა რომ არ გაგანადგურო მოკალი შენი სიძე და შენი ქალიშვილი ცოლად გამომიგზავნე. შენ თვითონ მოსაკლავი ხარ, რადგან მეფის სიძის შიშით შეარცხვინე და ვიღაც გლეხს ქალი მიათხოვეთ. მეფემ უარი შეუთვალა და დაიწყო საომრად მზადება. ამ დროს კობტა სანადიროდ იყო წასული. რომ მოვიდა და ნახა ომისათვის მზადება მივიდა მეფესთან და უთხრა:

— ნუ შეწუხდებით, ჯარი საჭირო არ არის, პასუხს მე გავცემო. შეჭდა თავის ფრთიან რაშზე, გადაიკიდ თილისმის ხმალი, დაუხვდა მეზობელი მეფის შვილს და მთელი ლაშქარი ამოუწყვიტა. ცხრა-ათი კაცით გადაარჩა ხელმწიფის შვილი, რომელმაც თავს უშველა გაქცევით.

სხვა ხელმწიფის შვილმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა კობტას ცოლისათვის წერილის მიწერა. დაწერა წერილი, სადაც სწერდა:

— მეფის ქალი ხარ, სირცხვილია გლეხი რომ შეირთე. თუ

კობტამ გამოგყვანა დევის ხელიდან ის მოვალე იყო სამსახური გაეწია თქვენთვის, რადგან ის თქვენი ყმა და მოსამსახურე არის. დიდი შეცდომა დაუშვით და მოვალე ხართ გამოასწოროთო. გაიგეთ როგორმე მაგ თქვენს ქმარს ტყვია რატომ არ ჰკლავს ან ხმალი რატომ არა სჭრისო.

კობტას ცოლმაც გადაწყვიტა ქმრისათვის ელაღატნა და მეფისშვილს გაყოლოდა. ქმარს არ მისცა საშველი ვიდრე ხმლის საადრეულობა არ ართქმევინა. მისწერა სხვა ქვეყნის მეფისშვილს რომ:

— ჩემ ქმარს ფრთიანი რაში სადაც უბია, იქვე ხმალი უყილია და ვიდრე ის ხმალი ექნება, მისი დამარცხება შეუძლებელიაო. მეფის ვაჟმა გამოგზავნა მხატვარი, ჩუმად დაახატვინა ხმალი, გააკეთებინა სხვა ისეთივე ხმალი და გამოუგზავნა კობტას ცოლს. მან ქმრის ხმალი გაუგზავნა თურქს და მეორე ხმალი დაკიდა რაწთან.

სხვა ქვეყნის მეფის შვილმა შეყარა ლაშქარი, შევიდა ქვეყანაში და მოსთხოვა ქალი მეფეს. კობტა ისევე გაეშადა საომრად, გამოვიდა და დაუწყო ომი. მტრებმა ჰკრეს ტყვია და მოკლეს, მეფის ჯარმა დაკაფა კობტა და შინდორში დაყარა, ხოლო რაში და ძაღლი გაიქცნენ. მეფის ვაჟმა შეირთო კობტას ცოლი ცოლად და წავიდა თავის ქვეყანაში. ბრძოლის ველი რომ დაიწალა მოფრინდა კობტას ფრთიანი რაში, ძაღლმა ცხენს აბგაში ჩაუწყო კობტას სხეულის ნაჭრები და გაქრნენ სადღაც.

უცხო მეფის შვილს მოახსენეს:

— შენ რომ რაში მიეცი იმ გენერალს, ის რაში ბაღში წევს და ზურგზე მძიმე ტვირთი ჰკიდიაო. გამოვიდა მეფის შვილი, გასინჯა და ნახა ასო ასო დაქრილი კობტა. დაუძახა ექიმს. დააწყობინა სხეულის ნაჭრები, დაასხა უკვდავების წყალი და გააცოცხლა კობტა.

ამბის გამოკითხვის შემდეგ მისცა ერთი ვაშლი და უთხრა:

— რომ შექამ, რადაცინატრი იმად გადაიქცევი, ხოლო ხმალს ვიდრე არ შეეხები კაცად აღარ გადაიქცევიო. კობტამ მადლობა გადაუხადა და წავიდა მტრის ქვეყანაში. მივიდა ერთ ღარიბ კაცთან და უთხრა:

— დილით ჩემს ადგილას ცხენს იპოვი, ეს ცხენი წაიყვანე და მეფისშვილს მიჰყიდე, ათას ოქროს მოგცემსო. თავის რაშზე უთხრა: ვიდრე არ მოვალ შემინახეო. დილით მართლაც გლეხმა ცხენი იპოვა, ცხენი და რაცხენი, ვარსკვლავებს ეთაჟაშებოდა. წაიყვანა მეფის სასახლის წინ, გაატარა-გამოატარა. მეფის შვილმა რომ დაინახა, ძალიან მოეწონა. მსახური გამოგზავნა როგორ ყიდისო, მეფის

შვილს რომ მოახსენეს, ათას ოქროს აფასებდა, მან დიდი სიხარულით დაუთვალა და ცხენი თავლაში გაგზავნა. ცოლმა რომ გაიგო ჩემმა ქმარმა ასეთი საინტერესო ცხენი იყიდაო, მივიდა თავლაში ცხენის სანახავად ქმართან ერთად. ქმარს უთხრა:

— აქ რაღაც ნამდვილად კოხტას ოინები არის. ცხენი. ეხლავე მოაკვლევინე და ცეცხლში დააწვევინე, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დარჩეს, თორემ დავიღუპებითო.

— ხელმწიფის შვილის ცოლს ერთი მოახლე გოგო ჰყავდა, ისეთი ლამაზი იყო, რომ ქვეყნად იმისთანა ლამაზს ადამიანს თვალი ვერ ნახავდა. ამ გოგომ რომ გაიგო ცხენს კლავენო, მივიდა ცხენთან, დაიწყო წუწუნი:

— რა კარგი ცხენი ხარ და რატომ უნდა მოგკლანო. ცხენი გამოელაპარაკა და უთხრა:

— ერთი ჩემი სისხლის წვეთი მეფის შვილის აბანოში ჩააგდე და ბედს გწვევო. მეორე დღეს ცხენის შოკვლას და დაწვას მეფის შვილი ხელმძღვანელობდა თავისი ცოლით და ის მოახლე ლამაზი გოგოც თან ახლდა. ერთი სისხლის წვეთი შემთხვევით ფოთოლზე დაეცა. აილო გოგომ ჩუქად, გაიპარა და მეფის შვილის აბანოში ჩააგდო. ცხენის დაწვას რომ მორჩნენ მეფის შვილმა უთხრა ცოლს:

— ოფლით გავიწუწე. მე წავალ აბანოში და თქვენ სახლში წაბრძანდითო. მივიდა აბანოში, ხმალი აიხადა, იქვე ტანისამოსთან დადო და ჩავიდა აბანოში და ნახა რომ იხვი ცურავდა აბანოში, აიყვანა ხელში და აბანოს პირზე დასო. რხვი წავიდა, ხმალი გადაეხახუნა და იპავე წუთში კაცად იქცა. კოხტამ სტაცა ხელი თავის ხმალს. მეფის შვილი იქვე აბანოში ჩაკაჯა. გამოვიდა და თავისი ნაცოლარიც მოკლა. მეფე და მისი დიდებულნიც ამოყლიტა, მოძებნა ის ლამაზი გოგო. შემოისო ფრთიან რაშზე და გაეშურა თავის ქვეყნსაკენ. მისვლისთანავე მეფემ ჩააბარა თავისი ტახტი, ცოლად შერთო მოტაცებული გოგო და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

პირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

## მე ვარ ბიჭი ფანცხა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. დღეს იშოვიდა დღეს შექამდა, ხვალ იშოვიდა ხვალ შექამდა. ერთ სოფელში მიაგნო ფუტკრის სკას, ამაილო თაფლი და შექამა, მერე დაწვა და დაიძინა. ძილში დაეღო პირი და შიგ ბუზები ჩახვეოდნენ, როცა

გამოიღვიძა მოიქნია ხელი და ყველა ბუზები დახოცა, დათვალა, და ასი ბუზი მოეკლა. შემდეგ სიხარულით შესძახა:

— სახელი მქვიან ფაცია, ერთ მოქნევაზე მოვკალ ასია!

ეს ამბავი ფაციამ დაწერა ქალღმერთს და ხეზე მიაკრა, რათა უფრო სახელი გავარდნოდა. ეს ხმა მიუვიდა ხელმწიფეს. ხელმწიფემ დაიბარა ფაცია და შეეკითხა:

— შენ მოკალი ასი კაცი?

— რას ბრძანებ დიდებულო ხელმწიფე, მე ბუზები მოვკალი და არა კაცები.

— აი შე მატყუარა, კაცები ბუზებთან ჩათვალე, — უთხრა მეფემ და უბრძანა:

— მდევმა და მომტაცა და ის უნდა მომიყვანოვო.

მაშინ ფაციამ უთხრა:

— ერთი თონე პური გამომიცხე, მომეცი რკინის გოგრები და ლურსმნებიო.

ხელმწიფეს ყავდა რაშები, ამ რაშებში ერია ერთი გამხდარი რაში, ფაციამ იფიქრა — ამას წავიყვან და გზაში დავარდებო და თავს დამანებებსო. მაგრამ ეს რაში ყოფილა გამფრენი რაში. როცა ფაციამ ეს ცხენი ამოირჩია, ხელმწიფეს გაუკვირდა — ეს უფრო ჰქვიან ყოფილა ჩემზეო ეს რაში რომ ამოირჩიაო, — და მისცა ხელმწიფემ ამორჩეული რაში. შეჯდა ფაცია თავის საგზლით და წავიდა. რაშმა თავისი ტვირთი იმჩატა, ხეები მოგლიჯა და ის შეიწყო ზურგზე და გაფრინდა მდევებთან. მდევების სახლში რომ მივიდა, გამოვიდა მდევის ცოლი, მდევის ცოლი ხელმწიფის დაიყო. ცოლმა უთხრა ფაციას:

— რა სულიერი ხარ რომ მოსულხარ, ჩემი ქმრის შიშით ვერავითარი სულდგმული ვერ ბედავს გაქაქანებას. მალლა ფრინველოც და ძირს ქიანქველაც კი.

— ამ დროს მოვიდა მდევი და უთხრა:

— შენ რა კაცი ხარ, რომ ჩემ კარებზე მოსულხარ?

მაშინ ფაციამ უთხრა:

— აქ მოდი და პასუხს გაგცემო.

ფაციამ სწრაფად გოგრის რკინის სახლი ააშენა და უთხრა მდევს:

— აბა შედი და გასინჯე მოიმართები თუ არა, მერე მე შევალო.

შევიდა მდევი და ფაციამ კარები დაულურსმა, ცხენზე შესდო, თან მეფის დაც და მდევის ქონებაც წამოუღო ხელმწიფეს. ხელმწიფემ როცა თავისი და დაინახა ძლიერ გაეხარდა. მდევი კი გოგ-

რის რკინის სახლში ჩაკვდა. ფაციას ამბავი ქვეყანას მოედო. გაი-  
გო თათრის ხელმწიფემ და სთქვა:

— მოდი ამ ხელმწიფეს ომს გამოუცხადებ და ფაციას გამო-  
ვიწვევ ხმალშიო. ხელმწიფემ გაგზავნა ფაცია საომრად. ფაცია  
მარტო წავიდა ერთი ხმლით, თათრის ხელმწიფეს კი უთვალავი  
ჯარი წამოეყვანა და ერთ მინდორზე გავიდნენ საჩხუბრად. ფაციამ  
რომ დაინახა თათრების უთვალავი ჯარი, ხმალი ამოიღო და შიშით  
თვალეები დახუჭა. როცა თათრის ხელმწიფემ დაინახა თვალეზდა-  
ხუჭული ფაცია, იმანაც თვალეები დახუჭა, ჯარმა მეფეს მიბაძა,  
ყველამ თვალეები დახუჭეს. ფაციამ თვალეები გაახილა და რა დაინახა  
თვალეზდახუჭული ჯარი და მეფე, დაიწყო თავების წაქრა და გაა-  
წყო მთელი თათრების ჯარი. ხელმწიფის თავი კი თავის ხელმ-  
წიფეს მიუტანა. ხელმწიფემ რო დაინახა გამარჯვებული ფაცია  
უთხრა:

— შენ ყოფილხარ ხელმწიფის ღირსი და არა მეო და ტახტო  
ფაციას დაუთმო. ფაციამ მოკრიფა თავისი მშვიერი ცოლშვილი და  
თავისთან წიყვანა.

ტყეში შეველ ხე მოვქერი,  
გამოვთალე ნავათა,  
თუ რომ თავი მოგაწყინეთ,  
ნურას უკაცრავადა.



სოფელ დიდშის მოკლე  
ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მიმოხილვა



## ისტორიული ცნობები სოფელ დიღმის შესახებ

დიღომი მდებარეობს. ორი უძველესი ქალაქის, მცხეთისა და თბილისის შუა. აღმოსავლეთით დიღომს ესაზღვრება ვლ. მტკვარე სამხრეთით — ლისი, დასავლეთით — დიდგორი, ჩრდილოეთით — მცხეთა და ავქალა. ვახუშტი ბატონიშვილი დიღომს შემდეგნაირად აგვიწერს: „...მას ზეით არს ტბა ლისისა, და მის დასავლეთით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა ამის სამკრით ქეობა დიღმისა. გამოსდის ამისი წყალი სხალ-დიდსა და სათოვლიას მთას და დის აღმოსავლეთით. მიერთვის მტკვარს დასავლეთიდან, არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთები.“

სამკრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევეს ზეით არს დევის ნამუხლი — კლდე გაქრილი გზად. მას ზეით მუხადგვერდი“.<sup>1</sup>

საქართველოს სოფლებს შორის დიღომი ერთი უდიდესი სოფელთაგანია, სადაც ცხოვრობს 1564 კომლი (6228 სული) აქედან 1145 კომლი ადგილობრივი მკვიდრია (4721 სული).

დიღმის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ადგილობრივი მკვიდრნი: ძირითადად ქართველები არიან (რომელთა შემადგენლობაში შედიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი: იმერლები, რაჭველები, მეგრელები, მთაულები, მოხევეები, ქართლები, კახელები). მცირე რაოდენობით სოხხეები, თათრები და რუსები.

ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ისტორიაში დიღომი ცნობილია მრავალი საყურადღებო და საინტერესო ძეგლებით. დიღმის ტერიტორიაზეა მოპოვებული მრავალი არქეოლოგიური ძეგლი. 1951 წ. ზაფხულში „ბაგრატიონთა სასახლესთან“ გათხარეს სამარხები, სადაც იპოვნეს ქალის სამკაულები, რომელიც მიეკუთვნება ანტიკურ ხანას (ახ. საქ. მუზეუმის კოლექცია № 11 51 / 1.23);

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომაურის, დ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 55.

ხოლო 1924 წელს 3 სექტემბერს დიღმელმა გლეხმა ეანოსისურმა შემთხვევით აღმოაჩინა ერთი ძველი სამარხი დიდგორწინ, სოფლის ზევით „სქელჯაგებში“. მიცვალებული აკლამაში არ იყო დასვენებული. თავდაპირველად სისაურს ბრინჯაოს სამაჯური უბოვნია. ბრკყვილა ბრინჯაო მას ბაჯალო ოქრო ჰკონებია და მუშაობასაც უფრო გულმოდგინედ შესდგომია. მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილები ამოუყრია, მინის, ბრინჯაოს სამკაულები ამოუყრედია და შიგ ჰმარეში ორი ვერცხლის ფულიც უბოვნია: მათ შორის 1. ოქტაფიან ავგუსტუსის ვერცხლის დინარი (44 წ. ქ. წ. — 14 წ. ქ. წ.), 2. ვერცხლის დრაქმა პართის მეფის გოტარზესის — (40/41—51 წ. ქ. წ.).

ამას გარდა აღმოჩენილ იქნა მინის მძივები, სხვადასხვა მინერალებისაგან გაკეთებული მძივები და ლითონის სამკაულები. (იხ. საქ. მუზეუმის კოლექცია №  $\frac{31-24}{1-64}$ )

გორივე ეს ფული და მასთან აღმოჩენილი ნივთებიც ეკუთვნის საქართველოს ისტორიის ფრიად მღელვარე ხანას. იმ პერიოდში იბერიის სამეფო მოქცეული იყო რომის იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში, მაგრამ იმავე დროს მას მჭიდრო ეკონომიურ-კულტურული კავშირი ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით პართიასთან, სადაც მეფობდნენ იბერიის სამეფო დინასტიის მონათესავე არშაკიდები, ჩვენში არშაკუნიანებათ ცნობილნი. აღმოჩენილი ფულები იმის უტყუარი საბუთია, თუ როგორი ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია ძველ იბერიას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

...ამ ფულების მიხედვით ჩვენ საშუალება გვქვია დავათარილოთ დაღმეში აღმოჩენილი სამარხის და ნივთების ხნოვანება. უძველესია, რომ ეს სამარხი ეკუთვნის პირველ საუკუნეს ქ. შემდეგ ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 45 წ. ქ. წ.<sup>1</sup>

(იხ. საქართველოს მუზ. კოლექცია №  $\frac{20-32}{144}$   $\frac{20-32}{147}$ .)

1935—36 წწ. დიღმის ციხის დანგრევას დროს, ციხიდან ამოიღეს ერთი სამარხი, მთლიანი ქვისაგან დამუშავებული, რომელიც მნახველს იზიდავს სისადავითა და სილამაზით. ამავე ქვაყუთში ჩონჩხთან ერთად იპოვეს გლეხებმა ბეჭდები და სხვა სამკაულები, რომლებიც უკვალოდ გაქრა. ამჟამად ეს ქვაყუთი (სარკოფაგი)

<sup>1</sup> ს. მაკალათია. 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი არქეოლოგიური ნივთები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი VI, 1931.

მკვლევარ იროდიონ სონდულაშვილს დილომში თრეღი-გორეების გამოქვაბულში, ხშირად უნახავს ობსიდიანიბ მშვილდის წვერები, რაც იმას ნიშნავს, რომ დილომში უძველეს დროიდან გვხვდება ადამიანის ნაკვალევი.

დიღმის მიდამოებში მრავლად გვხვდება არქეოლოგიური ძეგ-ლები. მაგალითად: — ბაგრატიონის სასახლის ეზოში, „ონადირზე“, „ეშულაჯვარში“, „კვირაცხოველის“ ვიღამოებში, „წმინდა თევდო-რზე“, „დაბლამიწებში“, ან „ბაღებისთავზე“, „თოფჩიანთ ბაღებ-ში“, ბაქყალაზე“, „კორათხევში“ და სხვ.

ისტორიულ ძეგლებიდან აღსანიშნავია „დიღმის წმინდა გიორ-გი“ — (XI—X სს. ძეგლი), „თეთრგორგი“, „კვირაცხოველი“, „წმინდა მარინე“, „კავთა“, „ღვთისმშობელი“, „ჩხაიკა“, „საკება“<sup>1</sup>, „თეთრანის წმინდა გიორგი“, „ონადირის წმინდა გიორგი“, (X—XI სს. ძეგლის ნანგრევი), — „ჯოიანის წმინდა გიორგი“ (X—XI სს. ნანგრევი), „მაჩხანის წმინდა გიორგი“ (VIII—IX სს. ძეგლი), „ქობის ეკლესია“, „ზეგარდის წმინდა გიორგი“, „წმინდა ნინო“, „ნაქულბაქების წმინდა გიორგი“, „თელის წყარო“, „სვეტი-ცხოვლის, ნიში“ და სხვა.

პირველ წერილობით წყაროს დიღმის შესახებ, რომელიც ფარ-ნაოზის ლეგენდასთანაა დაკავშირებული, ქართლის ცხოვრებაშია ვკითხულობთ. იხილავს რა პირველ საუკუნეს და იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, ქართლის ცხოვრების ავტორი შემდეგს გადმოგვცემს: „ხოლო მას დღესა შინა (ფარნაოზი) განვიდა და ნა-დირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა: და იელტოდეს ირემნი ღრღალთა შინა ტფილისისათა; მისდევდა ფარ-ნაოზ, ჰსტყორცა ისარი, ჰკრა ირემსა და მცირედ წარვლო ირემ-მან და დაეცა ძირსა კლდისასა. მოვიდა ფარნაოზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი გარდაჰქდა და დაჰდა ირემსა მის თანა, რა-თამცა დაეყო მუნ ღამე, და დილეულმცა წარვიდა. ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი ამოქმნილ იყო ქუითა ძუე-ლად, შეჰქონდა დარღუევა შენებულსა მას: მუნ დაასხა წუიმი მძაფრი, ხოლო ფარნაოზ აღმოიღო ჩუგლოგი და გამოარღვია კა-რი ქუაბისა მის, რითამცა მუნ შიგა დაიშრალა წუიმი მისგან. და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი მიუწვდომელი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 16.

როგორც ლეგენდიდან ჩანს ფარნაოზი დიღმის მინდორზე გამოსულა და იქიდან დასდევნებია ირმებს. თბილისისაკენ, დიღმის მიდამოები მდიდარია გამოქვაბულებით, ასე მაგ., მილისხევის გამოქვაბულები, თრელიგორების გამოქვაბულები, ქვაბების თავი და ონადირის გამოქვაბული. თუ ფარნაოზმა „დევნა უყო ირემ-მთა ველსა დიღომისასა და ივლტოდეს ირემნი ღრღალთა შინა ტფილისისათა“<sup>1</sup>, ირმები სამხრეთით გაქცეულან, როგორც ამას ლეგენდა გვეუბნება, მაშინ უეჭველად გაივლიდნენ თრელ გორებს, ქვაბების თავს და ონადირს, ამ დასახელებულ ადგილებს ფარნაოზი გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან გეოგრაფიულად ეს ადგილები თბილისისაკენ ვიწროვდება მტკვრისა და ლისის მთების მეშვეობით. ხოლო რაც შეეხება თბილისის უახლოეს მიდამოებს, იქ არც ერთი გამოქვაბული არ არის ცნობილი, გარდა ონადირის გამოქვაბულისა. საინტერესოა რომ სიტყვა ონადირი მეგრულში შემოგვრჩა, რაც სანადირო ადგილს ნიშნავს.

ამას გარდა, თუ ფარნაოზმა განძი არა ონადირში, არამედ თბილისში იპოვა, მაშინ იგი იმავე ღამეს ვერ მოახერხებდა სიჭორას გამო განძის გადაზიდვას; ქართლის ცხოვრებაში კი ვკითხულობთ, „და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინ განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხლი მიუწდომელი. მაშინ ფარნაოზ განჰკუიროდა და აღივსნეს ღიხარულითა და მოეგონა სიზმარი და დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე; მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თუისსა და ორთა დათა მისთა. მასვე ღამეს წარმოვიდეს სამნივე იგი სახედრებითა და იწყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლეს სიმარჯუესა თუისსა. ვითარ განთენდებოდეს...“<sup>2</sup> ამ შემთხვევისათვის უფრო დამაჯერებელია და ხელმისაწვდომი „ონადირი“, ვიდრე თბილისის რაჟილიმე მხარე; რადგან ვკითხულობთ, რომ ფარნაოზს უკან დაბრუნებისას თან მოჰყავს დედა და დები, სახედრებით. სახედრებით სიარულს დიდი დრო დასჭირებოდა. ეს ამბავი ზაფხულის პერიოდში უნდა მომხდარიყო. ხოლო ზაფხულის პატარა ღამე ამდენ საშუალებას არ მისცემდა ფარნაოზს რომ განძი დაეფლა. „სიმარჯუესა თუისა ვითარ გათენდებოდეს.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე.

ასეთია ის პირველი წერილობითი ცნობა, რომელიც დილომს შეეხება.

დილომი და მისი მიდამოები არა ერთხელ მორწყულა შემოსეული მტრის სისხლით, რადგან დილომი იყო საქართველოს დედაქალაქ მცხეთაზე მისასვლელი გზა. საქართველოს მესვეურებს ეს კარგად ესმოდათ და წინასწარ ამაგრებდნენ დილომის მიდამოებს, სადაც არა ერთი გადაწყვეტი ბრძოლა მრმზდარა. ასე მაგ. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს გაუმაგრებია დილომი ორანელების წინააღმდეგ და მთელი თავისი ძალები დილომის მიდამოებში დაუბანაკებია. „ვახტანგ განაძლიერა ციხე-ქალაქი და ურჩულესი მებრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი ქუეითი იპყრა მისთანა და დაუბანაკა მათ დილომით ვიდრე ქართლის კართამდე.“<sup>1</sup>

წერილობითი წყაროები დილომის შესახებ, საქართველოს გაერთიანების ხანაშიაც გვხვდება. მაგ. ამირა ჯათარის [1046] გარდაცვალების გამო თბილისელმა ბერებმა ბაგრატი თბილისში მოიწვიეს. ბაგრატი ანაკოფიის საქმე ქობულ ქაქას-ძეს მიანდო და თვითონ კი ქართლში გადმოვიდა. თბილისელნი დიდებულნი დილომის მინდორზე შეხვდნენ დიდი ზეიშითა და დღესასწაულით: „მოეგებნეს ქალაქისა ბერნი ტფილელნი, დარბაზისა ყმანი, ცხენოსანნი დილომისა ველსა. და ყოველი ქვეითი დაკაზმული და დედათა სიმრავლე იყო მაიდანს“.<sup>2</sup>

დილომი ბევრჯერ ქეულა მტრის სათარეშო ასპარეზად. დიდი თურქობის დროს დილომი მტრის ურდოების სადგომად გადაქცეულა, საიდანაც ისინი თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ მეზობელ სოფლებს. „ზაჰთრისა მოწვენასა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან აკვალას, დილომს, და ჩაღმართ მტკურისა და ორის პირსა, რამეთუ მათი იყო სადგომი.“<sup>3</sup>

როგორც საბუთებიდან ჩანს დილომი სახელმწიფო მამული ყოფილა XIX საუკუნემდე. ხოლო XIX საუკუნეში მუხრანელ ბაგრატიონების ხელში გადასულა.

მეტად საინტერესოა ვახტანგ VI-ის დასტურლამალი, სადაც ჩანს დილომელი მოსახლეობის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. დასტურლამალის მიხედვით დილომს ევალება აჯილდის შესანახად ქერი „კოდი“<sup>4</sup> (ე. ი. 60 კოდი). ხოლო ხენისა და სამეხრე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. 121.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 186.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 206.

<sup>4</sup> დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886.

ოს გარიგებისათვის დიღმელთ ეკისრებათ „ხუნა რომ აძესთ, ნაგებში ქნან, იმათვე მოიშუშონ. აჰას გარდა ერთი სამეხრეო, გორს ერთი, კავთის — ქვეს ერთი, ორთავ სამეფოს ლილოებზედ ორი, ღურნუეს ორი, ეკლესიას ერთი, ავლაბარში ერთი, ქვემო-ბოლნისს; ეს დიღმელთა გარდა ის შეიქნა ცხრა. ამათი ჰასადარი მისს წესით დარიგით მოექცენენ, ნურას წაახდენენ; მოხელენი მის დროს მისს მუშას და წესს გაურიგებდნენ, რაც ლუთით მოვიდებენ ენკენისთვის გასულამდის ჩვენის კარის მოხელეთ ანგარიშით მისცემდნენ.

ამ გუთნების მოკვლებმა ეს ქნან: თუ ავად გაუხდეს კარი, რომე აღარ დარჩებოდეს, მამასახლისს სოფლის კაცთ აჩვენოს თუ ქარხანაში ველარ ჩამოაწევდეს დაკლან და ტყავი რუმბათ გახადონ, კორცი მეხრემ თავთავისთვის შეინახოს და გუთანზედ დახარჯონ; თუ ქარხანაში ჩამოაწევდეს ნაზირთან მოიყუარონ; თუ არ დარჩებოდეს, ქარხანაში დახარჯონ, თუ დარჩებოდეს, თრიალეთზედ გაგზავნონ, გაასუქონ და მისს დროს ტყავი რუმბათ გახადონ და კორცი შაშხათ მოიხმარონ“.<sup>1</sup>

დიღმელებს ევალებოდათ გზების შენახვა, კერძოდ ვიწროებისა და მუხათ-გვერდის გზისა<sup>2</sup>. გზების შენახვასთან დაკავშირებით დიღმელ ხალხში დღესაც მოიპოვება მრავალი საინტერესო ამბავი.

დიღმელებს „ზაფხულის თვალის ქეშიკისათვის“ უნდა ექეშიკნათ ბატონისათვის ოცი დღე.<sup>3</sup> აჰას გარდა, რაც მთავარი იყო, დიღმის მოსახლეობას უნდა გამოეღო საბატონო გადასახადი შემდეგი სახით: „ამათ აძეს მალი თავზე შაური ოცდა ორი, ამისგან ხუთი აბაზი ბატონისა არის, შაურ-ნახევარი მოურავისა და მემალისა, ნახევარ შაურისახლთუხუცესისა და მდივნებისა, დალა სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონის, ურწყავზედ შვილზედ ერთი. კულუხი შეწერიით არის; მამულზე ჰკილია, დიდს დიღობით და ცოტას ცოტობით შეაწერენ. საშობაო ცხუარი იმ (18). სააღდგომო ცხუარი იმ (18). ბატონის ზჭრის მუშაობა ყოველის-ფრით იმათ უნდა შეიმუშაონ. ყარაიაზედ პირველზედ კონის ჩადგმა, რამდენიც გუთანი გამოვა, სამხ დღეს ყარაიაზედ ქუნა, მისი მომკა, შეტანა და გალეწუა, ბატონის აყრაზედ ცხენისა და ურმის თხოვება, ბატონის წიგნით სტუმრისა და ჰდგმურის დაყენება; ბატონის მიბრძანებაზედ შეძლებით სამასპინძლო; საბაზიერო ქათამის კომლზედ თითო ქათმის ბარება, თავ-

<sup>1</sup> დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 34.



ლის ქეშკობა, კოვორზედ მეჭინიბის ბატკანი, სამართალი საბალახე ცხუარისა და ღორისა. პირისთავი, შიშლიგი ორასზედ ერთა ცხუარი. წიგნიცა აქუსთ, ნახირს თავი, ქალაქს სასახლას მუშაობა, მცხეთას მისულაზედ სამსახური, ქვის ზიდვა, ყარაიის ჭელვა, ბარგის ჩატანა, საური იდ (14) შაური; ბოგანოს საური ორი შაური; მსახური და თარხანი ვინც არის მალისა, ღალისა და კულუხის მეტი სითარხნე არა აქუს; სხუას ყველას აქნევენებენ მეზობლები. დიღომს აბარია ქათამი რნ (150); ამისი ნაშენი იქნება წელიწადში უნ (450)ჯ. დიღმის მოურავის სარგო კომლზედ სატარულო შაური ნახევარი გ, მებალახობა, ქევის-თაობა, თავის-გასამტეხლო ქარი ერთი, გასამყრელო ქარი ერთი, რიგის პური მართებულად, ვისაც ბევრი ცხუარი ჰყავს—ბატკანი, ვისაც ცოტა ჰყავს—თიკანი; კიდევ ვისაც ნაკლები ჰყავს, თმაზედ შაური; მალზედ თავზედ ნახევარი შაური. დიღმის ხასადრისა მალზედ თავზედ შაური ა (1); მოყალნეზედ კოკა ა (1); მალის ძღვენი, ზურის ათის-თავში, ღალის ათისთავში; დიღმის მამასახლისის კომლზე კოკა ტკბილი ა; მოყალნემ რომ ქორწილი ქნას—ხუთი შაური. დიღმის ნაცულისა, დიღმის ზურის მუშას პური კოდი იდ (104); ღვინო კოკა კ(20); მეზურეებს პური კოდი კდ (204) საბურთალოს ზურებს პური კოდი ლვ; სხუა ჭერ არ დაკლებულა<sup>1</sup>. აქვე დაკანონებული იყო სახლთუხუცესის სარგოც „დიღმის მალზედ თავზედ სამ-ფულ-ნახევარი; კოდის პურებისა ყველგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალახეებისა, აგრევე პირისთავეებიდამ, აგრევე ნახირის თავებიდამ, აგრევე ზურებისა კულუხისა, აგრევე სახასოს პურებიდამ და ღალისა სადიიასახლისოს ერბოს გარდა<sup>2</sup>. დიღომს ევალებოდა კიდევ გმოელო ძმარი „კოკაი ი (18). ხოლო ხელმწიფის ტყვის ხარჯვისათვის დიღომს უნდა გამოელო „თუმანი ოვ (76) მინალთუნი ვ (6).<sup>3</sup>

დიღომში ცხოვრობდნენ აგრეთვე სადედოფლო ყმები. რომელთა შესახებ დასტურლამალ „სადედოფლოში“ შემდეგს ვკითხულობთ:

„დიღომში რაც სადედოფლო გლეხი არის: დიღომიდან მეჭინიბელ მარიამულები არიან. მზარეულად მამუჩაშვილები სულხანა გიორგი და ბერი. მესაკლავედ დათუნა მამუჩაშვილი.

<sup>1</sup> დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886, გვ. 27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 107.

ლელიასაშვილი მოყალნე; ახლა კი გაათარხნა ბატონმა.

თედიას შვილი მოყალნე.

როსტიას შვილი, ბერს გარდა, მოყალნე,

გენებას შვილი ბერუა მოყალნე, ბერუა მზარეულად ბრძანა სალთხუცესმა. დათუნას რომ ღორი ძროხა მიეცემა, ბერუას ერთი მიეცემა, ბერუას ერთი მიეცეს, სულხანას თავისი აქუს.

მწვევანი ხოლუა და მისი ბიძას შვილები ოთარა და კიკილა მოყალნე. ეს მსახურები ღალისა და კულუხის თარხნები არიან, სხუა რიგად სეფეს მეზობელს ვერ დააკლდებიან.

მოყალნეს სძეს ღალა, მეფისათვის რომ ხუთხედ იღებენ. სადღოფლის ექვსხედ ავიღებთ; კულუხი შეწერით, ჩვენმა უფრო შალავათით შეაწერონ; სამზარეულოს შეშა მოუტანონ, სხუა ნურა ეთხოვებათრა ასე გვიბრძანებია და გვითარხნებია, საშობაოდ და სააღდგომოდ ნურასა ჰსთხოვთ ძლუნისმეტს; პირის-თავი და ნახირის თავიც გვიპატივებია, ამიტომ რომ მუდამ იმსახურებთან; მუხათ-გვერდის ყარაულობის და გზის შენახვისა თვითონ იციან და როსტი-შვილები ამისიც თარხანნი არიან და სამასპინძლოსიცა, და ვერც ურემს შეუბამთ. საყდარი რომ აქუსთ თავიანთი იმას გაღვანი შემოავლონ“.<sup>1</sup>

ამას გარდა, ვახტანგ VI-ის დასტურლამალიდან ჩანს, რომ დიდმელთა უმეტესობა სასახლის კარზე მსახურობდა. ასე მაგ. ირკვევა შემდეგი გვარები: „იასაულებისტვის“. მარიამული რაჰაზა, მარიამული გრიგოლაშვილი, მარიამული ბერი, მარიამული ბერუა.<sup>2</sup> „მესაქლავეთათჳს—გილაური რაჰაზა, ტატია, მეცხუარე გიორგი.“<sup>3</sup> „მეჩინიბეთათჳს—დიდმელი პაპუა, იქივ ჭანავარაშვილი, იქივ ნიქელაშვილ რამაზა, იქივ გიუასშვილი, იქივ ქიზანასშვილი ბასალა, იქივ სარქისა.“<sup>4</sup> ხოლო „მერიქიფეთათვის“ შემდეგი გვარებია დასახელებული: „სოზიაშვილი, იესე, შიო“.<sup>5</sup> მეთოფეებად ყოფილან: „დიდმელი კაკანასშვილი, დიდმელი თეთრაძე, დიდმელი ხეჩუასშვილი“.<sup>6</sup> საზანდრებად: „შოშიტაშვილი ბერუა, ხიზანაშვილი ივანე, გილაური ასლამაზა“.<sup>7</sup> ხოლო „სათარეშო მოხელეთათვის“

<sup>1</sup> დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886, გვ. 127.

<sup>2</sup> იქვე, 52.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 68.

დიღმელი გეგელაშვილი<sup>1</sup>. ასევე ხაბაზებად ყოფილან დიღმელი გიგელაშვილი გიორგი და მარიამული დათუნა.<sup>2</sup> სამზარეულო მონხელები ყოფილან: მზარეული დიღმელი ბერუა, მარიამული პაპუა, თეთრადე შავერდა, კედლისშვილი, მარიამული გოგოა, მარიამული ლომკაცი.<sup>3</sup> ზოლო საღვინის მონხელეთათვის დასახელებულია დიღმელი სოზიაშვილი შოუა.<sup>4</sup> სატიკის პირისათვის დიღმელი ჩაჩაშვილი რამაზა.<sup>5</sup> „საუშტროსათვის“ მარიამული ბერუა, დიღმელი გოდერძი.<sup>6</sup>

დასტურლამალისა და სხვა საბუთების საფუძველზე შეგვიძლიან დავადგინოთ იმდროინდელი დიღმის მოსახლეობის კომლთან რაოდენობა. მაგ. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში . დიღმის საბატონოს გამოსაღებისათვის აღნიშნულია: „სახასო გლეხი კომლი რგ.“<sup>7</sup> ე. ი. 103 კომლი.

სახასო გლეხების გარდა დიღომში ცხოვრობდნენ საეკლესიო გლეხებიც. 1720 წ. ახლო ხანებში შედგენილ ჰეცტისცხოველისა და კათალიკოზის ყმების ნუსხაში ვახტანგ VI-ის ოქმით შემდეგმ კითხულობთ:

„ქ. ბატონი კათალიკოზისა საბარათაშვილოში.

ქ. არმაზს სამი, ბოგანო ერთი.

ქ. მუხათგვერდს ცხრა, ბოგანო ერთი.

ქ. კარსანს თერთმეტი.

ქ. თელოვანს რვა.

ქ. მაჩხაანში რვა.

ქ. დიღომს ცხრა, ბოგანო სამი..“<sup>8</sup>

აპრიგად,თუ სახასო გლეხებს 103 კომლს და საეკლესიო ყმებს 12 კომლს გავითვალისწინებთ, მაშინ დიღმის მოსახლეობა 1720—1730 წწ. დაახლოებით 115 კომლს მაინც შეადგენდა.

დიღომი შედგება ხუთი მთავარი უბნისაგან: შუა უბანი, ქვემო უბანი, ანუ წერწვერა, ადრე საყეთარას უწოდებდნენ, ჩაბგალეთი, ზემო უბანი და კუნკულიანთ უბანი.

შუა უბანში ცხოვრობენ ყველაზე ძველი გვარები, რომლებიც

<sup>1</sup> დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქციით თბილისი, 1886, გვ. 68.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>8</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა XV—XVII სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1950, გვ. 183.

დიღმის ციხის გარშემო სახლობეს. ეს გვარებია: თეთრაძვილი, ბერიაშვილები, ჟამუტაშვილები, გეგელაშვილები, ზერთელაშვილები, კენჭიაშვილები, გენებაშვილები, მარიამულები, ხელაშვილები, ღვინიაშვილები, ლასურაშვილები ზანდარაშვილები, მამუჩაშვილები, ქობულაშვილები, ჯანიაშვილები, ფირიაშვილები, ხეჩუაშვილები, ჯაბადრები. (გვიანი მოსულები არიან ამ უბანში — ქვიშვილები, გაყურელიძეები, ლაზროვები, ლეკიშვილები).

ქვემო უბანში (ანუ წერწყერაზე) ცხოვრობენ: ყანადაშვილები, გილაურები, თეთრაშვილები, მკედლიშვილები, ბროლაძეები, მიქელაშვილები, ხმალაძეები, კოლოტაურები, სონღულაშვილები, თოფჩიშვილები, ხუციშვილები (გადმოსულნი არიან შუა უბნიდან და ზერთელაშვილების განაყოფებს წარმოადგენენ. ეს გვარები ითვლება დიღმის უძველეს მაცხოვრებლად. ამას ადასტურებს ხალხური ანდაზაც: ზერდეგალნი ამბობენ: „ბარიც ჩვენია და მთაშიაც წილი გვაქსო, თუ ასე არ გინდათ მთა ჩვენი იყოს და ბარშიაც წილი გექონდესო“. ამ ამბავს მოწმობს იმ მამულების სიმრავლეც რაც ხუციშვილებსა და ზერთელაშვილებს სჭერათ). გენებაშვილები (გადმოსული არიან შუა უბნიდან). გვიანი მოსულები წერწყერაზე არიან: ჩიტაძეები, თაბაგრები, ზოიძეები.

ჩარგალეთის უბანში: მამუჩაშვილები, ქუცნიაშვილები, კენჭიაშვილები, კოტორაშვილები, მზვარეულიშვილები, კოწოწაშვილები, სოზიაშვილები, ხოქასურიძეები, მტრედაძეები, ჯანიაშვილები, ახვლედიანები, ბერიძეები, ხოსიტაშვილები, შიუკაშვილები.

ზემო უბანში: მიქელაშვილები, მძევაშვილები, ხმალაძეები, ჯანიაშვილები, თეთრაშვილები, ქუცნიაშვილები, ხოლუაშვილები, სუთიაშვილები, შიოშვილები, ქობელაშვილები, შოშიტაშვილები, წამალაშვილები, სოზიაშვილები, ქობულაშვილები, ალიბარაშვილები, რაზმაძეები, სისაურები, გილაურები, დარჩიაშვილები.

ქუჩკულაანთ უბანში: გიგუაშვილები, მელაშვილები, მძევაშვილები.

არის ერთი ახალი უბანი, სოფლის ბოლოს ახალშენად წოდებული, სადაც ცხოვრობენ ბროლაძეები, გენებაშვილები, კოლოტაურები და მამუჩაშვილები. დიღომში, ადრე, უცხოვრია კიდევ ბევრ გვარს, მაგრამ ზოგი მათგანი მთხრობელთა გადმოცემით ამოწყვეტილა. ასეთებია: ნესტუაშვილები, ყორანტანი, ბეკურიანი, დუილანი, ცაგარლები, თეთრაძეები.

სიგელ-გუჯრების მიხედვით დილომში კიდევ სხვა გვარებიც უოფილა. ასე მაგ.: უგუნურიშვილები, ჩაჩაშვილები, თელიაშვილები, ათანელები, მასუტაშვილები, დეკანოზიშვილები, კოპაძეები, გლურჯიძეები, მარანაშვილები, ოქუხაშვილები, ჭარანაშვილები და სხვა.

## მოსახლეობის კონების მიხედვით დანაწილება

XIX საუკუნისათვის დილომში ცხოვრობდნენ საბატონო და ნაეკლესიო გლეხები (შემდეგ საეკლესიო სახელმწიფო გლეხად წოდებულნი). ყველა ეს წოდება საგადასახადო გამოსაღებში მიხედვით 4 ძირითად ჯგუფად იყოფოდა: შეძლებულ გლეხს ეწოდებოდა „ლიტრიანი“, საშუალო გლეხს „ნახევარლიტრიანი“, ღარიბ გლეხს — „ჩარეკიანი“, ხოლო მთლად ღარიბს, ეულს (ხიზანს) — „ნახევარჩარეკიანი“.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ როცა სოფელზე ხარჯი გაიწერებოდა, ასე იტყოდნენ: „ლიტრა-ჩარეკზე გასწერეს ხარჯიო“. ან ჭარჯი „გაითოჯაო“, „გაიკენქაო“. ხარჯის გასწერის დროს, სოფელი ამოირჩეოდა თავკაცებს და ამათ მიენდობოდა სოფელზე ხარჯის გასწერის საქმე. ხარჯს წერდნენ ქონების მიხედვით. ლიტრიანები თავის მხრივ განირჩეოდნენ „სავსე ლიტრიანად“, „ლიტრიანად“ და „ნაკრულ ლიტრიანად“. ჯდასახადის გასწერის შემთხვევაში ამორჩეული კაცები, როდესაც „ლიტრიანს“ ხარჯს აწერდნენ „უფარდებდნენ“ მეორე „ლიტრიანს“ და იტყოდნენ: „ეგ სავსე ლიტრა არ არის, მაგას უფარეო“ (ე. ი. არ არის საკმარის მდიდარი და ცოტა შეღავათით მიუღებელი). თუ სავსე ლიტრიანი გლეხი იყო, იტყოდნენ: „მაგას უქანე; შეუქლიან გადახდა, სავსე ლიტრააო“. ამორჩეული კაცები ხშირად ბოროტად იყენებდნენ ამ უფლებას და თუ ვისმე რომელიმეს ჯავარი სჭირდა ცდილობდა „სავსეთ“ მიეჩნიათ და მასზე ხარჯი გაეზარდა — „ექანებინათ“.

„ლიტრიანად“ ითვლებოდა ის გლეხი, რომელსაც ჰქონდა შემდეგი ქონება: ყავდა 5— უღელი გამწევი ძალა თავისი გამართულობით, ურმებით, გუთნით და სხვა საჭირო ინვენტარით. 20—30 სული მოცადი საქონელი, ცხვარი, ღორი, ცხენები, სახედრები, შალ-ვენახი, სახნავ-სათიბი. მოწყობილი იყო საბძლით, ბოსლით, ფარეხით, კალოთი, ქვევრ-მარნით და სხვა.

„ნახევარჩარეკიანს“ კი ქონება ძალიან ცოტა ჰქონდა. საქონელი ზოგს არც კი გააჩნდა. მიწა ან სულ არ ჰქონდა. და თუ ჰქონ-

და ძალიან მცირე; „ნახევარჩარეკიანები“ მიწას უმეტესად იჯარით იღებდნენ. დიღომში ეულები იყვნენ — სისაურები, რაზმაძეები, წივილანნი, თალაკვაძეები, ვარდიანვილები, ზოიძეები, თაბაგრაძეები, ჩიტაძეები, იმედაშვილები, ლაზროვები, საფაროვები და სხვა.

ქორწილში „ლიტრიანები“ და „ნახევარლიტრიანები“ სუფრის თავში სხდებოდნენ, „ჩარეკიანები“ და „ნახევარჩარეკიანები“ სუფრის ბოლოში. ამასთან დაკავშირებით ასეთი თქმაც არის შემორჩენილი: „ჩარეკ-ჩურეკები ბოლოშია“. როდესაც ჩხუბი მოუვიდოდა „ჩარეკიანს“ და „ლიტრიანს“, „ლიტრიანი“ ეტყოდა — „შე ასეთ ისეთო, მე ლიტრას ვაძლევ ხარჯს და შენ ნახევარ ჩარეკას. და შენ მე მედრებო?“ „ლიტრიანი“ რომ „ნახევარლიტრიანათ“ დაგეწერათ ეწყინებოდა. ასევე „ნახევარლიტრიანი“ რომ „ჩარეკიანად“ დაგეწერათ, ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა.

წერილობით წყროებში „ლიტრიანი“ და „ჩარეკიანი“ გლეხების შესახებ გარკვეული ცნობები არ მოიპოვება, მხოლოდ ერთგან ვახტანგ VI-ის დასტურლამაში — „სადედლოფლოში“, „წინ წყაროს“ გარიგებისათვის ნათქვამია: „აგრევე გასამყრელო აქვსთ ამ ფასზედ და სამ ჩარეკაზედ აბაზი ხუთი; ორ ჩარეკაზედ შაური ათი, ერთ ჩარეკაზედ შაური ექვსი. ქვრივზე აბაზი ერთი“-ო.

განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობის შესახებ აღნიშნავდა: „თუ ცნობაში ღალის პურის შესახებ „ჩარეკი“ შეიძლება წონით საზომათ ან საწყაოდ გვეჩვენოს, ან ნამდვილადაც ყოფილიყოს გასამყრელობა შესახებ ცნობაში „ჩარეკი“ უფრო მიწის საზომად უნდა ვიგულისხმოთ რადგან გაყრის ღრის უმთავრესა მნიშვნელობა მიწის გაყოფასა ჰქონდა თუ აქ ჩარეკი მართლაც მიწის საზომის ერთეულის ტერმინია, მაშინ იგი ალბათ დღიურის მეოთხედს უნდა ნიშნავდეს“-ო.<sup>1</sup> მართალია, მიწის საზომი ერთეულები ჩარეკიანებით ისაზღვრებოდა და ოთხი ჩარეკა ანუ ერთა ლიტრა დღიურს ნიშნავდა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული ცნობებით „ლიტრა“, „ჩარეკი“ არა მარტო მიწის საზომი ერთეულია, არამედ იგი უფრო ფართო ცნებაა, რომელიც ამასთანავე ნიშნავს უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობითს მდგომარეობას.

ლიტრა-ჩარეკებად დაყოფის ერთ-ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბარათაანთ და ყორღაანთ ყმების ხარჯის გარიგება (1710 წ.), რომელიც შესრულებულია ჰეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით.

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, გვ. 139—140

კითხულობთ: „მეფის ვახტანგის ბრძანებით მოვედით ჩვენ, ერის-  
თვის ძე ემიკალაბაში ზურაბ, წინწყაროს მამასახლისი ავთანდილა,  
ჩვენ მოვაყვანიეთ გლეხები, ზაფხუარდებინე ბატონი ბარათაშვი-  
ლის ყმანი ენაგელნი მემკვიდრენი და ყორღანაანი და თავიანთ გლე-  
ხით ასე გავარიგეთ; ენაგეთი გაეყავით ხუთ ჩარეკათ, როცა ხარჯი  
მოვიდოდეს, ასე უნდა გაიღებდენ; ნახევარ ლიტრათ ბარათი-  
ანთ ყმანი არიან ჩაგდებულნი; ამ ნახევარ ლიტრიდამ ოთხი სტილი  
საამის შვილის ქაიხოსრის ყმათ შეხვდებათ. ექვსი სტილი გოსტა-  
შაბიშვილის, ნამანგლელავის შვილის, გერმანოზიშვილის და თაყაანთ  
ყმათ შეხვდებათ; ნახევარ ლიტრა ყორღანანთ ყმათ შეხვდებათ;  
ერთი ჩარეკი სახასო გლეხთ შეხვდებათ. ლალას და კულუსს თავ-  
თავისას მისცემდნენ სხვა რაც ხარჯი მოვიდოდეს, ის როგორც გა-  
ვირიგებია ასე უნდა აძლიონ“.<sup>1</sup>

როგორც ამ ხარჯის გარიგების საბუთიდან ჩანს, ლიტრა-ჩარე-  
კობის მიხედვით, სოფლის დიფერენციაცია ძველ ანალოგიურ ტრა-  
დიციას ემყარება და ეს ამბავი მე-1<sup>0</sup> საუკუნემ მემკვიდრეობით  
მიიღო ადრინდელ ეპოქიდან.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მა-  
სალებში (ყერძოდ ფშაურ ეთნოგრაფიულ მასალებში) თიანეთისა  
და ერწოს მოსახლეობა XIX საუკუნისათვის იწოდებოდა: „წინა-  
ნი“, „შუანანი“, „უქანანი“ და იყოფოდა სამ ჯგუფად. ზოგიერთ  
მთხრობელთა გადმოცემით იყო შეოთხე ჯგუფიც, ეგრეთ წოდებუ-  
ლი „არაფრის“ მქონენი“. ფშავისათვის ქონების ძირითად გამსაზღ-  
ვრელად საქონელი ითვლებოდა და ამასთან ერთად უძრავ-მოძრავი  
ქონებაც.

მეტად საინტერესოა ლიტრა-ჩარეკების შესახებ სოფრომ მგა-  
ლობლიშვილის ცნობა თავის მოგონებაში: „სახელმწიფო ზარჯის,  
ანუ როგორც გლეხობა ეძახის „ფოსტის ფულის“ ასაკრებად, სო-  
ფელი განაწილებული იყო თვით სოფელთაგან ოთხ კატეგორიად:  
ლიტრის კაცი, ნახევარლიტრისა, ჩარეკისა და ნახევარჩარეკისა.  
ძველად სოფელში უმაღლესი ზომა საწონისა იყო ლიტრა — ათი  
გირვანქა, ნახევარლიტრა ხუთი გირვანქა, ჩარეკი — სამი გირვანქა

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტო-  
რიიდან I, ბატონუშური ურთიერთობა, XV—XVIII სს, 1940, გვ. 143.

და ნახევარჩარეკი გირვანქანახევარი. ფუთობით ანგარიში არ იყო... აქედან ლიტრის კაცი იყო ყველაზე შეძლებული, თავისი ოჯახის ქონება-შეძლებითა. ამ ოჯახს მეტი ეწერა ხარჯი და ასე ქონება-შეძლების მიხედვით“.<sup>1</sup>

1820-იან წლებში ყმური დამოკიდებულებიდან თავისუფლების მაძიებელ გლეხთა მდგომარეობის გამწვავების, გლეხებსა და შემამულეებს შორის ამ ნიადაგზე ხშირი უთანხმოებისა და შეტაკებათა გამო ხელისუფლება იძულებული შეიქნა აქტიურად ჩარეოდა ამ საქმის მოწესრიგებაში, სახელდობრ ყმა გლეხების ბეგარა-ვალდებულებათა აღწესება, შესწავლა, ეწარმოებინა.

ამ მიმართულებით 1822—1826 წწ. წარმოებულ, შედარებით დაწვრილებითი, კვლევა-ძიების შედეგად მოგვეპოვება საინტერესო ცნობები კერძოდ, გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შესახებ, (რადგანაც შემამულისადმი გლეხთა ბეგარა-ვალდებულებებთან ერთად არ შეიძლებოდა არ შეესწავლათ საერთოდ გლეხური კომლის სახელმწიფო გამოსაღებთა მოცულობა და, მასასადამე, მისი ძირითადი შემოსავლის წყაროები).

„რუსეთთან შეერთებამდე, საქართველოს ფინანსიური მეურნეობის და ბატონყმურ ურთიერთობათა მცოდნე პირებმა, და კერძოდ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა უჩვენა, რომ „საქართველოს მცხოვრებთა ძველი ჩვეულების მიხედვით ზოგიერთი გამოსაღებებისა და ბეგარის“, სახელმწიფოს თუ შემამულეთა სასარგებლოდ, „გადახდისას გლეხები ამჟამად ნაწილდებიან ოთხკლასად, მათის საცხოვრებელი ადგილისა და შეძლების მიხედვით.“<sup>1</sup>

„სიღნაღის, თელავის, დუშეთის, გორის, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლებმაც ანალოგიური ცნობები წარადგინეს.

თბილისის მაზრის მარშალმა უჩვენა, რომ ამ მაზრაში 1 კლასის გლეხს უნდა ჰქონდეს: 30 დღიური სახნავი, 40 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 100 ცხვარი და 100 ლორი, ორი-სამი დღიურის ზომის ვენახი, ადგილმდებარეობა ამას ხელს არ უშლის. II კლასის — 15 დღიური სახნავი, 30 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 30 ცხვარი, 30 ლორი და ადგილმდებარეობის შესაბამისად 1,5 ან 2 დღიური ვენახი; III კლასისას უნდა ჰქონდეს მეორე კლასის ქონების ნახევარი, IV კლასისას კიდევ — მესამე კლასის ქონების ნახევარი.

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., 1956, გვ. 413. ს. მაგლობლიშვილი, მოგონებანი, 1938, თბ., გვ. 14.



დღეების მარჯობის მარშლის ცნობით ამჟამად I კლასის გლეხებს აქვთ: 20 დღიური სახნავი, წისქვილი და 2 ან მეტი დღიური ვენახი, ან მთელი გუთნეულის გასამართავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 200 თავი ცხვარი ან ღორი; II კლასისას უნდა ჰქონდეს პირველის ნახევარი; III კლასისას — მეორის ნახევარი, ხოლო IV კლასისას — მესამის ნახევარი.

თელავის მარშალმა აღნიშნა, რომ საერთოდ საქართველოში განსაზღვრული არაა, თუ რა წლიური შემოსავალი უნდა ჰქონდეს სხვადასხვა კლასის გლეხის ოჯახს, რადგან „ერთი სოფლის I კატეგორიის გლეხები იშვიათად ეტოლებიან მეორე სოფლის I კატეგორიისას, რამდენადაც სხვადასხვა სოფლის გლეხები სიმდიდრის მხრივ არ არიან თანატოლნი“.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს კომლთა გადანაწილება ლიტრა-ჩარეკების მიხედვით შეპირობებული იყო უპირავ-მოძრავ ქონებასთან.

## დიღმის ტოპონიმიკური სახელწოდებები

ისტორიული თვალსაზრისით მდიდარი მასალის მომცემია აღნიშნული სოფლის ტოპონიმიკაც, რომლის გამოყენება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის ახსნა-განმარტებაში გაგვიწევს დახმარებას. ამიტომ საკიროთ ვცანით ტოპონიმიკური სახელწოდებებზე დამოწმება და აქ გადმოცემა დამხმარე მასალის სახით. ქვემოთ ვიძლევი დიღმის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ ტოპონიმიკურ სახელწოდებებს.

ვეძისელები, ნაურდულარი,<sup>2</sup> ვიწროები, ვაშლაჯვარი, ონადირი, ქორქილები, თრელები, ნინაურები,<sup>3</sup> ქაქაურები, დამპალწყალი. თუთეები, მლაშეები, ბურემი; ტუხტეები, ხოდაბუნები, ნაქულბა-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ააიკრავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. მეორე, 1956, გვ. 426.

<sup>2</sup> ძველად, ლეკიანობის დროს, დიღმელებს ეკისრებოდათ ამ ადგილის ყარაულობა. ნაურდულარი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისის მისასვლელებთან.

<sup>3</sup> ამ ადგილს ძველად გიორგებულა ეწოდებოდა, მაგრამ ივანე მუხრანბატონის მუუღლემ ნინომ იქ უნახი გააშენა და მის შემდეგ ამ ადგილს ნინაური დაერქვა.

ქები,<sup>1</sup> საყორნიანი, კალა, ფშანი, მდევისნამუხლი, მუხადგვერდი, ნატბეურები, წარბები,<sup>2</sup> მლაშეთ ლელე,<sup>3</sup> ხუციანთ ლელე, ნათიძიანთ ლელე, ხელანთ გორა, დიდვაკე, ზეგარდა, ზურგუახი, ფშატეები, საჯოგე, ღვინიანთ ლელე, მუხეები, ბაქყალა, ბუტულაანთ ნათივარი, თხელმუხები, კოდისწყარო, თელოვანი, კურტანიძის ადგილი, ნაბაქური. სორსორა, ჯოიანი, ნაოქიანი, ბაბაყოლები, მოსალოცები, მოვიდაგორა, დიდგორი, ტყემლის წყარო, პატარა კანკრობი, დიდი კანკრობი, ზოკოდგვერდი, სიაფები, შიოსტბები, კობიას ქაობი, მაყაურები, შოღლიათხევი, სქელჯაგები, კუს წყარო, კოშკის მიწები, სანალოე, მილის ხევი, ქვაბები, ქუცნიანთ ნაბადნარები, ალოთხევი, სასარის ხევი, ტრაწიან ხევი, ძვალეკლები, ძირტკბილიანი, ნალამურები,<sup>4</sup> ქედსუკანი, უკულმარუვი, სათიბი, ოქროკალო, კოდვიუბი, ტუხტეები, ჩალიბირები, თხელიგორები, თეთრდუქანი, ჟურუდისჯაგი, გახუქას ქა. ნატბების გორა, წულაურები, ხიდები, კიდობანა, ქობულიანთელი, აუზის ზეარი, თელის ზეარი, კობიასელი. ყრუზურაბიკასელი ზეარი, ხეხილიანი, ესტატეს ზეარი, არჩილის ზეარი, გრიგოლის ზეარი, თეთრდუქნის ზეარი, ყველეური, ნაზვრები, ქაჯაწყარო, კალოები, მიქაური, უბე-უბეს მიწები, ძირმიწები, მოსიკასელი (ზიძინასელი), ეამუტანთ მიწები, ტყემალაანთ ბალი, ისიპანთ ბალი, დუილანთ ბალი, დაბლა მიწები, საბატეები, ქვაბების თავი, მიქელაანთ მიწები, ჩხაიკა, კავთა, ბრჰათევედორე, თამაშანთ ბალები, ელიბოანთ ბალები, სამება, წერწვერა, საყფარა, პირთუბანი, ცინცილანთ ხიდი, შუა უბანი, ჩარგალეთი, კუნკულიანთ უბანი, ზემო უბანი, ხვთისმშობელი, ხვთისმშობლის მიწები, შიქელანთ ბალები, კიკიქური, თეთრანი, ვეძისი, ყოჩიანთ მიწები, ჯიხურები, სალორეები, ბრილეები, ქობა, ღარათხევედ, ოლეები,<sup>5</sup> ჩალიანხევი. სურეები, სოსიასმიწები, მელისწყარო, ონალირის წყარო, დაქრილები, ცოდინამუხა, ცოდინამუხის ხევი, ჯანყოფე, პაპუნახევი. პატარაქალა, დიდვარცლა, მელანთ მიწები, დიდვარცლა, მელანთ მიწები, დიდვარცლის წყარო, პატარავარცლა, საყარაულოსერი, ალიბარანთ მიწები, ნენავი, ქორიბუდე, სიონი, ჩახერგილი, პანტიანი, სათიბი, კილიტა, კვრინჩხეები, ნახუტები, ზე-

<sup>1</sup> სოფლის (დიღმის) ბოლოს, სახნავ-სათესი ადგილია, გაშენებულია ბოსტნები და ვენახები, დაბალი ადგილია, კობიანი, გადმოცემით ძველად ტბა ყოფილა.

<sup>2</sup> წარბებივით გაკრული მიწებია.

<sup>3</sup> მარლიანი ადგილია, ბალახი არ მოდის.

<sup>4</sup> ეს მიწები დალამულია დღემის ჩრდილოეთით მდებარე ალოთხევიდან მღვარდნილი ნიაღვრებით.

<sup>5</sup> ხევებსა და ხევებს შუა სახნავი მიწებია და ოლეებს ეძახიან.

მოდიდგორი, რუსის სახლი; ქაქნიანთ სახტომელა, გედენიანთ ტყე, მოსაცურები, მოზუებული, უბეები, ქობისერი, ტეტის ნაგომურები, რცხილა, ლეების ნასადგომარი, შიოს სახტომელა, ჯანიანთ სერები, ვაზიანი, ნაფეტვრები, კორათხევის სერები, ტყემლიანი, ძეგვის ტბა, ნაქერლები, მაღალანთ გეგეს ადგილი, გრაკლიანის ფერდა, მუხიანი, გაკრილი კლდე, ბატონიანთ საქათმე, ბუტკნარა, მკედლის მიწა, მკედლისგორის სერები, კოდას ფარეხი, შიოს ტბა, ჯიბგირის მიწები, ბერიანთ მიწები, ზემოქედის ბოლო, ქედლი, ბოლო ქედი, მუხების წყარო, ნაბაქურის წყარო, ბაბაყოლების წყარო, ნაფეტვრის წყარო, სათიბის წყარო, თუთუნას წყარო, დათვის წყარო, მაკას წყარო, მაჩაბლიანთ წყარო, ჯანიანთ წყარო, დედოფლის წყარო, რუსის ნასადგომარი და სხვა.

### ხვნა-თმსვა

ძელად დილომში წამყვან მეურნეობად ითვლებოდა მემინდვრეობა, მესაჭონლეობა და მევენახეობა. დღეისათვის კი პირიქით. ძირითადი წამყვანი მეურნეობა მებოსტნეობაა.

დილომში საანეულო ხენა მაისიდან იწყებოდა და გრძელდებოდა ყანების მომკამდე. შემდეგ ხნაედნენ ნამკალებს, რასაც „აოშვას“ უწოდებდნენ. საანეულო ხენა წარმოებდა ქართული დიდი გუთნით, რომელშიაც 8—10 უღელს უბამდნენ. დიდ გუთანს ადგილობრივი გლეხები სთლიდნენ, განსაკუთრებით ალიბარაანი და კოლოტაურიაანი. გუთნისათვის მასალად ხმარობდნენ ბაღში გაზრდილ თელას, იმიტომ, რომ ბაღის თელა ნარწყავი და ძარღვიანი. ტყისა კი „ფატარია“, „უძარღვა“. ამ აშბავს ხალხური ლექსიც ადასტურებს:

შენ გენაცვალე გუთანო  
ბაღში მოკრილო თელო,  
თითო ბელტი გადაგაქვს,  
ჩენი ნიკორას ხელო.

ანეულ ნახნავს შემოდგომით მეორედ გადახნავდნენ ჩუთით. ჩუთს დილომში „აჩაჩას“ ეძახდნენ. აჩუთვის შემდეგ დაიწყებოდა ფესვა. როცა ოჯახს პირველად ფარცხი გაჰქონდა, არ შეეძლო რაიმე საციკველი ეთხოვნათ ან გაეთხოვებინათ, არც სესხება შეიძლებოდა, იტყოდნენ: „ფარცხი გაეიტანეთ და არ შეიძლება“.

მოშვილ ძნას დგამდნენ მოშვილ მიწაში „ფეხად“, ერთ ფეხში შედიოდა 15 ძნა, 12 ფეხი უდრიდა ერთ ურმელს. მკის დროს ჩამოდიოდნენ მოშვილი მუშები მთიულეთიდან, იმერეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. მოშვილი მუშა დღიურად ღირ-

და სამი ლიტრა პური. ასევე ღირდა თიბვა კალოს ლეწვაზე ცხენ-  
სა და კაცს ეძლეოდა 4 ლიტრა პური.

### მევენახეობა

დილომში მევენახეობას ძველი დროიდანვე მისდევდნენ, რა-  
საც მოწმობს ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები. დილმურ  
გემრიელსა და თავისებური გემოს ღვინოს კარგი სახელი ჰქონდა.  
დილომს „პატარა კახეთს“ უწოდებდნენ. დილმური ღვინო საპალნე  
30 მანეთი ღირდა (დილმური საპალნე 42 ჩაფია, ხოლო ჩაფი 8 ჩა-  
რეჩია). აქაური ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია შემდეგი: გორული,  
საბატონო, თითა, ხართვალა, ბუდეშური, ქიშური, კაენატელი,  
დილმული კყლარტანა, რქაწითელი, (ორნაირი ჯიშია), კყაპა, მწვანე-  
რქაწითელის მსგავსი მწვანე, მუხრანული მწვანე, მოგრძომარცვლი-  
ანი მწვანე, ფერადი (ჩინური), სარიჩხა, ქიშმიშის ყურძენი.

შავი ყურძენი: თავკვერი, საფერავი, ცხენიძუძუ, კობიასეული,  
ბუზა, სააბი, დანახარული და სხვა.

ახალი შემოტანილი ჯიშებია: „ალიკოტი“ (ორნაირი ჯიშია)  
„შამპანური“, „ადესა“, „ორჯონიკიძე“, „ციცქა“ და სხვა.

### მებოსტნეობა

ამჟამად დილომში ძირითადად მებოსტნეობას მისდევენ, დილ-  
მური ბოსტნეული „კაი სახელით“ არის ცნობილი თბილისის ბაზა-  
რზე. ბოსტნეულის ძირითადი სახეებია: ოხრახუში (მალდანოზა),  
ტარხუნა, წიწმარტი, პიტნა, მჟაუნა, სატაცური, ქონდარი, ქინძი, რე-  
ჰანი, კაპა, პრასა, ომბალო, ნიახური, წიწაკა, ისპანახი, ხახვი, ნიო-  
რი, ბოლოკი, სტაფილო, ქარხალი, ძირნაყოფა, თაღამი, კარტოფი-  
ლი, კომპოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი, ნესვი, (მუხა ნესვი, დუთ-  
მა ნესვი), საზამთრო, გოგრა, (საფხეკელა გოგრა, მუწუკიანი გოგრა,  
ქართული გოგრა, ყელიანი გოგრა, კიტრა გოგრა, თათრული გოგ-  
რა, იმერული გოგრა, ძროხის გოგრა, მწარე გოგრა) კიტრი, მა-  
მია, ფუსტუნაკი, ხრენი, სისირი, ბაკლა, მუხუდო, სოია; ლობიო;  
(ცანავე ლობიო, წითელი ლობიო, სიმინდის ლობიო, ზღვისპირის  
ლობიო, მულაური ლობიო, წილქნური ლობიო, სარის ლობიო, გუ-  
რული ლობიო — თეთრი, წითელი მინდვრის ლობიო).

### მესაქონლეობა

დილომში დიდად იყო განვითარებული საქონლის მოშენება,  
კერძოდ ძროხისა, ცხვრისა, ღორისა, ცხენისა. დილომში ლიტრიან  
გლეხებს ბევრს ყოლია 1000 სულზე მეტი ცხვარი და 100 სულზე  
208

მოცადი საქონელი. განსაკუთრებით მესაქონლეობას მისდევდნენ: მზარეულიშვილები, მამუხაშვილები, ხოსიტაშვილები. გილაურები, ქობულაშვილები, გიგუაშვილები, ზანდარაშვილები, სოზიაშვილები. ქუცნიაშვილები, შიოშვილები, მძევაშვილები, კოტორაშვილები, მელაშვილები, მკედლიშვილები, სონლულაშვილები; დანარჩენებს მეთურნეობაში მესაქონლეობას უმნიშვნელო ადგილი ეკია. ცხვარი—10—20 სული სუყველას ჰყავდა, ბევრი ცხვრის პატრონს აბარებდნენ, ჩაააც „ანაბარი“ ეწოდებოდა. ამასთან ერთად არსებობდა „დაზიარებაც“ — ცხვარს, ღორს, რომელიმე მწყემსს დაუზიარებდნენ რამდენიმე წლით და ნაშენს შუაზე გაიყოფდნენ, ხოლო „მოცადი“ საქონელი ზოფლის ნახირში დაუდიოდათ, რომელსაც მენახირე უვლიდა. მენახირე დგებოდა „ალებ ღამეს“, 14 ნოემბერს, იმ დღით დაივლიდა მისთვის მიჩენილ უბანს და მოითხოვდა „ოჯახის დალოცვას“. საქონლის პატრონები ზოგი ფულს აძლევდა, ზოგი პურს და ზოგიც ღვინოს, ხოლო ჰეორე დღეს, როდესაც მენახირე საქონელს მინდვრიდან მორეკავდა, დაუვლიდა კიდევ სოფელს და „საჯოხეს“ მოითხოვდა. „საჯოხეში“ აძლევდნენ თითო პურს თითო ოჯახი, აქედან დაწყებული „შაბათის პურის“ მიცემა გრძელდებოდა ამაღლებამდის (აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე რომ გავიდოდა ამაღლება იყო). კალოობას მენახირე ლიტრიანთა და ტომრით კალოებს დაუვლიდა და მიირწყავდა „საპენახიროს“. მენახირეს წელიწადში მეწველ ძროხაზე 5—6 ლიტრა ხორბალს აძლევდნენ ან ერთ კოდ ქერს. მშრალ ძროხაზე 3 ლიტრა ხორბალს ან ნახევარ კოდ ქერს. კამეჩზე ერთი კოდ პურს, ცხენზე — ერთ კოდს პურს; თუ ხარს და კამეჩს გაურეკავდნენ ნახირში, მაშინ ერთი დღე ხენაში უნდა ეთხოვებინათ მენახირისათვის.

## დიღმელი გლეხის სახლი და კარმიდამო

ძველად დიღომში საცხოვრებლად გამოყენებული იყო დარბაზი. დღემდის შემორჩა რამდენიმე საცხოვრებელი შენობა, რომელიც გადაკეთებულია და დღეს დარბაზის სრულ სახეს აღარ იძლევა. დარბაზი მოწყობილი იყო თახჩებით, თაროებით, წალოებათა და განჯინებით. განჯინებში ინახებოდა ჩძლების მზითვის სკივრები. ყველა ჩძალს ნაკუთარი მზითვის სკივრი ჰქონდა. განჯინები ფარდებით იყო დაფარული. დარბაზში იდგა დიდი ფიცრის ტახტები, მარჯვნივ და მარცხენივ. შუა ადგილას კერა იყო მოწყობილი. დარბაზს ამწვენებდა ღამაზად მოჩუქურთმებული დედაბოძები,

რომელსაც საგანგებოდ უვლიდნენ რძლები და ყველა „ბედნიერ“ დღეს (დღესასწაულისათვის), ზეთით წმენდნენ. დარბაზის გვერდით იყო შარანი, რომელიც მოწყობილი იყო ქვევრებითა და საწინახლით. მარანშივე ინახავდნენ ხმელ ხილს, მურაბებს, ძროხის ნაწველს და სხვა სანოვაგებს.

დარბაზის მეორე გვერდით იყო პურის მოსაზელი ოთახი, რომელსაც „პურის ოთახს“ უწოდებდნენ. პურის ოთახი მოწყობილი იყო ბუხრებით, კეცებით; აქ ინახებოდა ვარცლი, ხონჩები, ხაშის თაბახი, საცრები, ტაბაკები, ფქვილის ამბარი და სხვა საჭირო ინვენტარი. პურის ოთახში გასცრიდნენ ფქვილს, მოზელავდნენ, გააფუებდნენ, ამოილებდნენ გუნდებს და გაიტანდნენ თონეზე გამოსაცხობად. სათონე „პურის ოთახის“ გვერდით იყო მოთავსებული. მარნის გვერდით ჩვეულებრივ საქათმე იყო მოთავსებული. დარბაზის წინ ან გვერდით გაკეთებული იყო კალო, ხოლო კალოს პირზე საბძელი; საბძლის გვერდით ბოსელი. საბძელი და ბოსელი ერთ შენობას წარმოადგენდა და ერთმანეთს კარით უერთდებოდა. საბძლიდან გაქონდათ საქონლისათვის საკმელი. ბოსლის ერთ ნაწილში მოთავსებული იყო პატარა ფიცრული, რომელსაც „ოდა“ ეწოდებოდა და შიგ ტახტი იდგა, რომელზედაც მეგომეს ეძინა. ბოსელს გვერდით მიშენებული ჰქონდა საღორე, ხოლო კალოს ერთ-ერთ მხარეს ედგა ბეღელი ან ჰქონდა „პურის ორმო“, რომელშიც 300—400 ფუთი პური ჩადიოდა; ბეღლის სიახლოვეს იყო „საშეშე“, „საფიჩხე“ და სახელოსნო, სადაც ურმები და გუთნები იყო მოთავსებული.

ოჯახის მეურნეობას ხელმძღვანელობდა უფროსი მამაკაცი; მას ემორჩილებოდნენ სხვა დანარჩენი ოჯახის წევრები. (მაგალითისათვის მოვიყვან სონღულაშვილების ოჯახს). ოჯახის უფროსი იყო კაკალა, შემდეგ ანდრო. ოჯახის წევრს სონღულას ევალებოდა ტყეში შეშის დამზადება, ანდრუას და იოსებს ექვსი ურმით ქირაზე სიარული, ლაზუას გუთნის დედობა, თოშას — შინაური მეურნეობის პატრონობა: ბაღ-ვენახის მოვლა და ოჯახის ყურისგდება.

ქალებს ხელმძღვანელობდა ოჯახის დიასახლისი, დედამთილი ან უფროსი რძალი, რომელსაც ემორჩილებოდნენ დანარჩენი რძლები. ოჯახის უფროს დიასახლისს ევალებოდა სუფრის გაშლა და რძლებისათვის საოჯახო საქმის განაწილება.

როცა ოჯახი გაიყრებოდა უფროს შვილს აძლევდნენ „საუფროსოს“ (საქონელს ან მამულს). თუ უფროსი შვილი საქონელშიც იყო ნავალი ეძლეოდა „საჯოხე“ (ათი სული ცხვარი ან დეკეული მიეცემოდა). დანარჩენი ქონება ნაწილდებოდა თანაბრად.

## დიღმელი გლეხის ჩაცმულობა

მამაკაცი ფეხზე წინდებს, პაჭიკებს, ყაფაზიან საცვეთებს, ჩახსაკრავებს და ქალამნებს ატარებდა: „ბედნიერ ღღეს“ ან ქორწილში იცვამდა წულებს, შემდეგ ყურიანი ჩუტები შემოვიდა, რომელზედაც კრელ წინდებს ხმარობდა. საცვლებად ხმარობდნენ „ღურჯამერიკოს“ და მერდინის წინწკლებიან პერანგს, რომლის საყულო ყათინით იკვრებოდა. პერანგის ზემოთ ახალღეს ატარებდნენ, იცვამდნენ შალის შარვალს და შალის შავ ჩოხას. დიღმში დიღად იყო გავრცელებული ჩოხის ქსოვილის შემდეგი სახელწოდებები: 1. „მუხახი“—თავ ჩოხად ითვლებოდა, 2. „უნძახი“—შავი ჩოხა იყო, 3. „ბოგოზი“—შავი რბილი ჩოხა, 4. „აყოში“—საშინაო ჩოხათ ითვლებოდა. ჩოხებზე ატარებდნენ ვერცხლის დიდრონ ქამრებს. ნაწილი გლეხობისა ატარებდა ქულაჯას, თავზე იხურავდნენ ყაბალახს, ქუღად ადრე ატარებდნენ წოპწოპა ქუღს, შემდეგ შემოვიდა გაღიბანდი, ხოლო გაღიბანდი ნაბდის ქუღმა შესცვალა.

ქალის ჩაცმულობა: ქალები ჩვეულებრივ იცვამდნენ ქართულ გულისპირიან ყაბას, თავს იხურავდნენ ჩიხტიკოპით, ქინძისთავით, ყავებითა და ლეჩაქით.

### აღამიანის ზეღმეტი სახელეგი დამოწმებული სოფელ დიღოგში

ნაორა, კიორა, კიანა, კოდღხა, ტორუა, ჯინუა, კიშია, კანკალა, ქავთარა, ქონდარა, სილიანა, კუჭება, მუტრუკა, ტიკი, აქია, ყაქია, პაჭიტა, ჩოქანდრა, დინგიანი, თრიღენა, ტურანა, ტურენა, კუსუნია, ყაქუა, კოდია, თუთუნა, ბუღია, კუსკუსა, ქედია, კიკილო, ჯაჯა, გულაკო, აღუბალა, ფაჩუნა, ჯიხვია, ყოყიჩა, ყოყე, ქინქლა, კრაზანა, ტანტრა, კიკუნა, ჩაქჩაქა, კნაქა, კიპურა, კოხაანი, პროშიანი, გოზალა, კუშბარა, კუსუნა, ათოზა, ცუკა, ჩეჩია, პაწაწა, ნაცილა, კიტრანა, კარიოტელი, კაჭიური, კალენდარი, კინქარა, კამპურა, კინკრია, კუტრუა, ჯიგრია, ზორბა, კიკა, ლოჯა, კიპურა, ლეგა, ტონგლაკი, თვალა, ცირუნა, ძიბუა, ბრიქინა, კაპუა, კატუა, გარეშა, შაველა, ფეჩია, ფეჩეტა, ტუსლანგა, კაჭიგოლორია, ფიღია, პატულა, ლომა, ბუჭყიტა, კორტიშა, სვეტია, გაჯრია, ოჯოფა, აბუკა, ალიმუზა, ცუცია, ცუცუნა, ცუცანა, კონცოლა, კუქანა, ოდა, ძამია, კიტრია, სპეტანა, ბუნთა, კუტი, კუტა, გუცა, ჩეთვერა, ჯიბე, გლახა, პანცელა, კონუა, ხვედა, ცანცარა, ლულუანი, ბაბაია, ჩიტია, ბუღია, გაღუა, ბუჭყიტა, ნოხჩურა, დათვი, ჩურჩუტი,

კრიტა, კრიქინა, ჯაყადილა, ციფუა, მუხიკუნძი, კრილუა, კაპეიკა, ტეტეკა, ჯიჩინა, ყუყლუჩა, გეჯა ბაბლია, აცაფურა, სლამა, ირეკა, ცუნუნე, უქშუტუნე, ცოციელი, რიქა, მღებავი, კილრიკა, ყურა, გოქია, პაკლარა, პაქალა, ჩოფურა, დალაქა, გოდორა, გომბორა, კოტრა, ბაქა, ოლოლა, ქაჩალა, ამანე, უქაქანე, პანკრუტა, ოტუა, ფაცია, კოსტუა, პრაწანა, პალაკა, ჩითახოვი, ლაშვა, მახრაქა, მილიონა, ბოხოხა, თოხლუა, კოპია, ბაღლა, ქალვილა, ნონია, ცხვირა, დოლა, პროხოლა, თოთოშა, ძამპალა, ჩაქჩაქა, გუდა, კაკლია, ჩოქჩოკა, ტომბორა, ფხაკა, კიღერა, ოტროველა, ტუნეკა, კორტიშა, პაქუა, ლაწანა, ჯაგალა, მარანა, კუპაქია, კრიბაია, ლოლაძე, მარჯანა, ნირენა, ყვანყვალა, ჯამისძირა, სიკვდილა, აბდულა, ძიგლება, კრუხი, ტიტია, მებატე, ლაშვიანი, ტუჩიანი, ჩუშპლია, ჩიტრეკია, დოლიბაირა, კუდბადალა, ჯიგურა, ყრუს კანკი, დარგულა, ტორქსინა, მეღვედე, ღვედილა, ქანაპარა, ლურჯანა, კოლოტა, ლაფიერა, ცინგლა, კომო, კიბუა, კურტია, ხამსა, დააღმუვლე, უჩანა, ქაცალა, კახნია, კივკივა, ცინცილა, ცახცახა, ფაჩხანა, ჩლატა, ბუზა, კუდიანა, ცეტანა, ცუნეკა, ქოთია, თრითინა, ცხვირა, ფუთლუხი.

## საქორწინო წეს-ჩვეულებანი დილომში

დილომში რძლები უმთავრესად ქართლის სოფლებიდან მოყავდათ. უმეტესად ავკალიდან, გლდანადან, წყნეთიდან, ლისიდან, თხინვალიდან, მცხეთიდან, მუხრანიდან, წეროვნიდან, წილკნიდან, ძალისიდან, ერედიდან და დამპალადან. დიღმელი ქალი კი იშვიათ შემთხვევაში თუ გათხოვდებოდა ზემოთ დასახელებულ სოფლებში. დიღმელი ქალი უმთავრესად დილომში და თბილისში თხოვდებოდა. ცოლის თხოვა უმთავრესად ხდებოდა გარიგებით, შუაჯაციის მეშვეობით. ცოლის თხოვის დროს ქალის მშობლები ეცნობოდნენ ვაჟის ავკარგიანობას; სინჯავდნენ ღვინის სმავში, შრომაში და ცეკვაში; ასევე სინჯავდნენ ვაჟის სახლს, რასაც „სახლის გასინჯვა ეწოდებოდა“ და თუ მოიწონებდნენ სასიძოს პირობას აძლევენ, რაც ნიშნობით აღინიშნებოდა.

ნიშნობა ეწყობოდა ქალის ოჯახში, ვაჟი და მისი უახლოესი ნათესავეები მიდიოდნენ ქალის ოჯახში ნიშნის მისატადან. თან მიჰქონდათ იმდენი სანოვავე, რამდენიც მათთვის იყო საკმარისი. წინასწარ გზავნიდნენ ცხვარს, ღვინოს და სხვადასხვა სანოვავეს.



ქალიანთ მხრივ, მოწვეულნი იყვნენ ქალის ნათესაეები. ვაჟი ნიშნობაში ბეჭდით ან სხვა რამე ნივთით დანიშნაულა ქალს. ხოლო მოწვეული სტუმრები საჩუქრებს მიაართმევდნენ საპატარძლოს. ნიშნობის შემდეგ ვაჟისა და ქალის მშობლები დასთქვამდნენ ქორწილის დღეს.

## ქორწილისათვის სამზადისი ვაჟის ოჯახში

ქორწილის მოახლოებისას ვაჟის ოჯახი წინასწარ იჭერდა თადარიგს საქორწილო სამზადისისათვის. ოჯახის უფროსი მოიწვევდა როგორც მოგვარეებს ისე მეზობლებს დასახმარებლად და მიუჩენდა ყველას თავთავიანთ საქმეს: ზოგი ტყეში მიდიოდა ურმით შეშის მოსატანად, ზოგი თბილისში სხვადასხვა სანოვავის საყიდლად, ზოგიც ფიჩხს ეზიდებოდა პურის მცხობელისათვის. პურის მცხობელები ორი-სამი დღით ადრე დაიწყებდნენ პურის ცხობას. პურის ცხობის დროს ოჯახის უფროსი ხაბაზების საპატივეცემით დგამდა ვარცლს, რასაც „ვარცლის დადგმა ეწოდება“. ვარცლის დადგმა შემდეგში მდგომარეობდა: ვარცლზე აწყობდნენ სხვადასხვა საქმელებს, ტბილეულს და სასმელს. ოჯახის უფროსი ხაბაზებს დაუპატიებდა სტუმრებს, რომლებიც ილოცებოდნენ და რაც ემეტებოდათ იმის მიხედვით ფულს საცერში უყრიდნენ. ქორწილის წინა დღით სოფელში დაატარებდნენ მოპატიყეს და ხალხს დაპატიყებდნენ, ხოლო მეორე დღეს თვით ნეფე და ნათლია ჩამოუვლიდნენ დაპატიყებულ ხალხს და ქორწილში მიიწვევდნენ.

საქონელს ქორწილის დღეს ხოცავდნენ. ქორწილში იკვლებოდა ძროხა, ან მოზვერი და ორი ცხვარი, ძროხის ან მოზვერის დაკვლის დროს, ყასბები ნეფეს ცეკვას მოსთხოვდნენ. ნეფის ცეკვის დროს კი წამოაქცევდნენ დასაკლავად მსხვილფეხა საქონელს.

## საქორწილო მისატანი და ქორწილი ქალის ოჯახში

ქორწილის წინა დღით ნეფე ქალის ოჯახში გზავნიდა ურჩიანთ „საქორწინოს“, რომელშიც შედიოდა ერთი ცხვარი და ლვინო. ნეფე საქორწინოს გზავნიდა მაყრების რაოდენობის შესაბამისად. როცა ნეფე თავის მაყრებით აწავიდოდა ქალის ოჯახში, მის მიერ „საქორწინოს“ წასაღებად გაგზავნილი კაცები, მას გზაში უნდა შეხვედროდნენ ქალის მზითვით.

ვაჟის მაყრების მოსვლისას ეზოში იმართებოდა ცეკვა-თამაში.

ამ დროს იწყებოდა ქალის მშობლების მხრიდან დაპატივებული სტუმრების მოსვლა. ოჯახის უფროსი მიიწვევდა ხალხს სუფრაზე და იწყებოდა სმა და ქეიფი. ნათლიას გაიწვევდნენ პატარძლის მოსაყვანად. პატარძალი ამ დროს მეზობლისას ცალკე ოთახში იმყოფებოდა. ნათლია პატარძალს ფულით იხსნიდა, რასაც „პატარძლის მოსართავს“ უწოდებდნენ.

„პატარძლის დახსნა“ შემდეგ იმართებოდა ქეიფი. წასვლის დრო რომ მოახლოვდებოდა, იმართებოდა შესაწევრის აკრეფა ქალის ოჯახში. ამის შემდეგ ვაეის ოჯახისაკენ მიჰყავდათ.

## ნეფე-დედოფლის „ხიდ-ჰმეუ ბატარება“ და სხვა საქორწილო ჩვეულებანი

ქალის სახლოდან ვაეის მაყრები პატარძლითურთ ვაეის ოჯახისაკენ წამოვლენ. თუ ქალი დიდშიდან მოჰყავთ მაშინ ფეხით წამოიყვანენ. პროცესიას ჩირაღდნებით მისდევენ პატარა ბიჭები და ნეფე-დედოფალს და შათ მაყრებს გზას უნათებდნენ. თუ რძალი სხვა სოფელშია, მაშინ მანქანით წამოიყვანენ პატარძალს (ადრე ურმებით მოჰყავდათ). სოფლის ბოლოს მეჩირაღდნე ბიჭები დახვდებიან და სახლამდის მიაცილებენ.

მეჩირაღდნე ბიჭები, ნეფის უბნის ბავშვები არიან, ისინი წინა დღითვე ამზადდნენ ჩირაღდნებს, სარზე ძველ ძონძებს დაახვივენ და ნავთს დაასხამენ.

ბავშვები წინასწარ მოითათბირებენ ვინ სად დაიქვრას ჩირაღდანს. ეს ჩირაღდნები საზიაროთ კეთდება, ყველა ვალდებულია მოიტანოს ძონძი და ნავთი თუ სურს ჩირაღდანში წილი იქონიოს.

ნეფის სახლის მიახლოებისას მაყრიონი ჩერდება და ოჯახში მახარობელს გზავნიან. მახარობელი ქალის მაყრებიდან უნდა გაგზავნონ. ვიდრე მახარობელი სახლში მივიდოდეს, გზაში ცეკვას გააჩაღებენ, მერე კი გზას განაგრძობენ. გაგზავნილი მახარობელი ოჯახში მისვლისას დაიძახებს: „მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარობელი მიკამია თაფლი (ხან იტყვის ბალი) ამიხვიეთ მკლავი“, მახარობელს მოეგებებიან ოჯახის უფროსები ან წევრები; ერთი ამათგანი აბრეშუმის ხელსახოცით მხარს აუხვევს, ხოლო მეორე, ჯამით ღვინოს შეასმევს. მახარობელი ჯამს რომ გამოცლის, მიწაზე დაანარცხებს და თან ამ სიტყვებს დააყოლებს: „ასე დაიმსხვრეს ამ ოჯახის მტერიო“. ამის შემდეგ ის უკან გარბის რათა შეუერთდეს ნეფე-დედოფლის მაყრიონს.

ნეფე-დედოფალი ვაჟის მაცრებან შეჰყავთ სახლში (სახლში შესვლამდე ეზოში ლხინი იმართება). კარების ზღურბლზე ნეფე-დედოფალს დაპირქვევებულ ჯამს დაუდებენ მაცრები კი ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხანჯლების ქვეშ გაატარებენ. ნეფე ამ დროს ჯამს სტეხს ფეხით. ხანჯლების ქვეშ გაატარებისას იძახიან, „ქალის მაცრები ხიდ ქვეშო“. ნეფე-დედოფალს გარდა, ქალის მაცრისაც გაატარებენ ხანჯლების ქვეშ.

ამ ჩვეულებასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ამ საქორწინო ზნე-ჩვეულებაში დაცულია ცოლის წაგვრისა და მოტაცების ძველი წესები, აქ უკვე მხოლოდ სიმბოლიური გამოსახულება იყო იმ ხანის სურათისა, როდესაც საქმრო თავის საცოლეს მოტაცებით ირთავდა. როცა ის იძულებული იყო ცხენოსანი და შეიარაღებული თანამებრძოლებითურთ შორს გზას გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყვანა, როდესაც ამოწვდილი ხმლები მშვიდობიანი ქორწილის მართო მხატვრული ფერადოვნების სამკაული კი არ იყო არამედ მართლაც აპრიალეებული ხმლების ტრიალი სწარმოებდა“.<sup>1</sup>

ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს ძველად ქალის მზითვეი შეადგენდა, მაგრამ როგორც ჩანს „სასყიდელი“ ძველად თვით მამაკაცს უნდა მიეცა ქალის მშობლებისათვის. ამაზე აშკარად მეტყველებს ზოგიერთი ისტორიული ცნობა. ასე მაგალითად, ბიზანტიის მეფეს, საქართველოს მეფე გიორგისათვის, ქალი უთხოვნია საცოლედ, ამ თხოვნის შესახებ მეფე გიორგის, ბიზანტიის მეფის დესპანისათვის შემდეგი განუცხადებია: „რაკი ჩვენი ქვეყნის ზნეჩვეულებისამებრ საქმროს მოაქვს ქონება საცოლისათვის და არა საცოლეს, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითვეს არ გამოვატანო. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ქორწინების გულით მოწადინებული ვარ, თანახმა ვარ ჩემს ასულს, კონსტანტინეპოლში გასტუმრების დროს თან საჩუქრის სახით ერთდროულად 56000 ოქროს ფული გავატანო და ამას გარდა 3000 ოქროს ფულივე ყოველ წლიურად სარგოდ ვაძლიოთ ხოლმე“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ XV საკუნეში ქართული წესის თანახმად, საქმროს ევალებოდა, საცოლისათვის მიეტანა ქონება და არა ცოლს ქმრისათვის, მზითვის სახით. ასეთსავე საინტერესო ცნობას

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 164.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი IV, თბ., 1948, გვ. 50

იძლევა ქორწინების წესების შესახებ, არქანჯელო ლამბერტი, რომელსაც XVII საუკუნის სამეგრელოს აღწერილობა აქვს მოცემული. მისი სიტყვით, სამეგრელოში, ევროპაში მიღებული წესის მსგავსად, ცოლის შერთვის დროს მზითევს არ დაეძებენ: „კოლხიდაში არვითარი მზითვი ქმრისათვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენეირეს, კარგ შთაპომავლობას და საუკეთესო ზრდილობას; სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი, ამიტომაც ქორწინებას ამ ქვეყანაში თუ აბრკოლებს, ისევე ეს ვალდებულება სასიძოსი, რომ მშობლებს უნდა მიუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სარძლო მონა არისო და მის ფასს იხდისო. ჩვეულებრივ საჩუქრებად მიჰყავთ ზოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები და ან სხვ ამისთანები“.<sup>1</sup> და იქვე შენიშნავს:

„ჩემს დროს მოხდა ოდიშის მთავრის და ჩერქეზთა სახელგანთქმული ქაშიქ მეფის ასულის დაქორწინება. ქაშიქ მეფის მოციქულები მოვიდნენ ოდიშში და მისი სახელით განაცხადეს, რომ მეფეს სურს. ეს ქორწინებაო დ თხოულობს საჩუქრად ასს ყმას, სხვადასხვა ქსოვილით და ხალით დატვირთულსაო; ასს ძროხას, ასს ხარს და ასს ცხენსაო, ამის აუსრულებლობა, რასაკვირველია, არ იქნებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწინება არ მოხდებოდაო“.<sup>2</sup>

ამ ჩვეულებამ „ურვადის“ სახით ჩვენს მთიელებში, კერძოდ მოხვევებში, მე-19 საუკუნემდის მოაღწია. დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, ამ ჩვეულებას შემდეგნაირად აღწერს: „ამგვარად ვაქრობამ კარგახანს გასწია, თუმცა მახიას წინაღვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ნუნუ ნინიასათვის მიეცა და, რასაც მახია გარდასწყვეტდა, ონისესთვინაც გადაუბრუნებელი კანონი იყო. მაშასადამე, გამარჯვებული უნდა შუაგაცეები დარჩენილიყვენ. ქალის პატრონები მხოლოდ ურვათის მოსამატებლად-ლა ლაპარაკობდნენ. — ღონივრები არიან, შენი ჭირიმე, აჰკიდე მძიმედ, და ისინიც აწვევენ... ცხო რაილა ლაპარაკი გინდათ ურვადზედ — უთხრეს შუაკაცებმა.“

— თორმეტი ძროხა ურვათი, ერთი თუმანი მახიას — გასამზრ-

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 82.

<sup>2</sup> იქვე.

დელი. ერთი ცხენი სადღღისძმო, ხუთი მსუქანი ქედლიაი, თავის სატან-საპოხით-ო<sup>1</sup>.

ეს ცნობები საკმარისია, იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ ეს მძიმე პირობები, რაც მამაკაცს ცოლის თხოვისათვის ეკისრებოდა. რა თქმა უნდა ყველა ვერ შესძლებდა იმ გამოსაღების გამოღებას რასაც ქალის პატრონი თავის ქალში სასიძოსაგან მოითხოვდა. ამიტომ „ჩვენში ქალის მოტაცება არსებობდა. ის ეკონომიური მიზეზით იყო გამოწვეული. ქალის გამოსასყიდლად არსებული დიდი ფასი აიძულებდა ღარიბ ტომს თავს დასხმოდა მეზობელ ტომს ან გვარს და გამოეტაცნა სასურველი პირი“.<sup>2</sup>

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა საჭირო იყო შეიარაღებულნი ჯგუფი, რომელსაც ქალის მძიებელი ადგენდა და მისი მეშვეობით აღწევდა სასურველ მიზანს. ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის ხმლების ქვეშ გატარებოდა, ან უკეთ ხალხური ტერმინი რომ ვინმე-როთ „ხიდ ქვეშ გატარების ჩვეულება ქორწინების... მართო მხატვრული ფერადონების სამკაული კი არ იყო, არამედ მართლაც აპრიალეზული ხმლების ტრიალი სწარმოებდა“<sup>3</sup>.

ამ ვითარების ამსახველი უნდა იყოს აგრეთვე დილომში და-მოწმებული ჩვეულება, რომელიც გამოხატავს ქალისა და ვაჟის მაყრების მტრულ დამოკიდებულებას. ასეთებია ქალის მაყრების მიერ ვაჟის მაყრების დატყვევება, ხეზე მიბმა, კისერზე ურმის თვალის დაკიდება, ან სხვა რამე საგნისა, რასაც მოსდევდა ნეფის ან ნათესავების მიერ „ტყვეების“ ფულის გამოსხნა.

საინტერესო მნიშვნელობა აქვს ქართულში შემონახულ სიტყვა მაყარს. მაყარი არაბული სიტყვაა, მისი ქართული შესატყვისი ძმალია. „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებით საბა ასევე განმარტავს ამ სიტყვას: მაყარი — ძმალი-ო.<sup>4</sup>

ქალის მოტაცების შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება ქართველ მთიელებში, კერძოდ ფშავში.

ფშაველთა ყოფაცხოვრებაში შემონახული იყო ქალის მოტაცების ჩვეულება. ვაჟა-ფშაველას შემდგენაირადა აქვს აღწერილი ეს ჩვეულება: „გაეარდა ხმა, რომ, ღმერთმანი, გამახარეს დანაშ-

<sup>1</sup> აღ. ყ ა ხ ბ ე გ ი. მოთხრობები, მამის მკვლელი, თბილისი, 1948, გვ. 181,

<sup>2</sup> მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1932, გვ. 297.

<sup>3</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1928, გვ. 164.

<sup>4</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „სიტყვის კონა“, თბ., 1928.

ნული ბეწინტურის ქალი ვიღაც ფუნჩულაშვილს გაუტაცნიაო“. გამახარე და მისი მახლობლები თავის სიმამართან ერთად თავს ესხმის ფუნჩულაშვილს ოჯახს. ამტკრევენ რასაც ხელი მიუწვდებოდაო, „ზეყუთიის უფლებით იყვნენ შემოსილნი, რაც კი ხელში მოიგდეს, არა ზოგავდნენ გასაფუტებლად, შესაკმელს — საკმელად, სასმელს — შესასმელად, გასატეხს — დასამტკრევად. გამოიყვანეს ბაქიდან ხარი და დაკლეს, გამახარემ ყელი თავად გამოსქრა და თან ეს სიტყვები დაატანა, „ვაჟაკი ცოლზე მოკვდება მამულსა საკუთარზედაო“. ფუნჩულაშვილის ნათესავეები ბიძები, ბიძაშვილები, დედაკაცები უწევდნენ წინაღმდეგობას, მაგრამ ველარაფერს ხდებოდნენ ამ გააფთრებულ თავზე ხელ აღებულ ხალხთან“.<sup>1</sup>

როგორც ირკვევა, ფშავში ქალის მოტაცება, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. ს. მაკალათიას ცნობით, როცა ქალს მოიტაცებდნენ სოფელში მაშინ: „ქალის პატრონმა და სოფელმა მღევარი უნდა გამოიყვანოს, გაიჟმება და უმოქმედობა სირცხვილია. ქალის მოპტაცებლებს ძმათაშვილები დაედევნებიან და თუ მღევარი გზაში დაეწია, გაიმართება ბრძოლა და ვინც გაიმარჯვებს ქალს ის წაიყვანს. ამ შემთხვევაში ზოგჯერ მკვლელობას აქვს ადგილი, მაგრამ: გამარჯვება უმეტეს შემთხვევაში ვაჟის მხარეზეა. და როცა საცოლეს ოჯახში მოიყვანენ, მაშინ დაიწყებენ შუაგაცების ქალის მშობლებთან მიგზავნას და შერიგებაზე მოლაპარაკებას“.<sup>2</sup>

ქალის მოტაცების შემთხვევები ხალხურ პოეზიაშიცაა აღბეჭდილი. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„...ბიჭებსაც ყრილობა ჰქონდათ, შაბათსა და კვირა დღესა... ისე დათვრენ ეს ბიჭები ველარ სცნობდნენ ერთმანეთსა.

ზოგს იფნის სახრე უჭირავს, ზოგი კეტებს მოათრევსა.

ეს ფირანანთ მიხა ბელადივით გაუძღვესა.

ლუკა უქნიდანა მისდევს, მხარზე კეტსა გაიდებსა.

ტუტკამ უკან მოიხედა, თითქოს ეხვეწება ღმერთსა.

— ღმერთო და ჩემო გამჩენო, გამიყვანე განსაცდელსა.

დაროს სიზმარი ენახა: „მოვეტაცნე ვითომ მგელსა“.

ამ სიტყვას რომ გაათავეებს, ილიკოც დაიძახებსა,

— ნათლიდედ კარში გამოდი, სიტყვას მოგახსენებ ერთსა.—

მაშინ მარდად წამოხტება, ფიცხლავ კარებს გააღებსა.

დარიკოს ასე ეგონა სტუმრები მოდიან ჩვენსა,

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა. ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1937, გვ. 50.

<sup>2</sup> სერგო მაკალათია, ფშავი, თბილისი, 1934, გვ. 126.

— მე ვარ ტუტყა ნუ გავს ფიქრი, გულზედაც გადუსვამს ხელსა.

— დედი ჩქარა მომეშველე, თორემ გამოვიტყრი ყელსა

— შეილო როგორ მოგეშველო, შენამდის ვინ მომიშვებსა, ზოგს კაბის კალთა უჭირავს, ზოგი კეტებს მიღერებსა,

რა ყოფით გაზრდილი მყავდი, რა ყოფაში ჩაგაგდესა.—

აგრე მიაქვს ტუტყას დარო, როგორც ცხვარი მიაქვს ჰგელსა<sup>1</sup>.

მოტაცებით ცოლის შერთვას, ქართული სამართალი ყოველთვის ებრძოდა, როგორც მავნე ჩვეულებას: „ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით. ანუ მოტაცებით ცოლად შერთვა უწყისობადა და უკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა ხოლმე. თვით ისეთ ხანაშიაც კი, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას ქვეყნისა და ხალხის კულტურული დაქვეითება მოჰყვა. სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის უძველესს, 1459 წ. დაწერილ ნაწილში ნათქვამია: „შევიყარნეთ ჩუშნ ცხრაზმის კევისა სამივესავე კევის კრებულნი და მამასახლისნი და ესრე პირნი მოვაკსენეთ სამთავრელსა და ჯა ომფროსა: დღეს მას უკანით რამაცა ხუცესმან ანუ სვინდეკანოზმან ანუ მეყვისთა ანუ უწყსოდ მიტაცებულთა ანუ გვრგვინი აკურთხნეს, ანუ ჯ ი დასწერნეს, ანუ სარჩულო დაუმალოს, რაც ეპრიანებოდეს დააურვებინოს, და შუა ვერცა პატრონი შეჰმოვიდეს, ვერცა ქვეყანა-ო“. იმავე ძეგლში ამ საგანზე ქვეითაც არის ორჯერ საუბარი და და იქ ასე წერია: „უც თუ უქმრო (SC) დედაკაცი მოიტაცოს ცოლად (2) ძროხა მიართოს“ სამთავნელს დანაშულობის საზღაურად, ხოლო „უც თუ მღვდელმან ამგვარად მომქმედს (SC) კაცთა ჯ ი დასწეროს, განიკუშტოს“-ო. მაგრამ ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი — ჩვეულება“.<sup>2</sup>

რა მივლენ სეფას მეფისა, დედა დგას საჯდომ ტახტსაო,

ერთს მხლებელს თავის შაქარი ხელსა უჭირავს მზასაო.

მოეგებება მათ წინა შვილსა და თავის სძალსაო

შეაკმევეს შაქარს ორთავეს აკოცებს პირა თვალსაო“.<sup>3</sup>

„ხიდ ქვეშ“ გატარების შემდეგ ნეფე-დედოფალს სახლში შესვლისას წინ შემოეგებებოდა ვაჟის დედა ან ოჯახის სხვა წევრი,

<sup>1</sup> ჩავიწერეთ დილოში ან ტონ სონდულა შვილისაგან.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1928, გვ. 160.

<sup>3</sup> თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბილ., 1939. გვ. 68.

ქალი, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდა და არაფერი უბედურება არ ენახა. იგი ნეფე-დედოფალს თანით შარბათს შეასამევედა. მთხრობელის სიტყვით — „როცა სახლში ნეფე-დედოფალს შემოიყვანდნენ წინ ნეფის დედა დახვდებოდა, ხელში ფიალით, რომელშიაც შარბათი ჰქონდა. ნეფის დედა ვაჟსა და რძალს გადაკოცნიდა და ორთავეს შარბათს შესამევედა. შარბათი სამჭერ უნდა შეხვრიბოს თითოეულმა. ამ დროს დედას თავზე წითელი უნდა ქონდეს მოხვეული. თუ ვაჟის დედას ან ქმარი ან ვინმე მკვდარი ყავდა, ვერ დაალევიანებდა შარბათს, მაშინ ოჯახში ვინც ბედნიერია, ვისაც დედამა, ძმები ცოცხალი ჰყავს იმას უნდა გადულოცოს ნეფე-დედოფლის შარბათით მიგებება“. (მთხრობელი ნატაშა ზანდარაშვილი, 40 წლისა). ასეთი ჩვეულება ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც ქართველებში ისე კავკასიის სხვა ხალხებში და ძველი აღმოსავლეთის ხალხებში. „ასურელთა და ბაბილონელთა წარმოდგენით მდინარე ევფრატისა და ტიგროსის შესართავთან იყო სამოთხე, სადაც ხარობდა „ხე ცხოვრებისა“, რომელიც ჩრდილო ოკეანეს ფარავდა; ამ ხის წვენი წარმოადგენდა საღვთო სასმელს, რომელიც ადამიანს ანიჭებდა უკვდავებას. ერანში ამ ხეს უწოდებდნენ „ჰაომას-ს, ინდოეთში „ჰომას-ს, მისი წვენი ყველას უკვდავებას ანიჭებდა. თითოეულ ოჯახს ჰქონდა თავისი საკუთარი როდინი და ქვა სანაყი, რომელთაც ისეთივე მორიდებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ცეცხლს. აღნიშნული წვენის ანუ სასმელის დამზადებისას იმართებოდა რელიგიური მსახურება განსაზღვრული წესით, რომლის დროს სასმისი პირთან ახლო არ ეჭირათ, რათა ადამიანის სუნთქვას იგი არ წაეხილწა“<sup>1</sup>.

თრიალეთში 1936 წ. აღმოჩენილი ვერცხლის სასმისი, რომელზედაც გამოსახულია რიტუალური სიუჟეტი, განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის თავისი ზედა კომპოზიციით. ამ თასზე „მთავარი პერსონაჟის წინ მდგომი ნივთი მკვლევარს მიჩნეული აქვს არა სამსხვერპლოდ, არა ბომონად. არამედ წმინდა წვენის, ნაკურთხი შარბათის კურკლად. ყოველივე ამის მიხედვით თასზე გამოხატული სიუჟეტი წარმოადგენს რელიგიური რიტუალის გამოსახელებას, რაც დაკავშირებულია უკვდავების წყლის დამზადებასთან. მოტივი წყლის „მინიჭების“, როგორც „სიცოცხლის მინიჭების“ აქტის

<sup>1</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 33.



სიმბოლური ნიშანი, ჩვეულებრივად ნაყოფიერების ღვთაების კულტთან ყოფილა დაკავშირებული.<sup>1</sup>

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ნეფე-დედოფლის მიერ შარბათის შესმა გაიგივებული უნდა იყოს „სიცოცხლის მინიკების“ ძველი-ძველ გადმონაშთებთან.

შარბათის შესმის შემდეგ, მეჯვარე ნეფე-დედოფალს დედაბოძის ან კერის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა. ეს ჩვეულება გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხი დედაბოძს. ჯერ ძარტო ხალხური ანდაზიდანაც კი ჩანს: „თუ სახლში უფროსი არ იყვეს დედა ბოძს დაეკითხო“ და მართლაც ხალხის რწმენით სახლის ანგელოზი ყოველ საცხოვრებელ სახლის კეზზე (თავ-ხეზე) ცხოვრობდა და იქიდან იცავდა სახლს ყოველგვარ ზიანისაგან. ამ შეკვზისწერე ანგელოზს ოჯახი დიდ პატივს სცემდა და წელიწადში ერთხელ საკლავს უკლავდა.“<sup>2</sup> ამ ჩვეულების შესახებ ცნობა ძველ ისტორიულ საბუთებშიც მოიპოვება ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართულ თარგმანის ბოლოში შენახულია შემდეგი დიდმნიშვნელოვანი ცნობა: „ესეცა გუესმა ქვეყანასა სომხითისასა და ქართლისასა რომელნიმე სუძბულ სარქისს მსახურობენ და რომელნიმე ვაცთურთა მათ სახლისა ანგელოსთა უწოდებენ და მსახურობენ სახელ (სახლის კერპთა და რომელნი უჩინოთა. ჰმსახურებენ სადაც სახლად, გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა ანუ ხეთა... (SIC) და რომელნიმე უფლის ციხელთა (SIC) ჰმსახურებენ და რომელნიმე ბორანიას ეშმაკთა თაყვანის სცემენ კერპთა რამე თუ ეშმაკნი არიან“-ო<sup>3</sup>. ხალხური წარმოდგენით: „სახლის ანგელოზს“ თავის ადგილი ჰქონია გამოყოფილი. პურის ცხობისას ერთ პურს მივიტანდით და თაროზედ დავდებდით, სადაც სახლის ანგელოზი იყო; როცა პირველად ძროხა მოიგებდა მისი პირველი წველას გადაადნობდნენ და ერბოს თაროზედ დასდებდნენ, ქათმის ხუთშაბათობას ამ ერბოს გადმოიღებდნენ, და-ქადებს დააცხობდნენ, ნაწილს სახლის ანგელოზს მიართმევდნენ, ნაწილს კიდევ სახლში უფროსი შესქამდა. სხვას არ ეკუთვნოდა. ამ დღეებში კიდევ დაკლავდნენ ერთ ქათამს, ნახევარს ქადებთან ერთად ანგელოზს მიართმევდნენ, ნახევარს კიდევ ოჯახის უფროსი შესქამდა (მაშ. სონღულაშვილი, 84 წლ. დილომი).

<sup>1</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები. თბილისი. 1948. გვ. 19.

<sup>2</sup> ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიწმომსილველი. 1951, გვ. 125.

<sup>3</sup> ივ. ჯ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი. 1951, გვ. 89.

ასეთი ჩვეულება საქართველოს ყველა კუთხეში სცოდნიათ. მგ. აფხაზებშია იციან სახლის ან ფუძის „ანგელოზი“, ე. ი. ოჯახის მფარველი ღვთაება, რომელსაც „ავან აუაპარას“ უწოდებენ. როცა აფხაზი პატარა სახლში შეიყვანს „ამ დროს სახლის უფროსს, ან ამორჩეულ კაცს წკირზე აგებული საქონლის გულ-ღვიძლი და კი-ქით ღვინო უჭირავს ხელში და ლოცულობს და ავედრებს პატარ-ძალს „ავან აუაპარას, რათა მისი შემწე და მწყალობელი იყოს“.<sup>1</sup>

ცოლის მოყვანისას საქირო ყოფილა „ქალი ზიარებოდა ქმრის სახლის კერას, სახლის კულტს, სახლის წვერებს და ნათესაებს, რის შემდეგ მას უკვე ეძლეოდა ამ სახლის წვერად გახდომის უფ-ლება“.<sup>2</sup> ხოლო ეს ცალკეული საქორწილო რიტუალური ელემენ-ტების შინაარსი ცხადყოფს მათი გაჩენის პირობებს და ოჯახის გან-ვითარების საფესურს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე პატრიარქალური წყობილების დროს შემოღებულ წესებთან, რომელსაც ქმრის სახლ-ში ქალის გადაყვანა სათანადო რიტუალით არის გამაგრებული.“<sup>3</sup>

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: ქორი ნიშნავს „სახ-ლზედ სახლი აგებული: ქორედ-ქორედი ოთხი-ხუთი. სახლი-სახლზედ შენებული“.<sup>4</sup> ეს ტერმინი სახლის მნიშვნელობით დღემდეა სვანე-თში შემონახული (ქორა-სახლი) ქორა მახვში — სახლის უფროსი და ა. შ. ამავე რიგისა უნდა იყოს ხევსურული „ქორედი“.

საფიქრებელია „ქორწილი“ თვით სიტყვა „ქორ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული და სახლის წილს უნდა აღნიშნავდეს.

ახალი პატარძალი ვარ  
შემომატარეს კერასა.  
ცუდი ქმარი გამოჰადგა  
გებრალებოდეთ ყველასა...

(ხალხური)

იმდენად გამჭდარი ყოფილა ხალხში დედაბოძის ირგვლივ პატარ-ძლის შემოტარების წესი, რომ მთხრობლების სიტყვით „თუ დე-დაბოძი არ აქვს სახლს მაშინ მაგიდას შემოატარებენ, თან კი უკან მიყოლილი მაყრები სამპირულ სიმღერას შემოსმახებდნენ „ჭვა-რულს“. „ჭვარი წინა, ჭვარი უკან, ანგელოზი მხარზე გადათ“. მე-რე იქიდან ნათლია სუფრისაკენ წაიყვანს სადაც ნეფე-დედოფალის

<sup>1</sup> ნ. ჯანაშია, მოამბე, № 5, 1897, გვ. 379.

<sup>2</sup> რუსუდან ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში. თბი-ლისი, 1932, გვ. 104.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>4</sup> სულხან-საბა ორბელიანი. „სიტყვის კონა“, თბილისი, 1928.

საქლოშია. (ან. სონღულაშვილი, 74 წლ., დიღომი). აქვე უნდა აღიწინოს, რომ ამ ჩვეულებას დიდი ხანია აღარ ასრულებენ.

როცა ამ საწესო ჩვეულებას მორჩებიან ნეფე-დედოფალი, ნათლიას სუფრისაკენ მიჰყავს (ე. ი. ნეფე-დედოფლის საქლომ ადგილისაკენ, რომელიც წინასწარ არის მომზადებული. საქლომად გამოყენებულია ბალიშები) აქ მათ პირქვე დამხობილი პატარა ბიჭი დაუხედებთ, რომელსაც ზურგზე უწყევია ხელები და ადგილს არ ანებებს ნათლიას, რათა ნეფე-დედოფალი დასევას. ნათლია ხელში ფულს ჩაუდებს. ბავშვმა თუ შეამჩნია, რომ ცოტაა, არ ადგება და კიდევ ჩიუტობს, ვიდრე საკმარისს არ მიიღებს. მერე კი წამოხტება და კარში გაეარდება. განთავისუფლებულ ადგილზე დასხდებიან ნეფე-დედოფალი. ნეფის მარცხენა მხარეს დედოფალი ჯდება, დედოფლის გვერდით მისი უახლოესი ნათესავი, რომელიც თან ჰყავს მოყოლილი. შემდეგ ქალის მაყრები. ნეფის მარჯვნივ ჯდება ნათლია, ნათლის გვერდით თამადა, თამადის გვერდით ვაჟის მაყრები და შემდეგ მოწვეული ხალხი. ამ დროისათვის ოჯახის წევრები მოქებნიან ლამაზსა და ჯანსაღ ბავშვს (უეჭველად ბიჭი უნდა იყოს), ჩაუსვამენ დედოფალს კალთაში. ამ დროს ისმევა ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო და თან ნეფე-დედოფალს თამადა ან სხვა ვინმე აწვდის ვაშლს, რომელშიაც თეთრი ფულია გარჭობილი (დიღომი დ. სოზიაშვილი 75 წლ.).

ხალხურ თქმულებებში ვაშლი შვილიერების სიმბოლოდ არის მიჩნეული. ამა თუ იმ ქართულ ზღაპარში ვაშლი ხშირად უშვრობის წამალია.

ასეთივე ამბავს ვხვდებით ბიბლიის მითებშიაც.

ვაშლის გამოყენების ამ ჩვეულებას ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სიცოცხლის ხის მოტივთან.

არმაზში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს, 1940 წ. 23 ნოემბერს, აღმოჩენილ იქნა ორი ვერცხლის ლანგარი ცხენის გამოსახულებით. ცხენის წინაშე აღმართულია ბომონი, რომელზედაც ანთია მარადუქრობი ცეცხლი, რის გვერდითაც მოთავსებულია ორი ვაშლი. „გამოსახული ცხენი — ღვთაება, ტოტემი, მზის ღვთაების განსახიერებაა, რომლის წინაშე, ვითარცა ღვთაებისა, დაუდგამთ ბომონი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1941, გვ. 114.

## ქორწილის სუფრა

„რაც იქნა ქალის სამშობლოს ღვინისა წესი,

ქცევანი,

აქ უფრო რიგი მეჯლიშის გარდაღვე-გარდმოღვეანი

მუდამ თასისა კერაში იყოს დასდებლის თქმევანი,

ნას ღამეს ნახონ ღვინი და არა აქვს სიხარულს

ღვეანი“.<sup>1</sup>

ქორწილის სუფრას არჩეული თამადა ხელმძღვანელობს, მას ემორჩილება ყველა, მასპინძელიც და სტუმარიც. თამადა რიგრაგობით სვამს სადღეგრძელოს, ოჯახის წევრებისას და სტუმრებისას. თამადა ჯერ ნეფე-დედოფალს ადღეგრძელებს, შემდეგ მეჯვარეს (როგორც აქ იტყვიან ნათლიას) მას ყველა პატივისცემით ეკიდება. როცა თამადა ნეფე-დედოფალს ახსენებს ყოველთვის ამ სიტყვას დააყოლებს „ნათლიაც კარგა გვიმყოფოსო“. ძველად ნათლიაც შეიარაღებული ყოფილა, როგორც ვაჟის მაცრები. „ნათლია ყოველთვის შეიარაღებული იყო, რათა ნეფე-დედოფლისათვის არვის ევნო. ნათლია დედოფლის მოსარჩლედ ითვლებოდა, ქორწილში კი მათ დამცველად სთვლიდნენ. (მ. სონღულაშვილი, 65 წლ.).

ნათლიას ევალებოდა ქორწილის მსვლელობის დროს ფხიზლად ყოფილიყო, რათა ნეფე-დედოფლისთვის არაფერი „ეხიბნათ“, ან თვით ნათლია დასაციინი არ გამხდარიყო მოქვიფე ხალხის მიერ. ყველა განგებ ცდილობს ნათლიას გულისყური სხვა რამეზე გადაატანინოს. როცა ქორწილი გაჩაღებულია და ხალხიც შეზარხოშებული, ნათლიას წინაშე წარსდგებიან ხაბაჯები, რომლებსაც „ჯვრის პური“ მოაქვთ. ეს „ჯვრის პური“ დიდი ნამცხვარისაგან არის შემზადებული, მასზე ნამცხვრისავე ჯვარია გამოსახული. ნათლია მოვალეა ხაბაჯებისაგან დაიხსნას ჯვრის პური და წინ დადოს.

ამის შემდეგ მოდიან მზარეულები, რომლებსაც მოაქვთ ლანგრიტ საქონლის ბეჭი. იგი სხვადასხვა საქმლითა და მწვანელითაა მორთული და იმასაც ნათლიას ახსენებენ.

ამ ჯვრის პურსა და საქონლის ბეჭს ყველა ემტერება, დაწყებული მაყრიდან, გათავებული პატარა ბავშვამდე. ყველა ცდილობს მოკპაროს, ეს ნათლისათვის დიდი სიარცხვილია. ამისათვის კი საკიროა სიფხიზლე. იმ შემთხვევაში თუ მოპარეს ნათლიას ჯვრის

<sup>1</sup> თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939 წ. გვ. 68.

პური ან ბეჭი „ასეთ ამაზვზე ხალხი ამბობდა ხოლმე. ამასა ორი ანაბ-რისათვის ვერ მოუვლია და რა შნო ექნება, რომ ამ ოჯახს მოკე-თელ მოეკიდოსო“. (მთხრობელი ილია კოლოტაური, 62 წ., დი-ლომი). თუ მოპარავდნენ რამეს ნათლიას, ყველა გაჩუმებული იყო. თამადა ნათლიას გაახსენებდა ყურადღებით ყოფილიყო. ნათლიან გადახედავდა თავის ანაბარს და როცა ვერ იხილავდა, ვისმეს თხოვ-და შუაქაცობა გაეწია და წამლებს დაებრუნებინა ჯვრის პური და ბეჭი. შუაქაცი ანაბარის წამლებს გადასცემს, რომ უკან დაუბრუნოს ნათლიას ანაბარი და სამაგიეროდ რაც უნდა მოითხოვოს, წამლე-ბიც სურვილის მიხედვით აფასებს ანაბარს, იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაიხსნა ნათლიამ ანაბარი, შეიძლება ჩხუბიც მოხდეს. „როცა ნათლიას ჯვრის პურს მოპარავდნენ და ვერ დაიხსნიდა, დასცინოდ-ნენ ხოლმე ხალხი. ეს კი ნათლიას სწყინდა და ხშირი იყო ერთმან-ნეთის თავპირის მტკრევა და მაგის გულისათვის კი ასე გაუგეპურ-დებოდა ხოლმე ქორწილი“. (ი. ყანაფაშვილი, 70 წ., დილომი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუფრის ხელმძღვანელი ქორწილში არის თამადა. თამადას თავისი თანაშემწეები ჰყავს. თანაშემწეებს თვითონ თამადა ნიშნავს ყველა მაგიდაზე. იმ შემთხვევაში თუ სუფრა ერთ ოთახშია გაშლილი, თანაშემწეები ემორჩილებიან თამადას. თანაშემწე მოვალეა თვალყური ადევნოს მის მხარეზე მჯდომ ხალხს, დაიცვას წესრიგი, ღვინო ასვას წესიერად და ჰხვა.

სუფრის გაშლის დროს ჯერ აწყობენ მარილს, შემდეგ ღვინოს, პურებსა და ლავაშს; თითო კაცზე თითო პურს და თითო ლავაშს ჩამოარიგებენ. ასევე ღვინოს, თითო კაცს თითო ბოთლს დაუდგა-ვენ. ან ორ კაცს ერთ ბოთლს. ამის შემდეგ მოაქვთ მწვანელი, ყველი, ძეხვი, თევზი, ხიზილალა და სხვ. შემდეგ მოაყოლებენ ცი-ვად მოხარშულ საქონლის ხორცს, რომელსაც „ხაშლამა“ ეწო-დება. ხაშლამას, ბოზბაშს მოაყოლებენ. სულ ბოლოს, მოაქვთ ფლავი, რაც იმის ნიშანია, რომ იწყება შესაწევარი. ქორ-წილის დროს ფეხზე ტრიალებენ და სტუმრებს ემსახურებიან ოჯახის ნათესავეები და მეზობლები.

ნეფე-დედოფლის ოთახში ეხლა აცალგაზრდობა სხდება, ძველად კი მოზრდილები სხდებოდნენ. ამავე ოთახში პატარა მაგიდასთან სხედან დამკვრელები (მედოლე და შეგარმონე). ფლავის ჩამოტა-რების შემდეგ თამადა წამოდგება და ამბობს სადღეგრძელოს. იგი ნეფე-დედოფალს ბედნიერებას ულოცავს და ამასთან ერთად მოა-გონებს ხალხს, რომ დროა იმ წესის ასრულებისა, რა ჩვეულებაც აქვს სოფელს.

ამის შემდეგ ოჯახის დიასახლისს გოაქვს ლანგარი, რომელზე-  
დაც შესაწევარს აწყობენ.

შესაწევარის რაოდენობა დამოკიდებულია ხალხის სიმრავლე-  
ზე.

შესაწევარს პირველად ნათლია გაიღებდა. „ხალხს შაგალითი  
ნათლიამ უნდა აჩვენოს, იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენს შე-  
აწევს, იმისი შესაწევარი სწევს თანხას მალა“. (ან. სონღულაშვი-  
ლი, დილომი).

როცა თამადა მიიღებდა ნათლისაგან შესაწევარს, იგი დაილო-  
ცებოდა: „ღმერთო ძლიერო, ღმერთო დიდებულო, შენ გაგვიბედნი-  
ერე ნეფე-დედოფალი, ნათლიაც კარგად უმყოფეთ, ჩვენს ნეფე-  
დედოფალს ნათლიასა (სახელს დაასახელებს) თავისი ახალ ნათე-  
საგებისთვის მოურთმევია ასი თუმანი ფული, ერთი ოქროს ბრას-  
ლეტი, რომელიც ასი თუმანი ღირს. ამასთანა ორი შიბაქი ერთი  
ბიჭისა და მეორე ქალისა, ღმერთმა ააშენოს ამის ოჯახი!“ — ხალ-  
ხიც, რომელიც სპეციალურად გვერდით ეჯდა იძახდა დიდი ხმით  
და ერთხმად — „ააშენოს!“

ამის შემდეგ მოჰყვება ოჯახის წევრების მოსართმევე-შესაწე-  
ვარი, შემდეგ უახლოესი ნათესავებისა. ამათ მოჰყვება შოგვარეთა  
შემდეგ კი დანარჩენი ხალხისა. დედოფლის მაცურები არაფერს არ  
შააწევენ, რადგან წესი არ არის.

ფულთან ერთად პირის სანახავსაც მიართმევენ ხოლმე: ოქ-  
როულს, ვერცხლეულს, ჩასაცმელს, დასახურავს, ავეჯსა და საქო-  
ნელს. უმთავრესად იციან ვერცხლეული და ტანსაცმელი.

შესაწევარსა და პირისანახავს ერთად შეკრავს თამადა და ოჯა-  
ხის უფროსს გადასცემს. ამის შემდეგ იმართება ლხინი, ათამაშებენ  
დედოფალს (შესაწევარის შემდეგ დედოფალს „პატარძალს“ უწო-  
დებენ) მოქეიფებებისაგან გადადის შაბაშები, თან იძახიან „შაბაშ“,  
„შაბაშ“-ს და პატარძალს ხელში ფულებს უღებენ. ცეკვის დამთავ-  
რების შემდეგ ყველა მაგიდებს უბრუნდება.

ძველად შესაწევარის შემდეგ გვირგვინის მოხდა სცოდნითა:  
„როცა შესაწევარი დამთავრდებოდა, ნათლია გვირგვინის ახდას  
შეუღებოდა, ცალ ხელში ღვინით სავსე ჭაში ეჭირა, ცალ ხელ-  
ში კიდევ ხანჭალი, მოჰყვებოდა დალოცვასა ნეფე-დედოფლი-  
სასა და როცა დაღვედა, ხანჭლით ახდიდა გვირგვინს, როგორც  
ნეფეს, ისე დედოფალს. შერე აიღებდა ჯამ წყვილ ლავაშს დასპრი-  
და წვრილად, ნაკუწებს სუფრაზე მიმოფანტავდა და დაიძახებდა:  
„ასე დაიკუწოს ამ ოჯახის მტერი და ორგულო“. შერე დანარჩე-

ნი ხალხი მიჰყვებოდა და ლოცავდა ნეფე-დედოფალს და გაბედნიერებას ულოცავდა“ (დარ. სოზიაშვილი, 75 წლ. დილომი).

„რადას ვაგრძელებ, მათა სვან ვიდრე ქათმისა ხმობამდი, მეფე წაბრძანდეს მაყრულით, მისდევენ დასაწოლამდი.“

ზოგთა სვან კიდევ თასითა ავსებით იყოს თრობამდი,

და ადგენ ბარბაცით, სიმთვრალე არ ეტყობოდათ ჯდომამდი“.<sup>1</sup>

გათენებისას პატარძალს ქალები ოთახში გაიყვანენ. თან მხრებზე ხელს სცემენ სიცილით. ნეფე ამ დროს ცდილობს ჩქარა მიჰყვეს პატარძალს, მაგრამ მოქეიფეები უთვალთვალევენ. და არ უშვებენ. როცა იხელთებს დროს გადმოხტება და გაიქცევა. „ზოგთათი ეცდება დაიქიროს, თუ დაუსხლტა ხომ კარგი, თუ არა დაუშენენ მუშტებს, რასაც „ბერაში“ გატარებას უწოდებენ. ამის შემდეგ თამადა ნეფეს მოიხსენიებს „აჯილღად“ და ასევე სხვებიც უწოდებენ „აჯილღას“. მაგალითად: „აქეთ-იქით გამარჯობათ, ჩვენს აჯილღას გაუმარჯოს!“

ნეფე დედოფალს საწოლ ოთახში შეჰყვება, ჩერდება ცოტახანი და შემდეგ ისევ უბრუნდება სტუპრებს, თან საღვინოთ ღვინო და დიდი სასმისი მოაქვს, რომელსაც „იახტანის“ ჩამოტარებას ეძახიან. ნეფე ჩამოუვლის მთელ რიგებს და ყველას ასმევს. აქ დიდი სასმისით ან კიდევ ჩაისს კიჭით. მოქეიფეები ულოცავენ გაბედნიერებას, უსურვებენ ყოველივე კარგს. ეს სასმისი განკუთვნილია ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოსათვის, მასში თამადა არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს.

ამ დროს ანახლებენ სუფრას, მოაქვთ საკმელები, უბრუნდება ყველა ქეიფს. ახალგაზრდები და მყარები მზარეულებს უკვეთენ მწვადების შეწვას. ნეფეს „იახტანის“ ჩამოტარების შემდეგ ქალიანთ მხრიდანაც ჩამოატარებდნენ „იახტანს“. „იახტანის“ ჩამოტარება დაკისრებული ჰქონდა ქალის მყარების უფროსს ან ქალის ნათესავს.

ქალს რომ სასიძოს სახლში წამოიყვანენ, ქალის მშობლები ატანენ „იახტანს“, რომელიც ნამცხვარისაგან, ღვინისა და ნაირნაირი საკმელებისაგან შედგება. „როცა მეფე ჩამოატარებს „იახტანს“, მას ქალის მყარები უნდა მიჰყვეს, რომ ქალის მშობლების მხრიდანაც დაილიოს ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ქალის მყარებს არ აღმოსჩენიათ „იახტანს“.

<sup>1</sup> თ ე ი მ თ რ ა ხ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939, გვ. 69.

ტანი“, დავიწყებიათ ან კიდევ ვინმეს მოუპარავს; მაშინ ვაჟის მაყრები ქალის მაყრებს ჩოხას ან ქამარს შემოხსნიდნენ და მანამდე არ მისცემდნენ, სანამ არ მოიტანდნენ „იახტანს“ (ან. სონღულაშვილი, დილომი). „იახტანის ჩამოტარება გათენებისას იციან. ვინემ ჩამოატარებდნენ იახტანს კიდევ თენდება და კარში გამოიშლებიან „დილის არზე“. მაგიდას ეზოში გამოიტანენ და იქ შლიან სუფრას. იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერა და კვლავ ღვინის სმა. ქალის მაყრები ამ დროს მეზობლისას დათარეშობენ ქათმებზე და თუ სხვენზე ხილი აქვთ შენახული, იმასაც „უსუნთქამენ“ და თან მოაქვთ. ამ დროს იცოდნენ ნეფის მაყრების დატყვევება, თუ ქალის მაყრებმა „დასძლიეს“ ნეფის მაყარი, მაშინ ხეზე მიიბამდნენ და დაატყვევებდნენ, თუ გაუძლიანდებოდნენ მაშინ კისერზე ურჩის თვალს დაჰკიდებდნენ, „დატყვევებისას ჰაპანს ხმარობენ. ხეზე იქამდე ჰყავთ მიბმული, ვიდრე რომელიმე ნათესავი ან თვითონ ნეფე არ დაიხსნიდა. მერე ამ ნაშოვნი ფულით მაყრები ერთ კარგ ღლეს შეიყრებოდნენ და კაი ქეიფს გამართავდნენ“. (ანტ. სონღულაშვილი, დილომი).

„დილის სარზე“ გამოსულმა მექორწილებმა სხვა გასართობებიც იცოდნენ. ფერხულის დაბმა, „ზემყარლო“, „გოგონა“, სიმღერები და კიდევ ერთი საინტერესო თამაში: „ოთხი ან ხუთი კაცი ჩადგებოდა წრეში. ერთს სახრე ეკირა, დანარჩენები ერთმანეთის უკან დამწყრივდებოდნენ და წრის გარშემო უნდა ებრძინათ. მერე როდესაც უფროსი დაუძახებდა — აბა გაიხადეთო, ისინიც სწრაფად იხდიდნენ, უკან კიდევ სახრიანი კაცი მისდევდა და ჩამორჩენილს სახრეს გადაჰკრავდა ხოლმე. იხდიდნენ ზემოთ ტანს, მერე დაუძახებდა — ქვეითაცო! ქვეითაც გაიძრობდნენ, მერე ასევე სწრაფად დასდევდა უკან და სახრეს გადაკრავდა ხოლმე. ამ დროს მოთამაშეები ტანისამოსს ხან ჩაიცვამდნენ ბრძანების ვიცუნა როგორც იქნებოდა, ხან კიდევ იხდიდნენ. ამას იქამდე თამაშობდნენ ვიდრე არ დაიღლებოდნენ. მეც ვითამაშნია. ამას ვგონებ ბერძნულ თამაშობას ეძახდნენ (ან. სონღულაშვილი).

ასეთივე ხასიათის სანახაობაა „იალის თამაშობა“. რომელსაც თბილისში ყველიერობას ასრულებდნენ. „გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკმა“ ამ იშუიათი თამაშობის შემდეგი აღწერილობა დაგვიტოვა: ზურნამ რომ დაუკრა, ოთხი ახალგაზრდა წამოდგა, ერთიმეორის უკან მოეწყვნენ, თვითულმა მათგანმა ბაღდადი მხარზე გადიგო. ერთმა ქოხს მიჰყო ხელი და მოცეკვავენი დაიფრინა. უმისოდაც მოცეკვავენი, უკვე ზურნის ტაქტს ფეხშეწყობილნი, წრეს ჩაკვრით უვლიდნენ, როდესაც წრეს რამდენჯერმე შემოუარეს, ბაღდადები გადაჰ-



ყარეს და მერე იმათ სარტყლებიც მიჰყვა. ბოლოს, იქამდე მივიდნენ, რომ პერანგისამარა დაჩინენ. „პერანგებიც“ — დაიძახა მეთაურმა და თან ჯოხით დასდევდა მათ: „ინდოეთში პერანგსაც არ ატარებენო“, ბანზე თამაშობდნენ, თოვდა, მაგრამ მოცეკვავენი მეთაურს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. შემდეგ პირიქით დაიწყო, თანდათან იზავე წესით ჩაცმაც დაიწყეს და ცეკვაც ამით დამთავრდა.<sup>1</sup> როგორც აღწერილობიდან ჩანს დიღმური საქორწილო გასართობი სათამაშო ძალიან ემსგავსებოდა თბილისურ „იალის თამაშობას“ ასეთივე სახის თამაშობა სცოდნიათ ჯავახეთში სოფ. მესხეთში ქორწილის დროს, რასაც „გულთამაშს“ ეტყობდნენ.

ასეთივე საინტერესო საქორწილო თამაშია აჭარული „ფადიკო“, ამ თამაშს აწყობენ ქორწილში ღამის თორმეტ საათზე. „ფადიკოსათვის“ ექვსი კაცი და ერთი ქალია საჭირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩააცმევენ და ცალკე ოთახში გაიყვანენ, მას ფადიკოს უწოდებენ. შემდეგ ერთი მოთამაშე ცხენივით დაოთხილი დადგება და მას ფადიკო შეაჯდება. ცხენს აღვირით ერთი წამოიყვანს, სხვები კი სიმღერით მოსდევენ; ორი მათგანი ერთმანეთს შეეცილება ფადიკოს დანარჩუნებისათვის, ვინც პირველად მოასწრებს და თეთრ ფულს გადააყრის, ქალიც მას რჩება. ბოლოს ეს ორი მოქიშპე მანც შერიგდება და იტყვიან — „ერთს დღე გვყავდეს, მეორეს ღამეო“ და ორივე გადააყრის ფულებს. შემდეგ ფადიკოს „ყურბანს“ (საკლავს) შემაავლებენ და დაკლავენ. ამას ცეკვა-თამაში მოჰყვება. ფადიკოს გაეთამაშება ის ორი კაცი, მაგრამ ცეკვის დროს ფადიკო უეცრად დაიმალება. ამაზე ისინი ერთმანეთს შარს ჰოსდებენ, ასტყდება ჩოჩქოლი და ყველანი ფადიკოს ეძებენ.

ბოლოს ფადიკოს იპოვიან და ვახშმად დასხდებიან. ნავახშმევეს ერთ მათგანს დაეძინება, მეორე კი ფადიკოს მოუწეება და ელაპარაკება, ამ დროს პირველი იღვიძებს, დაინახავს, რომ მისი ამხანაგი ფადიკოსთან საქმობს, წამოხტება, ხმალზე ხელს გაიკრავს. ამხანაგს დასკრის და ფადიკოს გაიტაცებს, ქალი ეწინააღმდეგება, არ მიჰყვება, თან გაიძახის: „მე ის შენზე მეტად მიყვარსო“. ის კი ფადიკოს ეხვეწება: „მე წამომყევი მასზე უკეთესი ვარო“, და თან ქრთამსაც ჰპირდება, ბოლოს ქალი თანხმდება და მიჰყვება.<sup>2</sup>

დიღმური საქორწილო გასართობი, თბილისური „იალის“ თამაშობა, ჯავახეთური „გულთამაში“ ერთი და იმავე რიგის გადმონაშ-

<sup>1</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორიის საწყისები, 1948, გვ. 93.

<sup>2</sup> ჯემალ ნოლაიძელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან, 1935, გვ. 32.

თებია. ამ ტყვეებში მოცემული შინაარსი: „გამიშვლება“, „ჯონი-წეპლით უკან დევნა, ჯერ გახდა და მერე ჩაცმა—ეს ისეთი ნიშნებია, რომ „იალის“ თამაშობა სქესობრივი სიყვარულისა და შვილოსნობის მფარველი ღმერთის კვირიას საღიღებელი რიტუალის ნიშნად უნდა იქნას მიჩნეული. ზოგიერთი მსგავსება „მელია ტულეფისა“ და „იალის“ თამაშობას შორის გვაფიქრებინებს, რომ მეორე პირველის შემდეგდროინდელ სახეცვლილებას წარმოადგენს. ცხადია „იალის“ თამაშობას, თანდათანობით, სრულიად ეკარგება საკულტო რიტულისათვის დამახასიათებელი ნიშნები და გასული საუკუნის 50-იან წლებამდე სახეცვლილებით მოღწეულს, მას უკვე ძნელად თუ ატყვია თავისი ადრინდელი მნიშვნელობა“.<sup>1</sup>

ასევეა ალბათ შეცვლილი აქარული საქორწილო სანახაობა „ფადიკოც“. „მართალია, „ფადიკოც“ წარმოდგენაში მრავალი საყოფაცხოვრებო დეტალია, მაგრამ მასში მაინც ჩანს ადრინდელი საბე, რაც მას სვანურ „მურყვამობასთან“ აახლებს და ამსგავსებს. სატრფიალო სცენის წარმოდგენა და ქალის დაუფლებისათვის ორ პერსონაჟს შორის ბრძოლა, „მურყვამობასა“ და „ფადიკოს“ ერთნაირად ახასიათებს. ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ „ფადიკოც“ შვილიერების მფარველი ღვთაების საღიღებელი მისტერიის ნაშთია“.<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „სვანური „მურყვამობა“ და „საქმი-სა“-ს ჩვეულება, იმგვარადვე როგორც „ყვენობა“, სქესობრივი განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთაების კვრისა, თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია. ამ დღესასწაულის მიზანს განაყოფიერების ორგანოს საღიანობისა და ძლიერების ლოცვა-ვედრება და განსახიერება შეადგენდა“.<sup>3</sup>

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ქორწილს მართო დროს სატარებელი ხასიათი არ ჰქონდა. ზოგიერთი გადმონაშთი მეტყველებს, რომ საქორწილო რიტუალში მრავლად იყო წარმოდგენილი ისეთი რელაგიური ელემენტები, რომლებიც განაყოფიერების შესახებ

<sup>1</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 94.

<sup>2</sup> იქვე.

გვ. 110.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1951, გვ. 75.

წარმართული მსოფლმხედველობის გადმონაშთებს უკავშირდება. ჩვენი წინაპრების საქორწილო წესჩვეულებებში არც მიცვალებული იყო მივიწყებული. ქორწილის მეორე დღეს, „დილის სარზე“ გამოსული ხალხი სასაფლაოზე მიდიოდა, თან მიჰქონდა ღვინო, პური, ხორცი და სხვადასხვა საკმელი; მედოლე და მეგარმონე წინ მიუძღვებოდა პროცესიას, დანარჩენები კი უკან მისდევდნენ, მათ შორის იმყოფებოდა ნეფეც და მისი ნათლიაც. სასაფლაოზე სუფრას გაწლიდნენ და თამადა ნეფის ნათესავ-მიცვალებულთა მოხსენიებას შეუდგებოდა. მუსიკა კი ამ დროს სამგლოვიარო ჰანგებს უკრავდა.

ხალხის რწმენით „მიცვალებულის ნეტარება დამოკიდებულია სამზეოში მისი სახელის უკვდავებაზე და კერძოდ იმაზე თუ ამ სახელს სამზეოში რამდენად ხშირად ახსენებენ ხოლმე“.<sup>1</sup>

მიცვალებულის სულის მოხსენიების საინტერესო ცნობაა გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“, რომელიც 1631—1640 წლის ამბებს მოიცავს: „...მერე ყველანი ერთად მიდიან ეკლესიის წინ რომ ფართო მინდორია, სადაც მშვენიერი ხეებია. დარგული და იქ თვითეული ოჯახი დასხდება ცალკე ხის ძირში. ამ ხეების დანიშნულება ძველის დროიდან სწორედ ის არის, რომ ასეთს შემთხვევაში კაცმა თავი შეაფაროს ჩრდილის ქვეშ. დასხდებიან ყველანი ერთბაშად, რადგან არავის არ შეუძლია სხეებზე უფრო ადრე დაჯდეს. დასხდებიან თუ არა, პირველად ერთიმეორეს თავის საკმელს უთავაზებენ და თან ამბობენ, რომ ღმერთმა აცხონოს ჩვენი მიცვალებულიო. შემდეგ ამისა შეუდგებიან როგორც თავიანთ მოტანილსა, ისე ნათავაზევის საკმლის ქამას, რომელიც გაგრძელდება ხოლმე შუადღიდან საღამომდე. როცა კარგად დალევენ, დრო გამოშვებით სუფრიდან აღგებიან ხოლმე დალეულები და ხელი-ხელ გაყრილი მღერიან და ცეკვავენ მინდორში, ამ რიგად თვითონ მშვენიერად ატარებენ დროს და თანაც ფიქრობენ, რომ ამით მიცვალებულის სულს ვასაიმოვნებთო“.<sup>2</sup>

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ძველი თბილისური ჩვეულება „ნეფის ცეკვა მამის საფლაოზე“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმოხ., გვ. 152.

<sup>2</sup> ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938, გვ. 66.

<sup>3</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, 1928, გვ. 213.

როგორც ირკვევა „მიცვალებულის სახელის ხსენება ჩვენში მუდამ დაკავშირებული იყო სასმელთან და გაშლილ სუფრასთან. მიცვალებულის სახელის ხსენება და ამ სასმელ-საქმელის შისთვის შესახებება ერთი იყო. ამიტომაც უფრო ხშირად ახსენებდნენ მიცვალებულის სახელს, იმდენად, მეტი ტაბლა ვიუდიოდა მიცვალებულს სულეთში“.<sup>1</sup>

მორწმუნეთა წარმოდგენით ადამიანის სული არ კვდება. „ძველი ხევსურული რელიგიური რწმენის თანახმად, გარდაცვლილთა სულები ცოცხალთა ყოფაში კვლავ დიდ როლს თამაშობენ. „სამზეოში“ დარჩენილათვის მათ სარგებლობისა და ზიანის მოტანაც შეეძლოთ, იმის მიხედვით, თუ ეს უკანასკნელნი რა დამოკიდებულებას იჩენდნენ მათ მიმართ. სულები მონაწილეობდნენ როგორც ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო, ისე სოციალური მნიშვნელობას მქონე საქმეების მოწესრიგებაშიაც“.<sup>2</sup>

როგორც აღვნიშნეთ ქორწილის დროს მიცვალებული არ ყოფილა მივიწყებული. ეს ჩვეულება იმ წარმოდგენაზეა აღმოცენებული, რომ მიცვალებულსაც ახარებს მისი შოგვარის ან სახლიკაცის გაბედნიერება. თუ ქორწილს ვერ დაესწრო „სამზეოში“ და ვერ იმხიარულა, სამაგიეროდ სამზეოში დარჩენილნი იგონებენ და განსაკუთრებულის პატივისცემის ნიშნად პატარა ლხინს იხდიან საულავზე.

სასაფლაოდან დაბრუნებული მექორწილენი მიდიან თავიანთ სახლებში. ნეფე და მისი მახლობლებიც ოჯახში ბრუნდებიან.

ქორწილის მეორე დღე განკუთვნილია მძახლებისათვის და ეწოდება „მძახლიწვეული“.

სალამოს ხანს როცა კარგად დაბნელდება, ნეფის ოჯახიდან დოლისა და გარმონის დაკვრით წავლენ მძახლიანთკენ ე. ი. ქალის მშობლებისაკენ: ნეფე, მეჯვარე და რამდენიმე კაცი, მათ გადმოსაწვევად ნეფის ოჯახში (ეს იმ შემთხვევაში თუ ქალი დიღმიდან მოჰყავთ, თუ სხვა სოფლიდან, მაშინ საჭირო არ არის მძახლის მოწვევა, რადგან მათ წარმომადგენლად ქალის მაყრები არიან მძახლის წვეულში). მძახლებთან მისული ნეფე და მისი წარმომადგენლები ერთ საათს, ან საათ-ნახევარს დარჩებიან, მერე კი

<sup>1</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი, 1, გვ. 153.

<sup>2</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული, მთიბლური სიმღერა გვრინი, მიმომხ. გვ. 424, II, თბილისი, 1951.

მძახლებთან ერთად სახლისაკენ წამოვლენ, სადაც მათ უცდის მოწვეული ხალხი.

„მძახლის წვეულში“, ნეფე და მისი ოჯახი, პატივობენ უახლოეს ნათესაებებსა და მეგობრებს. ამ საღამოთი ეცნობიან ერთმანეთს როგორც ქალის ნათესავები, ისე ვაჟის ნათესავები. მძახლის წვეულის შესახებ ხალხი იტყვის: „ქორწილის მეორე დღეა, ნამდვილი ქორწილი და დროს ტარებასაც მაშინ აქვს გემოვო. თორემ ქორწილში რა არის „ძალი პატრონს ვერ იცნობსო“, და მართლაც „მძახლის წვეულში“ უფრო მეტი მყუდროება და მხიარულებაა ვიდრე ქორწილის დროს.

ამ საღამოთი იციან პატარძლის თამაში, მას ფულებით ასაჩუქრებენ, ცეკვის დროს, რასაც „შაბაშს“ ეძახიან. ამ საღამოთი იციან კიდევ პატარა შესაწევარი, რომელიც პატარძლისათვის არის განკუთვნილი. ამასაც „შაბაშს“ ეძახიან. ამავე დროს კიდევ იციან ნივთების მირთმევა.

შესამე დღეს უწოდებენ „ხაშის პურის ჭამას“. ამ დღეს თავს იყრიან შინაურები. ქალის მაყრები, მზარეულები და ყველა ის პირი, რომელიც ქორწილის დროს ხალხს ემსახურებოდა. ამ დღიდან ქორწილი უკვე დამთავრებულად ითვლება. „ხაშის პურიჭამის“ შემდეგ ქალის მაყრებიც ეთხოვებიან სიძის ოჯახს და თავიანთ სოფელს უბრუნდებიან.

## მშობიარობა

დიღომში როცა ფეხმძიმე ქალს მშობიარობის დრო მოუვიდოდა მშობლებთან მიჰყავდათ მოსამშობიარებლად. თუ ქმრის ოჯახში მოიმშობიარებდა, მაშინ ქალის დედა დაადგებოდა თავს მოსავლელად. „მელოგინეს“ ფეხზე ერთ თვემდის არ ააყენებდნენ, ხოლო ექვსი კვირა რომ შესრულდებოდა, მაშინ გამოიყვანდნენ კარში. მანამ ცას არ ანახვებდნენ. ცა რომ დაენახა „ცოლოაო“ იტყოდნენ. მელოგინეს ექვს კვირამდის მთელ პურს არ გაატეხვინებდნენ „ღირსი არ არისო, რომ მთელი პური დაიჭიროს“-ო. (დ. სოზიაშვილი, 75 წ.). როცა მოიმშობიარებდა, მელოგინეს, ჯამით და დადულ წითელ ღვინოს დაალევინებდნენ, ძუძუსთვის კარგიაო იტყოდნენ, ხოლო ახალ დაბადებულ ბავშვს, რომელიც ბარულში იყო შეკრული, ბებია კარებში მიიყვანდა, დააყენებდა იქამდის სანამ არ დააცემინებდა, მაშინ იტყოდნენ ბედი ეხლა დაწერაო. ბავშვს რომ აკვანს გაუმართავდნენ და ჩააწვენდნენ, აკვნის

თავთან სამ პურს დაუდებდნენ, სამს კი ფეხებთან. თითო ჩარეკ ღვინოს და შაქარსაც დაუწყობდნენ, შემდეგ ეს პური, ღვინო და შაქარი „ბებიას“ ეკუთვნოდა.

ლოლოს გამოხარშავდნენ და ახალ დაბადებულ ბავშვს სამ-ჯერ აბანავებდნენ, რათა სურავანდი არ დაჰყოლიყო.

მელოგინე ქალი ექვსი კვირის შემდეგ კარში რომ გამოვიდოდა და მეზობლებს ეწვეოდა, იქ ჯამით ღვინო უნდა დაეღვინებინათ, თუ ღვინო არ ჰქონდათ, მაშინ წყალს დაუსხამდნენ ჯამზე და იმას დააღვინებდნენ, ისე არ შეიძლებოდა გაშვება, რადგან ხალხის რწმენით „ძუძუ“ (რძე) არ გაყვებოდა.

ხალხისავე რწმენით, ძუძუ განადირება იცის. რძე თუ უშრება ჩვილის დედას, მიმართავდნენ შელოცვას, რომელიც შემდეგან ირი შინაარსისაა: „ძუძუე წამომყვიო, ზღვის პირს იყო, წყლიმ. პირს იყო, ტყის პირს იყო, მამიშივდებო ბავშვსაო, ძუძუე წამომყვიო“. ამ შელოცვას მლოცველი სამჯერ გაუქოროებს და დაამშვიდებს, რომ რძე დაუბრუნდება.

ქალი რომ მოიშობობიარებდა, უბნის ქალები შეიკრიბებოდნენ. მშობიარეს სახლში, ფერხულს დაუბამდნენ და „მზეშინას“ უმღეროდნენ (იხ. წიგ. I, გვ. 90). ამ დროს სახლის კარი ღია უნდა ყოფილიყო. ქალთა ფერხული „მზეს იწვევდა“, ხან გარეთ გადიოდა; ხან მშობიარეს უვლიდა გარს.

## მიცვალებულის კულტი

